ნაზიმ ჰიკმეთი

შეჩვენებული ადამიანის ბუნება

56

»ნაკადული«
თბილისი
1977

И(Тур.)8
894·35(092 ნაზიმ ჰიქმეთი)
ბ 177

ეს წიგნი პირველი ცდაა. ქართულ ენაზე შეიქმნას გამოწენილი თურქი მწერლის ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედების ამსახველი ლიტერატურული დოკუმენტი. ამიტომ თავს მოვალედ ვრაცხთ, ამთავითვე განვაცხადოთ — წიგნი დაზღვეული ვერ იქნება გარკვეული ხარვეზებისაგან. ამ ხარვეზებს კი შეავსებენ წიგნები, რომლებიც უთუოდ დაიწერება ნაზიმ ჰიქმეთზე.

ავტორს აგრეთვე სურს აღნიშნოს — ეს წიგნი ვერ დაიწერებოდა, რომ არ ყოფილიყო ა. ბაბაევის, ლ. ალკაევას, რ. ფიშის, გ. გორბატკინას, ი. ოსნოსის, იბრაჰიმ ბალაბანის, მუსტაფა ნიჰათის, ისიდორ შტოკის, გრ. აბაშიძის ნაწარმოებები და მოგონებები; უდროოდ დაღუპული ქართველი მთარგმნელის ვ. კეკელიძის ბრწყინვალე თარგმანები ნაზიმ ჰიქმეთის ლექსებისა. მე უსაზღვროდ მადლიერი ვარ ყველა ამ ავტორისა, რადგან მათი ნაწერები ღნიშვნელოვნად დამეხმარა ამ წიგნის შექმნაში.

ა ვ ტ ო რ ი

პირველი გამოცემა

© „ნაკადული“ 1977 წ.

Б 70803—9
М—603(08)—77 77—136



წინასიტყვაობა. ოჯახი

შეიძლება ეს პარადოქსულიც კი იყოს, მაგრამ მაინც ფაქტია— თურქული მწერლობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა საპატიმრომ. ოფიციალური წრეებისაგან დევნილ და სვეგამწარებულ შემოქმედთ თავიანთი საუკეთესო თხზულებები ბურსისა თუ ჩანაკლეს, სტამბოლისა თუ ანკარის ციხეებში შეუქმნიათ. რა იცოდა მთავრობამ, რომ დაპატიმრებული მწერლები გაორკეცებული ძალით აკეთებდნენ თავიანთ დიდ საქმეს.

ნაზიმ ჰიქმეთი ბობოქარი სულის ადამიანი იყო. ეს კარგად ჩანს მის ლექსებშიც. ნაზიმ ჰიქმეთის ბიოგრაფები, თურქული ლიტერატურის სპეციალისტები, პოეტის პიროვნულ თვისებებზე რომ ლაპარაკობენ, ხშირად იხსენებენ მის პაპას, მეჰმედ ნაზიმ ფაშას, პატრიოტ კაცს, პოეტს, რომელმაც თავის შთამომავლობას პატიოსანი ადამიანის დაცვა, სიმართლისათვის ბრძოლა ასწავლა.

მეჰმედ ნაზიმ ფაშა უაღრესად განათლებული და საკმაოდ პროგრესული შეხედულებების მქონე პიროვნება იყო. სახელმწიფო სამსახურშიც სანაქებო კარიერა გაუკეთებია. ერთ დროს ქალაქ მერსინის გუბერნატორის თანამდებობაც კი ეჭირა. ეს ის დრო იყო, როცა ინგლისელებმა თავისი გავლენის სფეროდ გადააქციეს თურქეთი — სახელმწიფოდან გაჰქონდათ უამრავი ქონება, არავის და არაფერს ეპუებოდნენ. სულთან აბდულ ჰამიდ მეორეს, რასაკვირველია, არ სიამოვნებდა მის სამფლობელოში ინგლისელთა ასე გალაღებით ყოფნა, მაგრამ ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებდა, დამამცირებელი დუმილი ერჩია. გარდა ამისა, უცხოელთა პოლიტიკური მოთოკვის საკითხი მაინცდამაინც არ აღელვებდა, რადგან მთავარი მიზანი — თურქი ხალხი სისასტიკის მარწუხებში მოექ-

ცია — მიღწეული იყო. ხმის ამაღლებასაც ეერავინ ბედავდა; არავის სურდა ესოდენ სასტიკი და საზარელი ხელისუფლების ხელში ჩავარდნილიყო. ეს სწორედ ის სულთან აბდულ ჰამიდი გახლდათ, რომელმაც თქვა: „ხელმწიფეთა უფლებამოსილება სცენაზეც კი არ უნდა იყოს საეჭვოო“, და გასცა მეფური ბრძანება: თავი მოეკვეთათ ჰამლეტის როლის შემსრულებელი მსახიობისათვის, რომელიც გაკადნიერდა და ხელმწიფეთა პატიოსნებაში დაეჭვდა. ამის შემდეგ თურქეთში რამდენიმე წლით აიკრძალა დანიის პრინცის სცენაზე გამოჩენა.

და აი, სწორედ მისი სულთნობის დროს ქალაქ მერსინში მოხდა ერთი ამბავი, რომლის მეოხებითაც ნაზიმ ჰიქმეთის ბაბუა, მეჰმედ ნაზიმ ფაშა, თითქმის მთელს თურქეთში ცნობილი ადამიანი გახდა, მაგრამ ამავე ამბავმა მას ხელისუფალთა წყალობა წაართვა.

ეს ამბავი ასე დაიწყო. ინგლისელ მრეწველს, ფაბრიკა „აღმოსავლეთის ქსოვილის“ მფლობელს სერ პიტერ ჯეკობსონს მერსინში თურქი ბავშვი შემოაკვდა. ბავშვის სიკვდილმა, ცხადია, შეაწუხა, მაგრამ მასაც თურქეთის ცა ქუდად არ მიაჩნდა და მიწა — ქალამნად. თანაც ასეთი შემთხვევები არც ისე უცხო ხილი იყო თურქეთში მყოფი ინგლისელებისათვის.

რამდენიმე დოკუმენტი ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორ წარიმართა ნაზიმ ჰიქმეთის ბაბუისა და ინგლისელთა ორთაბრძოლა.

1

მერსინის ვალის[1], მის აღმატებულებას მეჰმედ ნაზიმ ფაშას!

ბრიტანეთის ქვეშევრდომი სერ პიტერ ბ. ჯეკობსონი, რომელმაც თითქოს თურქი ბავშვი მოჰკლა, თქვენი განკარგულებით დაპატიმრებულია. უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომთა ხელშეუხებლობის საფუძველზე, და იმის გამო, რომ თურქეთის სასამართლოს არა აქვს უფლება გაარჩიოს ინგლისის ქვეშევრდომის საქმე, მოვითხოვ, სერ პ. ბ. ჯეკობსონი დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ!

ბრიტანეთის იმპერიის კონსული ქ. მერსინში.

---

[1] ვალი — გუბერნატორი

2

მის აღმატებულებას, ბრიტანეთის კონსულს ქ. მერსინში

თურქეთის იმპერიის ქვეშევრდომის — რუსტემის მკვლელის ვინაობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

პატივისცემით მეჰმედ ნაზიმი.

3

მერსინის ვალის, მის აღმატებულებას
მეჰმედ ნაზიმ ფაშას

თქვენთვის კარგად ცნობილია პ. ბ. ჯეკობსონის ვინაობა. თქვენს მიერ ბრიტანეთის იმპერიის ქვეშევრდომის დაკავება უკანონობის გამოვლინებაა. ამის გამო მერსინის პორტში მდგარი ინგლისის სამხედრო გემების მეთაურებს ვუბრძანე, თუ დღეს, 12 საათამდე არ გაათავისუფლებთ სერ პ. ბ. ჯეკობსონს, ცეცხლი დაუშინონ თქვენდამი რწმუნებულ ქალაქს.

მთელი პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ.

ბრიტანეთის იმპერიის კონსული ქ. მერსინში.

4

ბრიტანეთის იმპერიის კონსულს ქ. მერსინში

ქალაქ მერსინში მცხოვრები ბრიტანეთის ყველა ქვეშევრდომი დაკავებულია, როგორც მძევალი. ბრიტანეთის გემების პირველი გასროლისთანავე ინგლისელებს ჩამოვახრჩობთ.

პატივისცემით მეჰმედ ფაშა

5

დ ე პ ე შ ა

სტამბული. ბრიტანეთის საელჩოს

საჭიროა სულთნის ჩარევა საქმეში.

ბრიტანეთის კონსული ქ. მერსინში

დეპეშა

მერსინი, მეჰმედ ნაზიმ ფაშას

დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ ინგლისელები და მათს შორის ჯეკობსონიც.

მისი უდიდებულესობა, სულთნის პირველი მდივანი თაჰსინ ფაშა

7

დეპეშა

სტამბული „ილდიზი"

მის უდიდებულესობას, სულთნის პირველ მდივანს თაჰსინ ფაშას

მისი უდიდებულესობის მორჩილი მსახური მეჰმედ ფაშა მდაბლად გიკრავთ თავს და პატივი აქვს მწუხარებით მოგახსენოთ: მისი უდიდებულესობის კანონის თანახმად, ინგლისელ ჯეკობსონს ჩამოხრჩობა მიესაჯა. განაჩენი მოყვანილია სისრულეში. დანარჩენი ინგლისელები განთავისუფლებულნი არიან.

მეჰმედ ფაშა

ასეთი ინიციატივიანობა და დამოუკიდებელი მოქმედება გაუგონარი რამ იყო აბდულ ჰამიდ მეორის დროს. „მკვლელი ტახტზე" — ასე ეძახდნენ მას.

მძვინვარე და მკაცრი იყო სულთანი. შიშმა შობა ეს სიმკაცრე. ყოველ წუთს იგი ხალხის შურისძიებას ელოდა და საკუთარ ჩრდილსაც კი გაურბოდა. დაღამება ჭირის დღესავით სძაგდა, რადგან სიბნელეც შიშს ჰგვრიდა. დღე-ღამეში სამი-ოთხი საათი თუ ეძინა. საძინებელ ოთახს ყოველ ღამე იცვლიდა და ღამეში სამჯერ გადააადგილებდა ხოლმე საწოლს, რომ არავის სცოდნოდა, სად ეძინა სულთანს. საკმარისი იყო, მის საწოლს ვინმე მიახლოებოდა, რომ გაწვრთნილ თუთიყუშებს ერთი განგაში აეტეხათ. მხატვრების მიერ ზედმიწევნითი სიზუსტით შესრულებული, აბდულ ჰამიდს მიმსგავსებული ფიტულები სასახლის თითქმის ყოველ ოთახში იდგა: „სულთანი" ხან წამოწოლილი იყო, ხან — ტახტზე მჯდარი. ცოცხალი ორეულიც ბევრი ჰყავდა სულთანს.

ხშირი ყოფილა შემთხვევა, რომ ჯერ სულთნის რომელიმე ორეული მდგარა ხალხის წინაშე, შემდეგ კი — ნამდვილი სულთანი და ძალიან ცოტამ თუ იცოდა, რომელი იყო სულთანი აბდულ ჰამიდ მეორე. სულთანთან ყოველი სახის დოკუმენტი გაშლილი შეჰქონდათ: დახვეულ ქაღალდში ვინმემ ყუმბარა არ ჩადოსო!

სულთნის პირველმა მდივანმა თაჰსინმა კარგად იცოდა, რომ მერსინის ვალის საქციელი სულთნის ყურამდეც მიაღწევდა. ინგლისელები კი არაფერს დაიშურებდნენ ურჩი თურქი ვალის დასასჯელად. თაჰსინს უხაროდა კიდეც ვალის ასეთი გაბედულება და სურდა, როგორმე გადაერჩინა იგი სულთნის რისხვისაგან. საჭირო იყო მხოლოდ შესაფერი დროის შერჩევა.

ერთ დღეს, როცა სულთანი კარგ ხასიათზე იყო, თაჰსინ ფაშამ მას ყურში ჩასჩურჩულა:

— თქვენო უდიდებულესობავ, ახლა ინგლისელი დიპლომატები გეახლებიან.

არ უყვარდა ჰამიდ მეორეს დიპლომატები.

— პირუტყვები არიან ეგ დიპლომატები, მაიმუნები!

— პირუტყვები არიან, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ მერსინის ვალიმ ჰიქმეთ ფაშამ ისეთი დღე აწია, რომ...

მაინც რა დღე აწიაო ასეთი...

— ერთი ინგლისელი ბღენძი კატასავით ჩამოახრჩო.

ინგლისელი ჩამოახრჩოო! როგორ შეიძლებოდა თურქეთში სულთანზე მეტი სიმამაცე სხვას გამოეჩინა, თუნდაც ფარული მტრის მიმართ. როგორ შეიძლება, მერსინის ვალი უფრო გაბედული კაცი იყოს, ვიდრე თვით მთელი თურქეთის სულთანია. სად გაგონილა!

ვერ უშველა მეჰმედ ნაზიმ ფაშას სულთნის პირველი მდივნის მფარველობამ. ძვირი დაუჯდა სითამამე — უმალ გადააყენეს.

ნაზიმ ჰიქმეთის სხვა წინაპართა ვინაობაც შემოგვინახა ისტორიამ. პოეტის პაპა, დედის მხრივ, პოლონელი მარკიზ ბორჟინსკი იყო. ბორჟინსკის აქტიური მონაწილეობა მიუღია 1848 წლის პოლონეთის სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რის გამოც სამშობლოში აღარ დაედგომებოდა და თურქეთში გადაიხვეწა. აქ მარკიზ ბორჟინსკი მუსტაფა ჯალალედინად იქცა და სამუდამო ბინაც თურქეთში დაიდო. აქვე შეირთო გერმანიიდან გამოქცეული

კადეტის ქალიშვილი. ეს კადეტი სამხედრო გემზე ატეხილი შფოთის მონაწილე ყოფილა და მანაც თურქეთში ცხოვრება არჩია გერმანიის კატორღას. მას თურქეთში საკმაოდ გამოუჩენია თავი და კარგი საზღვაო მხედართმთავრის სახელიც მოუხვეჭია.

ამ წიგნის დასასრულს ჩვენ გავეცნობით ნაზიმ ჰიქმეთის ერთ ინტერვიუს, სადაც იგი ამბობს, ჩემი წინაპრები, დედის მხრიდან, ქართველები იყვნენ და ჩვენს ოჯახში ხშირად გაიგონებდით ნაღვლიან ქართულ მელოდიებსო.

პოეტის გენეალოგიის გაცნობისას დავრწმუნდებით, რომ ნაზიმ ჰიქმეთის არა შორეული წინაპარი, არამედ უახლოესი ადამიანი, უფრო ზუსტად, ბებია, ქართველი იყო.

როგორც ვნახეთ, ნაზიმ ჰიქმეთის ბაბუა (მამის მხრიდან) თურქეთის დიდგვაროვანთა შტოს შთამომავალია. იგი წმინდა წყლის თურქი იყო და ნაზიმ ჰიქმეთს სწორედ დედის მხრიდან მიაჩნია თავი ქართველთა შთამომავლად. ნაზიმ ჰიქმეთის დედის წინაპრებში კი საკმაო ნაირგვარობაა. აქ ვხედავთ პოლონელ მარკიზ ბორჟინსკის, რომელსაც გერმანელი კადეტის ქალიშვილი შეურთავს. ნაზიმ ჰიქმეთის დედის წინაპრების კვალი სწორედ აქ, პოეტის დედის ბაბუასთან (პოლონელი მარკიზი) და დიდედასთან (გერმანელი კადეტის ასული) წყდება. ამის იქით კვალს პოლონეთსა და გერმანიაში მივყავართ. აქედან გამომდინარეობს ერთი ჰიპოთეზა — ქართველი ქალი უნდა ყოფილიყო პოლონელი მარკიზისა და გერმანელი ქალწულის რძალი, რომელიც შემდგომ დედა გახდა ჯალილე ჰანუმისა. როგორც ჩანს, გერმანელისა და პოლონელის ვაჟიშვილს არ მოუსურვებია თურქი ქალის შერთვა, ანგარიში გაუწევია ქართველი ქალის სახელისათვის და თავად უცხომ უცხო ტომის ნაშიერს დაუკავშირა თავისი ცხოვრება.

გამოდის, რომ ქართველი ქალი იყო ნაზიმ ჰიქმეთის ბებია-დედა ჯალილე ჰანუმისა. იქნებ ნათესაობის გრძნობამაც გააბედვინა 19 წლის ჭაბუკს, დაეტოვებინა ოჯახი, სამშობლო და საქართველოში გამომგზავრებულიყო? ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვნახავთ, რომ საქართველომ დიდი როლი შეასრულა ნაზიმ ჰიქმეთის ცხოვრებაში.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: ვინ იყო ეს ქართველი ქალი, რა გვარისა, მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთის ბებიის ვინაობის გარკვევა შეუძ-

ლებელია, რადგან თურქეთში, მითუმეტეს, XIX საუკუნის თურქეთში მოხვედრილი ყოველი უცხო ტომის შვილი მეორე დღიდანვე უცხო აღარ იყო, იგი კარგავდა თავისი წარმომავლობის დამადასტურებელ ყოველ დოკუმენტს.

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც: ნ. ჰიქმეთი ამბობს, ჩემი წინაპრები დედის მხრივ ქართველები იყვნენო. ფრაზა „წინაპრებმა“ შესაძლოა ერთგვარი დაეჭვებაც გამოიწვიოს, რადგან იგი გულისხმობს არა ბებიას, არამედ უფრო შორეულ ნათესავს.

ამაზე შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხი არსებობდეს — ნაზიმ ჰიქმეთმა ძალიან ცუდად იცოდა რუსული ენა, ინტერვიუს მიცემისას ჟურნალისტთან საუბარში კი მან სასხვათაშორისოდ, გაკვრით აღნიშნა თავისი ნათესაური კავშირი ქართველობასთან. ჟურნალისტს რომ მეტი აქტიურობა გამოეჩინა და ნაზიმ ჰიქმეთს ჩაჰკითხოდა, კონკრეტულად ვის გულისხმობდა პოეტი ამ წინაპრის სახით, ვვარაუდობთ, რომ პასუხად იქნებოდა ბებია, რადგან დედის წინაპრების კვალის ძიება პოლონეთსა და გერმანიაში გამორიცხულია, თურქეთში კი სწორედ ჯალილე ჰანუმის დედასთან მივყავართ კვალს.

უცხო ტომის შვილთან შეუღლებულ ქართველ ქალს ჩინებულად აღუზრდია ქალიშვილი. ნაზიმ ჰიქმეთის დედა აიშე ჯალილე ჰანუმი საკმაოდ განათლებული ქალი იყო. შესანიშნავად იცოდა მუსიკა, ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას, ითვლებოდა ერთ-ერთ ჩინებულ მხატვრად.

პოეტის მამა კი ზემოხსენებული ნაზიმ ფაშას შვილი იყო. ჰიქმეთ ნაზიმ ბეი თურქეთის წარჩინებულთა წრეს ეკუთვნოდა. სახელმწიფოებრივ სარბიელზე კარგი კარიერაც გაუკეთებია, მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, იყო თურქეთის კონსული ჰამბურგში.

აი, ასეთ ოჯახში დაიბადა 1902 წლის 20 იანვარს ბერძნულ ქალაქ სალონიკში ნაზიმ ჰიქმეთი. სალონიკი ამ დროს თურქეთს ეკუთვნოდა და ქალაქის ვალი მომავალი პოეტის ბაბუა ნაზიმ ფაშა იყო.

ნაზიმ ჰიქმეთი ისეთ ოჯახში იზრდებოდა, რომ ყველაფერი ხელმისაწვდომი ჰქონდა. დახვეწილი გემოვნებისა და აზროვნების ადამიანებს შორის უხდებოდა ცხოვრება. დედა უხსნიდა ფერწე-

რის საიდუმლოებებს, ასწავლიდა მუსიკას, დედისავე მეოხებით ჯერ კიდევ ბავშვობაში შეისწავლა ევროპული ენები. ჯალილე ჰანუმი დედანში კითხულობდა ფრანგ პოეტთა თხზულებებს და შვილსაც უკითხავდა ფრანგ პოეტთა ლექსებს, უამბობდა საფრანგეთის რევოლუციაზე.

ნაზიმ ჰიქმეთის აღზრდას დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე მისი ბაბუა, ზემოხსენებული გუბერნატორი ნაზიმ ფაშა. გარდა იმისა, რომ ბავშვს სიმამაცისა და ვაჟკაცობის გრძნობას უნერგავდა, აცნობდა თურქეთის ისტორიასა და ლიტერატურას. თავად ნაზიმ ფაშა ავტორი იყო რამდენიმე კრიტიკული და პუბლიცისტური წერილისა. ხშირად აქვეყნებდა ლექსებსაც თურქულ პრესაში. იგი კარგად იცნობდა თანზიმათის[1] ეპოქის თურქულ პოეზიას, გატაცებული იყო ჯალალედინ რუმის[2] შემოქმედებით და სურდა შვილიშვილიც ამ პოეტურ ტრადიციებზე აღეზარდა.

ნაზიმ ფაშა პატარა ნაზიმს სხვა ადრინდელი საუკუნეების თურქ პოეტთა ლექსებსაც უკითხავდა. ასე რომ, ნაზიმ ჰიქმეთი პოეტურ გარემოცვაში იზრდებოდა. ალბათ, ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ ცამეტი წლის ნაზიმ ჰიქმეთი უკვე ლექსის ავტორია.

ჰიქმეთის ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს გამოჩენილი თურქი პოეტები და დიპლომატები, მხატვრები და უმაღლესი სამხედრო ჩინის მოხელეები. ისინი ლაპარაკობდნენ ხელოვნებაზე, პოეზიაზე, ადამიანის როლზე საზოგადოებაში, ეროვნულ მისწრაფებებსა და სულისკვეთებაზე.

მაგრამ მომავალ პოეტზე უდიდესი და გადამწყვეტი გავლენა მაინც თურქულმა ხალხურმა პოეზიამ მოახდინა. შინამოსამსახურენი მომავალ პოეტს უამბობდნენ ლეგენდებს, უმღეროდნენ სიმღერებს, ხოლო პოეტის მამიდა ქოროღლის, ფერჰადის, შირინის და სხვათა თავგადასავალს აცნობდა. შემდეგ, როცა ნ. ჰიქმეთი შექმნის თავის ცნობილ პიესას „ლეგენდა სიყვარულზე“, ჩვენ

---

[1] თანზიმათის სახელითაა ცნობილი XIX ს. 30—70-იან წლებში თურქეთის ინტელიგენციის პროგრესული მოძრაობა.

[2] ჯალალედინ რუმი — შუასაუკუნეების პოეტი, რომლის შემოქმედებამ უდიდესი კვალი გაავლო შემდეგი საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ხალხთა პოეზიაში.

ვნახავთ, თუ რა ძლიერი ყოფილა ბავშვობაში მოსმენილი ლეგენდებისა და ზღაპრებისაგან მიღებული შთაბეჭდილება.

ნაზიმ ჰიქმეთი, უკვე მსოფლიოში ცნობილი პოეტი იტყვის: „მე სწორედ ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ მაქცია პოეტად“.

ასე რომ, ნაზიმ ჰიქმეთმა ბავშვობაშივე შეუჭირვებლად შეიძინა და შეისწავლა ის, რასაც ყმაწვილკაცობაში რამდენიმე წელი მაინც დასჭირდებოდა. ყველაფერი ხდებოდა ბუნებრივად, ყოველდღიურად. ამიტომ, როცა ნაზიმ ჰიქმეთი ცხოვრების პირისპირ დადგა, როცა მოატანა ჟამმა, თავისი თავი ეჩვენებინა, იგი ყველაფრისათვის მზად აღმოჩნდა. მის დიდ პოეტურ ტალანტს თან მოჰყვა დიდი ოჯახური ტრადიციები და აღზრდა, ფრანგული ენის, მუსიკის, ფერწერის ცოდნა, განათლება და ენთუზიაზმი, ტრადიციებით მიღებული ბრძოლის წყურვილი, ბედთან შეურიგებლობა და იდეისათვის თავდადება.

შენ პოეტი ხარ!

სტამბულის პრინცის კუნძულთაგან ერთ-ერთზე, ჰეიბელიზე, იყო თურქეთის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი. 1916 წელს სწორედ ამ სასწავლებელში მოიყვანეს თოთხმეტი წლის ნაზიმ ჰიქმეთი, მაგრამ ვიდრე აქ მოვიდოდა, დაწყებითი განათლება მან სტამბულის ერთ-ერთ სკოლაში მიიღო. შემდეგ „გალათასარაის“ ლიცეუმში გადაიყვანეს. „გალათასარაის“ ლიცეუმი ამ დროს საკმაოდ ცნობილი იყო სტამბულში. აქ მასწავლებლობდნენ გამოჩენილი თურქი საზოგადო მოღვაწეები. თურქი ხალხის საშუალო ფენის წარმომადგენლის შვილისათვის ეს ლიცეუმი ფაქტიურად არ არსებობდა. მხოლოდ უაღრესად პრივილეგირებული წრის წარმომადგენელთა შვილები თუ სწავლობდნენ ამ ლიცეუმში. ერთის მხრივ, ყოფილი ვალის, მეორეს მხრივ, გამოჩენილი საზღვაო მხედართმთავრის შვილიშვილსა და ჰამბურგში თურქეთის კონსულის შვილს ამ სასწავლებლის კარს არავინ მოუხურავდა.

განსაკუთრებული ტრადიციები შეიმუშავა სასწავლებელმა მშობლიური, თურქული ლიტერატურის სწავლებაში. ადრე აქ თურქულ ლიტერატურას XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის გამოჩენილი თურქი პოეტი და სა-

ზოგადო მოღვაწე თევფიქ ფიქრეთი ასწავლიდა. დიდმა პოეტმა ბევრი რამ სასიკეთო დანერგა სკოლაში. თვით ნაზიმ ჰიქმეთის მოწაფეობის პერიოდშიც კი ამ სკოლაში ხშირად ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები. აქ ეზიარა ნაზიმ ჰიქმეთი კლასიკურ სპარსულ და არაბულ პოეზიას.

შემდეგ ნაზიმ ჰიქმეთი ზემოთ ნახსენებ ჰეიბელის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში მიაბარეს. სამხედრო სასწავლებლის მკაცრ რეჟიმსა და პროგრამას ვერ ეგუებოდა მომავალი პოეტი, მაგრამ რა გაეწყობოდა, ანგარიში უნდა გაეწია მშობლების სურვილისათვის. მშობლებს თავიანთი გეგმა ჰქონდათ და დარწმუნებული იყვნენ, ნაზიმის სახით სამშობლოს გამოჩენილ სამხედრო მოღვაწეს აღუზრდიდნენ. ნაზიმ ჰიქმეთს არა ერთი უსიამოვნება შეემთხვა ამ სასწავლებელში, თუმცა, აქაც გაუღიმა ბედმა — მისი ერთ-ერთი მასწავლებელი უკვე კარგად ცნობილი პოეტი იაჰია ქემალი იყო.

იაჰია ქემალი სასწავლებლის მსმენელებს განსაკუთრებულად უყვარდათ. ამ სიყვარულს ბევრი რამ განაპირობებდა. ჯერ ერთი, ის, რომ იგი პოეტი იყო. ამას გარდა, არც მას უყვარდა პედანტი ოფიცრობა, მუდამ გულთბილად ესაუბრებოდა ბავშვებს, ჰკვიანური და მეტყველი თვალები ჰქონდა და ევროპული ტანსაცმელი უხდებოდა. რამდენიმე წელი გაეტარებინა საფრანგეთში, მეგობრობდა იმდროინდელ ფრანგ პოეტებთან და, ბუნებრივია, მოსწავლეებს ევროპული სულისკვეთებით ზრდიდა. იაჰია ქემალის ავტორიტეტი მოსწავლეთა თვალში განსაკუთრებით მაშინ ამაღლდა, როცა უარი თქვა ოფიცრის ჩინზე — არ უნდოდა მისი ინტერესების სიმბოლოდ ქცეული ევროპული კოსტიუმი თურქეთის არმიის ოფიცრის მუნდირზე გაეცვალა. ხელფასის მომატების პერსპექტივაც კი არად ჩააგდო. გაკვეთილებს შორის შესვენებებზე მოსწავლეებთან რჩებოდა, ოფიცერთათვის გამოყოფილ ოთახში არ გადიოდა.

იაჰია ქემალი ნაზიმს დაუმეგობრდა. მას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ეს ცისფერთვალა ყმაწვილი ლექსებს წერდა, მაგრამ ერთხელ, შემთხვევით, ამ ყმაწვილის სულში პოეტი აღმოაჩინა.

იაჰია ქემალმა ნაზიმი შინ მიიწვია. მათი საუბარი მეტად საინტერესო აღმოჩნდა. მასწავლებელმა შეატყო, რომ ნაზიმმა უფრო მეტი იცოდა, გაცილებით უკეთ ერკვეოდა ლიტერატურის საკითხებში, ვიდრე მისი თანაკურსელები.

— მითხარით, გეთაყვა, ლექსებს ხომ არა წერთ?

— ვწერ, — იყო პასუხი და მოსწავლემ დაუყოვნებლივ წაიკითხა კატაზე დაწერილი ლექსი. წაიკითხა და მიხვდა, რომ აჩქარდა. უხერხულია, ცნობილ პოეტს წაუკითხო შენი თხზულება. იაჰია ქემალი არაფერს ამბობს, დუმს. ამან სულ გაუფუჭა ყმაწვილს გუნება. დუმილი ხანმოკლე, მაგრამ მტანჯველი იყო. როგორც იქნა, პოეტმა ხმა ამოიღო.

— დიახ... ეს ნატურიდან ჩანახატია, თუ.... თქვენი ფანტაზიით შეჰქმენით?

— ნატურიდან, ჩემ მამიდას ჰყავს ერთი კატა...

— ვერ მაჩვენებთ?

რამდენიმე დღის შემდეგ ნაზიმ ჰიქმეთმა პოეტს მამიდას კატა მოუყვანა.

— შენ პოეტი ხარ!.. — უთხრა იაჰია ქემალმა ნაზიმს. — დღეიდან ჩვენ სულ სხვანაირი გაკვეთილები გვექნება.

იაჰია ქემალი ადრეც იცნობდა ნაზიმ ჰიქმეთის ოჯახს, განსაკუთრებული პატივისცემით იყო გამსჭვალული მისი პაპის — ნაზიმ ფაშას მიმართ, პატივს სცემდა მას, როგორც ჩინებული ლექსების ავტორსა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მაგრამ ამ დღიდან მათი მეგობრობა უფრო გაღრმავდა. იაჰია ქემალის გავლენა ნაზიმ ჰიქმეთზე ცხადად ჩანს პოეტის პირველ, დაბეჭდილ ლექსში „კვიპაროსების ხეივანში“. იაჰია ქემალის შემწეობით ეს ლექსი ჟურნალ „იენი მეჯმუაში“ დაისტამბა.

სტამბულის ლიტერატურულ წრეებში ხმა დაირხა, ეს ლექსი ყმაწვილ ნაზიმ ჰიქმეთის კი არა, თვით იაჰია ქემალის კალამს ეკუთვნისო. ნაზიმ ჰიქმეთის დედა ამ დროს უკვე ქმარს გაყრილი იყო. ჯალილე ჰანუმის სილამაზით მოხიბლული იაჰია ქემალი კონსულის ყოფილ მეუღლეზე დაოჯახებას აპირებდა და პოეტმა თავისი მომავალი მეუღლის ხათრით მისი შვილის გვარით დაბეჭდაო ლექსი.

რა იცოდნენ, რომ ამ დროს ნაზიმ ჰიქმეთის სულში უკვე მწიფდებოდა კონფლიქტი იაჰია ქემალთან. გამოჩენილ პოეტს მიაჩნდა, რომ პოეზიას და პოლიტიკას ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთო, ჭაბუკ პოეტს კი საპირისპირო მოსაზრებები გააჩნდა.

იაჰია ქემალისა და ჯალილე ჰანუმის ქორწინება არ შედგა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჭაბუკი ნაზიმი ამის სასტიკი წინააღმდეგი

იყო — ჯალილე ჰანუმი საფრანგეთს გაემგზავრა, უნდოდა უფრო დაოსტატებულიყო მხატვრობაში, ხოლო იაჰია ქემალმა ოჯახს მოკიდება ვერ გაბედა.

ნაზიმ ჰიქმეთი და იაჰია ქემალი ცხოვრების გზაზე კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს.

1950 წლის გაზაფხული იდგა. სტამბულში სამუშაო დღე დამთავრებულიყო და ხალხი ქუჩებში გამოფენილიყო. ერთ-ერთ ქუჩაზე ჰაღარა ქალს ორი მამაკაცი ამოსდგომოდა გვერდით. უძლურმა ქალმა ორ ჯოხზე პლაკატი მიამაგრა და ხელში დაიჭირა:

„უსამართლოდ დაპატიმრებულმა ჩემმა შვილმა შიმშილობა გამოაცხადა. მეც ჩემ შვილთან ვარ — ვაცხადებ შიმშილობას. ვისაც სურს მხარი დაგვიჭიროს, ხელი მოაწეროს პეტიციას“.

ეს იყო ნაზიმ ჰიქმეთის დედა, ბებრულ, დაუძლურებულ ხელებს ძლივს ეჭირათ პლაკატი.

შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა. თვით საქმის ინიციატორებიც კი არ ელოდნენ ასეთ რამეს. ვინ არ ჩაერია საქმეში, სტუდენტი თუ ექიმი, მუშა თუ მწერალი, ინჟინერი თუ არქიტექტორი. ყველა თავის ღვიძლ შვილად, თავის მამად, ძმად და მეგობრად თვლიდა ციხეში მყოფ დაუძლურებულ პოეტს. არისტოკრატული წრის წარმომადგენლებიც კი კარდაკარ დადიოდნენ და ხელმოწერას აგროვებდნენ. ვინ არ მოაწერა ხელი ნაზიმ ჰიქმეთის განთავისუფლების მოთხოვნას — რა ჩინისა თუ მდგომარეობის, შეხედულებისა თუ პროფესიის ადამიანმა.

ერთ მშვენიერ დღეს ნაზიმ ჰიქმეთის მასწავლებლის, ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის იაჰია ქემალის სახლსაც მიადგნენ.

იაჰია ქემალი საკმაოდ გამოცვლილიყო და აღარ ჰგავდა იმ იაჰია ქემალს, ნაზიმ ჰიქმეთს რომ ასწავლიდა. მას შემდეგ არაერთგზის აირჩიეს მეჯლისის დეპუტატად, სხვადასხვა დროს იყო თურქეთის ელჩი პოლონეთში, ესპანეთში, პაკისტანში, უკანასკნელ ხანებში კი სახელმწიფოს მმართველი პარტიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე საუკეთესო პოეტად იქნა აღიარებული.

ერთი სიტყვით, იაჰია ქემალის ხელმოწერას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. და მან, უკვე 70 წლის კაცმა, უარი თქვა ხელი მოეწე-

რა თავისი მოწაფის, მთელ მსოფლიოში ცნობილი პოეტის განთავისუფლების მოთხოვნაზე.

დიახ, ნაზიმ ჰიქმეთს მტკიცედ სწამდა, რომ პოეზიას ბევრი რამ უნდა ჰქონოდა საერთო პოლიტიკასთან. პოეტი დარწმუნებული იყო, რომ პოეზია უნდა დაპირისპირებოდა იმ პოლიტიკას, რომელიც ხალხის წყულებს არ აშუშებდა. XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში კი თურქეთის, როგორც სახელმწიფოს, ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. სახელმწიფო მოსპობის პირას მისულიყო. სულთანი ვაჰიდედინი უძლური აღმოჩნდა, გადაეჭრა ქვეყნის წინაშე წამოჭრილი პრობლემები. მას არ შეეძლო გამკლავებოდა ანტანტის არმიას. ფრანგები, ინგლისელები და იტალიელები დარდანელს დაეპატრონენ, სტამბული ოკუპირებული აღმოჩნდა. სულთანი მხოლოდ თავის სასახლეში იყო გამგებელი, მისი უფლებები მისსავე ჰარამხანას აღარ სცილდებოდა.

ქვეყნის ასეთი მდგომარეობა დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა თურქეთის ინტელიგენციაზე. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, თურქულ პოეზიაში პესიმისტური განწყობილება გამეფდებოდა, მაგრამ სწორედ ამ დიდი შეჭირვების ჟამს გამოანათა იმედის სხივმა — მოხდა მოწინავე ეროვნული ძალების კონსოლიდაცია და ანატოლიაში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ სახალხო ბრძოლას სათავეში ჩაუდგა სამხედრო პირი, გენერალი მუსტაფა ქემალი. ამ ეროვნულ მოძრაობას პროგრესული მიზანი ამოძრავებდა — მისი პროგრამა-მაქსიმუმი ანტანტის ჯარებისაგან სამშობლოს განთავისუფლება და რესპუბლიკური სახელმწიფოს შექმნა იყო. ამ წლებში თურქეთი ფაქტიურად ორ ბანაკად გაიყო. ერთ მხარეს იდგნენ ისინი, ვინც შერიგებოდა თურქეთის დამარცხებას პირველ მსოფლიო ომში, მეორენი მუსტაფა ქემალს ამოუდგნენ გვერდით და ერთნაირად ებრძოდნენ სულთანსაც და ანტანტასაც. მართალია, თურქ ხალხში ძლიერი იყო სულთნისადმი ერთგულება, რადგან სულთანი ალაჰის წარმომადგენლად ითვლებოდა, მაგრამ მშობლიური მიწის სიყვარული უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ხალხი ვერ ურიგდებოდა იმას, რომ აია-სოფიას ტაძართან იტალიელი, ფრანგი და ინგლისელი ჯარისკაცები ლაზღანდარობდნენ.

ბუნებრივია, ამ დროს 16—17 წლის ნაზიმ ჰიქმეთის სულში ნაღ-

ველი იბუდებს. იგი იყო შვილი იმ კლასისა. რომელსაც ქვეყნის წარმმართველად მიიჩნევდნენ და აი, ერთ მშვენიერ დღეს მისი კლასის მიერ წარმართული ქვეყანა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ცხადია, ეს გარემოება უსიამო ფიქრებს აღუძრავდა ყოველ პატრიოტ თურქს. ჰაბუკი ჰიქმეთის ეს სულისკვეთება კარგად გამოჩნდა მის ლექსებში.

1919 წელს ჯელალ საჰირმა გამოსცა ლექსების ალმანახი. ალმანახში დაბეჭდილი იყო ნაზიმ ჰიქმეთის ლექსებიც. ამ ნაწარმოებებით ნ. ჰიქმეთი მეორედ წარსდგა მკითხველის წინაშე. ლექსებში გაიდიალებულია მარტოობა. პოეტის თვალთახედვით, პიროვნება მუდამ მარტოა და თავის შინაგან სამყაროს ვერასოდეს დააღწევს თავს. სამყარო ბურუსითაა მოცული, ხსნა არსაით ჩანს.

ჩემს გულს ღამე ურჩევნია, ღამით შეგიძლია თამამად იტირო. „გულს ჩემსას კი სიგრილე სწყურიაო, როგორ მინდა სული მოვითქვა. წვიმს, ეს წვიმაა თუ სულის გვემა მოდის ზეციდან!“ ასეთი იყო ჰაბუკი პოეტის სულიერი მდგომარეობა.

აი, კიდევ ერთი სურათი ნაზიმ ჰიქმეთის იმჟამინდელი სულისკვეთებისა: „მე ნაღველით შევცქერი აღმოსავლეთს. რადგან მარტო ვარ ამ ქალაქში. ქალაქი მკაცრია და არ ესმის ჩემი, და შთაინთქა ამხელა ქალაქში ჩემი ოცნება სამშობლოზე. მე ობოლი ვარ ამ ქალაქში“. არ იქნებოდა მართებული, პოეტის ამ ხასიათის ლექსები მხოლოდ თურქეთის ოკუპაციისათვის მიგვეწერა. ვფიქრობთ. ამ ყაიდის ლექსების შექმნა სხვა გარემოებითაც აიხსნება. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ნაზიმ ჰიქმეთი დედანში კითხულობდა ფრანგ პოეტებს — პარიზში გამოჩენილი საინტერესო ლიტერატურა მხატვრობასა თუ პოეზიაზე მოკლე ხანში ჰიქმეთების ოჯახში მოჰქონდა ფოსტას. ხოლო. როგორც ცნობილია, ჩვენი საუკუნის დასაწყისის დასავლეთის პოეზიაში სულიერი დეპრესიის თემა საკმაოდ იყო მომძლავრებული. ამის მიზეზი პირველი მსოფლიო ომის ჭარტეხილებშია საძიებელი. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაზიმ ჰიქმეთს იმ დროის ევროპული პოეზიის გავლენითაც უნდა შეექმნა ამგვარი განწყობილების ლექსები. ამ დროს პოეტის შემეცნებაში ერთმანეთს დაემთხვა ცხოვრებისეული და ლიტერატურული შთაბეჭდილებები. ეს უკვე სავსებით საკმარისი

იყო იმისათვის, რომ პოეტის სულში უიმედობას დაესადგურა. ამ დროს იგი ხომ მხოლოდ ჩვიდმეტი წლის იყო.

ამასობაში მუსტაფა ქემალის მომხრეთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა. ახალგაზრდობას ანატოლიისაკენ ეჭირა თვალი. ნ. ჰიქმეთსაც არაერთხელ უნატრია გაპარვა და ქვეყნის საუკეთესო, ამბოხებულ შვილებთან შეერთება.

სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში მძიმე ატმოსფერო სუფევდა. კურსანტები ვერ ეგუებოდნენ ანტანტის ჯარებს დამორჩილებულ ოფიცრებს. უკმაყოფილება დღითი დღე იზრდებოდა. გემი „ჰამიდიე“ თოფის წამლით სავსე კასრს ემსგავსებოდა.

ნაზიმ ჰიქმეთი ასე იგონებს იმ დროს:

„ჩვენს სასწავლო ხომალდს სტამბულთან ახლოს ჩაეშვა ღუზა. გულახდილად რომ ვთქვათ, იგი უკვე აღარ იყო სამხედრო გემი. მუდროსის შეთანხმების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც თურქეთს ეკრძალებოდა. ჰყოლოდა თავისი სამხედრო ფლოტი, თურქეთის გემები განაიარაღეს. ბევრი სამხედრო გემი, და მათ შორის, ჩვენი „ჰამიდიეც“. სასწავლო ხომალდად გადააკეთეს. როდესაც ოკუპირებულ, საწყალობელ სტამბულსა და ჩვენს საბრალო ხომალდს შევცქეროდით, გული ბოღმით გვევსებოდა. გულს გვიკლავდა სამშობლოს სავალალო მდგომარეობა. ამრეზით შევცქეროდით ჩვენს ხელმძღვანელობას, რომელმაც სამარცხვინოდ დაყარა იარაღი მტრის წინაშე. დაძაბული ატმოსფერო სუფევდა: ხომალდის ეკიპაჟში იყო რამდენიმე სერჟანტი, რომლებიც თავის დროზე გერმანიაში სწავლობდნენ. ისინი გვიამბობდნენ გერმანიაში რევოლუციურ მოძრაობაზე, გვიამბობდნენ, როგორი ამბოხებები ეწყობოდა ხოლმე გერმანულ ხომალდებზე. ჩვენამდე აღწევდა ანატოლიიდან მოსული ამბებიც. იქ მუსტაფა ქემალის პარტიზანული რაზმები ჩვენი ქვეყნის დამმონებლებს ებრძოდნენ. ყოველივე ამან ჩვენი მოთმინების ფიალა აღავსო და ამბოხება გადავწყვიტეთ. ჩვენ-ჩვენს კაიუტებში ჩავიკეტეთ და მეცადინეობაზე უარი ვთქვით. რომელიღაც სერჟანტმა გრამოფონის ფირფიტა გამონახა, რომელზეც „მარსელიოზა“ იყო ჩაწერილი და მთელი დღე და ღამე „მარსელიოზას“ ვუსმენდით, ვმღეროდით, გავიძახოდით ლოზუნგებს. ვყვიროდით, რომ მუსტაფა ქემალთან გვინდოდა წასვლა. მობრძანდა გემის მეთაური და გვკითხა, რა იყო ჩვენი უკმაყოფილების მიზეზი. ჩვენ არ

ვიცოდით, რა გვეპასუხა და ვუთხარით, დანები და ჩანგლები არა გვყოფნის-თქო. დაგვპირდა, ჩვენს მოთხოვნას დაუყოვნებლივ დააკმაყოფილებდა და შემოგვთავაზა — თუ გნებავთ, თქვენ თვითონ წამობრძანდით ნაპირზე და საწყობიდან მოიტანეთ დანები და ჩანგლებიო. ორიოდე დღის შემდეგ გაგვამწკრივეს და გამოგვიცხადეს, რომ „ჯანმრთელობის გაუარესების გამო“ რამდენიმე კურსანტი გარიცხული იყო, გარიცხულთა შორის ვიყავი მეც“.

ახალი სამუარო

ეს უკვე ნაზიმ ჰიქმეთის ბრძოლაში გაცილებას ჰგავდა. სასწავლებლიდან გარიცხვის შემდეგ კიდევ უფრო გაუცხოველდა ანატოლიაში გაქცევის სურვილი. არ ასვენებდა მუსტაფა ქემალის არმიაზე ფიქრი. ანატოლიაში იყო თავისუფლებისათვის ბრძოლა, აქ კი— ოკუპანტები და სულთანი; იქ იყო აღტკინება, რომანტიკა, აქ — წარსულის მწარე გახსენება, ეროვნული ტრაგედია. ამ დროს პოეტის სულში გაღვივებული პროტესტისა და ტრაგიზმის გრძნობა პოეტურ ფაქტადაც იქცევა და იქმნება ლექსი, რომელსაც საფუძვლად აღმოსავლეთის ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში არსებული ლეგენდა დაედო. ეს არის ლექსი „ორმოცი ყაჩაღის ტყვე“. ნაწარმოები ქება-დიდებას ასხამს უბრალო გლეხს ბაჰთიარს, რომელმაც კუდით ქვა ასროლინა ორმოც ყაჩაღს.

ლექსი „ორმოცი ყაჩაღის ტყვე“ გაზეთ „ალემდარში“ დაიბეჭდა. დაიბეჭდა საკმაოდ უპრეტენზიოდ, პეტიტით აწყობილი, თითქმის შეუმჩნევლად. გაზეთის რედაქტორი ენდო თავისი თანამშრომლის. იმ დროს ცნობილი პოეტის იუსუფ ზიას რეკომენდაციას. ამას გარდა, საქვეყნოდ ცნობილი ორმოცი ყაჩაღის ლეგენდის მიხედვით დაწერილი ლექსი, ცენზურის თვალსაზრისით, ნდობას იმსახურებდა — როგორადაც უნდა დაწერო, ორმოცი ყაჩაღის ზღაპარი მაინც ზღაპარია — და დაიბეჭდა ლექსი. ნასროლი მიზანში მოხვდა — აღმოსავლეთის პოეზიაში საკმაოდ ცნობილ ხერხს — ალეგორიულ აზროვნებას მიჩვეული თურქი მკითხველი მიხვდა პოეტის გულისთქმას. ყველა გრძნობდა, რომ ტყვე თურქეთი იყო, ორმოცი ყაჩაღი კი — ოკუპანტთა არმია.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ნაზიმ ჰიქმეთმა „ორმოცი ყაჩაღის ტყვეზე“ ადრე რამდენიმე ლექსი დაბეჭდა, იგი სტამბულში ყურადღების ცენტრში მოქცეულ ახალგაზრდა პოეტად აღიარეს. ყველა ამ ლექსის მთავარი მამოძრავებელი ძალა კვლავ სამშობლოს სიყვარული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მხარდაჭერა გახლდათ.

აქვე შეიძლება შევეკამათოთ რუს მკვლევართ (რ. ფიში, ა. ბაბაევი და სხვა), რომლებიც აღნიშნავენ, რომ ნ. ჰიქმეთის ამდროინდელ პოეზიაში შოვინისტური მისწრაფებები სჭარბობდა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი შეურაცხმყოფელად წერდაო ბერძნებზე.

ვფიქრობთ, ამ მოსაზრების გამოთქმისას მკვლევარნი ერთ გარემოებას არ აქცევდნენ ყურადღებას — თურქეთის ისტორიაში ეს ის პერიოდია, როცა ინგლისის რეაქციული წრეების წაქეზებით საბერძნეთის მთავრობა მუსტაფა ქემალის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას ლამობდა. ეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კი მეტად პროგრესული მოვლენა იყო თურქეთის ცხოვრებაში. მასში ხედავდნენ იმედის სხივს არა მარტო მოწინავე თურქები, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები და, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთი. ჰაბუკ ნაზიმ ჰიქმეთისათვის მუსტაფა ქემალის მოძრაობა და ამ მოძრაობის მეოხებით მიღწეული გამარჯვება იყო ერთადერთი გზა თურქი ხალხის შუა საუკუნეების წყვდიადიდან გამოსვლისა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა პოეტი ზიზღით განიმსჭვალა ყოველივე იმის მიმართ, რაც ხელს უშლიდა ხალხის გამოღვიძებას, მისი ყოფის სრულიად ახალ რელსებზე შედგომას. ამ დროს კი საბერძნეთმა პოეტის სამშობლოს ცივილიზაციისაკენ მიმავალი გზა გადაუჭრა და მას ისევ მონობისა და წყვდიადისაკენ უბიძგებდა. ეს გარემოება უთუოდ გარკვეულ პროტესტს წარმოშობდა პოეტის სულში. მისი ლექსები ხალხში აღვივებდა ეროვნული თვითშეგნებისა და მტერთან შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებას. ამიტომ შოვინისტურად მათი მონათვლა გადაჭარბებულად გვეჩვენება.

ასე იყო თუ ისე, ნაზიმ ჰიქმეთს სტამბულში აღარ დაედგომებოდა. „ორმოცი ყაჩაღის ტყვესა“ და სხვა ლექსების ავტორს არცთუ სანდო რეპუტაცია ჰქონდა დედაქალაქში.

და აი, 1921 წლის 1 იანვარს, წვრილი ვაჭრის საბუთებით ნაზიმ ჰიქმეთი ტოვებს სტამბულს და ანატოლიაში მიემგზავრება. ნაზიმი მარტო არ იყო. ანატოლიაში მასთან ერთად გაემგზავრნენ ცნობილი პოეტები: იუსუფ ზია, რომელიც გაზეთ „ალემდარში“ მუშაობდა და ნაზიმ ჰიქმეთს „ორმოცი ყაჩაღის ტყვის“ დაბეჭდვაში დაეხმარა (ახლა მისთვისაც საშიში იყო ოკუპირებულ ქალაქში დარჩენა), პოეტი ფარუკ ნაფიზი და ნაზიმ ჰიქმეთის განუყრელი მეგობარი ვალა ნურედდინი.

ნაზიმ ჰიქმეთმა ხომალდ „ახალი სამყაროთი“ დატოვა სტამბული. ეს სიმბოლური მნიშვნელობის ფაქტიც იყო — ახალგაზრდა პოეტი მისთვის ახალ სამყაროში მიდიოდა. იქ, ანატოლიაში, სულ სხვა თურქეთი იყო. მაგრამ რა იცოდა ჭაბუკმა ჰიქმეთმა, რომ ეს „ახალი სამყარო“ მხოლოდ ეროვნული სუვერენიტეტის მიღწევისათვის ამხედრებული ანატოლიით არ ამოიწურებოდა. როცა ხომალდი სტამბულს ტოვებდა, ნაზიმს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ნამდვილ ახალ სამყაროს ნახავდა — სტამბულში დაბრუნებამდე ჩამოვიდოდა საბჭოთა საქართველოში, შემდეგ მოსკოვში და უკვე დავაჟკაცებული, საბრძოლველად შემართული დაბრუნდებოდა სტამბულში.

ინებოლუში ჩამოსულ ნაზიმ ჰიქმეთს პოლიციის კომისარმა ანკარამდე გზის ხარჯისათვის 100 ლირა გადასცა. ქემალისტური მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრს სტამბულიდანვე შეეტყო, ჭაბუკი პოეტი ანატოლიაში გაემგზავრაო. მინისტრს აღუძრავს შუამდგომლობა პრესის სამმართველოში, რათა დახმარებოდნენ ახალგაზრდა პოეტს. პრესის სამმართველომაც არ დააყოვნა, თავისი სიმპათიები გამოეცხადებინა პოეტის მიმართ.

ეს კარის ფართოდ გაღების გამომხატველი ჟესტი იყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრში ნაზიმ ჰიქმეთს ელოდნენ, როგორც პოეტსა და სასურველ პიროვნებას.

ნაზიმ ჰიქმეთი ანკარაში მიემგზავრება, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, იგი პოეტია და სურს უფრო ახლოს გაიცნოს აჯანყებული კუთხის ყოფა, ნახოს ხალხი, რომელიც მისი შთაგონების მთავარ წყაროს წარმოადგენდა. ამიტომ იგი არჩევს, ფეხით წავიდეს ინებოლუდან ანკარამდე.

მანამდე კი თურქეთის ცხოვრებაში მოხდა ერთი შემაზრზენი

ფაქტი. ქემალისტებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს თურქეთის კომუნისტური პარტიის მოწინავე ბირთვი — დააპატიმრეს 15 თურქი კომუნისტი და მათ შორის პარტიის ლიდერი მუსტაფა სუბჰი. ხელფეხშეკრული 15 თურქი კომუნისტი შავ ზღვაში გაიყვანეს, კისერზე მძიმე ლოდები დაჰკიდეს და წყალში ჩაძირეს.

ამ ფაქტმა სულით ხორცამდე შეაძრწუნა პოეტი. ეს კარგად ჩანს ლექსში „ჩემი გული“:

მე მკერდზე თხუთმეტი ჭრილობა მატყვია,
თხუთმეტი შავტარა დანა მაქვს გაჩრილი,
მაგრამ გულს ვერ მოჰკლავს ფოლადი და ტყვია,
მაინც ძგერს
და მუდამ იძგერებს დაჭრილი!..
შავი ზღვის ტალღები, ვით შავი გველები,
წყლულებზე მეხვევა,
გადმოსცდა ნაპირებს,
ზღვას უნდა დამახრჩოს ტალღების ხელებით,
შავი ზღვა პოეტის დახრჩობას ლპირებს,
მე მკერდში თხუთმეტი დანა მაქვს გაჩრილი,
თვალებში თოფების ლულები მიცქერენ...
თუმც მტრების ხელებით მძიმედ ვარ დაჭრილი,
გული მაინც ძგერს
და მუდამ იძგერებს.
აჩნია ჭრილობა მკერდს თხუთმეტ ადგილას,
თხუთმეტჯერ დაფლითეს ეს გული ღალატით,
დარწმუნდნენ,
რომ იგი არ კვდება ადვილად,
ეს გული მაინც ძგერს,
იძგერებს მარადის![1]

19 წლის ჰაბუკის მიერ დაწერილ ამ ლექსში ჩინებულადაა შერწყმული პირადი და საზოგადოებრივი ტკივილები. პოეტი საკუთარ ტრაგედიად მიიჩნევს ხალხის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენას. ვერც ერთ მყვირალა ფრაზას ვერ მონახავთ ამ ერთი შეხედვით ხმამაღალი განწყობილებით დაწერილ ლექსში. პოეტი პირადი ტკივილიდან მიდის საზოგადომდე.

ეს თემა ამ ლექსით არ ამოწურულა. დიდი იყო პროტესტის ძალა. პოეტი წერს ლექსებს „15 ამხანაგი“, „28 იანვარი“ (სწორედ

[1] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

28 იანვარს მოხდა ეს შემაძრწუნებელი ფაქტი) და „თხუთმეტთა ეპიტაფია“.

წითელ, სისხლიან მარმარილოს ლოდზე ცალ-ცალკე
მათი სახელი დავწერეთ და ისე ვინახავთ!
მოდით, ჩახედეთ ამ ჩვენს თვალებს —
ფოლადის სარკეს
და მათ სახეებს აქ დაინახავთ![1]

ამ ოთხ ლექსს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. თუ აქამდე პოეტის შინაგანი სამყარო ნაღველმორეული ლექსებით გამოიხატებოდა, თუ იგი ხალხური ზეპირსიტყვიერების მეოხებით ალეგორიას მიმართავდა და ისე მოუწოდებდა თურქეთს ოკუპანტთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ამ ოთხი ლექსის მიხედვით სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. პოეტი მწვავედ განიცდის კომუნისტთა მიმართ ასეთ არაადამიანურ დამოკიდებულებას და თავისი განცდის პოეტურ ფიქსაციასაც ახდენს. ეს ნაწარმოებები მიმართულია იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელთა მხარდასაჭერად გამიზნული იყო „ორმოცი ყაჩაღის ტყვე“. სწორედ ამ ლექსში გამოიხატა პირველად ნაზიმ ჰიქმეთის ის მგზნებარე სული, რომელსაც შემდეგ არაერთხელ შეეხვდებით მის სამოქალაქო ლირიკაში. პოეტი არ შეეპუა იმას, რომ მუსტაფა ქემალის მთავრობის ავტორიტეტი ძალიან დიდი იყო ხალხში და არ აპატია მას ასეთი დამოკიდებულება კომუნისტებისადმი.

ნაზიმ ჰიქმეთის ეს ლექსები, გარდა პრობლემატურობისა, თავისი ვერსიფიკატორული ოსტატობითაც იმსახურებენ ყურადღებას. არსებობს მოსაზრება, რომ ნაზიმ ჰიქმეთის პოეტურ ხელწერაზე დიდი გავლენა მოახდინა მაიაკოვსკიმ. ჩვენი საუკუნის დიდი პოეტის, რევოლუციის ტრიბუნის გავლენა ნაზიმ ჰიქმეთზე გამორიცხული არ არის, მაგრამ ზემოთ დასახელებულ ოთხ ლექსში ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ პოეტური გამოსახვის მაიაკოვსკისეული საშუალება ადრეეც ნიშანდობლივი ყოფილა ნაზიმ ჰიქმეთისათვის. პოეტმა ეს ლექსები დაწერა 1921 წელს, როცა იგი 19 წლისა იყო. ამ დროს ნაზიმ ჰიქმეთს, ცხადია, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა

[1] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

რევოლუციის დიდ პოეტზე, ჯერ კიდევ შორს არის მოსკოვის ის თოვლიანი საღამო, როცა ნაზიმ ჰიქმეთი ერთი თავისი მეგობარი ქალის ლელია იურჩენკოს მეოხებით შეხვდა ვლადიმერ მაიაკოვსკისა და მის პოეზიას.

ამის თაობაზე არსებობს ერთი საინტერესო ჩანაწერი. რუსი თურქოლოგი რ. ფიში თავის წიგნში „ნაზიმ ჰიქმეთი“ წერს:

„50-იან წლებში მოსკოვში ძალიან უყვარდათ იმის თქმა, რომ ნაზიმ ჰიქმეთი თურქეთის მაიაკოვსკიაო. ნაზიმ ჰიქმეთიც ისმენდა ამას და მადლობას იხდიდა.

და აი, ერთხელ, ნაზიმ ჰიქმეთი ერთ-ერთი შემოქმედებითი საღამოდან შინ ბრუნდებოდა. ამ საღამოზე ბევრი ილაპარაკეს მაიაკოვსკისა და ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებით ნათესაობაზე. ნაზიმ ჰიქმეთი ეშმაკური ღიმილით მიუბრუნდა თავის თანამგზავრებს და უთხრა:

— იცით რა, მეცნიერული თვალსაზრისით შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ მაშინ როგორ წავიკითხავდი მაიაკოვსკის ლექსებს, ძალიან ცუდად ვიცოდი რუსული ენა“.

სიტყვაში „მაშინ“ იგულისხმება ის დრო, როცა ნაზიმ ჰიქმეთი პირველად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში და, ავად თუ კარგად, ანუ როგორც თვითონ ამბობს, „ცუდად“ იცოდა რუსული ენა.

რუსეთში ჩამოსვლამდე ნაზიმ ჰიქმეთმა საერთოდ არ იცოდა რუსული ენა და არც მაიაკოვსკის სახელი გაეგონა. მაიაკოვსკის დაბეჭდილი ლექსები პირველად ბათუმში ნახა, „რომელიღაც რუსულ გაზეთში“ და გააოცა სტრიქონთა განლაგებამ. გუმანით მიხვდა, რომ ლექსი უნდა ყოფილიყო. როცა რუსულის მცოდნე თურქ მეგობარს დაეკითხა, მან აუხსნა, რომ ეს რუსი პოეტის — მაიაკოვსკის ლექსი იყო საბჭოთა არმიაზე.

ნაზიმ ჰიქმეთის ეს ოთხი ლექსი დამუხტულია პროტესტის სულისკვეთებით. მათში ცხადად გამოიკვეთა პოეტის შინაგანი სამყარო, რომელმაც პოეზიაში უკვე მონახა საკუთარი თავი.

ეს კი ცოტას როდი ნიშნავდა 19 წლის ჭაბუკისათვის. ამ ლექსებზე თქვა იუსუფ ზიამ: „დიდი ხანია თურქულ პოეზიაში ასეთი შამაკაცური ხმის პოეტი არ მოსულა და ჩვენ მას ველოდით“.

ინებოლუდან ანკარამდე ფეხით გავლილი უდიდესი მანძილი ძალზე მომქანცველი იყო, მაგრამ პოეტს არ ასვენებდა მისთვის

ჯერაც უცნობი პროვინციული თურქეთის შეცნობის წყურვილი. პოეტი აღივსო ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით. ხალხთან, ბუნებასთან სიახლოვემ ბევრი რამ ახლებურად დაანახვა არისტოკრატთა წრეში გაზრდილ ნაზიმ ჰიქმეთს. იწერებოდა ახალი ლექსები, რომლებშიც სწორედ ეს უშუალოდ ნანახი და განცდილი პოულობდა თავის გამოხატულებას.

ანკარაში ჩამოსულ პოეტს და მის მეგობარს ვალა ნურედინს ჯარგად ხვდებიან. ნაზიმ ჰიქმეთი პატრიოტული სულისკვეთების ლექსებს კითხულობს ანკარის ჭუჩებსა თუ ყავახანებში, მიტინგებზე თუ ჯარისკაცთა შორის. პოეტს სურს, ბრძოლის წინა ხაზზე იყოს, იარაღით ებრძოლოს ოკუპანტებსა და მათ მიერ წაქეზებულ ბერძენთა არმიას, მაგრამ უარს ეუბნებიან, პოეტი ხარ და პოეტმა თავისი კალმით უნდა იბრძოლოს, ხალხში განათლება შეიტანოსო.

ვიდრე ნაზიმ ჰიქმეთი და ვალა ნურედინი ანკარიდან გაბრუნდებოდნენ, მათ ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა.

ქემალისტური მთავრობის პრესის სამმართველოს დირექტორმა მუჰიდინ ბეიმ, რომელიც საკმაო გულისყურით შეხვდა ახალგაზრდა პოეტებს, სთხოვა მათ, მოწოდება დაეწერათ სტამბულის იმ ახალგაზრდობისადმი, რომელიც ოკუპანტთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ყმაწვილებმა სიამოვნებით და შეუჰირვებლად შეასრულეს ეს დავალება. ორიოდე დღის შემდეგ მუჰიდინ ბეის ლექსად დაწერილი მოწოდება მიართვეს. დირექტორს მოწოდება მოეწონა და მრავალათასიანი ტირაჟით გაავრცელა კიდეც. ამ ამბავმა დიდი აურზაური გამოიწვია თურქეთის მეჯლისში. სახელმწიფოს უჭირს, პრესის სამმართველო კი აი, რისთვის ხარჯავს ამდენ ფულსა და ქაღალდსაო; სტამბულის ახალგაზრდობის ანკარაში ჩამოსვლა რაში გვეპიტნავება, უსაქმური ურაპატრიოტი ისედაც რამდენი გვყავს, ჩვენ სპეციალისტები გვჭირდებაო.

მაგრად მოხვდა მუჰიდინ ბეის. ამ დღიდან იგი აღარ მფარველობდა ახალგაზრდა პოეტებს. ფული კი ელეოდათ, ცუდ დღეში ჩავარდნენ ყმაწვილები. მაგრამ სწორედ მაშინ გაუღიმათ ბედმა, როცა არსაიდან შველას არ ელოდნენ — ანკარაში, ქემალისტთა მთავრობაში მუშაობდნენ ნაზიმ ჰიქმეთის გარე ბიძები, საკმაოდ სახელმოხვეჭილი გენერალი ჰუსეინ ჰიუსნუფაშა და ქემალთან დაახლოებული ისმაილ ფაზილ ფაშა. ნაზიმ ჰიქმეთს არ უნდოდა მათ-

თან მისვლა, თავს არიდებდა და აი, დამშეულ ახალგაზრდებს თით-ქოს თვით განგებამ გამოუგზავნაო, თავს წამოადგნენ ბიძები. მო-ხუცმა გენერალმა 25 ლირა დაუტოვა ახალგაზრდებს და დაითანხმა, რომ ორი დღის შემდეგ შინ ეწვეოდნენ. 25 ლირა საკმაოდ დიდი ფული იყო — ათი დღე შეეძლოთ უზრუნველად ეცხოვრათ.

ორი დღის შემდეგ გენერალს ეწვივნენ, ხოლო მომდევნო დღეს, როგორც რ. ფიში გადმოგვცემს, ისმაილ ფაზილ ფაშამ თვით მუს-ტაფა ქემალს წარუდგინა ნაზიმ ჰიქმეთი და მისი მეგობარი.

მუსტაფა ქემალთან შეხვედრამ ააფორიაქა ჭაბუკი პოეტის სუ-ლი. მას არც კი სჯეროდა, რომ ხელი ჩამოართვა თურქეთის უპირ-ველეს ადამიანს და გამჭრიახ გენერალს, პიროვნებას, რომელიც უმ-კლავდებოდა ოკუპანტებს, სულთანს, ბერძნებს და თავისივე მთავ-რობის ოპოზიციას. მოულოდნელი ის იყო, რომ ამ რკინის ნების-ყოფის ადამიანს საოცრად ფაფუკი ხელი ჰქონდა.

მუსტაფა ქემალმა ახალგაზრდა პოეტებს ხელი ჩამოართვა და თქვა:

— ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტი, მოდას არ ჩამოვრჩეო, უში-ნაარსო ლექსებს წერს; მე გირჩევთ, წეროთ ნათელი მიზნისათვის... გენერალს სურდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ადიუტანტი შემო-ვიდა და ტელეფონოგრამა გაუწოდა. ამ დროს კი მუსტაფა ქემა-ლისათვის ერთი ტელეფონოგრამა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდ-რე ათი ბრწყინვალე ლექსი.

შეხვედრა ამით დამთავრდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ორივე ახალგაზრდა ბოლუს ლიცეუმ-ში დანიშნეს. ნაზიმ ჰიქმეთს თურქული ენა და ლიტერატურა უნდა ესწავლებინა, ვალა ნურედინს — ფრანგული.

ჭაბუკები კვლავ ფეხით გაეშურნენ შორეულ პროვინციაში. მათ ეწადათ, კარგად შეეცნოთ, ენახათ და ეგრძნოთ ანატოლიის ცხოვ-რება. ის სიდუხჭირე და სევდა, რაც ჭაბუკმა ნაზიმ ჰიქმეთმა ანა-ტოლიაში ამ ორი მოგზაურობის დროს ნახა, სამარადჟამოდ წარუშ-ლელი იქნება მის ცნობიერებაში.

ანატოლია გახდა მისი სევდაც და სიყვარულიც.

1921 წლის მარტი იდგა. ნაზიმ ჰიქმეთი და მისი მეგობარი ვალა ნურედინი ბოლუში ჩავიდნენ და სამსახურს შეუდგნენ.

ამ დროს კაიზერის გერმანიაში სოციალ-დემოკრატიულ მოძრა-

ობას დიდი ასპარეზი მიეცა. ამას კარგად ხედავდა თურქეთიდან სასწავლებლად ჩასული ახალგაზრდობა და, როცა ისინი სამშობლოში ბრუნდებოდნენ, ბუნებრივია, შთაბეჭდილებებს სხვებსაც უზიარებდნენ.

ერთ-ერთ ასეთ ახალგაზრდას, ზია ჰილმის გაეცნო ბოლუში ჩასული ნაზიმ ჰიქმეთი. ზია ჰილმი კარგად იცნობდა მარქსისტულ მოძღვრებას, მას ვ. ი. ლენინის ზოგიერთი შრომაც წაეკითხა თურმე. ასე რომ, თურქი ახალგაზრდობის კვალობაზე იგი მარქსიზმში კარგად იყო გარკვეული.

ნაზიმ ჰიქმეთი გულისყურით ისმენდა ზია ჰილმის ლექციებს მარქსისა და ლენინის მოძღვრებაზე. ცოდნისა და ბრძოლის წადილი კიდევ უფრო ღვივდებოდა მის სულში. არ აკმაყოფილებდა ის, რომ ბოლუელ ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდა, უფრო დიდი და მნიშვნელოვანი საქმეებისაკენ მიუწევდა გული. მალე მიეცა კიდეც საამისო საშუალება — საბერძნეთის ჯარები თითქმის დაუბრკოლებლად მოიწევდნენ წინ და მალე ანკარასაც დაიკავებდნენ. ამასთან ერთად, მუსტაფა ქემალსა და მის არმიას ანტანტის ჯარები უტევდნენ. მთავრობა ქვეყნის სიღრმეში — კეისარიაში აპირებდა გახიზვნას. ნაზიმ ჰიქმეთმა და მისმა ორმა მეგობარმა გადაწყვიტეს. შეექმნათ „ბოლუს კომუნისტური რესპუბლიკა“, ძალაუფლება მთლიანად აეღოთ ხელში, მოსახლეობა შეეიარაღებინათ და არც ერთი ბერძენი ჯარისკაცი არ შეეშვათ ბოლუს ვილაიეთის ტერიტორიაზე. ასეც მოხდა. სამი კაცი განაგებდა ბოლუს ვილაიეთს. გლეხები ნაზიმ ჰიქმეთთან მიდიოდნენ საჩივარსა თუ სათხოვარზე. ყოველგვარი საქმე დემოკრატიული პრინციპით წყდებოდა. მოისპო უთანასწორობა ღარიბსა და მდიდარს შორის.

ამ დროს ნაზიმ ჰიქმეთი წერს სოციალური მიზანდასახულობის მქონე პიესას „ქვის გული“.

სოფელს სულს ხდიდა ბობოლა აღა. ერთმა გლეხმა ვერ აიტანა აღას ბატონობა, მოკლა იგი. იმის გამო, რომ აღა ძალიან მკაცრი იყო, მას გულქვა კაცი შეარქვეს. აღას მოკვლის შემდეგ გულუბრყვილო გლეხმა გადაწყვიტა, შეემოწმებინა, მართლა ქვისგულა ხომ არ იყო აღა. აღმოჩნდა, რომ აღას საერთოდ არ ჰქონდა გული — არც ჩვეულებრივი და არც ქვისა.

როგორც ვხედავთ, პიესა საკმაოდ პრიმიტიული ხასიათისაა,

მაგრამ მისი მიზანი კეთილშობილური იყო — დაერწმუნებინა გლეხობა, ბატონები უძლეველნი არ არიანო. ეს პიესა სოფლის გლეხებს უნდა გაეთამაშებინათ თვით ამ სოფლის მოედანზე.

„ბოლუს სოციალისტური რესპუბლიკა“ მალე გაუქმდა — ქემალისტებმა სძლიეს ბერძნებს. საშიშროება უკუგდებულ იქნა და ბოლუში კვლავ ქემალისტური მმართველობა დამყარდა.

ბოლუში ცხოვრება რთული აღმოჩნდა. ახალგაზრდა ჰიქმეთს მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა ვილაიეთის ხელმძღვანელობასთან. სასულიერო პირებთან. მას, რასაკვირველია, არა სწამდა ალაჰი და მისი მოძღვრება. ეს კი ცოტა უსიამოვნებას როდი უქადდა რელიგიური ფანატიზმის გარემოცვაში მცხოვრებ ჭაბუკს.

დაიწყო გერმანიაზე ფიქრი, უნდოდა წასულიყო გერმანიაში და ენახა, თუ როგორი იყო სოციალისტური მოძრაობა, შემდეგ კი საბჭოთა კავშირში ჩამოსულიყო.

ამის თაობაზე რამდენიმე წლის შემდეგ ჭარმაგი პოეტი იგონებს

„ლენინის ნახვა ოცნებად გვქონდა გადაქცეული. გვინდოდა. ლენინს ესწავლებინა ჩვენთვის, როგორ მოგვეხდინა რევოლუცია. სამიოდე თვე დავრჩებოდით საბჭოეთში და შემდეგ დავბრუნდებოდით თურქეთში, რათა აქაც გვებრძოლა ისეთი რევოლუციისათვის, როგორიც რუსეთში მოხდა. უფრო მოგვიანებით, როცა მე მართლ ჩამოვედი რუსეთში, თანდათან მივხვდი, რაოდენ გულუბრყვილო ვიყავი მაშინ“.

რასაკვირველია, გულუბრყვილობაა, ასე იფიქრო რევოლუციაზე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ დროს ნაზიმ ჰიქმეთი მხოლოდ 19—20 წლისა იყო და თანაც ფაქტიურად არავითარი მარქსისტული სკოლა არ გაევლო, პოეტის ეს გულუბრყვილობა გასაგები იქნება და მის მოუმზადებლობას მიეწერება.

თურქეთიდან გამგზავრებაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა პოეტს. ნაზიმ ჰიქმეთსა და ვალა ნურედინს მხარში ამოუდგა იურისტი ზია ჰილმი. მალე გეგმაც შეადგინეს. თითქოს სამივე ახალგაზრდა სამუშაოდ მიდიოდა ყარსში. ნაზიმმა და ვალამ სათანადო ცნობებიც კი გაამზადეს. იმ დროს ანატოლიიდან ყარსისაკენ ორი გზა მიდიოდა — პირველს გზას ვერ დაარქმევდი, იგი მომქანცველი და მოუწყობელი იყო. თურქები უფრო ხშირად ამიერკავკასიის გავლით ჩადიოდნენ თურქეთის ამ ქალაქში. სამმა ახალგაზრდამ გადა-

წყვიტა ჩასულიყვნენ ტრაპიზონში, ტრაპიზონიდან ბათუმში, იქიდან კი — თბილისში.

ასეც მოიქცნენ — ტრაპიზონში ჩავიდნენ. ამ დროს ტრაპიზონის მოსახლეობა დიდი შიშითა და ეჭვის თვალით უყურებდა ქალაქში ჩასულ ყოველ ადამიანს. სწორედ ამ ქალაქში დახოცეს ვერაგულად 15 თურქი კომუნისტი იანვარში. საკმარისი იყო სულ მცირეოდენი ეჭვი, რომ ადგილობრივ მმართველობას უმალ დაეპატიმრებინა და დაეხვრიტა კიდეც ყოველი ახლადჩამოსული. ამიტომ ზია ჰილმიმ ვერ გაბედა თავისი მიზნის განხორციელება. რომ მიმიხვდნენ, რა მიზანიც მაქვს, დამაპატიმრებენო.

„ბათუმი — კარიბჭე ახალი სამყაროსი“

აგვისტოს მიწურული იყო. გემი ტოვებს ტრაპიზონს და საბჭოთა საქართველოსაკენ, ბათუმისაკენ მიემართება.

ჰაბუკი პოეტი სრულიად ახალ გზას დაადგა. იგი მიდიოდა მისთვის სრულიად უცხო სამყაროში. მართალია, ნაზიმ ჰიქმეთი მიისწრაფოდა ამ სამყაროსაკენ, უნდოდა მისი შეცნობა, შესწავლა, მაგრამ მან არ იცოდა, რას უქადდა ეს სამყარო — მოხეტიალე ყარიბაკაცის ბედსა თუ მარქსისტული მეცნიერების დაუფლებას — „თურქეთის რევოლუციისათვის მომზადებას“.

ჰაბუკი თავისი ცხოვრების გზაჯვარედინზე იდგა, მაგრამ ზღაპრებისაგან განსხვავებით ამ გზაჯვარედინზე არ ეწერა: თუ მარცხნივ წახვალ, ამას მოიპოვებ, თუ მარჯვნივ — ამას და ამასო. რამდენ ადამიანს დაუტოვებია თავისი სამშობლო იმ განზრახვით, რომ სარგებლობა მოეტანა მისთვის, მაგრამ უცხოეთის უსასრულო გზებს ისე შთაუნთქავს, აღარასოდეს უნახავს მშობლიური ზეცა.

პოეტს თან მიჰქონდა ტანსაცმელი, ბათუმში გადასაცემი სარეკომენდაციო წერილი და რამდენიმე ლირა. ლირებს იგი მალე გამოეთხოვა.

მოხდა კურიოზული რამ — მეზღვაურებმა ჰაბუკ პოეტს ხუმრობით უთხრეს, ბათუმში კომუნისტური ხელისუფლებაა, კომუნისტებს კი ფული არ უყვართ და ფულიან ხალხს კარგი თვალით არ უყურებენ. ისედაც ყველაფერი უფულოდ არისო.

მეოცნებე პოეტისათვის ფული რა ბედენა იყო. ჯიბე გადმოატრიალა და თურქული ლირები მეზღვაურებს დაურიგა.

გასაგებია, რა დღეში ჩავარდებოდა უცხო ქვეყანაში უცხო ადამიანებს შორის უკაპიკოდ დარჩენილი ჭაბუკი.

ისევ ბოლუდან წამოღებულმა სარეკომენდაციო ბარათმა და საქართველოში გაცნობილმა კეთილმა ადამიანებმა უშველეს. როგორც ნაზიმ ჰიქმეთი ამბობს, ბათუმი მისთვის „ახალი სამყაროს კარიბჭე იყო“.

ბათუმში ჩამოსული პოეტი ყურადღებით აკვირდება სოციალისტური სამყაროს ცხოვრების წესს. მართალია, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რამდენიმე თვის დამყარებული იყო, ჯერ კიდევ ძირ-ფესვიანად არ შეცვლილიყო ძველი ყოფა, ახალი მხოლოდ ჩანასახების სახით თუ შეიცნობოდა, მაგრამ ცნობისმოყვარე ჭაბუკი პოეტის თვალისა და გულისათვის არც ამის დანახვა იყო ძნელი.

ნაზიმ ჰიქმეთმა ბათუმში რამდენიმე თვე გაატარა. აქ იგი 1921 წლის სექტემბრის დამდეგს ჩამოვიდა. 1922 წლის ივლისში კი უკვე მოსკოვშია. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ 1921 წლის შემოდგომა-ზამთარი და 1922 წლის გაზაფხული მას ბათუმში გაუტარებია.

ნ. ჰიქმეთი ბათუმში თურქეთის კომპარტიის საზღვარგარეთის ბიუროში მუშაობდა და თან ჩვენს ყოფას, სოციალიზმის გზაზე დამდგარი ქართველი ხალხის ცხოვრებას აკვირდებოდა.

გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის“ 1952 წლის 21 ივნისის ნომერში დაბეჭდილ წერილში ნაზიმ ჰიქმეთი ასე იგონებს ბათუმში გატარებულ ერთ დღეს:

„ერთხელ ქუჩაში წითელი არმიის კავალერისტებმა გაიარეს. მებრძოლებს გრძელ მაზარებზე შავი ნაბდები წამოესხათ. მათს „ბუდიონოვკებზე“ წითელი ვარსკვლავი ბრწყინავდა. ხალხი ზეიმით ეგებებოდა წითელარმიელებს. ყოველი მხრიდან მისალმების შეძახილები ისმოდა. ამ სანახაობამ ძალზე ამაღელვა. სასწრაფოდ სასტუმროში გავიქეცი და დავწერე ლექსი „წითელი კავალერისტი“. ეს იყო ჩემი პირველი ლექსი, რომელიც საბჭოთა მიწა-წყალზე შევქმენი. ამ ლექსში მე ვწერდი, რომ ვნახე წითელი არმია, წითელი კავალერისტი. კავალერისტები გოლიათებად მესახებოდნენ, თუმც

სრულიად ჩვეულებრივი ბიჭები იყვნენ. მათი ცხენები კი ზღაპრულ რაშებად წარმომედგინა, თუმცა ისინიც ჩვეულებრივი ცხენები იყვნენ. „ეს არის არმია ჩემი, ეს არის არმია შენი, ეს არის არმია ყოველი მშრომელის“, — ვწერდი მე ამ ლექსში“.

უკვე სიჭარმაგეში შესული ნაზიმ ჰიქმეთი წერს რომანს „რომანტიკა“, ანუ როგორც თურქულ გამოცემებში იწოდება, „ცხოვრება კარგი რამ არის, ძმაო“. „რომანტიკა“ ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებია, რომელშიც რეტროსპექტულად გადმოცემულია სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანის ცხოვრების გზა, მისი ფიქრები და ემოციები, დამოკიდებულება გარემომცველი სამყაროსადმი, ადამიანისადმი.

ამ რომანში ნაზიმ ჰიქმეთი შემდეგნაირად იხსენიებს და ახასიათებს ბათუმს:

„ქალაქი ბათუმი ჰადრაკის დაფასა ჰგავს. შესაძლოა აქ ორმოცი დღე-ღამე იწვიმოს, მაგრამ საკმარისია ერთხელ მაინც გამოაჭყიტოს მზემ, რომ წვიმით გადარეცხილი ქუჩები ერთ წამში გაშრება.

1922 წლის ზაფხულში ბათუმის პლაჟზე ქალები და კაცები ერთად იბრუკებოდნენ მზეზე. ისინი მთლად შიშველნი იყვნენ, დედიშობილა. ბათუმში მე ანატოლიიდან ჩამოვედი, ანატოლიაში კი ქალებს მხოლოდ ხელებს, ფეხებსა და თვალებს თუ დაუნახავდით, ისიც ბაზარზე. ანატოლიელი ქალების ხელები და ფეხები ბებერი ზეთისხილის ხის ფესვებსა ჰგვანან. მაგრამ ზოგჯერ, როცა ჩადრიდან გამომზირალი ქალის თვალებს წავაწყდებოდი, ასე მეგონა, ეს ქალი თავიდან ფეხებამდე შიშველი ვნახე მეთქი. მაგრამ როცა სრულ სიშიშვლეს ხედავ, მას უმალ ეჩვევი, რადგან შენს წარმოსახვას აღარაფერი დარჩენია. ძალიან მალე ვეღარ ვამჩნევდი ბათუმის პლაჟზე გაწოლილი ქალების სიშიშვლეს.

ბათუმში, სასტუმრო „ფრანციას“ ერთ-ერთ ნომერში მივუჯექი მაგიდას. ქუჩაში წითელი კავალერია მიდის. მხედრები დაღლილ-დაქანცულნი, ნახევრად მშიერნი არიან, სამაგიეროდ, ქვეყანა მათია. მათ ეკუთვნით ყველაფერი... ამ საღამოს მიტინგია, წავალ მიტინგზე. ცხენები განუწყვეტლივ აბაკუნებენ ხის ნალებს... ტუკ-ტუკ, ტუკ-ტუკ, ტუკ-ტუკ...

ბათუმში, სასტუმრო „ფრანციას“ ერთ-ერთ ნომერში მივუჯექი მაგიდას... შიმშილით კი სული მძვრება. მოთმინება მელევა, დღეში

მეოთხედ გირვანქა შავ პურს და ორ ულუფა სიმინდის წვნიანს ვჭამ, ვსვამ ორ ჭიქა სახარინიან ჩაის. წვნიანში თევზის თავები დაცურავენ... ლაქის ფეხსაცმელები დიდი ხანია გავყიდე, ერთმა აჭარელმა გლეხის ბიჭმა იყიდა, „ცოლი მომყავსო“, ამბობდა. ჩემი ფეხსაცმელები საცოლეს უყიდა საჩუქრად“.

უველაფერი ეს იყო 20-იანი წლების დამდეგს, როცა ჰიქმეთმა პირველად დაადგა ფეხი საქართველოს მიწას. გამოხდა ხანი, წლები წლებს მისდევდა, პოეტის ცხოვრებაში ერთმანეთს ცვლიდა საოცრად კონტრასტული ყოფა — იგი ახალი თურქული პოეზიის მებაირახტრეც იყო და ციხის ტუსაღიც, მსოფლიოში ცნობილი დრამატურგიცა და სიკვდილის პირას მდგომი პაციენტიც. დრომ ბევრი რამ წაიღო თან. ნაზიმ ჰიქმეთმა ნახა და შეიყვარა მისთვის მანამდე სრულიად უცხო ქვეყნები და ქალაქები, მაგრამ ბათუმის სიყვარული შეულახველი დარჩა მის სულში.

50-იან წლებში ბათუმში, ქართულ ენაზე გამოდის ნაზიმ ჰიქმეთის ლექსების კრებული. პოეტი ამ წიგნისათვის დაწერილ წინასიტყვაობაში წერს:

„მშობლიურ ქვეყანაში, შინაურებთან, თუ ციხის საკანში, მარტოდმარტომ ბევრჯერ მოვიგონე ბათუმი, ვიოცნებე ბათუმზე.

მოსკოვს მე ბათუმიდან გავემგზავრე.

ახლა ბათუმში ჩემი წიგნის გამოცემა გადაუწყვეტიათ.

ბათუმის თეატრმა ჩემი ერთი პიესა დადგა.

შარშან მეორედ ვინახულე ბათუმი. მის ქუჩებში, პარკებში. პლაჟზე, ბაღებში ჩემი ახალგაზრდობა ვეძებე. ზოგჯერ ვხედავდი მას, ზოგჯერ კი ველარ ვპოულობდი.

ქალაქი შეიცვალა, გაფართოვდა, მაგრამ წვიმები ისევ ჯიუტ წვიმებად დარჩა, სიმწვანეც უხვადაა.

ამ წიგნის მკითხველისათვის მე ერთი თხოვნა მაქვს — აქ ბათუმზე დაწერილი ერთი ლექსიც არ არის და ნუ გამამტყუნებენ. მართალი გითხრათ, ცალკე ლექსი არც სტამბულზე დამიწერია.

ეს ორი ქალაქი მე ისე მიყვარს, რომ მუდამ, როცა კი კალამს ავიღებ, რათა რაიმე დავწერო მათზე, ყოველი მოფიქრებული სტრიქონი ამ სიყვარულისათვის შეუდარებლად მეჩვენება, ამიტომ კალამს უკანვე ვდებ“.

თერთმეტი დღე და ღამე მიჩაქჩაქებდა მატარებელი თბილისიდან მოსკოვამდე.

და აი, 1922 წლის ივლისში ნაზიმ ჰიქმეთი უკვე მოსკოვშია. მის ცხოვრებაში სრულიად ახალი ჰორიზონტები ისახება.

სიჭაბუკეში მოსკოვში და, საერთოდ, საბჭოთა კავშირში გატარებულმა წლებმა საბოლოოდ განსაზღვრა ნაზიმ ჰიქმეთის, როგორც პოეტისა და საზოგადო მოღვაწის პროფილი. მართალია, ისეთი ძლიერი პიროვნება, როგორიც ნაზიმ ჰიქმეთი იყო, უთუოდ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერდა XX საუკუნის თურქულ პოეზიაში, ან წინაპართა კვალზე იცლიდა და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გახდებოდა. ყველაფერი ეს შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ ნაზიმ ჰიქმეთი მოსკოვში არ ჩავიდოდა, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ უსაბჭოეთოდ იგი არ იქნებოდა ერთადერთი. განუმეორებელი ფიგურა XX საუკუნის თურქულ პოეზიაში, ვერ იქცეოდა მებრძოლი და მოწინავე თურქეთის სიმბოლოდ.

სწორედ ეს ფიქრები დასტრიალებდნენ თავს ნაზიმ ჰიქმეთის რომანის „რომანტიკის" მთავარ პერსონაჟს აჰმედს, როცა თურქეთიდან ჩამოსული ბათუმს ტოვებს, საბოლოოდ განსაზღვრავს თავისი ცხოვრების მიზანს და მოსკოვს მიემგზავრება. ეს მომენტი მეტად რთულია პოეტის ცხოვრებაში.

„მაშ, გადაწყვიტე, ძმობილო, — ვეუბნები მე ჩემს თავს, — გადაწყვიტე, თუმცა უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია, უკანდასახევი ხიდები დავწვი. მოიცა, ძმობილო, ნუ აჩქარდები. მოდი, კარგად დავფიქრდეთ. რა შეგიძლია მსხვერპლად გაიღო? ყველაფერი, ყველაფერი, რაც კი გამაჩნია. თავისუფლება? დიახ, თავისუფლებაც, რამდენი წელი შეგიძლია ციხეში იჯდე? თუ საჭირო იქნა, მთელი სიცოცხლე... მაგრამ შენ ხომ გიყვარს ქალები, გიყვარს ჭამა და სმა, კარგად ჩაცმა... შენი მიზანია, მოიარო ევროპა, აზია, ამერიკა! მაშ, შეეშვი მაგ შენს ანატოლიაზე ფიქრს, გაემგზავრე თბილისში, თბილისიდან — ყარსში, ყარსიდან კი ანკარაში დაბრუნდები. ოთხ-ხუთ წელიწადში გახდები დეპუტატი, მინისტრი, ქალები, დროსტარება. ღვინო, ხელოვნება, მთელი ქვეყანა შენი იქნება...

დამეხსენ! თუ საჭირო იქნა, მთელ სიცოცხლეს ციხეებში გავატარებ.

— თუ კომუნისტი გახდი, შეიძლება ჩამოგახრჩონ ან მოგკლან, ან ზღვაში დაგახრჩონ, ისე როგორც დაახრჩვეს მუსტაფა სუბჰი და მისი ამხანაგები“.

ნაზიმ ჰიქმეთმა აჰმედის პიროვნებაში თავი მოუყარა ყველაფერ იმას, რაც მას და ნაწილობრივ მის თაობას გადახდა თავს.

საქართველოსა და მოსკოვში გატარებულმა წლებმა, საბჭოთა სინამდვილის გაცნობამ, მარქსისტული იდეების დაუფლებამ, გამოჩენილ პოეტებთან სიახლოვემ და, საერთოდ, მთელს საქართველოში იმ დროს არსებულმა ატმოსფერომ, ჰაბუკის სულში გააღვივა ფიქრები მშიერ და ნახევრად დამონებულ ანატოლიაზე, გააღვივა ის ნაპერწკალი, რომელიც მასში ენთო და თავის დროს ელოდა.

მოსკოვში ჩამოსულ ნაზიმ ჰიქმეთს თან მოჰყვა განათლება და აღზრდა, მოჰყვა მხატვრობისა და მუსიკის ღრმა ცოდნა, შემოქმედებითი გამოცდილება და, რაც მთავარია — ენთუზიაზმი. საჭირო იყო თბილი და ძლიერი ხელი, რომელიც ყოველივე ამას საჭირო გზით წარმართავდა.

ასეც მოხდა.

მოსკოვში ჩამოსული ნაზიმ ჰიქმეთი შედის აღმოსავლეთის მშრომელთა კულტურის უნივერსიტეტში.

განახლებული ცხოვრების გზაზე შემდგარი საბჭოთა სახელმწიფო სხვა ქვეყნის ახალგაზრდობაზეც ზრუნავდა. ამ დროს მოსკოვში თავს იყრიდნენ აღმოსავლეთის ქვეყნების ახალგაზრდები. ამ უნივერსიტეტში სწავლობდნენ იაპონელები და ირანელები, თურქები და ჩინელები, ვიეტნამელები, სუდანელები. ეს ახალგაზრდები გულწრფელად ოცნებობდნენ მსოფლიო რევოლუციაზე და ყოველ წუთს მზად იყვნენ, თავი დაეღოთ, სიცოცხლე არ დაეზოგათ დიდი ეროვნული საქმისათვის. მართლაც, ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ახალგაზრდები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რევოლუციური მოძრაობის ლიდერები ხდებოდნენ.

ახალგაზრდა პოეტი უკეთესს რას ინატრებდა. იმდროინდელა მოსკოვის ზეცა XX საუკუნის პოეტური ვარსკვლავებით იყო დასახლებული. ყველგან, ქუჩებში თუ პოეტურ თავყრილობებზე შეიძლებოდა შეხვედროდი რუსული პოეზიის უბრწყინვალეს წარმო-

მადგენლებს, მათ, ვინც უდიდესი კვალი გაავლეს რუსულ და მსოფლიო პოეზიაში. თავისთავად ამ პოეტთა ლექსების მოსმენა იყო ახალი სამყარო ნაზიმ ჰიქმეთისათვის. ნაზიმ ჰიქმეთი შინაგანად უკვე შემზადებული იყო ამ ახალი სამყაროსათვის, ამიტომ ამ სიახლემ პოეტის სულში დაბნეულობა როდი გამოიწვია, პირიქით, მან დაიწყო სწავლა, დაიწყო ათვისება ყოველივე იმისა, რაც მის პოეტურ მრწამსს მიესადაგებოდა.

როცა ნაზიმ ჰიქმეთი მოსკოვისაკენ მოემართებოდა, ერთი ფიქრი არ ასვენებდა — უნდოდა, მისულიყო ლენინთან და ეკითხა: როგორ მოვიქცე, რომ ჩემს სამშობლოშიც მოხდეს ისეთი რევოლუცია, როგორიც რუსეთში?

ნაზიმ ჰიქმეთს ეს კითხვა არ დაუსვამს ლენინისათვის ერთი უბრალო მიზეზის გამო: მან ვერ ნახა ლენინი. მაგრამ ჩამოსვლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ კიდეც რომ ენახა, ალბათ, არც ჰკითხავდა ასეთ რამეს, რადგან საკუთარი თვალით ხედავდა, გრძნობდა, სწავლობდა, როგორი იყო რევოლუცია.

თურქმა ჰაბუკმა ძალიან გვიან ნახა ლენინი. როცა პროლეტარიატის ბელადი უკვე გარდაცვლილი იყო.

პოეტი საპატიო ყარაულში იდგა ლენინის ცხედართან. ამ დროისათვის მან უკვე იცოდა, როგორ ხდებოდა რევოლუცია და ლენინის ცხედართან იდგა, როგორც ნამდვილი რევოლუციონერი. რომანში „რომანტიკა“ ნაზიმ ჰიქმეთმა ფართო პლანით დაგვანახა თავისი და მთელი რუსი ხალხის სიყვარული ლენინისადმი. ჩინებულად დაგვიხატა ლენინის სიკვდილით შეძრწუნებული ქალაქის ატმოსფერო, ადამიანთა სასოწარკვეთილება.

„უცებ სადღაც — ჩემ წინ, უკან თუ გვერდით — ხის უზარმაზარი ჰიშკარი გაიღო. იქიდან საბარგო მანქანები და ხალხის ბრბო გამოვარდა. ყვირილი მომესმა. იმ წამს უამრავი ხალხი ყვიროდა, მაგრამ მე მომეჩვენა, რომ ეს მხოლოდ ერთი კაცი იყო, მხოლოდ ერთმა კაცმა დაიყვირა. ამ კაცის უზარმაზარმა, უძლიერესმა ხელმა გააღო განათებული, მოფუსფუსე და უსასრულო ქუჩა და კიდევ დაიყვირა ღამემ და ყინვამ: ლენინი გარდაიცვალა! რა იყო მერე? თუ რა იყო მერე, ამას მე ვხედავდი ეპიზოდურად, ერთმანეთში არეულად, სმენითაც ასე მესმოდა ყველაფერი. დიდი ჰიშკრიდან ქუჩაში გამოცვენილ ხალხს ხელში გაზეთები ეჭირა.

გაზეთები თვალის დახამხამებაში დაიტაცეს. ჩემს წინ ტრამვაი გაჩერდა. ტრამვაი ერთ წამში დაცარიელდა; ყველა ტრამვაი შეჩერდა, ყველა დაცარიელდა. მე არაფერი მესმის, მოხუცს შლიაპა გულზე მიუკრავს და ქვითინებს. მოხუცს მელოტ თავზე თოვლის ფანტელები აცვივა. დაცარიელდა კინოთეატრები, რესტორნები და საცხოვრებელი სახლები; თითქოს ხანძარს გაურბიანო, ხალხი შენობებს ტოვებს. ტვერის ბულვარი ხალხით აივსო. ყველანი გაზეთების გამყიდველს შემოეჯარნენ ირგვლივ; ვატმანი ტრამვაის კიბის საფეხურზე ჩამომჯდარა და ტირის. ტირის ვარდისფერლოყებიანი გოგონა. ქერიმს გაზეთი უჭირავს ხელში და ტირის. მაგრამ მე არაფერი მესმის და ყველაფერი, რასაც ახლა ვხედავ, თითქოს უზარმაზარ აქვარიუმში ხდება. აქვარიუმს არც თავი აქვს და არც ბოლო. ვიღაცა მიწაზე დაეცა, მას მეორე მიჰყვა, მე ვხედავ ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთს ჩახვევიან და სტირიან, მაგრამ ირგვლივ დუმილია. ვიღაცამ სახელოში მომკიდა ხელი. მივბრუნდი, სახედანაოჭებული მოხუცი ქალი იყო, ჯუბა ეცვა, თავზე შალი მოეხვია; სახელოში მექაჩება და რაღაცას ჩიფჩიფებს. არაფერი მესმის, დავიხარე. ექვსი-შვიდი წლის შეშინებული გოგონას ხმით მეკითხება: „ლენინი გარდაიცვალა?“ თავს ვუქნევ. „გარდაიცვალა“. მე მგონია ახლა პირჯვარს გადაიწერს, მაგრამ არა, ხელს მიშვებს და ჩიფჩიფებს: „ეს რა მეხი დაგვცემია“. მერე იმეორებს: „ეს რა მეხი დაგვცემია“, „ეს რა მეხი დაგვცემია“. ხმა თანდათან ძლიერდება, ფართოვდება და ყოველ მხარეს ედება“. მწერალმა ფიქსაცია გაუკეთა მთელი ხალხის სულიერ განწყობილებას და კაცობრიობას ბელადისადმი ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის კიდევ ერთი დოკუმენტი დაუტოვა.

მაშ ასე, ახალგაზრდა კაცი, რომელიც პოეტის თვალით უყურებს ცხოვრების მოვლენებს, ოციანი წლების მოსკოვშია. ეს ქალაქი ნაზიმ ჰიქმეთისათვის, უწინარეს ყოვლისა, რევოლუციური მსოფლიოს ცენტრია. ამიტომ მოსკოვის ქუჩებში შეხვედრილი ყოველი ადამიანი გულუბრყვილო ჭაბუკს რევოლუციონერი ჰგონია. ჭაბუკმა პოეტმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ ოქტომბრის ბელადს უამრავი მტერი ჰყავს, რომ სულ მალე, რამდენიმე თვის შემდეგ, ეს მტრები ლენინს ტყვიას ესვრიან. ხოლო როდესაც ნაზიმ ჰიქმეთი დარწმუნდება, რომ, ისე, როგორც ყოველ დიდსა და კეთილ საქმეს, რე-

ვოლუციასაც თავისი მტრები ჰყავს, მისი კალამი უფრო ბასრი და შეურიგებელი ხდება. სწორედ მოსკოვში მოხდა მკაფიო სოციალური დიფერენციაცია პოეტის შემეცნებაში, აქ შეიგნო ნაზიმ ჰიქმეთმა საბოლოოდ, ვინ იყო სოციალიზმის მტერი და ვინ — მეგობარი.

პოეტის შემოქმედებით დავაჟკაცებაში გარკვეული როლი ითამაშა ვლადიმერ მაიაკოვსკისთან შეხვედრამ. მაიაკოვსკი და თურქეთიდან ჩამოსული „საკმაოდ კარგი პერსპექტივების მქონე ახალგაზრდა პოეტი“ ერთმანეთს შეახვედრეს მაიაკოვსკის მეგობარმა ქალებმა. ნაზიმ ჰიქმეთი იგონებს: „მე წარმადგინეს როგორც ახალგაზრდა თურქი პოეტი. მაიაკოვსკი ძალიან დაინტერესდა ჩემი პიროვნებით. შემდეგ მე ვთხოვე და რამდენიმე ლექსი წაიკითხა. ამ ლექსებმა გამაოცა — მაიაკოვსკი კითხულობდა არა ისე, როგორც ჩვენშია მიღებული წამღერებით, იგი კითხულობდა, როგორც ორატორი“.

ამ წლებში ნაზიმ ჰიქმეთი ძალიან დაინტერესდა დრამატული ხელოვნებით. იგი ხშირი სტუმარია მეიერჰოლდისა თუ ვახტანგოვის თეატრებისა. ამ ორი მაძიებელი, ნოვატორი რეჟისორის შემოქმედება ყველაზე უფრო ესადაგება ნაზიმ ჰიქმეთის სულისკვეთებას და ისიც სწორედ აქ, ამ თეატრებში პოულობს სულის საზრდოს. მას აღიზიანებს სამხატვრო თეატრის სტილი და იზიდავს მეიერჰოლდის თეატრის სცენაზე აღმართული რთული კონსტრუქციები. ამ შემოქმედებით დამეგობრებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ „რსფსრ-ს პირველი თეატრი“, რომელსაც მეიერჰოლდი ხელმძღვანელობდა, შეფობას უწევდა აღმოსავლეთის მშრომელთა კულტურის უნივერსიტეტს: თავის მხრივ, არც უნივერსიტეტი აკლებდა დახმარებას თეატრს — როცა მეიერჰოლდის თეატრმა ს. ტრეტიაკოვის „იღრიალე, ჩინეთო“ განახორციელა, მასიურ სცენებში უნივერსიტეტის მრავალი ჩინელი სტუდენტი მონაწილეობდა. მეიერჰოლდის რეჟისორული ფანტაზია აცვიფრებდა და შემოქმედებით სტიმულს მატებდა ნაზიმ ჰიქმეთს. იგი ხედავდა, რომ მეიერჰოლდი სცენის ნოვატორი იყო, ნაზიმ ჰიქმეთი კი სიახლის ყოველ მაძიებელთან უმალ ჰპოვებდა საერთოს.

აღმოსავლეთის მშრომელთა კულტურის უნივერსიტეტში დრამატული წრეც ჰქონდათ. ამ წრეს მეიერჰოლდის თეატრის რეჟისო-

რი და მსახიობი, შემდეგ ცნობილი საბჭოთა თეატრალური მოღვაწე ნიკოლოზ ეკი ხელმძღვანელობდა. ნ. ეკსა და ნაზიმ ჰიქმეთს შორის უმალ შემოქმედებითი მეგობრობა დამყარდა. ისინი ხშირად წარმოადგენდნენ ხოლმე სხვადასხვა სცენებს, რომელთა ტექსტებს უმთავრესად ნაზიმი წერდა.

ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებითი მეგობრობა ამ კოლექტივთან კვლავ თურქული თემატიკით დაიწყო — ნაზიმ ჰიქმეთის სულში ღრმად ჩაბუდებულიყო 15 თურქი კომუნისტის დაღუპვის შემაძრწუნებელი ამბავი. მართალია, მან ამ ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე ლექსი დაწერა, მაგრამ იგი მაძიებელი სულის ადამიანი იყო და გამოსახვის სრულიად სხვადასხვა საშუალებებს დაეძებდა. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ის, რომ გააკეთა ინსცენირება თავისივე ლექსებისა „15 ჰრილობა“ და „28 იანვარი“. ეს ინსცენირება მაყურებელს წარმოუდგინეს 1923 წლის იანვრის დამლევს.

მოსკოვში ცხოვრების წლები ძალზე ნაყოფიერია პოეტისათვის. იგი ბევრს ეძიებს, წერს. თუ ყურადღებით გადავხედავთ ნაზიმ ჰიქმეთის იმ ლექსებს, რომლებმაც მას სახელი და დიდება მოუტანეს, უმეტესობა სწორედ ამ წლებშია დაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად პოეტი საკმაოდ სერიოზულად გაიტაცა სხვადასხვა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ, თავისი პოეზიის მთავარი ხაზიდან მას მაინც არ გადაუხვევია. უფრო მეტიც, ნაზიმ ჰიქმეთის მიერ ამ წლებში შექმნილი ფორმალისტური ხასიათის ლექსები კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ნიჭიერი შემოქმედისათვის ყოველგვარი მიმდინარეობის გაცნობა და დაუფლება აუცილებელია. სხვადასხვა იზმებისადმი თავმოდრეკას სრულიად არ შეუშლია ხელი ნაზიმ ჰიქმეთისათვის, გამხდარიყო თურქი ხალხის მესიტყვე, მისი საუკეთესო იდეალების გამომხატველი და სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი. 1923 წელს დაწერილ ლექსში იგი ასეთ ბგერთწერას მიმართავდა:

ფს სსსსსსს!
დან
დან
დან

და კიდევ

მეელექტროე
თრ თრ თრ თრ ррр...

ლექსში „მექანიზირება“ ნაზიმ ჰიქმეთი ცდილობდა, ისეთი კონსტრუქტივისტული ბგერთწერა შეექმნა, რომელიც მანქანების რიტმს წარმოსახავდა.

თ რ რ რ რ რ უ უ მ
თ რ რ რ რ რ რ უ უ მ
თ რ რ რ რ რ უ უ მ
თრუ თიკი თრაკ

ნაზიმ ჰიქმეთი გატაცებულია სიმბოლისტური პოეზიით. არსებობს მოსაზრება, რომ მაიაკოვსკისაგან გადაედო ფუტურიზმით გატაცება, მაგრამ ყოველივე ეს გარდამავალი პერიოდი იყო პოეტის შემოქმედებაში. ეს გატაცებანი შემოქმედებითად კიდევ უფრო აკაჟებდა პოეტს, მატებდა მას გამოცდილებას, ხვეწდა და რაფინირებულს ხდიდა მის აზროვნებას, რადგან არ შეიძლება ნამდვილი პოეტი ერთი რომელიმე მიმდინარეობის ჩარჩოში ჩაეტიოს. ნაზიმ ჰიქმეთი მიდიოდა სოციალისტური რეალიზმის მთავარ გზაზე, მაგრამ სხვა მიმდინარეობიდანაც ბევრ სასიკეთოს ნერგავდა თავის შემოქმედებაში.

1923 წელს ნ. ჰიქმეთი წერს ასეთ ფრაზას: „ოი, პოეტებო იმ დროისა, რომელიც დადგება 77 წლის შემდეგ! თქვენ აღმართავთ აღმოსავლეთის ფუტურისტულ ნაგებობას“.

ნაზიმ ჰიქმეთმა თურქულ პოეზიაში ზოგადკაცობრიულ ჰუმანურ იდეებთან ერთად ახალი სალექსო ფორმაც შეიტანა. ვფიქრობთ, XX საუკუნის არც ერთი ქვეყნის პოეტს არ ხვდომია წილად ისეთი გადატრიალების მოხდენა თავისი ერის პოეზიაში, როგორც ეს ნაზიმ ჰიქმეთმა მოახდინა. თუ მსოფლიოს ბევრი გამოჩენილი პოეტის შემოქმედებას განვიხილავთ თავიანთ სამშობლოში არსებულ იმდროინდელ პოეტურ კულტურასთან შეფარდებით და შემდეგ ნაზიმ ჰიქმეთის მიერ XX საუკუნის 20-იანი წლების თურქულ პოეზიაში მომხდარ რევოლუციას გავეცნობით, დავინახავთ, რომ ნაზიმ ჰიქმეთმა სრულიად ახალი პერსპექტივები გადაშალა თურქული პოეზიის წინაშე.

ჰიქმეთისათვის ფორმის ძიება და დაუფლება როდი იყო მთავარი. მისთვის წინა პლანზე მაინც ნაწარმოების სულისკვეთება იდგა. სწორედ ამ დროს ხდება ნაზიმ ჰიქმეთის შინაგან სამყაროში

ერთი მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი მომენტი. როდესაც 19 წლის ნაზიმ ჰიქმეთი თურქეთს ტოვებდა და საბჭოეთში მიდიოდა, მან იცოდა, რომ ნახავდა სრულიად ახალ ქვეყანას, გაიცნობდა სრულიად ახალ საზოგადოებრივ ფორმაციას.

ცოტა მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ, ნაზიმ ჰიქმეთი დიდი სიამოვნებით იგონებს იმ წლების საბჭოთა ცხოვრების რომანტიკას, როცა შაშხანით ხელში დარაჯობდნენ საბარგო მანქანას, კითხულობდნენ წიგნებს შემეცნებაზე, მატერიასა და კლასებზე და იყო „წიგნები, წიგნები, წიგნები“. ეს, რასაკვირველია, სულ სხვა ყოფა იყო, სულ სხვა ატმოსფერო, ვიდრე მას თურქეთში შეხვედრია.

თავის სამშობლოში არსებული მწვავე კონტრასტი დალხინებულთა და დამცირებულთა შორის და, რაც მთავარია, ღარიბული ყოფა და უმეცრება, ახალგაზრდა პოეტს ადრეც აღიზიანებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი მოსკოვში ჩამოვიდა, გაეცნო საბჭოეთის ცხოვრებას და თვითონაც იმ ყოფის ერთ-ერთი რიგითი მონაწილე გახდა, მის სულში თანდათან ჩამოყალიბდა სხვა ტიპის ადამიანი, ძლიერი, მრისხანე, რომელიც არ უფრთხის დაბრკოლებებს. იგი შინაგანად მზად იყო ბრძოლებისათვის, სულში დაგუბებული პროტესტისა და ბრძოლის სურვილს ვერ იტევდა და ლექსებით მოუწოდებდა ადამიანებს. ამ სულისკვეთებამ შეაქმნევინა ჰიქმეთს ჩინებული ლექსები: „პოეტი“, „ორკესტრი“, „ოქტომბრის რევოლუციის მე-5 წლის თავზე“, „როგორ მესმის ხელოვნება“, „ლენინის სიკვდილზე თქმული“, „მზისმსმელთა სიმღერა“, „საბჭოთა კავშირთან დამშვიდობება“. ხოლო საყოველთაოდ ცნობილ „ორკესტრში“ უკვე საბოლოოდ გაცხადდა პოეტის მებრძოლი სული.

ჰეი!
მისმინე!
ბრიყვო, ეგ საზი —
დროგადასული, სუსტი და ნაზი
როდემდის უნდა გოდებდეს ასე?
ეგ სამი სიმი, —
სამი ბულბული
ვერა,
ვერ შესძლებს აანთოს გული
და კლდე-ღრეებში გაუძღვეს მაისებს.

პატარა საზი როგორ გადმოგვცემს,
ქალაქის,
სოფლის
უძლეველ ძალას.
ბოღმას და რისხვას რომ ვეღარ მალავს
და შმაგ ტალღების აპირებს აშლას,
როგორც მდინარე
თავის ნაპირებს
გადალახავს და გაშლის დინებას...
დღეს მილიონებს ვერ ააღელვებს,
ვერ გააცინებს,
ვერც აატირებს
პატარა საზის აქვითინება[1].

დიახ, ეს უკვე სულ სხვა ინტონაციებია. ამ ლექსის ლირიკული გმირი აბსოლუტურად განსხვავდება მრავალსაუკუნოვანი თურქული პოეზიის ლირიკული პერსონაჟისაგან. თუ ადრე ოხვრასა და მიჯნურის გოდებას ვისმენდით, ხოლო ერის საუკეთესო პოეტთა შემოქმედებაში საწუთროს წარმავლობასა და ამაოებაზე იყო ლაპარაკი, ახლა პოეზიაში ბრძოლის ინტონაციები იჭრება. შეიძლება ჯერჯერობით მთლად ცხადად არ იყოს გამოკვეთილი ის, ვისაც პოეტი ებრძვის, და იგი ერთგვარი „შავი ძალების“ სიმბოლურ სახეს ატარებდეს; შეიძლება პოეტმა ჯერ არც იცოდეს, რომელ ციხესიმაგრეზე მიიტანოს იერიში, მაგრამ მან იცის, რომ ახალი ყოფისთვის, ახლებური ცხოვრებისათვის ბრძოლა აუცილებელია. ახლებური ცხოვრებისათვის ეს ბრძოლა მას უპირველესად ახალი ხელოვნებისათვის ბრძოლად წარმოესახება, რადგან ღრმად სწამს, სწორედ ნამდვილი ხელოვნების დიდ ემოციურ ზემოქმედებას ძალუძს ადამიანის სულიერი მოჯადოება, მისი დამორჩილება.

ახალი ხელოვნების შექმნის სულისკვეთებით არის გამსჭვალული აგრეთვე ლექსები „პოეტი“ და „ხელოვნების ჩემეული გაგება“, მაგრამ სიახლისათვის ბრძოლას პოეტი გარკვეულ უკიდურესობამდეც მიჰყავდა. მას მიაჩნდა, რომ ახალი კლასის პოეტის შემოქმედებითი ლექსიკიდან სრულიად უნდა ამოშლილიყო სიტყვები „გული“, „სიყვარული“, „გრძნობა“ და სხვა ამგვარი. ამ დროს ნა-

[1] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

ზიმ ჰიქმეთის შეხედულებანი იქამდეც კი მივიდა, რომ მან ადრე დაწერილი სამიჯნურო ლექსებიც უარყო და თქვა, დღეიდან მხოლოდ „მარქსისტული პოემები“ უნდა შევთხზა, ჩემთვის ყველაზე საუკეთესო ღაზელი „ანტიდიურინგიაო“. რამდენადაც მიუღებელი და ღიმილის მომგვრელია დღეს ჩვენთვის პოეტის ეს განცხადება, იმდენად ჩვეულებრივი იყო ასეთი რამ 20-იანი წლების საბჭოთა ყოფისათვის. უკვე ხანშიშესული, საყოველთაოდ ცნობილი ნაზიმ ჰიქმეთი, რასაკვირველია, არ განაცხადებდა: „საადიმ თქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა, ჩვენ მეტად აღარ გვინდა ვისმინოთ მისი მუსიკა; ისეთი პოეტი გვინდა, ჩვენი კლასის ფერები დაგვიხატოს. კლასისა, რომელსაც სისხლისა და ოფლის სუნი ასდის“.

თუ რაოდენ დიდი იყო რუსი პოეტებისა და, კონკრეტულად, მაიაკოვსკის პიროვნების გავლენა ნაზიმ ჰიქმეთზე, ამას მოწმობს ნაზიმ ჰიქმეთის მეგობართა ერთი პატარა მოგონება.

მაიაკოვსკის ნაზიმ ჰიქმეთი შინ მიუწვევია. ნაზიმ ჰიქმეთს მოსკოვში მოსწავლე თურქი მეგობრებიც წაუყვანია თან. აი, როგორ იგონებს ამ შეხვედრას მისი ერთი მეგობარი:

„მაიაკოვსკი მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი დაგვიხვდა. წელზე პისტოლეტი ეკიდა. მალე თავისი ცნობილი ნაწარმოების „მარცხენა მარშის“ კითხვა დაიწყო. ნაზიმ ჰიქმეთი უდიდესი აღტაცებით უსმენდა მაიაკოვსკის, თვალს ადევნებდა მის ყოველ მოძრაობას, ყურს უგდებდა ინტონაციას. რამდენიმე დღის შემდეგ ჰიქმეთმა თავისი ახალი ლექსი წაგვიკითხა. ლექსი მაიაკოვსკის სტილით იყო დაწერილი. ნაზიმიც ისე არ კითხულობდა მას, როგორც ადრეულ წლებში დაწერილ თავის ლექსებს“.

1922 წელს პოეტი წერდა:

მე პოეტი ვარ,
პოეზიის მესმის ხელობა,
ვერ გამიტაცებს ლაჟვარდებზე
რითმათა რიგი,
ჩემთვის ყველაზე საყვარელი ლექსის ზომაა
„ანტიდიურინგი“.

მე პოეტი ვარ,
დავაბნიე სალექსო თემა
თვით შემოდგომის ცვარ-ნამზე მეტი,

მაგრამ მარქსისტულ
ნამდვილ პოემას
„უკაპიტალოდ“ მაინც ვერ ვწერდი[1]—

ასე იწყებდა იგი ახალი სამყაროს შესწავლას. მარქსისტული მოძღვრება და მისი პოეტური შთაგონება იყო ამოსავალი წერტილი შემოქმედებისა.

როგორც ვხედავთ, ჭაბუკი პოეტისათვის მოსკოვში გატარებული წლები მეტად მნიშვნელოვანია. იმასთან ერთად, რომ ნაზიმ ჰიქმეთი მოსკოვში მეტად ნაყოფიერ შრომას ეწეოდა და სწავლობდა კიდეც, იგი არც თურქეთთან წყვეტდა კავშირს.

ამ წლებში თურქეთში არსებობდა „თურქეთის მუშათა და გლეხთა სოციალისტური პარტია“, რომელიც ლეგალურად მუშაობდა, მთავრობის მხრივ ჯერ კიდევ არავითარ დევნას არ განიცდიდა. პარტიას თავისი პრესაც გააჩნდა. გამოდიოდა ჟურნალი „აიდინლიქი“ (სინათლე) და გაზეთი „ორაქ-ჩექიჩ“ (ნამგალი და ურო). ჟურნალიც და გაზეთიც სახელმწიფოში თავისუფლად ვრცელდებოდა.

განსაკუთრებით დიდია „აიდინლიქის“ როლი თურქული კულტურის განვითარების საქმეში. ჟურნალმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა პროგრესულად მოაზროვნე თურქი ინტელიგენცია, რომელსაც განათლება მეტწილად ევროპაში მიეღო და გადაუდებლად სვამდა სახელმწიფოს ევროპიზაციის რელსებზე შედგომის საკითხს.

ნაზიმ ჰიქმეთი მოსკოვიდან „აიდინლიქში“ გზავნიდა ლექსებს. ჟურნალიც გრძნობდა ახალგაზრდა კაცის მისწრაფებებს და ცდილობდა, ფართო ასპარეზი მიეცა მისთვის. ჟურნალ „აიდინლიქის“ ფურცლებზე დაბეჭდილმა ლექსებმა მოუტანა ნაზიმს აღიარება.

გაივლის ორ ათეულ წელზე ცოტა მეტი და ამ ჟურნალში დაბეჭდილი ლექსების თაობაზე თურქი კრიტიკოსი ასიმ სარფი იტყვის: „ნაზიმ ჰიქმეთის ლექსებმა გააქარწყლეს ჩვენი მოძველებული წარმოდგენები ხელოვნებაზე, მის როლზე საზოგადოების ცხოვრებაში“.

21—23 წლის ნაზიმ ჰიქმეთს თურქეთში იმთავითვე უჩნდებიან მიმდევრები, მაგრამ ეს მიმდევრობა ძალზე პასიური ხასიათისაა და

[1] თურქულიდან თარგმნა ფრ. ხალვაშმა.

მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ პოეტს თანაუგრძნობენ. ცხადია, თითქმის წარმოუდგენელი იყო, ახალგაზრდა თურქ პოეტებს მასიურად ექციათ ზურგი თურქული პოეზიის საუკუნოვანი ტრადიციისათვის და სწორედ ისე დაეწყოთ წერა, როგორც ნაზიმ ჰიქმეთი წერდა. ამ ახალგაზრდობის სულშიც უნდა მომწიფებულიყო ბრძოლის წადილი, მაგრამ პროგრამა მინიმუმი მაინც მიღწეული იყო — ნაზიმ ჰიქმეთს გაუგეს, იგი მიიღეს და აღიარეს. ასე რომ, 1923-24 წლებში, როცა ნაზიმ ჰიქმეთი სამშობლოში უნდა გაემგზავროს, იქ მას უკვე კარგად იცნობენ, იცნობენ, როგორც ახალი ყაიდის პოეტს.

გემშვიდოგბეგი, საბჭოეთო, მომეცი ხელი!

მოსკოვში ცხოვრებისა და სწავლის წლებმა სწრაფად და შეუმჩნევლად გაირბინა. დადგა ჟამი სამშობლოში გამგზავრებისა, ჟამი საკუთარი იდეალებისათვის ბრძოლისა.

მძიმე იყო მოსკოვთან გამოთხოვება ჯაბუკი ნაზიმ ჰიქმეთისათვის. იგი ბევრი რამით დაუკავშირდა ამ ქალაქს. მოსკოვში იგრძნო ნაზიმ ჰიქმეთმა საშინელი კონტრასტი იმ ორ სოციალურ წყობას შორის, რომელიც მის სამშობლოსა და საბჭოეთში არსებობდა. დარწმუნდა, რომ მრავალი ჭირის გადატანა მოუწევდა, რათა სამშობლოს უკეთესი დღეები დადგომოდა. ამ ბედნიერი დღეებისათვის კი ახალგაზრდობას უნდა ებრძოლა. და აი, თეორიული ცოდნითა და დიდი სურვილებით აღჭურვილი ეს ახალგაზრდობა სამშობლოს უბრუნდებოდა.

1924 წლის შემოდგომაზე ნაზიმ ჰიქმეთი სამშობლოში დაბრუნდა.

1924 წლის თურქეთი მნიშვნელოვნად განსხვავდება 1921 წლის თურქეთისაგან. დამთავრებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც მუსტაფა ქემალი მეთაურობდა. გაიმარჯვა ხალხმა. 1923 წლის ზაფხულში ლოზანაში თურქეთსა და ანტანტის სახელმწიფოებს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის მეოხებით ანტანტის სახელმწიფოებმა ცნეს თურქეთის დამოუკიდებლობა, თუმცა ანტანტამ მაინც შეინარჩუნა თურქეთზე ეკონო-

მიური გავლენის უფლება. დამოუკიდებელ თურქეთს უნდა გადაეხადა სულთნის სახელმწიფოს ვალები.

მუსტაფა ქემალ ათა თურქის მოძრაობას ერთი დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა. გარდა იმისა, რომ მან უცხოელი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა თურქეთი, სძლია გარეშე მტერს, თვით სახელმწიფოს შიგნითაც დიდი გადატრიალება მოახდინა — ეს მოძრაობა შემდეგში ბურჟუაზიულ რევოლუციად გადაიქცა და ბოლო მოუღო ფეოდალურ-თეოკრატიულ რეჟიმს.

ლოზანას ზავის შემდეგ ფეოდალური თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. 1924 წელს კი შეიქმნა სახალხო-რესპუბლიკური პარტია, რომელსაც მუსტაფა ქემალი ჩაუდგა სათავეში. დაიწერა თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, რომლის პირველი მუხლის ორ სიტყვაში ჩაქსოვილი იყო მთელი პროგრესული თურქეთის თავგანწირული ბრძოლა:

„თურქეთი რესპუბლიკაა“.

კონსტიტუციის მეორე მუხლი კი აცხადებდა: „თურქეთის სახელმწიფო დაფუძნებულია რესპუბლიკურობის, ეროვნულობის და რევოლუციონურობის პრინციპებზე. ოფიციალური ენა თურქულია, დედაქალაქი — ანკარა.

უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს“.

თურქეთის რესპუბლიკა უკვე „დე ფაქტო“ იყო.

ამ დღიდან იწყება თურქეთის სწრაფი განვითარება. ამიტომაცაა, რომ მუსტაფა ქემალის პრეზიდენტობის ხანა 1923 წლიდან 1938 წლამდე თურქეთის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი. გენერალი გამოცხადებულია არა მარტო ეროვნულ გმირად, არამედ თურქი ხალხის მამად. თუ ადრე მას მუსტაფა ქემალს ეძახდნენ, უაღრესი მამულიშვილური, პატრიოტული საქმიანობით მოჯადოებული ხალხი მუსტაფა ქემალ ათა თურქს (თურქების მამა მუსტაფა ქემალი) ან უბრალოდ ათა თურქს (თურქების მამა) უწოდებს.

სახელმწიფომ ნელ-ნელა მოითქვა სული. გატარდა ღონისძიებები, რომლის მეოხებითაც დაიწყო ეროვნული კაპიტალის განვითარება. ამან თავის მხრივ ხელი შეუწყო თურქეთის დამოუკიდებლობის გაძლიერებას — სახელმწიფოში თითქმის მთლიანად გააუქმეს უცხოეთის ქვეყნების კონცესიები. გაიყვანეს სარკინიგზო გზები, შეჰქმნეს ახალი ნავსადგურები, დაარსდა ეროვნული ბან-

კები, ყოველმხრივ შეუწყეს ხელი წარმოებისა და ვაჭრობის ტემპის ზრდას. იმდროინდელი თურქეთის ეროვნული ეკონომიკის განვითარებას წინ ეღობებოდა უცხოეთის კაპიტალი, მაგრამ მუსტაფა ქემალის მიერ ეტატიზმის (სახელმწიფო კაპიტალიზმის) შემოღებამ ეს წინააღმდეგობაც მოსპო და დიდი ტემპით განავითარა ეროვნული ეკონომიკა.

აი, რას წერს ამ მოვლენის შესახებ ისტორიკოსი ა. მილერი: „ქემალისტთა პოლიტიკაში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ეტატიზმმა. ეტატიზმი გამოხატავდა ანატოლიის ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელსაც სურდა სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო აპარატის მეოხებით შეექმნა ეროვნული მრეწველობა. ამით შეერყიათ უცხოეთის კაპიტალის პოზიციები თურქეთის ბაზარზე და დარტყმა მიეყენებინათ სტამბულის კომპრადორებისათვის. ეს ღონისძიება სათავეშივე ითვალისწინებდა თურქეთის ახლად ჩასახული და სუსტი მრეწველობის დაცვას დასავლეთის უდიდესი კაპიტალისაგან“.

ეკონომიურ განვითარებაზე ზრუნვას მოჰყვა ეროვნული კულტურის მომავალზე ფიქრი. მაგრამ ამის ცდაც კი ზედმეტი იქნებოდა, თუ ადამიანებს შორის კვლავ ფეოდალური ურთიერთობები იარსებებდა. ამიტომ მუსტაფა ქემალმა და მისმა მთავრობამ შემოიღო რამდენიმე ახალი კანონი, რომლებიც ძირფესვიანად ცვლი და თურქეთის ყოფას.

დიდი კულტურისათვის ბრძოლა შეუძლებელი იყო, თუ არ აღიკვეთებოდა რელიგიის უდიდესი გავლენა. მისდამი ფანატიკური სიყვარული, ამიტომ ერთ-ერთი პირველი რეფორმა, რომელიც მუსტაფა ქემალმა ჩაატარა, იყო ის, რომ 1926 წელს გააუქმა მუსულმანური კანონმდებლობის მთელი რიგი ნორმები. გააუქმა რელიგიის სამინისტრო, დახურა მედრესეები და დერვიშული ორდენები. გააუქმა რელიგიური სასამართლო განჩინებანი. რელიგია ჩამოაშორა სახელმწიფოს. სამაგიეროდ გაიზარდა საერო სასწავლებლების რიცხვი.

მუსტაფა ქემალის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე თურქული დამწერლობის რეფორმა. აქამდე თურქები არაბული ანბანით სარგებლობდნენ. მუსტაფა ქემალმა იცოდა, ვიდრე თურქეთი არაბული ანბანით სარგებლობდა, იგი ვერ ჩამოცილდებოდა არაბულ სამყაროს. მუსტაფა ქემალს კი სურდა,

თურქეთის მომავალი დაეკავშირებინა არა არაბული, არამედ ევროპული სამყაროსათვის. მას სწამდა, რომ სწორედ სახელმწიფოს ევროპიზაცია დააყენებდა თურქეთის სინათლისა და გარდაქმნის გზაზე. ამავე დროს, პრეზიდენტს უნდოდა, თვით ევროპასაც გაიოლებოდა თურქეთთან დაახლოება, თურქეთს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა. ამიტომ 1928 წლის დეკრეტით სასტიკად აკრძალა არაბული ალფაბეტი და მის ნაცვლად შემოიღო ლათინური.

ლათინური ალფაბეტის შემოღების შემდეგ მთავრობამ დააარსა ე. წ. „ეროვნული სკოლები", რომლის უმთავრესი ამოცანა უწიგნურობის ლიკვიდაცია იყო. ეს ეროვნული სკოლები ფაქტიურად მოზრდილთა გათვითცნობიერებას ემსახურებოდა.

მუსტაფა ქემალის შორსმჭვრეტელური პოლიტიკის შედეგი იყო ისიც, რომ მან ქალებს მისცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. აიკრძალა მრავალცოლიანობა, რაც ესოდენ პატივდადებული იყო მუსლიმანურ აღმოსავლეთში და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სასტიკად აკრძალა ჩადრის ტარება.

ყოველივე ეს და კიდევ მრავალი სხვა რეფორმა იყო სვლა პროგრესის იმ გზაზე, რომელსაც არამცთუ ოციან წლებში, ოცი-ოცდაათი წლის შემდეგაც არ შესდგომიან მუსლიმანური აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოები.

მაგრამ მუსტაფა ქემალს მოწინააღმდეგენიც ჰყავდა. ბევრს არ მოსწონდა მისი რეფორმები. ოპოზიცია კი სუსტი როდი იყო. ისინი არც ეკონომიურ-პოლიტიკურ ბოიკოტზე ამბობდნენ უარს და არც პრეზიდენტის მკვლელობის ცდაზე. მუსტაფა ქემალს რომ მცველად ერთგული და ძლიერი ლაზები არ ჰყოლოდა, ალბათ, ბევრი რეფორმის გატარება არ დასცალდებოდა.

ქემალისტური ხელისუფლების მოღვაწეობის პირველი ათწლეული ბრწყინვალე ხანაა თურქეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვრებაში. პროგრესულმა რეფორმებმა განაპირობა შემოქმედებითი აზრის განვითარება. ასპარეზზე გამოდიან მწერლები, რომელთა შემოქმედებაში წინა პლანზეა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რევოლუციით გამოწვეული სიახლე სახელმწიფოს ცხოვრებაში.

ეს დრო საუკეთესოა საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთო-

ბის ისტორიაშიც. როგორც ცნობილია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წლებში საბჭოთა ქვეყანამ ძმური დახმარების ხელი გაუწოდა მუსტაფა ქემალსა და მის არმიას, რომელიც ანტანტის ჯარებს ებრძოდა. თურქეთიდან ანტანტის ჯარების განდევნას საბჭოთა ხელისუფლებისათვისაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ბოსფორის სრუტის მეოხებით შავ ზღვაში შემოსული ანტანტა სერიოზული საფრთხე იყო საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა ამიერკავკასიის უშიშროებისათვის. ჩვენი ქვეყნის მეგობრულ დახმარებას კარგად აფასებდნენ თურქეთის საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლები. მოსკოვში ხშირად ჩამოდიოდნენ მწერლები, მსახიობები, მხატვრები, ჟურნალისტები, რომლებიც წერდნენ ახალგაზრდა რუსეთზე.

მაგრამ ეს მაინც ურთიერთობის ოფიციალური ნაწილი იყო და ქემალისტებმა იცოდნენ, თუ სანამდე უნდა მისულიყო, სად უნდა დასდებოდა ზღვარი ამ მეგობრობას. საბჭოეთი კომუნისტური სახელმწიფო იყო და, მიუხედავად თავისი პროგრესული მისწრაფებებისა, თურქეთის მთავრობას არ ავიწყდებოდა, რომ იგი უწინარესად სახელმწიფოს ბურჟუაზიული ფენების ინტერესების დამცველი უნდა ყოფილიყო. საბჭოეთში კი ბურჟუაზია განადგურებული იყო. რასაკვირველია, თურქეთის ბურჟუაზია არ დათანხმდებოდა იმას, რომ საბჭოთა კავშირი თურქეთის ერთადერთი, ყველაზე უახლოესი მეგობარი ყოფილიყო. ეშინოდათ ოქტომბრის იდეების გავრცელებისა.

ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება — საბჭოეთში „უღვთო“ ადამიანები ცხოვრობდნენ. ეს კი კომუნისტობაზე არანაკლები „საშინელება“ იყო.

დიდი რუსი თურქოლოგი, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი ვ. გორდლევსკი იგონებდა, რომ ერთ თურქულ სოფელში ლამის ჩაჭოლეს, როცა გაიგეს თურქულად ჩინებულად მოლაპარაკე ახალგაზრდა, ზღაპრებსა და სიმღერებს რომ იწერდა, გიაური, ქრისტიანი იყო.

აი, ასეთ დროს მოუხდა სამშობლოში დაბრუნება ნაზიმ ჰიქმეთს.

თურქეთში ჩასული ნაზიმ ჰიქმეთი საბრძოლველად იყო განწყობილი. მას გულწრფელად სურდა, თავდადებით ებრძოლა თავი-

სი ქვეყნის ჩაგრული ფენების ბედნიერებისათვის. მისი ინტერესების სფეროში შედიოდა არა მეწარმეთა და პრივილეგირებული წრის ჩინოსანთა ბედი, არამედ იზმირელი დოკერისა და ანატოლიელი გლეხის მომავალი. მას სურდა კეთილდღეობა ეგრძნო მთელ თურქ ხალხს და არა ამა სოფლის ისედაც დალხინებულთ.

თურქეთში გამომგზავრების წინ დაწერილ ლექსში „პიერ ლოტი“ პოეტი ამბობს:

აღმოსავლეთი
ქვეყანაა
შიშველ მონების,
დასაბამიდან
უცხოელებს
პერით რომ კვებავს...
გამხმარ მიწაზე
სულს ღაფავენ
მილიონები
და ამ მხარეში
შიმშილისგან
შიმშილიც კვდება[1].

პოეტი თურქეთში წასვლის წინ საგზლად იყოლებს საბჭოეთის სითბოსა და აქ მიღებულ გამოცდილებას. მას თან მიაქვს კეთილი ზრახვები და მადლიერების გრძნობა. ამიტომ სინანულით ამბობს: „მოგვეცი ხელი, საბჭოეთო, გემშვიდობებით!“

ნაზიმ ჰიქმეთი თურქეთში ჩავიდა.

ნავი აბობოქრებულ ოკეანეში შევიდა. გაიმართა უთანასწორო ბრძოლა. არავინ იცის, როგორი იქნება ბრძოლის შედეგი. მხოლოდ რწმენა, საზოგადოების წინაშე საკუთარი მოვალეობის შეგნებისა და მიზნის უცილობლად მიღწევის ღრმა შინაგანი რწმენა მატებს ნაზიმ ჰიქმეთს ძალასა და იმედს.

სამშობლოში

ნაზიმ ჰიქმეთი ხედავს, რომ თურქეთში ბევრი რამ შეიცვალა, ქვეყანა პროგრესისაკენ შემოტრიალდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამდგარა საყოველთაო გაზაფხული, ჯერ კიდევ შორსაა ჟამი, როცა

[1] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

თავისუფლებას მთელი ხალხი იგრძნობს. ამისათვის კვლავ ბრძოლაა საჭირო, რადგან თავისუფლება მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება. ერთ ლექსში, რომელიც ნაზიმ ჰიქმეთმა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაზე დაწერა თურქეთში ჩასვლის შემდეგ, 1925 წლის დამდეგს, იგი ამბობს კიდეც, შვების დღე ჯერ შორსააო:

მიზანი შორსაა,
მიზანი შორსაა
ძალიან შორს.
იგი არც მოჩანს
მიზანი შორსაა.

მიზნის მისაღწევად კი იბრძვიან. და პოეტიც იწყებს ბრძოლას. ნაზიმ ჰიქმეთის ცხოვრებაში იწყება სრულიად ახალი, ადრინდელისაგან სავსებით განსხვავებული პერიოდი. თუ აქამდე იგი სწავლობდა, ახლა დადგა ჟამი აქტიური მოქმედებისა; თუ მანამდე საგულდაგულოდ ეუფლებოდა კლასთა ბრძოლის ისტორიას, სწავლობდა ფრანგული პოეზიის მნიშვნელოვან ეტაპებს და გატაცებით წერდა ლექსებს, ახლა მას სულ სხვა რამ მოსთხოვა ცხოვრებამ. მთლიანად ჩაეფლო რევოლუციურ მუშაობაში. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი გარემოებაც — თუ საგულდაგულოდ შევისწავლით ნაზიმ ჰიქმეთის მიერ 1924 წლის დეკემბრიდან 1925 წლის ბოლომდე შექმნილ ლიტერატურულ პროდუქციას, დავინახავთ, რომ ამ ხნის განმავლობაში მან 5—6 ლექსი თუ შექმნა. შესაძლოა, თორმეტი თვის მანძილზე 5—6 კარგი ლექსი საკმარისი იყოს, მაგრამ ისეთი ნაყოფიერი პოეტისათვის, როგორიც ნაზიმ ჰიქმეთი იყო, ეს ძალზე მცირეა.

სად უნდა ვეძებოთ ამის მიზეზი?

მიზეზი ნაზიმ ჰიქმეთის ბუნებაში, მის მისწრაფებებშია საძებნი. როდესაც ნაზიმ ჰიქმეთი თურქეთში ჩავიდა, იქ ლიტერატურული ცხოვრება უკვე ჩქეფდა. „ორაქ-ჩექიჩისა“ და „აიდინლიქის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პათოსით აღსავსე ლექსები და კრიტიკული წერილები. ნაზიმ ჰიქმეთიც მაშინვე ჩაერთო ამ ლიტერატურულ ცხოვრებაში. სულ მალე ჟურნალ „აიდინლიქის“ ფურცლებზე იგი აქვეყნებს ლექსს „აიდინლიქი“, რომელიც თავისებური პოეტური მანიფესტი იყო.

ამ ლექსში ნაზიმ ჰიქმეთმა თურქული პოეზიისათვის სრულიად

უცხო ადამიანების ცხოვრება აჩვენა თურქ საზოგადოებას. მან თურქეთს უთხრა, რომ ცხოვრებას ქმნიან უბრალო ადამიანები, ცხოვრების თავიდათავი მუშა კაცია, რომ კაცობრიობისათვის შეება მოაქვს არა დალხინებულთა და პრივილეგირებულთა კასტას, არამედ ცეცხლფარეშსა და ოსტატს, ვაგონის გამცილებელსა და მემანქანეს. რასაკვირველია, ცეცხლფარეში, მემანქანე, ოსტატი თუ ვაგონის გამცილებელი ამ ლექსში ემპირიულად არ უნდა იქნეს გაგებული. მათი სახით პოეტს წარმოდგენილი ჰყავს მშრომელი ადამიანი და იგი სამართლიანად მოითხოვს, რომ მე-20 საუკუნის პოეზიის საგანი ვარდი და ბულბული, მთვარიანი ღამე და მიჯნურთა ოხვრა კი არა ,აი, ამ ადამიანთა ყოფა უნდა გახდესო.

საუკუნეების მანძილზე თურქული მწერლობა დალხინებული კლასის ლირიკულ პოეზიას ჰქმნიდა და, ცხადია, ლექსში თვით მემანქანის, ცეცხლფარეშის, ვაგონის გამცილებლისა თუ სხვა ამგვართა ხსენებაც კი მიუტევებელი კადნიერება იქნებოდა პოეტის მხრივ. ჰაბუკი ნაზიმ ჰიქმეთის ამგვარი მისწრაფებები ინტელექტუალური ელიტის მომაკვდინებელ ორაზროვან ღიმილს გამოიწვევდა.

მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთი არ ღალატობდა ბათუმის სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში დადებულ ფიცს და ბრძოლას განაგრძობდა. იმავე 1925 წელს დაწერილი ლექსი „გამოცოცხლდით, ბატონებო“ სწორედ ცხარე ლიტერატურული პაექრობის გამოძახილია. ამ ნაწარმოებში ნაზიმ ჰიქმეთი არ ერიდება გამომწვევ ტონსაც კი და მიმართავს ადამიანებს, რომლებიც ხელოვნებას მსხალივით ჰყიდიან ფუნტებზე: ჩამოგვეცალეთ, ჩვენ აიდინლიქის ცეცხლოვან საყვირებზე ვუკრავთო.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნაზიმ ჰიქმეთი ბრწყინვალედ ფლობდა ფრანგულ ენას. პოეტს უწინარესად აინტერესებდა ფრანგული პოეზია, მისი ისტორია და განვითარების პერსპექტივები. პირველი მსოფლიო ომის შემდეგდროინდელ ფრანგულ პოეზიაში კი პესიმისტური განწყობილების პარალელურად ასპარეზზე გამოდიან პოეტები, რომლებიც ცდილობენ ღრმად დაინახონ სოციალური მოვლენები, წარმოგვიდგინონ მეოცე საუკუნის ადამიანის ჭირ-ვარამი. პოეზიაში წინა პლანზე გამოდის არა მოვლენების ფართო რაკურსით დანახვა, არამედ პიროვნების ყოველდღიური ყოფა.

ფრანგულთან ერთად ნაზიმ ჰიქმეთი ნელ-ნელა ეცნობა და სწავლობს რუსულ პოეზიასაც. რუსეთში ცხოვრების სამი წლის მანძილზე იგი ჩასწვდა ახალი რუსული პოეზიის არსს, ბევრი რამ შეითვისა მაიაკოვსკისაგან, შეიყვარა ედუარდ ბაგრიცკისა და სხვა ახალგაზრდა საბჭოთა პოეტების ქმნილებები. ნაზიმ ჰიქმეთმა დაინახა, რომ პოეზიის საგანი აღმოსავლეთში ცნობილ მარადიულ თემებთან ერთად შესაძლოა იყოს ძალზე რეალური, ცხოვრებისეული დეტალებიც. თურქული ლიტერატურული საზოგადოებრიობა კი, უმთავრესად, სქოლასტიკოსთა ფრთა, თვლიდა, რომ ეს მოვლენა უცხო იყო თურქული პოეზიისათვის. ამიტომ ნაზიმ ჰიქმეთს დიდი ბრძოლის გადატანა, მრავალი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა ახალი თემატიკის დასამკვიდრებლად. ეს პერიოდი ბედნიერი ხანაა ნაზიმ ჰიქმეთის ცხოვრებაში. ერთმანეთს ენაცვლება ლიტერატურული თუ რევოლუციური მუშაობა და ორივე — ლიტერატურაც და რევოლუციური მოღვაწეობაც ერთი მიზნითაა გასხივოსნებული — ყოფის რევოლუციური გარდაქმნა! მისი ცხოვრების ასეთი რიტმი პოეზიაშიც პოულობს თავის გამოხატულებას. 1924 წელს იგი წერს საკმაოდ ცნობილ ლექსს „იმპერიალიზმის კედელი“. სწორედ ამ დროიდან მოჩანს მის პოეზიაში ფილოსოფიური ნაკადი, როცა ჭაბუკმა პოეტმა დაიწყო ინტელექტუალური ცხოვრება, როცა უკვე თვალნათლივ შეეჯახა აქამდე მხოლოდ წიგნებით ნაცნობ ავსა და კარგს, კეთილსა და ბოროტს. ჩვენ ვხედავთ, რომ მას ამ სამყაროზე ფიქრიც მოეძალა. „იმპერიალიზმის კედელში“ იგი წერს:

არ არსებობს სიმშვიდე,
უძრაობა, მდგრადობა.
ეს მსოფლიო არ არის მყუდროების სადგური,
მხოლოდ მოძრაობაა
დღეს ხვალე იბადება,
ხვალე დღევანდელ დღეს სპობს,
ანგრევს
და ანადგურებს.
თუმც მტარვალმა კედელი
დაშნასავით ალესა,
ეს ცხოვრება წინ მიდის,
მიდის,
მიედინება...

ჩვენ,
დღევანდელ დღის გმირნი,
მეხოტბენი ხვალისა,
ვუმღერთ ძველის ნგრევას და
ახლის აღორძინებას[1].

„ძველის ნგრევა და ახლის აღორძინება“ კი ისეთი მოვლენაა, რომელიც საზოგადოების ყოველი ფენის ერთსულოვან აღფრთოვანებასა და აღტაცებას როდი გამოიწვევს. ყველას ერთნაირად როდი ესმის, რა არის ძველი და რა—ახალი, რა უნდა დაინგრეს, რა უნდა შევუნახოთ შთამომავლობას. საზოგადოების მეტ ნაწილს ყოველთვის როდი სურს, იყოს მოწმე ძველის ნგრევის და ახლის შენებისა, რადგან ობივატელისათვის ყველაფერი უკვე მოწყობილია, ცხოვრებამ უკვე მოიპოვა მისთვის დამაკმაყოფილებელი რიტმიცა და ხალისიც. ამიტომ ნაზიმ ჰიქმეთის ამ მოწოდებას, ცხადია, ბევრი ვერ გაიზიარებდა. მით უმეტეს, რომ თურქეთმა ახლახან დაამთავრა დიდი ომი, ახლახან მოისვენა სახელმწიფომ. მართალია, მან დაიწყო განვითარების ახალი ფაზა, მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთისათვის, რომელიც კარგად იცნობდა სხვა ხალხთა და კლასთა ბრძოლის ისტორიას, თურქეთი მაინც არ იქნებოდა სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფო, რადგან იგი კაპიტალიზმის მრავალგზის ნატკეპნი გზით მიდიოდა. პოეტის მიზანი კი იყო „ძველის ნგრევა და ახლის შენება“. ეს მიზანი მან ლოზუნგად ისროლა სახელმწიფოში. მოსალოდნელი იყო რეპრესიები, დევნა, რადგან პოეტისეულ ლოზუნგსა და სახელმწიფოს მოწოდებას შორის დიდი ზღვარი იდო, მაგრამ პოეტისათვის მაშინ არც დევნა დაუწყიათ და არც მის მოწოდებას მოჰყოლია რაიმე რეპრესია.

ნაზიმ ჰიქმეთს წაუყრუეს, რადგან მის ლოზუნგს იმ დროს ხალხში დიდი გამოხმაურება არ ჰქონია. თითქოს მთავრობამაც ვერ გაიგო იგი. გვიან მიხვდნენ, რომ ამ ლოზუნგს თურმე შენელებული მოქმედების ყუმბარის თვისება ჰქონია და მოულოდნელად აფეთქდა მაშინ, როცა მთელ ქვეყანას შეიხ საიდის აჯანყება მოედო. ეს აჯანყება თავისი ხასიათით რეაქციული მიმართულებისა იყო. ოფიციალურმა თურქეთმა შესანიშნავად აუღო ალღო დროს და აჯანყე-

[1] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

ბა თავისივე მიზნისათვის გამოიყენა — გადაწყვიტა თავი დაეზღვია შემდეგი უსიამოვნებებისაგან და გზა მოუჭრა ყოველგვარ დემოკრატიულ მოძრაობას. მყისვე აკრძალა „აიდინლიქი“ და „ორაქ ვე ჩექიჩი“. ეს იყო მუსტაფა ქემალის მთავრობის პირველი ანტიდემოკრატიული გამოსვლა. აქედან იწყება კომუნისტური იდეების ის საშინელი დევნა, რომელმაც მრავალი ტანჯვა და ციხის კედლებში გატარებული წლები არგუნა წილად თურქ კომუნისტებს.

მთავრობა ამასაც არ დასჯერდა და 1925 წლის პირველი მაისის წინა დღეებში მოულოდნელად დააპატიმრა თურქეთის მუშათა და გლეხთა სოციალისტური პარტიისა და პროფესიული კავშირების მოწინავე მოღვაწეები.

ეს მოვლენა მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია თურქი ხალხის ცხოვრებაში — ქემალისტების მთავრობამ ყველას აშკარად დაანახვა, რომ იგი ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი იქნებოდა და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა კომუნისტური იდეების გავრცელებას თურქეთში. მართალია, 1925 წლის გაზაფხულის ამბები ზღვაში წვეთია იმ რეპრესიებთან შედარებით, რასაც შემდეგ ეს მთავრობა მიმართავს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ზღვა წვეთშიც შეიცნობა.

„ორაქ ვე ჩექიჩისა“ და „აიდინლიქის“ დახურვით მთავრობამ გზა გადაუჭრა დემოკრატიული იდეების გავრცელებას. სწორედ „ორაქ ვე ჩექიჩის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ნაზიმ ჰიქმეთის ბევრი პოეტური ნაწარმოები. ამ ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილებით წამოიწყო მან ახალი თურქული პოეზიისათვის, მისი თემატური განახლებისათვის ბრძოლა. ჟურნალმა თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მარტო ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებითი დაოსტატების საქმეში, მან ახალ საფეხურზე აიყვანა თურქი მკითხველი. ჟურნალმა სტილიზებული, გათანამედროვებული ლეგენდებით კი არ გააბრუა და დაათრო თურქი ხალხი, არამედ გამოაფხიზლა და უთხრა: ნუ გამოვუდგებით წარსულის ქება-დიდებას, ხვალინდელ დღეზე უნდა ვიფიქროთ, რადგან თანამედროვეობა დიდს ვერაფერს სასიკეთოს გვიქადისო. ჟურნალმა ბრძოლის ნაპერწკალი ისროლა ხალხში. ნაპერწკალი კი გაღვივდა.

ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედების მკვლევარი ა. ბაბაევი აღნიშნავს:

„ნაზიმ ჰიქმეთისაგან სწავლობდნენ „ორაქ ვე ჩექიჩისა“ და „აიდინლიქის“ ირგვლივ შემოკრებილი ახალგაზრდა პოეტები. მოკლე დროის მანძილზე ამ ორგანოების ფურცლებზე დაიბეჭდა ათობით ნაწარმოები. ამ ლექსების ავტორები ბაძავდნენ „აღმოსავლეთის და დასავლეთის“, „ანატოლიის“, „ახალი ხელოვნების“ და „პოეტის“ ავტორს. ნაზიმ ჰიქმეთის მომხრეთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა.

ნაზიმ ჰიქმეთის მეთაურობით არსებული ახალი ლიტერატურული მიმართულება უნდა ყოფილიყო ყველაზე უფრო მოქმედი და უძლიერესი თურქულ მწერლობაში, მაგრამ მისი განვითარება ძალით, პოლიტიკური რეპრესიების მეოხებით შეაჩერეს“.

თურქეთის სოციალისტური პარტია არალეგარულად განაგრძობდა მუშაობას. ამ დროს ნაზიმ ჰიქმეთს ეძლევა საპასუხისმგებლო პარტიული დავალება: ჩასულიყო იზმირში და შეექმნა არალეგარული სტამბა. სამი თვე სტამბის შესაქმნელად მიწას თხრიდა პოეტი. რამდენიმე წლის შემდეგ ნაზიმ ჰიქმეთის პარტიული ცხოვრების ეს მომენტი ასეთ ასახვას ჰპოვებს ლექსში „ოქტომბრის რევოლუციას“:

ბედნიერება მრავალგვარია,
ვთქვათ, რომ პარტიამ გიბრძანა ასე —
სხვაც კიდევ სამნი შენთან არიან
და ღამღამობით, ფარულად მთაში,
შენ სტამბას აწყობ ხალისით საესე![1]

ნაზიმ ჰიქმეთის ცხოვრების ეს მომენტი კარგად აისახა ზემოხსენებულ რომანში „რომანტიკა“, მისი მთავარი გმირი აჰმედი თვეების განმავლობაში არ გამოდის დღის შუქზე და გატაცებით მუშაობს პარტიული დავალების შესასრულებლად. მწერალი ასე აღწერს იზმირში გატარებულ დღეებს: „მაშინ სიბნელესა და ვიწრო ქაბანეში (ჩვენში ასე ეძახიან ჭოხმახებს) მიხდებოდა ცხოვრება. ეს იყო ქვის პაწია სახლი, რომელსაც არც ფანჯარა ჰქონდა და არც შუქი შემოდიოდა საიდანმე. ღამღამობით გამოვდიოდით ამ სახლიდან და ფრთხილად, ჩაბნელებული მოსახვევებით მივდიოდით იატაკქვეშელთა კრებაზე. შემდეგ კვლავ ქაბანეში ვბრუნდებოდი და მეორე დღის

[1] თარგმნა ნ. მალაზონიამ.

დაღამებამდე იქ ვიჯექი. ასე სიბნელეში გავატარე რამდენიმე თვე. უფულობის გამო ნავთის ლამფაც ვერ ამენთო. მახსოვს, ოთახში მხოლოდ ერთი ციცქნა მზის შუქი შემოდიოდა რომელიღაც ნასვრეტიდან. ეს შუქი თუ მომაგონებდა, რომ კედლის მიღმა არსებობდა მზე, სინათლე, ცა".

ნაზიმ ჰიქმეთს სურს, ერთგვარი კორექტივები შეიტანოს აღმოსავლეთზე შემუშავებულ ისტორიულ შეხედულებაში. მე-17—18 საუკუნიდან მოყოლებული აღმოსავლეთზე შეიქმნა წარმოდგენა, რომ ეს მხოლოდ ლამაზ ზღაპართა მხარე იყო, თითქოს აღმოსავლეთში საზის მუსიკით გაბრუებულნი ცხელ ბაგეთა მხურვალებაში ნეტარებდნენ და ნარგილეებით თვრებოდნენ, ხოლო ქალები მუცლის ცეკვით აბრუებდნენ მამაკაცებს. ჩვენი აზრით ყოველივე ეს არ იყო აღმოსავლეთისათვის უცხო მოვლენა და ტენდენციურნი არიან ისინი, რომლებიც აკრიტიკებენ ევროპელ მწერლებს პიერ ლოტის, ალფონს დე ლამარტენს, კლოდ ფარენს, თურქ მწერლებს: ფარუკ ნაფიზს, რუშენ ეშრეფს, ფელიჰ რეფკისა და სხვებს. არ შეიძლება მწერლის დანაშაული იყოს ის, რომ მან ვერ შეამჩნია კლასთა ფარული ბრძოლა. ნაზიმ ჰიქმეთი მეოცე საუკუნის მებრძოლი პოეტი, შეეპაექრა წინა საუკუნის თავის ევროპელსა თუ თურქსავე კოლეგებს და ლექსში „პიერ ლოტი" თქვა: „აღმოსავლეთი ქვეყანაა შიშველ მონების", აზია კი მხარეა, რომელშიც

მაღალ ანძებზე
ჩინელები,
როგორც სანთლები,
შიმშილისაგან და ჯაფისაგან დანასუსტები.
დაუკიდნიათ
წამებულნი
საკუთარ თმებით[1].

ანატოლია კი უცხოთა ჯარების პოლიგონად გაუხდიათო. ამ ლექსში სრულყოფილად, ბრწყინვალედ გამოვლინდა ნაზიმ ჰიქმეთის მოქალაქეობრივი პათოსი, მისი, როგორც პოეტის შემოქმედებითი ნატურა. თურქმა მკითხველმა დაინახა, რომ ნაზიმ ჰიქმეთის სახით მას ჰყავს ვაჟკაცური გულის ქომაგი. „პიერ ლოტი"

[1] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

იმ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ ლექსთაგანია, რომელსაც შემოქმედებითი აღიარება მოაქვს ხოლმე ავტორისათვის და ავტორის სახელს ქვეყნის ოთხივე მხარეს გასტყორცნის.

მართლაც, გაივლის 15 წელი და თურქეთისათვის შორეულ არგენტინაში, არგენტინელი ლიტერატურათმცოდნე ჟ. გ. ბლანკო ვილალტი იტყვის:

„ნაზიმ ჰიქმეთი აღწერს აღმოსავლეთის მორალურ და მატერიალურ სიღარიბეს. ეს კი პოეტის შემოქმედებას ღრმად რეალურ ხასიათს აძლევს. ეს ასხვავებს მას ევროპელი მწერლებისა და არა მხოლოდ ევროპელი, არამედ თვით თურქი მწერლებისგანაც, რომლებიც აღმოსავლეთზე გამოგონილ ლეგენდებს თხზავენ. ამ მწერლებმა თურქეთის სინამდვილე ყალბი პოეზიით შემოსეს“.

ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ მოსკოვიდან თურქეთში ჩასული ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებითი ნაყოფიერების თაობაზე და დავინახეთ, რომ ამ პერიოდში ნაზიმ ჰიქმეთის არსებაში მებრძოლი კომუნისტი დომინანტობს მებრძოლ პოეტს. მას სულ რამდენიმე ლექსი აქვს შექმნილი, მაგრამ ნაწილი იმათგან, რაც ამ ერთი წლის მანძილზე შეიქმნა, სამუდამოდ შევიდა პოეტის შემოქმედებითი ოსტატობის მაჩვენებელ ლექსთა სიაში.

„პიერ ლოტისთან“ ერთად შეიქმნა ლექსი „მზის მსმელთა სიმღერა“ — მოქალაქეობრივი ლირიკის ბრწყინვალე ნიმუში. ეს დიდი რევოლუციის ბარიკადებზე სამღერი ლექსია. მას უნდა მღეროდნენ სულით ძლიერნი და კუნთმაგარი, დაუმორჩილებელი ადამიანები. რადგან სწორედ დაუმორჩილებელთა და შემტევთა ჰიმნია იგი. ჩვენი აზრით, სწორედ „პიერ ლოტისა“ და განსაკუთრებით „მზის მსმელთა სიმღერაში“ გამოჩნდა ნაზიმ ჰიქმეთი არა მარტო როგორც პოეტი-ტრიბუნი, პოეტი-მებრძოლი, არამედ როგორც ლექსის ჩინებული ოსტატი, ადამიანი, რომელიც მხოლოდ კეთილშობილური იდეების ქადაგებით კი არ იპყრობს მკითხველს, არამედ თავისი პოეტური ნათელხილვითაც, ამ კეთილშობილური იდეებისათვის ნამდვილი პოეტური ფორმის გამოძებნით. ქართული პოეზიის მიღწევად, ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების მაღალი პროფესიულობის დასტურად მიიჩნევა ის გარემოება, რომ ჩვენ გვაქვს ამ ლექსის ბრწყინვალე თარგმანი, რომელიც უდროოდ დაღუპულ ვ. კეკელიძეს ეკუთვნის. ეს ლექსი მსოფლიოს

მრავალ ენაზე ითარგმნა და ქართული, ვ. კეკელიძისეული თარგმანი თუ ყველაზე ძლიერი არა, ერთ-ერთი საუკეთესოა. ეს თვით ნაზიმ ჰიქმეთმაც აღიარა, როცა კეკელიძისეული თარგმანი წაუკითხეს. ამ აღიარების დასტური იყო ის, რომ მთელ მსოფლიოში სახელმოხვეჭილმა პოეტმა უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა მთარგმნელის საფლავზე ყვავილები მიიტანა. ეს იყო 50-იან წლებში.

თუ „მზის მსმელთა სიმღერას“ ყურადღებით წავიკითხავთ, ბევრ საერთოს აღმოვაჩენთ ამ ლექსსა და მაქსიმ გორკის „ქარიშხალას“ შორის.

ეს საერთო კი, უწინარეს ყოვლისა, ნაწარმოების რევოლუციურ-რომანტიკულ სულისკვეთებაში მდგომარეობს. რევოლუციურია პოეტის პათოსი, ლექსის მთლიანი განწყობილება.

აი, ეს სიმღერა:

მიწის თასით მზეს რომ სვამენ,
მათი არის,
ვინც ძველს ანგრევს
და ახლად წერს
სხვა ცხოვრების მატიანეს...

პოეტს მიაჩნია, რომ ახალ ეპოქაში ახალი ადამიანები ებრძვიან დროს, ჰქმნიან დოვლათს. ეს ადამიანები მას არწივებისათვის შეუდარებია, მაგრამ ამ ლექსში არ არიან კონკრეტული პიროვნებები. პოეტს ფართო პლანით აქვს დანახული პროგრესისათვის მებრძოლ მეოცე საუკუნის ადამიანთა ყოფა.

შეტევა გვაქვს დიად მზეზე
და დაპყრობა მისი გვინდა,
ახლოს არის გამარჯვება,
ჩამოვიტანთ მნათობს ციდან[1].

ასეთია ამ ადამიანების რწმენა, ისინი მთის არწივებივით არიან, უტევენ დიდ სიმაღლეებს, რათა კაცობრიობას სინათლე და სიკეთე მოუტანონ.

ნაზიმ ჰიქმეთი გატაცებით განაგრძობს პარტიულ მუშაობას, რეაქციაც არ აყოვნებს. 1925 წლის აგვისტოში ანკარაში თურქეთის მთავრობამ მოაწყო „კომუნისტური პროცესი“. დამნაშავის სკამზე

[1] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

ნაზიმ ჰიქმეთი იჯდა, მხოლოდ დაუსწრებლად — იზმირში არალეგარულად მომუშავე პოეტის კვალს ეერა და ვერ მიაგნეს. ასე რომ, პოეტს დაუსწრებლად მიუსაჯეს 15 წლის პატიმრობა. ამ დროისათვის ნაზიმ ჰიქმეთი მხოლოდ 23 წლისა იყო და მთავრობისათვის იმდენად საშიშ ძალას წარმოადგენდა, რომ გამალებით დაეძებდნენ.

ბედნიერი იყო იმ წლებში ნაზიმ ჰიქმეთი. ასეთი ბედნიერება ბევრს როდი ხვდა წილად. იგი იბრძოდა, აკეთებდა თავისი ერის საქმეს. ეს ყმაწვილი კაცი ერის ინტერესებით სუნთქავდა. განა შეიძლება არსებობდეს ამაზე დიდი ბედნიერება? მის სულში სუფევდა ადამიანებისადმი ღრმა რწმენა, უსაზღვრო სიყვარული, და მზად იყო ყოველგვარი მსხვერპლი გაეღო ამ ადამიანებისათვის.

რა იყო იმ დროს ნაზიმ ჰიქმეთისათვის ლექსები? დაუხარჯავი შემოქმედებითი ენერგიის დახარჯვა? რასაკვირველია, არა! ლექსებით იგი მილიონებს ელაპარაკებოდა, მისი ლექსები საზოგადოებას მიმართულებას აძლევდა.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, უკვე ციხიდან განთავისუფლებული, მოსკოვში ჩამოსული ნაზიმ ჰიქმეთი სიჭაბუკის დროინდელ ლექსებზე იტყვის:

„სიამენარევი ნაღველით წავიკითხე ოცდაექვსი წლის წინ დაწერილი ჩემი ლექსები. მადლობა ღმერთს, მე ახლაც ისეთივე ბავშვი ვარ, როგორც ოცდაექვსი წლის წინათ ვიყავი. ახლაც, ოცდაექვსი წლის შემდეგ, მიპყრობს „წლების გარსის“ გარღვევის სურვილი, კვლავ მიპყრობს დარდი „სხვადასხვა ზეციურ ფერებზე“. ციხემ წამართვა ძილი, მადა, ჯანმრთელობა, მაგრამ ჩემში ვერ ჩაკლა ოპტიმიზმის ვერც ერთი წვეთი, ვერ წამართვა ადამიანებისადმი რწმენა“.

ამ სიტყვებში ბევრი რამ ენიშნება ადამიანს. რატომ იგონებს პოეტი სიამენარევი ნაღველით ახალგაზრდობის წლებს? სიყმაწვილეში პოეტი იბრძოდა, ქვეყანა სულ სხვა იყო მისთვის, ვიდრე 60 წელს მიღწეული დასნეულებული ადამიანისათვის. ის ლექსები კი პოეტს თავისი დაუდეგარი და დაუოკებელი ახალგაზრდობის წლებს მოაგონებდნენ.

ბრძოლა წინააღმდეგობებითაა მოცული. ზოგჯერ საჭიროა ბრძოლის ველს გაეცალო. ასე მოუვიდა იზმირში მყოფ ნაზიმ ჰიქმეთს — მას თურქეთში აღარ დაედგომებოდა. უნდა გაცლოდა

ბრძოლის ველს, რადგან რეაქციის რკალი თანდათან ვიწროვდებოდა. 1925 წლის მიწურულს პარტიის მითითებით საიდუმლოდ გადმოლახა საზღვარი და საბჭოეთში ჩამოვიდა.

„ზღვასთან მინდა დაბრუნება, ზღვასთან მისვლა მინდა“

ლენა, ანუ როგორც მას ნაზიმი ეძახდა, ლელია იურჩენკო, იყო ქალი, რომელმაც ანდამატივით მიიზიდა ჭაბუკი ნაზიმ ჰიქმეთის გული. ყმაწვილმა პოეტმა მოსკოვის მიწას რომ პირველად დაადგა ფეხი, ლელია იურჩენკო გაიცნო. ლელია იურჩენკო მათი ჯგუფის მთარგმნელად გამოეყოთ. მაგრამ თურქი ყმაწვილისა და რუსი გოგონას ურთიერთობა გასცდა მთარგმნელისა და სხვადასხვა ინფორმაციების მიღებით დაინტერესებული პირის ურთიერთობის ფარგლებს და იმ ნათელ გრძნობად იქცა, რომელიც ოცნების ფრთებს ასხავს ადამიანს, აკეთილშობილებს და აფაქიზებს მის სულს. თუ ნაზიმ ჰიქმეთი საბჭოეთში ჩამოსვლის პირველი თვეებიდან ლიტერატურული მოსკოვის ცენტრში მოხვდა, ეს სწორედ ლელია იურჩენკოს მეოხებით იყო. სწორედ მან გააცნო და დააახლოვა იგი ახალი თუ ძველი თაობის ბევრ შემოქმედს. ამ ახალგაზრდა და მიმზიდველ ქალს უკვე ცხოვრების დიდი გზა გაევლო, რამდენიმე წელი გაეტარებინა სამოქალაქო ომში, ედუარდ ბაგრიცკისთან ერთად იბრძოდა ცეცხლის ხაზზე. სწორედ ლელია იურჩენკომ გააცნო ედუარდ ბაგრიცკის, ნაზიმ ჰიქმეთის ლექსების პირველ მთარგმნელს რუსულ ენაზე.

როცა 1925 წლის ბოლოს ნაზიმ ჰიქმეთმა საიდუმლოდ გადმოლახა თურქეთის საზღვარი და მეორედ ჩამოვიდა საბჭოეთში, მისთვის ეს ქვეყანა უცნობი აღარ იყო. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა მოსკოვში. ამას გარდა, ნაზიმ ჰიქმეთს უკვე აქვს არალეგარული მუშაობის გამოცდილება, არის კომუნისტური პარტიის წევრი, გაამართლა ის იმედები, რასაც სწავლის პერიოდში მასზე ამყარებდნენ.

ამ დროს ნაზიმ ჰიქმეთი უფრო სერიოზულად ჰკიდებს ხელს

თეატრალურ ხელოვნებას. ნიკოლოზ ეკთან და იანუშკევიჩთან ერთად სურს დააარსოს ახალი თეატრი, რომელიც რევოლუციური მარქსისტული იდეების ცოცხალი აგიტატორი იქნება, ფართო მაყურებელს მიიზიდავს და „სამუდამოდ მოუღებს ბოლოს სამხატვრო და კამერული თეატრების ბატონობას". რასაკვირველია, ნაზიმ ჰიქმეთი ღრმად ცდებოდა, როცა ცდილობდა დაემცირებინა სამხატვრო, ან თუნდაც კამერული თეატრის როლი რევოლუციური იდეების გავრცელების საქმეში. სამხატვრო თეატრმა, ამ თეატრში დადგმულმა ანტონ ჩეხოვისა და მაქსიმ გორკის ნაწარმოებებმა ახალი ხასიათის რუსული ინტელიგენცია აღზარდეს. სამხატვრო თეატრმა უდიდესი როლი შეასრულა რუსეთში რევოლუციური აზროვნების განვითარების საქმეში. ასევე მცდარი იყო ნაზიმ ჰიქმეთის დამოკიდებულება კამერული თეატრის მიმართაც. „კამერული თეატრი" რევოლუციამდელი რუსეთის ერთ-ერთი რევოლუციური — „თავისუფალი თეატრის" ნანგრევებზე აღმოცენდა. „თავისუფალი თეატრის" შემქმნელი კოტე მარჯანიშვილი სწორედ რევოლუციური სულისკვეთების შემოქმედი იყო .ამ შემოქმედებით მემკვიდრეობაზე აღმოცენებული ალ. თაიროვის კამერული თეატრიც განაგრძობდა მარჯანიშვილის ტრადიციებს, ამიტომ ნაზიმ ჰიქმეთის ასეთ მისწრაფებას ერთგვარი აჩქარების ბეჭედი აზის. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ დროს ნაზიმ ჰიქმეთი მხოლოდ და მხოლოდ 23 წლისა იყო. ამას გარდა, მაშინ სამხატვრო თუ კამერული თეატრების აუგად ხსენება არც ისე უცხო ხილი გახლდათ. მსოფლიო რევოლუციის მოსურნე ახალგაზრდობას სულს ხდიდა სამხატვრო თეატრის სტილი, მისი ნატურალიზმამდე დასული რეალიზმი.

თეატრი, რომელიც ასე სურდათ ნაზიმ ჰიქმეთსა და მის მეგობრებს, შეიქმნა. იგი მოათავსეს ყოფილი კინოთეატრის „შანუარის" შენობაში—მაშინდელ „სტრასტნი ბულვარზე", ახლანდელ პუშკინის მოედანზე. თეატრს დაერქვა Метла, რომელიც ასე იკითხებოდა: Московский единий театральный Ленинский артель (მოსკოვის ერთიანი თეატრალური ლენინური არტელი") თეატრს ხელმძღვანელობდნენ ნუნ ჰა, იუ და იანუშკევიჩი.

ნუნ ჰა ნაზიმ ჰიქმეთი იყო. ფსევდონიმი წარმოსდგა პოეტის სახელისა და გვარის პირველი ბგერებისაგან: ნაზიმ ჰიქმეთს არ

სურდა, საქვეყნოდ ყოფილიყო ცნობილი მისი მოსკოვში ცხოვრების ამბავი.

იუ ნიკოლოზ ეკი იყო. იანუშკევიჩი კი (მისი მეუღლე) იმ დროს საკმაოდ ცნობილი მსახიობი ქალი რეგინა იანუშკევიჩი.

1925 წელს მოსკოვის ქუჩებში გააკრეს ვიწროდ და გრძლად დაბეჭდილი უცნაური აფიშები, რომლის შუაგულშიც დახატული იყო წითელი წრე, ამ წრეს შავი ცოცხი ხვეტდა. აფიშაზე ეწერა: „თეატრი მეტლა, სამხატვრო ხელმძღვანელი ნიკოლოზ ეკი. თეატრის საშტატო პოეტი — ამხანაგი ნაზიმი". ქვემოთ კი თეატრის მისამართი და უახლესი დადგმების სია იყო ჩამობეჭდილი. თეატრის შენობაზე წითლად შეღებილი ფანერისაგან გამოჭრილი უზარმაზარი მამაკაცის ფიგურა მიემაგრებინათ. ეს კაცი გაბედულად მიაბიჯებდა ტვერის ბულვარისაკენ.

თეატრის დასის წევრები იყვნენ რუსები, იაპონელები, ჩინელები, თურქები, ირანელები და ასე შემდეგ. ადამიანები, რომლებსაც ერთიმეორის ენა არ გაეგებოდათ. ამიტომ თეატრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, თეატრალური ხელოვნების იმ საშუალებისათვის მიემართა, რომელიც ერთნაირად გასაგები იქნებოდა ყველასათვის. ეს იყო პანტომიმა. მათ პანტომიმის მეოხებით უნდა გადაეცათ მაყურებლისათვის თავისი სათქმელი. გარდა ამისა, თეატრი საცირკო ანტრესაც მიმართავდა, რუსული სახალხო ბალაგანის, იმპროვიზაციის და თურქული თეატრის „ყარაგიოზის" გამომსახველ საშუალებებს. „მეტლა" მიზნად ისახავდა „გამოეწმინდა თეატრი ფსიქოლოგიური ნაგავისაგან" (ვ. მაიაკოვსკი).

„მეტლას" პირველ სპექტაკლს ერქვა „პირველი საესტრადო კომპლექსი". სპექტაკლის სცენარის ავტორი იყო ნაზიმ ჰიქმეთი. ნაზიმ ჰიქმეთის თანამდებობა ამ თეატრში ასე განისაზღვრებოდა— პოეტი. მას უნდა დაეწერა სცენარები, მაგრამ ეს სცენარები მეტწილად იმპროვიზაციული ხასიათისა იყო. მის შექმნაში მონაწილეობდნენ მსახიობები, რეჟისორები და თეატრის სხვა მომსახურე პერსონალი.

ამ თეატრის მსახიობმა, შემდეგ ცნობილმა საბჭოთა დრამატურგმა ისიდორ შტოკმა თავის წიგნში „მოთხრობები დრამატურგებზე" ასეთი მოგონება დაგვიტოვა „მეტლასა" და იმ წლების ნაზიმ ჰიქმეთზე:

„მაყურებელთა დარბაზში, რეჟისორის მაგიდასთან ეკი და ნაზიმი ისხდნენ. ნაზიმი იყო გამხდარი, მაღალი, ცისფერთვალება. მას ქერა, ძალიან ლამაზი თმა ჰქონდა. ულვაშს ხან წამოიზრდიდა, ხანაც მოიპარსავდა ხოლმე. ულვაში ძალიან ჩქარა ეზრდებოდა.

ჩვენ, მსახიობები, სცენაზე დავრბოდით და შირმას დავარბენინებდით, ხან ის ადამიანები ვიყავით, რომლებიც ჯარისკაცებს განაიარაღებენ, ხანაც ჯარისკაცები, რომლებიც ხალხს ესვრიან. ხან ბურჟუები ვიყავით, ხანაც მუშები. ყოველი მსახიობი რამდენიმე როლს ასრულებდა. ასე ვიქმოდი მეც. ერთ-ერთ სცენაში დაჭრილ ჯარისკაცს ვთამაშობდი და ბრძოლის ველზე უნდა მოვმკვდარიყავი, მაგრამ იმდენად არაბუნებრივად ვკვნესოდი, რომ ეკმა სცენიდან გამაძევა. გაბრაზებული პარტერში დავეშვი და ნაზიმის გვერდით მოვკალათდი. ნაზიმი გაოცებული იყო:

— რატომ არ შეგიძლია, ძამიკო, კვნესა? სასაცილო კაცი ყოფილხარ.

სცენაზე კი რომელიღაც ფაბრიკის ერთი უბრალო მუშა გოგონას ცხოვრებას აჩვენებდნენ. ბაიანი „კირპიჩნიკს“ უკრავდა. პატარა-პატარა სცენებს კინოკადრები ენაცვლებოდა. ეს სცენები დიდი მხატვრული ღირებულებით ვერ დაიკვეხნიდნენ. ჩვენ შირმებს დავარბენინებდით, პროჟექტორის შუქი კუდში გვდევდა. ბაიანი „კირპიჩნიკს“ უკრავდა. ფინალში ყველა ვყვიროდით: ვაშა! კვლავ ვმღეროდით „კირპიჩნიკს“ და მერე ჩვენ-ჩვენს სახლებში მივდიოდით.

მაყურებელთა რიცხვი თანდათან მცირდებოდა. ზოგიერთი ხუმრობდა: „მეტლას“ თეატრში სპექტაკლ „პეკზე“ მუდამ ჩაბნელებას თამაშობენო. ჩანაფიქრი ურიგო როდი იყო — ჩაბნელება, ისე როგორც კინოში, სცენების სწრაფი ცვლა, მაგრამ ძალიან ცუდი ტექნიკა გვქონდა, არაფრად არ ვარგოდა.

ნაზიმი ძალიან დაკავებული იყო აღმოსავლეთის მშრომელთა კულტურის უნივერსიტეტში. ამასთან ერთად, გამუდმებით წერდა პიესებს, ლექსებს. წერდა ქუჩაში, სახლში, სხდომებზე, ერთი სიტყვით, გრაფომანივით იყო. ჩვენი სპექტაკლები კი დღითიდღე ფუჭდებოდა. „შანუარის“ შენობიდან გამოგვყარეს, ახლა სხვადასხვა კლუბებში ვმართავდით სპექტაკლებს.

წინ დიდი სამუშაო გველოდა. ნაზიმმა და ეკმა გადაწყვიტეს,

ორი მრავალსერიიანი თეატრალური ეპოპეა შეექმნათ და იცით, რა უნდა ყოფილიყო ეს? „სახელმწიფო და რევოლუცია“ და „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. აქამდე კი ნაზიმმა დაწერა პიესა „ყველაფერი საქონელია“. იგი ასახავდა მეცნიერის სავალალო ბედს კაპიტალიზმის ქვეყანაში. პიესას ასეთი ქვესათაური ჰქონდა: „მარქსიზმის პირველი სცენური გაკვეთილი“. ამ პიესამ ძალიან გაგვიტაცა, როლები გაანაწილეს, რეპეტიციებიც დაიწყო, მაგრამ ამასობაში ჩვენი თეატრი საბოლოოდ დაიხურა“.

„მეტლაში“ თანამშრომლობდა დიდი რუსი პოეტი ვ. მაიაკოვსკიც. ამ თანამშრომლობამ საბოლოოდ დაამეგობრა ნაზიმ ჰიქმეთი და მაიაკოვსკი.

„მეტლამ“ ექვს თვეზე ცოტა მეტი თუ იარსება. ამ მოკლე ხნის მანძილზე თეატრმა რამდენიმე სპექტაკლის წარმოდგენა მოასწრო და ყოველი პიესის ავტორი ნაზიმ ჰიქმეთი იყო. ამ ექვს თვეში ნაზიმმა დაწერა პიესები: „ვინ არის დამნაშავე“, „კირპიჩნიკი“, „პირამიდა“, „იმპერიალიზმი“ და რამდენიმე საესტრადო კომპლექსი. „კირპიჩნიკი“ პოპულარული რუსული სიმღერის ინსცენირება იყო, ხოლო „პირამიდის“ შექმნა ბათუმის ქუჩებში ნანახმა სააგიტაციო ფურცლებმა ჩააგონეს. ამ ფურცლებზე პირამიდისებურად იყო ნაჩვენები სოციალური ფენების იერარქია — თუ როგორ ჩაგრავდა მუშას ქარხნის მფლობელი, მღვდელი, მეფე და სხვა.

მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ, ნაზიმ ჰიქმეთმა ასე დაახასიათა „მეტლაში“ თავისი მუშაობა:

„მცდარი იყო ის პრინციპი, რომელზედაც პიესებს ვაგებდით. ეს პიესები იყო წიგნების ილუსტრაციათა სერიები. ჩვენ სცენურად წარმოვსახავდით წიგნების ფურცლებს. სინამდვილეში კი მხატვრულ ფორმებში უნდა გადმოგვეცა ამ წიგნების იდეები. მე მაინტერესებდა არა მარტო ადამიანთა სახეები, არამედ რეზულტატი. სწორედ ეს იყო ჩემი შეცდომა“.

ამ სიტყვებს ხანდაზმული ნაზიმ ჰიქმეთი ამბობდა, მაგრამ მაშინ, სიჭაბუკეში, მას ამაზე არ უფიქრია. იგი კვლავ ზემოხსენებული მეთოდით განაგრძობდა მუშაობას. მართალია, დრამატურგიაში მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების არასწორმა სცენურმა ინტერპრეტაციამ მარცხი განიცადა, მაგრამ იგი პოეზიაშიც სცდიდა ამ მეთოდს. ნაზიმ ჰიქმეთი ესწრაფოდა, პოეტური ხერხებით გად-

მოეცა მარქსიზმის ყოვლისმძლე იდეები. ამის მაგალითია 1926 წელს შექმნილი ლექსი „ბერკლი“, რომელსაც საფუძვლად დაედო ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. მართალია, ამ ლექსის ამოსავალი წერტილი და მთავარი საყრდენი ბერკლის ფილოსოფიური მოძღვრებაა, ე. ი. არ არის პოეზიის საგანი, მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთმა მაინც შეძლო ნაწარმოები პოეტურ ქმნილებად გაეხადა. ეს არის კამათი ცნობილ ფილოსოფოსთან, კამათი, რომელიც ორ სრულიად სხვადასხვა პოზიციაზე მდგარი ადამიანების შეუთანხმებლობით მთავრდება.

რუსი ჰიქმეთოლოგი ა. ბაბაევი „ბერკლის“ „ფილოსოფიურ ლექსად“ მიიჩნევს, რაც, ვფიქრობთ, ნაწარმოების არასწორი გაგებიდან გამომდინარეობს. ამ დროის ნაზიმ ჰიქმეთისათვის ფილოსოფიური ლირიკა, ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებები ჯერ კიდევ არ იყო დამახასიათებელი. ამგვარ ლექსებს ნაზიმ ჰიქმეთი უფრო მოგვიანებით წერს, როცა სიჭარმაგეში შედგა ფეხი. „ბერკლი“ კი მხოლოდ ფილოსოფოსთან კამათია. მართალია, კამათის საგანი ფილოსოფიურ სფეროს განეკუთვნება, მაგრამ თვით მეთოდი არ არის ფილოსოფიური. ეს არის ორ საპირისპირო პოზიციაზე მდგარი იდეოლოგის კამათი. უფრო მეტიც — შებრძოლება, რომელშიც ბრძოლის ყოველი ხერხი გამართლებულია.

ა. ბაბაევი არა მარტო „ბერკლის“, ნაზიმ ჰიქმეთის მიერ ამ წლებში დაწერილ კიდევ რამდენიმე ლექსს მიიჩნევს ფილოსოფიურ ლექსებად: „ფიქრები ჰერაკლიტეზე მოსკოვში“, „ტყავისყდიანი წიგნი“.

დავუბრუნდეთ ნაზიმ ჰიქმეთის მოსკოვში ცხოვრების წლებს.

1927 წელს მოსკოვში ჩამოდის ახალგაზრდა რეჟისორი მუჰისინ ერთურღული. ნაზიმ ჰიქმეთმა სწორედ მოსკოვში გაიცნო თურქი რეჟისორი, რომელმაც შემდეგ დიდი როლი შეასრულა მისი დრამატურგიული ბედის შემდგომ ჩამოყალიბებაში: ნაზიმ ჰიქმეთმა მუჰისინ ერთურღული გააცნო ნიკოლოზ ეკს, ვსევოლოდ მეიერჰოლდს, თურქ რეჟისორს გააცნო მოსკოვის თეატრები. ერთურღული ესწრებოდა სტანისლავსკის რეპეტიციებს, თურქეთში ჩასვლის შემდეგ კი მან დადგა ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ და მ. გორკის „ფსკერზე“, გახდა სტანისლავსკის სისტემის აქტიური მიმდევარი.

ამ წლებში ნაზიმ ჰიქმეთი ეწევა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას, ქმნის ლექსებს, პოემებს, ბევრს მოგზაურობს, მონაწილეობს ლიტერატურულ დისკუსიებში, რომლებიც ხშირად იმართებოდა მწერალთა კლუბში; მხარს უჭერს კონსტრუქტივისტთა ლიტერატურული ცენტრის დაჯგუფებას. კონსტრუქტივისტთა ჯგუფში შედიოდნენ იმჟამად ახალგაზრდა და შემდეგში ცნობილი საბჭოთა პოეტები: კორნელი ზელინსკი, ილია სელვინსკი, ვერა ინბერი, ბორის აგაპოვი და თვით ნაზიმ ჰიქმეთის საყვარელი პოეტი ედუარდ ბაგრიცკი. კონსტრუქტივიზმით გატაცებამ დააწერინა ასეთი სტრიქონები:

„დიდი თეატრი გადაიქცევა პურის მარცვლის ჩინებულ ბეღლად. ხოლო მისი გარდერობი გუმის მანეკენებს ვუსახსოვროთ.“ კონსტრუქტივისტთა მხარეზე ნაზიმ ჰიქმეთი დააყენა სიახლისაკენ განუწყვეტელმა სწრაფვამ, თანამედროვეობის მძაფრმა გრძნობამ.

ნაზიმ ჰიქმეთს თავისი არსებობა ვერ წარმოედგინა თეატრის გარეშე. და აი, იგი ხდება ახალგაზრდა დრამატურგთა საწარმოო გაერთიანების წევრი. შესაძლოა, სიტყვა საწარმოო გაერთიანება დრამატურგიისათვის არც ისე შესაფერისია, მაგრამ როცა დავინახავთ, რომ ეს გაერთიანება ერთობლივ მუშაობას ნიშნავდა, ყველაფერი რიგზე იქნება. აქ ახალგაზრდა დრამატურგები იხილავენ ერთმანეთის ნაწარმოებებს. სწორედ აქ წაიკითხა ნაზიმ ჰიქმეთმა თავისი პიესის „ყველაფერი საქონელია“-ს პირველი ვარიანტი. წაიკითხეს ეკის, იანუშკევიჩისა და სტოლპერის კინოსცენარი „ცხოვრების საგზური“. შემდეგ ამ სცენარის მიხედვით შექმნილი ფილმი მთელს საბჭოეთში გახდა ცნობილი, ამ რამდენიმე წლის წინათ კი ხელახალი სიცოცხლე ჰპოვა ეკრანზე.

განხილვები შემოქმედებითი ხასიათისა იყო. იგი ნაკლებ მოგაგონებდათ მეგობართა თავყრილობას, რადგან ერთმანეთის ქებას ფასი არ ჰქონდა — ყველა ცდილობდა, ნაკლი უფრო შეემჩნია მეგობრის ნაწარმოებში, რომ ეს ნაწარმოები უკეთესი გამხდარიყო.

ხომ ძალზე მძიმე პირადი ცხოვრება ჰქონდა ნაზიმ ჰიქმეთს — მას არაერთხელ უგრძვნია მეგობართა დაკარგვის სიმწარე და საყვარელ ადამიანებთან ხანგრძლივი ან სამუდამო განშორების ტკივილი, მაგრამ პოეზიაში იგი იღბლიანი კაცი იყო. მან პირველი ლექსებითვე მიიპყრო ყურადღება. მას არ უგემია კოლეგათა განუ-

კითხაობა, თავიდანვე აღიარეს, როგორც ახალი მოვლენა თურქულ პოეზიაში. ამ პოეტური იღბლიანობის ერთ-ერთ დასტურად მიიჩნევა ისიც, რომ პირველად ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები რუსულ ენაზე თარგმნა ბრწყინვალე რუსმა პოეტმა ედუარდ ბაგრიცკიმ ნიკოლოზ დემენტიევთან ერთად. ამას დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ნაზიმ ჰიქმეთის პოეტური კარიერისათვის თავისი სამშობლოს გარეთ, რადგან თურქი პოეტისათვის რუსულ ენაზე თარგმნა მსოფლიო არენაზე გასვლის დასაწყისი იყო. და თუ მისი პირველი თარგმანების მეოხებით მკითხველი ვერ შეიგრძნობდა ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიის მომხიბლაობას, ვერ შეიგრძნობდა იმას, თუ რად წერდა ნაზიმ ჰიქმეთი ლექსებს, რა აწუხებდა მას და რა პოეტური ხერხებით გამოხატავდა ამ თავის სატკივარს, შესაძლებელი იყო, რუს მკითხველსა და ლიტერატურულ საზოგადოებრიობას სულაც დაჰკარგოდა ინტერესი მისი პოეზიისადმი.

ახალი საბჭოთა ლექსის ერთ-ერთი ოსტატი ედ. ბაგრიცკი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა თურქი ჰაბუკის ლექსების თარგმნას. მან და ნ. დემენტიევმა თარგმნეს შესანიშნავი ლექსები „პოეტი“, „მზის მსმელთა სიმღერა“, „პიერ ლოტი“, ხოლო ცოტა მოგვიანებით „მოგზაურობა ნავთობისაკენ“.

ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „Красная новь“-ის 1926 წლის მეათე ნომერში. ამ ლექსების მეოხებით რუსმა მკითხველმა გაიცნო ახალი, მეტად საინტერესო პოეტი, რომლის რევოლუციურ-რომანტიკული სულისკვეთება ბრწყინვალე გამოხატულებას ჰპოვებდა პოეზიაში.

ყოველივე ამან დიდი შემოქმედებითი სტიმული მისცა ახალგაზრდა პოეტს. ახლა იგი არა მარტო მთელი თურქეთისათვის იყო ცნობილი, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ედუარდ ბაგრიცკისთან შემოქმედებითმა დაახლოებამ, ნიკოლოზ ეკთან ერთად თეატრ „მეტლაში“ მოღვაწეობამ (ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ „მეტლასთან“ დაახლოებული იყო ვლ. მაიაკოვსკი) ნაზიმ ჰიქმეთს გარკვეული ლიტერატურული ავტორიტეტი მოუპოვა მოსკოვში.

ამის დასტური იყო ერთი ფაქტიც. 1926 წლის დეკემბერში მოსკოვში გაიმართა კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმი. გადაწყდა, რომ პლენუმის შემდეგ გამართულიყო პოე-

ზიის ინტერნაციონალური საღამო. საღამოზე ლექსები უნდა წაეკითხათ ყოველი სახელმწიფოს რევოლუციონერ პოეტებს. მსოფლიოს რევოლუციური მოღვაწენი და პოეტები დიდ თეატრში შეიკრიბნენ. ამ დიდ საკრებულოს თურქეთის სახელით სწორედ ნაზიმ ჰიქმეთი წარუდგა. ასეთ უზარმაზარ აუდიტორიას იშვიათად თუ იპოვის პოეტი — ნაზიმ ჰიქმეთის ლექსის „ახალი ხელოვნებას“ ინტონაციებმა, ტრიბუნულმა სულისკვეთებამ რევოლუციონერთა აღტაცება გამოიწვია. იმავე საღამოზე ნაზიმ ჰიქმეთის „პიერ ლოტის“ რუსული თარგმანი წაიკითხა ედ. ბაგრიცკიმ.

1927 წელს ნაზიმ ჰიქმეთი ბაქოში მიემგზავრება. მას ამოძრავებს ბუნებრივი სურვილი — უფრო მეტი რამ ნახოს და განიცადოს. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებაზეა დაწერილი ლექსი „მოგზაურობა ნავთობისაკენ“. ეს ის დროა, როცა საბჭოეთი უკვე ფართო ნაბიჯებით მიიწევს სოციალიზმისაკენ. საბჭოთა ხალხმა დაინახა, რომ მის ირგვლივ შემოკრებილ სახელმწიფოთა გადაუდებელი სურვილი და ამოცანაა, პირისაგან მიწისა აღგავოს საბჭოეთი. ამიტომ ჩვენი ქვეყანა იბრძვის თავდაცვის გაძლიერებისათვის და დიდი შრომითი პათოსით ცხოვრობს. ამ პათოსს, რომლის შექმნაც ხალხის მისწრაფებების გამომხატველი საბჭოთა პოეზიის დამსახურებაცაა, ხალხი ამოცანის დაძლევისაკენ მიჰყავს. ნაზიმ ჰიქმეთის „მოგზაურობა ნავთობისაკენ“ ერთ-ერთი გამოხატულებაა იმისა, თუ როგორ ეკიდებოდა პოეტი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საკითხებს. მან სცადა, ფართო პლანით წარმოესახა ჩვენი ხალხის ყოფა, გადმოეცა ხალხის მისწრაფებათა რომანტიკული სული.

მე კავკასიის
მიმაქროლებს მატარებელი,
არა რომ ვნახო
მინერალურ წყალთა შხეფები,
ბუტაფორიის მაგვარი და სადარებელი
მორუხო ცვილის
მოჯარული მთა და ხევები,
ან შევეფარო
კისლოვოდსკის სანატორიუმებს,
ან მზე ვიხილო
მთების ზემოთ უძრავად მდგარი[1].

[1] თარგმნა ნ. მალაზონიამ.

მართალია, პოეტის ეს ლექსი ყოველ მის კრებულშია შესული და, ალბათ, მომავალშიც ასე იქნება, ჰიქმეთოლოგებიც ამ ლექსს ყურადღებას და პატივისცემას არ აკლებენ, მაგრამ ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ პოეტის ეს ლექსი ვერ დგას სხვა მის ნაწარმოებთა სიმაღლეზე. ნავთობის ძლევამოსილების თემა მან ვერ დასძლია. პოეტის ეს შემოქმედებითი მარცხი განაპირობა თვით პოეტისავე შემოქმედებითმა ნატურამ, მისმა სულისკვეთებამ. საქმე ისაა, რომ ამ წლებში ნ. ჰიქმეთი უმთავრესად ჩინებულ, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალე ტრიბუნულ ლექსებს ქმნიდა. მისი სტიქია ბრძოლა და მწვავე სოციალური კონფლიქტების პოეტური ასახვა იყო, „მოგზაურობა ნავთობისაკენ“ კი სულ სხვა ხასიათის ლექსია. პოეტის მიზანია, გვაჩვენოს საბჭოეთის წინსვლა. იგი მოსკოვიდან მიემგზავრება ბაქოს და გზადაგზა გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს იმაზე, თუ როგორ გარდაიქმნა, როგორ წავიდა წინ რუსეთი. მას აღაფრთოვანებს ქვეყნის გამარჯვებული წინსვლის ყოველი გამოვლინება. ასე რომ, ლექსი უმთავრესად აღწერილობითი ხასიათისაა, აღწერილობითი ხასიათის პოეზია კი უცხოა სიჭაბუკის დროინდელი ნაზიმ ჰიქმეთისათვის. მით უმეტეს, რომ ამ აღწერილობას დიდი გააზრება არ ედო საფუძვლად.

პოეტი, რომელიც დიდ, სოციალური ჟღერადობის მქონე მოვლენებს ასახავდა, უცებ სულ სხვა, მისი შემოქმედებისათვის უცხო ამპლუაში მოგვევლინა და ყოველდღიურის, ყოფითის ასახვას მიჰყო ხელი, მასშტაბური შეცვალა კონკრეტულმა. პოეტის ეს ფერისცვალება კი გამარჯვებით არ დაგვირგვინდა.

მაგრამ ეს ლექსი მაინც საყურადღებო ნაწარმოებია. იგი ჩვენს ინტერესს იწვევს თავისი თემატიკით. საქმე ისაა, რომ 20-იანი წლების დასასრულს საბჭოთა პოეზიაში ფართოდ იჭრება ქვეყნის აღმშენებლობის, სოციალიზმისაკენ ძლევამოსილი სვლისა და მოსალოდნელი საფრთხის — უცხოეთის თავდასხმისათვის მზადყოფნის თემა. ნაზიმ ჰიქმეთმა ასახა თავის პოეზიაში საბჭოთა აღმშენებლობის თემა. ამ ლექსით თურქულ პოეზიაში შევიდა საბჭოთა თემატიკა, საბჭოთა ყოფა და მომავლის მკვლევარნი, როცა საბჭოთა და თურქული პოეზიის ურთიერთობების საკითხებს გამოიკვლევენ, ამ ლექსს გვერდს ვერ აუვლიან.

სულ სხვაგვარი აზრისა ვართ ნაზიმ ჰიქმეთის მიერ 1928 წელს

დაწერილ ლექსზე „კასპიის ზღვა“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ჰეშმარიტად ჰიქმეთისეულია. ლექსი ნაზიმ ჰიქმეთისათვის დამახასიათებელი მძაფრი, რომანტიული სულისკვეთებითაა გამსჭვალული. პოეტმა „კასპიის ზღვისადმი“ მიძღვნილ ლექსშიც კი მონახა ბრძოლისა თუ ურთიერთდაპირისპირების მოტივები და ამან გაცილებით საინტერესო გახადა ლექსი. ხოლო ცოტა მოგვიანებით დაწერილ ლექსში „სევდა“ ცხადად ჩანს იმ ადამიანის პატრიოტიზმი, რომელიც სამშობლოსა და თავის მთავარ საქმეს მოაშორეს.

1928 წელს დაიბადა ნაზიმ ჰიქმეთის ლექსების პირველი წიგნი „მზის მსმელთა სიმღერა“. ეს სათაური დაანათლა პოეტმა თავის პირველ წიგნს. „მზის მსმელთა სიმღერა“ ბაქოში გამოვიდა. იმ წლებში აზერბაიჯანელი ხალხი ჯერაც არაბული შრიფტით სარგებლობდა, თურქებივით. თურქეთში სწორედ 1928 წელს შემოიღეს ლათინური ანბანი. ამიტომ იმ ზოგიერთ სხვაობას, რაც აზერბაიჯანულსა და თურქულ ენებს შორის არსებობდა, თითქმის მაქსიმალურად სპობდა არაბული ანბანი.

„მზის მსმელთა სიმღერაში“ შევიდა ნ. ჰიქმეთის მიერ მანამდე დაწერილი თითქმის ყველა ლექსი. აქ იყო „იმპერიალიზმის კედელიც“ და „პიერ ლოტიც“, „პოეტიცა“ და „თხუთმეტთა ეპიტაფიაც“.

მართალია, პოეტი საბჭოეთში მჩქეფარე შემოქმედებით ცხოვრებას ეწეოდა, მაგრამ იგი უწინარესად თავისი სამშობლოს პატრიოტი, მისი სანახებისა და ადამიანების სიყვარულით გულანთებული ადამიანი იყო და სამშობლოზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა, სამშობლოს სევდა შემოსწოლოდა. ამ განწყობილებამ გამოხატულება ჰპოვა ლექსში „სევდა“.

თავისი მისწრაფება პოეტმა ზღვასთან დაბრუნების წადილით გამოხატა.

თუ სიკვდილი მემუქრება,
უნდა მოვკვდე თუკი,
გავქრე ისე, როგორც ქრება
ზღვის სიღრმეში შუქი.
რადგან კაცი მაინც კვდება
და არ ცოცხლობს მარად,
იქ ერთი დღის გატარება
მთელ სიცოცხლედ კმარა!

შაშ, მეც დავდნე, როგორც დნება
ზღვაზე ზვირთი წმინდა...
ზღვაზე მინდა დაბრუნება
ზღვასთან მისვლა მინდა[1].

ისე, როგორც „მოგზაურობა ნავთობისაკენ", არც „სევდაა" ტრიბუნული ბრძოლის ცეცხლით დამუხტული ლექსი. „სევდა" ლირიკული ნაწარმოებია, რომელშიც გამოხატულება ჰპოვა პოეტის განწყობილებამ, სამშობლოს მონატრების გულისდამკოდველმა ნაღველმა. ეს არ არის იმ პერიოდის ნაზიმ ჰიქმეთისათვის დამახასიათებელი განწყობილება, მაგრამ ლექსმა მაინც გაარღვია წლების გარსი, იგი მაინც მოჰყვება დროს. შეინარჩუნა პირველი დღის მომხიბლაობა. ვფიქრობთ, ამის მიზეზი კვლავ და კვლავ ნაზიმ ჰიქმეთის პოეტურ ოსტატობასა და ძალაში უნდა ვეძიოთ. პოეტი ამ ლექსში იბრძვის, ლექსი ბრძოლის ჟინით გატაცებული ადამიანის აღსარებაა:

იქ მსურს ვიყო, რომ ვისმენდე მეზღვაურთა ღიღინს,
იქ გემებზე ყოფნა ერთ დღეს მთელ სიცოცხლედ
მიღირს[2].

პოეტი უპირისპირდება იმათ, ვინაც მას სამშობლოში ჩასვლას უკრძალავს, ვისაც სამშობლოში მისთვის ციხის საკანი და ბორკილები აქვს შემონახული.

სამშობლოში დაბრუნება არც ისე იოლი გამოდგა. მართალია, თურქეთი თანდათან, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად მაინც, დემოკრატიზმის გზით მიდიოდა და ნაზიმ ჰიქმეთს უკვე საპყრობილეც აღარ ემუქრებოდა, რადგან ამინისტიის შედეგად მისი სასჯელი გაუქმებული იყო, პოეტს მაინც არ აძლევდნენ სამშობლოში ჩასვლის უფლებას. ნაზიმ ჰიქმეთმა არაერთხელ მიმართა თურქეთის ელჩს და სამშობლოში გამგზავრების ნებართვა სთხოვა, მაგრამ ვიზას არა და არ აძლევდნენ.

მაშინ ნაზიმ ჰიქმეთი იძულებული გახდა, კონსპირაციული საშუალებისათვის მიემართა — გადაწყვიტა საიდუმლოდ გადაელახა საზღვარი. ასეც მოიქცა: 1928 წლის გაზაფხულზე იგი გადავიდა

[1-2] თარგმნა ვ. კეკელიძემ.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე და ნანატრ „ზღვასთან“ მივიდა.

ამრიგად, ნაზიმ ჰიქმეთმა მეორედ დატოვა საბჭოეთი და სამშობლოში დაბრუნდა. საბჭოეთთან მის განშორებას ჩვენ მივიჩნევთ ერთგვარ ზღვრად პოეტის შემოქმედებაში. დაახლოებით ამ თარიღს ემთხვევა ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედების პირველი, სიჭაბუკისდროინდელი პერიოდის დამთავრება. ამ დროს ნაზიმ ჰიქმეთი 26 წლისა იყო. შესაძლოა, ჩვენს საუკუნეში 26 წლის ახალგაზრდა კაცისათვის რომელიმე შემოქმედებითი პერიოდის დამთავრება ძალზე პირობითი ხასიათისა იყოს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება — ნაზიმ ჰიქმეთის სიჭაბუკე და პოეზიის ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს: პირველი მსოფლიო ომი, ოქტომბრის რევოლუცია, ანტანტის მიერ თურქეთის თითქმის დაპყრობა, თურქეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამას მიმატებული ახალგაზრდა ჰიქმეთის არცთუ ჩვეულებრივი ცხოვრება, რომელიც სავსე იყო ფათერაკებითა და ცხოვრების რისკით. ყოველივე ეს, ეჭვს გარეშეა, გავლენას იქონიებდა პიროვნების ჩამოყალიბებაზე. დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე პროცესები მუდამ აჩქარებენ ამ მოვლენების მომსწრე და მონაწილე ადამიანების საბოლოო ჩამოყალიბებას, მათ სულიერ გარდაქმნას, ფსიქოლოგიურ მომზადებას. უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოებაც — როცა ჯაბუკი ჰიქმეთი სინამდვილის პირისპირ დადგა, როცა მან შემოქმედებითი ცხოვრება დაიწყო, იგი უკვე საკმაოდ მომზადებული იყო.

ამ წლებში ნაზიმ ჰიქმეთის ფიქრი მხოლოდ რითმებსა და ლექსებს არ დასტრიალებს. ამ წლებში იგი ქვეყნის პროგრესული გარდაქმნისათვის მოღვაწე ადამიანია. სწორედ ამ რევოლუციურმა სულისკვეთებამ წარმოშვა მისი პოეზიის ნოვატორული არსი. რომ არ ყოფილიყო ნაზიმ ჰიქმეთი რევოლუციური მოღვაწე, არ დაიბადებოდა მე-20 საუკუნის თურქული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშები „პიერ ლოტი“ და „პოეტი“, „იმპერიალიზმის კედელი“ და „ორკესტრი“, „მზის მსმელთა სიმღერა“ და მრავალი სხვა.

ნაზიმ ჰიქმეთისათვის პოეზიაცა და რევოლუციური მოღვაწეობაც ერთი მთლიანობაა, რომელიც დიდი მიზნისაკენ ეძახის. მას მიაჩნდა, რომ მხოლოდ რევოლუციურ გარდაქმნებს შეუძლია მოუტა-

ნოს ყოველ ხალხს ბედნიერება. პოეტს მტკიცედ სჯეროდა, რომ ადამიანთა თავისუფლება ისეთი რამაა, რასაც მხოლოდ ბრძოლით თუ მოიპოვებ. ეს თავისუფლება კი ნაზიმ ჰიქმეთისათვის განყენებული მცნება ან ადამიანთა ანარქიული, ქუჩის თავისუფლება როდი იყო. პოეტი მიისწრაფვოდა სულიერი თავისუფლებისაკენ, რადგან სწორედ სულიერად თავისუფალ ადამიანთა ხვედრია დიდი შემოქმედება. მხოლოდ სულიერი თავისუფლების დროს თუ შექმნის საზოგადოება დიდს, მნიშვნელოვანს. ამიტომაცაა, რომ ნაზიმ ჰიქმეთის ყოველი ლექსი დიალოგია ხილულ თუ წარმოსახულ წინააღმდეგობასთან. ეს დიალოგები არ არის ინერტული ან თავისი პოზიციების ბრმად დამცველი ადამიანის საუბარი თავის მოწინააღმდეგესთან. ეს არის ბრძოლა ადამიანისა, რომელსაც სწამს თავისი ძალა, სწამს, რომ მომავალი მას ეკუთვნის და ეს წინააღმდეგობები დროებითია.

პოეტის მიერ სწორედ ამ წლებში შექმნილ ლექსებზე ითქვა: „ნაზიმ ჰიქმეთმა გვაჩვენა თურქული ლექსის ძალა, მან უმაღლეს, თვალუწვდენელ მწვერვალზე ააფრიალა თურქული პოეზიის დროშა".

ეს სიტყვები ეკუთვნის თანამედროვე თურქული პროზის ერთერთ ფუძემდებელს ჰალიდ ზია უშაქლიგილს.

როცა ნაზიმ ჰიქმეთზე ეს სიტყვები თქვეს, პოეტი მხოლოდ 26—27 წლისა იყო.

ნაზიმ ჰიქმეთის ბიოგრაფები გვერდს ვერ უვლიან პოეტის ცხოვრებაში მომხდარ ერთ ღიმილისმომგვრელ, მაგრამ ძალზე უსიამოვნო ფაქტს, რომელმაც რამდენიმე თვე ციხეში გაატარებინა მას.

მოსკოვში ყოფნისას ნაზიმ ჰიქმეთმა სხვა ლექსებთან ერთად დაწერა „ფიქრები ჰერაკლიტეზე მოსკოვში". თავისი მიზანდასახულობითა და თემატიკით ეს ლექსი ენათესავება პოეტის მიერ რამდენიმე წლის წინათ დაწერილ „ბერკლის". ვერ ვიტყვით, რომ „ფიქრები" რითიმე მნიშვნელოვანი იყოს პოეტის შემოქმედებაში. იგი ერთი ჩვეულებრივი, რიგითი ნაწარმოებია, რომელიც ერთხელ კიდევ გამოხატავს პოეტის დამოკიდებულებას წარსულისა და მომავლისადმი. მაგრამ ეს ლექსი იმით შევიდა პოეტის ბიოგრაფიაში, რომ იგი გახდა პოეტის უსიამოვნო ფათერაკების საბაბი.

თურქეთში რომ ლათინური ანბანი შემოიღეს, ნ. ჰიქმეთი ჯერ

კიდევ არაბულით წერდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი მოსკოვში იყო და ლათინურს ჯერაც ვერ მისჩვეოდა. არაბული ანბანი პოეტისათვის ხელსაყრელიც კი იყო. ამ ანბანით სარგებლობისას სიტყვაში ხმოვანი არ გახლავთ საჭირო. იწერება მხოლოდ თანხმოვნები. სიტყვის შედგენა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხმოვნებს ჩასვამ ამ თანხმოვნებს შორის. ზოგჯერ თანხმოვნებში სულ სხვა ხმოვნები ჩაუსვამთ და სიტყვა წაკითხულა სულ სხვა მნიშვნელობით, ვიდრე ამას სიტყვის დამწერი გულისხმობდა.

ამის გამო არაბული ანბანით დაწერილი ნაზიმ ჰიქმეთის ლექსის სათაური „ფიქრები ჰერაკლიტეზე მოსკოვში“ შეიძლებოდა წაკითხულიყო როგორც „ფიქრები ყოველ ნაციონალურ უმცირესობაზე მოსკოვში“.

მოსკოვიდან გამგზავრებული ნაზიმ ჰიქმეთი საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე გადასვლისას გულდასმით გაჩხრიკეს. პოლიციის ჩინოვნიკთა საერთო გაოცება და დაბნეულობა გამოიწვია იმან, რომ საზღვრის დამრღვევს იარაღისა და პროკლამაციების ნაცვლად ლექსების დასტა უპოვეს. აქვე იყო „ფიქრები ჰერაკლიტეზე მოსკოვში“.

— მაშ, თქვენ მოსკოვში თურქეთის ყოველ ნაციონალურ უმცირესობაზე — ლაზებზე, ქურთებზე, სომხებზე — ფიქრობდით და მათ ასაჯანყებლად ჩამოხვედით? — იკითხა პოლიციის ჩინოვნიკმა. ხოლო როცა ნაზიმ ჰიქმეთმა განუმარტა, ეს ჰერ ექალიეთ კი არა, ჰერაკლიტეაო, ეს ჰერაკლიტე ვიღა არისო. ჰერაკლიტე ეფესელი ბერძენია, ფილოსოფოსიო. პოლიციის ჩინოვნიკმა იფიქრა, ბედმა გამიღიმა, ბერძნებთან შეთქმულების კვალს მივაკვლიეო (თურქებისა და ბერძნების მტრობა კიდევ არ განელებულიყო). რა იცოდა ჩინოვნიკმა, რომ დიდი ბერძენი ფილოსოფოსის ძვლებიც კი მრავალი საუკუნის წინათ შეჭამა მიწამ.

ამ ლექსის გამო ნაზიმ ჰიქმეთი დააპატიმრეს და ხოფის საპყრობილეში ჩასვეს. დაიწყო ძიება, თუმცა საძიებელი არაფერი იყო და მართლმსაჯულების მსახურთ კარგად მოეხსენებოდათ საქმის არსი, მაგრამ მთავარი ის როდი იყო, დააშავა თუ არა რაიმე ჰიქმეთმა, არამედ ის, რომ ხელისუფლებას არასასურველ პირად მიაჩნდა იგი და დაპატიმრების საბაბს ეძებდა. ნაზიმ ჰიქმეთს დაატა-

რებდნენ გამომძიებელთან, თურქეთის საზოგადოებრიობას კი უმალავდნენ პოეტის დაპატიმრების ამბავს.

ბოლოს თურქეთმა გაიგო პოეტის სამშობლოში ჩასვლის ამბავი. ხელისუფლების ასეთმა საქციელმა დიდი აურზაური და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თურქი მწერლები, რომელთაც ჯერ კიდევ არ ეგემნათ რეაქციის სუსხი, პრესის ფურცლებზე წერდნენ, რომ პოეტისადმი ასეთი დამოკიდებულება თურქეთის დემოკრატიას მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებსო.

ხოფის ციხეში გატარებული რამდენიმე თვე აისახა ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიაში და ერთი პაწია თურქული ქალაქი ხოფა მთელი ქვეყნიერებისათვის გახდა ცნობილი. სწორედ ამ ქალაქში პატიმრობისას შეჰქმნა ნაზიმმა „ჩანაწერები ხოფის ციხისა“ და ამით თურქეთის საზოგადოებრიობა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ხელისუფლების სათავეში მოქცეული ბურჟუაზიული ელიტის დემოკრატია მხოლოდ გაზეთის ფურცლებისათვის იყო განკუთვნილი და რეალურ ცხოვრებასთან ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო. სწორედ მაშინ, როცა თურქ ხალხს ეუბნებოდნენ, დადგა ჟამი ნამდვილი სამართლიანობისა, როცა ადამიანის ინტერესები ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგასო, ნაზიმ ჰიქმეთმა იმავე თურქ ხალხს აჩვენა, თუ როგორ არიან გამომწყვდეული თურქეთის საპყრობილეებში ქვეყნის საუკეთესო შვილები; აჩვენა, რაოდენ დიდი კონტრასტია თურქ ხელისუფალთა ნამოქმედარსა და ნათქვამს შორის:

სმენა დავძაბე,
თვალთ მოვისრისე,
ვნახე
მხეცური რამ განაჩენი,
პოლიციელი კაცს ურტყამს ისე,
თითქოს წინ ედოს
ხორცის ნაჭერი...

ჰასან დაიი
ჩემს ახლოს დგას და
იძახის:
— ნუ სცემთ!
მოკვდება ცემით!
სჯობს გამიგრძელოთ
ისევ მე ვადა!
სჯობს გაადიდოთ სასჯელი ჩემი!

იუსუფ ოღლუ
სულ მოღრუბლულა,
შექა-ქუხილის
წინ იცის ასე!
თვალები როგორც
ნაგანის ლულა
ტყვიებით ჰქონდა
საესე[1].

ნაზიმ ჰიქმეთის წინაშე არასოდეს არ მდგარა გაბედულების საკითხი. იმ დღიდან, რაც ოკუპირებული სტამბოლი დატოვა და აჯანყებულ ანკარაში გაიქცა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მისი ცხოვრება უბრწყინვალესი მაგალითია უკომპრომისობისა და გაუტეხელი ნებისყოფისა. პოეტის გაბედულება კარგად ჩანს ხოფის საპყრობილეში დაწერილ ნაწარმოებებშიც.

ამ ლექსში ნაზიმ ჰიქმეთს არ უცდია მოეცა საპყრობილეში ჩამწყვდეულ ადამიანთა პოეტიზირებული სახეები და ემღერა მათი გმირობისათვის — მან შეჰქმნა საპყრობილეს ცხოვრების ჩვეულებრივი სურათები და ამით ტურქ ხალხს წარუდგინა თავისი ხელისუფლების ნამდვილი ბუნების პოეტური დოკუმენტი.

ჩვენს წინ
ქაღალდი ჰკიდია ისევ
ჩამოხრჩობილის პერანგის მსგავსად,
მასზე სწერია
ვისი ჯერია,
ვინ როდის დაჰგვის
ამ შავბნელ გვირაბს.
ისმაილ — პარასკევს,
ნური კი შაბათს,
ყიზქაფან აქზარი — კვირას[2].

თითქმის 7 თვე იყო პოეტი პატიმრობაში — ხოფიდან რიზაში გაგზავნეს, რიზადან — სტამბულში, სტამბულიდან კი — ანკარაში. ასე მოიარა მან თურქეთის ციხეები.

საზოგადოებრიობის პროტესტმა თავისი გაიტანა — ნაზიმ ჰიქმეთი გაათავისუფლეს. პოეტის ეს პირველი დაპატიმრება იყო და-

[1-2] თარგმნა ნ. მალაზონიამ.

საწყისი იმ დიდი ტანჯვის გზებზე სვლისა, რომელიც მომდევნო წლებში არაერთხელ დაატყდება თავს ნაზიმ ჰიქმეთს.

ამაზე ნათლად მეტყველებენ ციფრები. ნაზიმ ჰიქმეთი თურქეთში ჩავიდა 1928 წლის ზაფხულს, დატოვა იგი — 1951 წლის ზაფხულს, ე. ი. სამშობლოში გაატარა 23 წელი და ამ 23 წლიდან 14 წელი საპყრობილეში იყო გამომწყვდეული. მას რომ ბოლომდე მოეხადა ყველა ის სასჯელი, რაც გადაუწყვიტეს, გარდაცვალების შემდეგაც რამდენიმე წელი ციხეში უნდა ყოფილიყო.

მაშ ასე, პოეტი თავის სამშობლოშია. თურქეთი კი ამ დროს აღმავლობის გზაზე დგას. 20-იანი წლების მიწურულში თურქი ხალხი იმკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით მოპოვებული გამარჯვების სიკეთეს. სახელმწიფომ თითქმის მოუშუშა მომქანცველი ომის იარები და უფრო სტაბილურად შეუდგა თავისი მომავლის შენებას. თურქების მამად წოდებული მუსტაფა ქემალი ატარებს ლიბერალურ რეფორმებს, დაუოკებლად მიისწრაფვის მოსწყვიტოს თურქეთი დოგმატურსა და კონსერვატორულ მუსულმანურ აღმოსავლეთს და მოახდინოს ქვეყნის ევროპიზაცია. თურქი ახალგაზრდები სწავლობენ ევროპის ქვეყნებში. სამედიცინო და საინჟინრო საქმეს ეუფლებიან გერმანიაში, ხელოვნების საიდუმლოებებს — საფრანგეთსა და იტალიაში. სწავლის მსურველთ ამერიკის კარებიც გაეღოთ ფართოდ. მუსტაფა ქემალმა სასტიკად აკრძალა ჩადრისა და სხვა მუსულმანური სამოსის ტარება. ახალგაზრდებმა დაინახეს, რომ მუსულმანური სამყარო მხოლოდ წინაღობა იყო პროგრესის გზაზე და მას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ეთამაშა კატალიზატორის როლი. პროგრესისაკენ სწრაფვა, მართლაც, დაუოკებელი გამოდგა. ეს იმანაც განაპირობა, რომ ევროპაში მასიურად გასულმა თურქმა ახალგაზრდობამ დაინახა, თუ რაოდენ ჩამორჩენილი იყო თურქეთი. დარწმუნდა, რომ ძალიან ბევრი უნდა გაეკეთებინათ სამშობლოს განვითარებისათვის. მოწინავე ინტელიგენციის ამ სულისკვეთებას კარგად აუბა მხარი მუსტაფა ქემალმა. ამან კი ლიტერატურისა და ხელოვნების, ეკონომიკის, მრეწველობის წინსვლა გამოიწვია. თურქული მწერლობა ცდილობს ასახოს საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა თურქეთის ცხოვრებაში. იწერება წიგნები, რომლებშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფონზე ნაჩ-

ვენებია თურქი კაცის ბედ-იღბალი. საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ თემისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებშიც მოხდა თურქული საზოგადოების დიფერენციაცია. იაკუფ კადრის („უცხო“), ჩვენში კარგად ცნობილი ჰალიდე ედიფის („მოჰკალით გზასაცდენილი“), მეჰმედ რეუფის („განთავისუფლება“) და სხვათა ნაწარმოებებში გამარჯვების მასულდგმულებლად თურქული არისტოკრატია იყო წარმოდგენილი. ამ თხზულებებში ხალხი მხოლოდ მასაა, რომელსაც არ ძალუძს ანალიზი გაუკეთოს მოვლენებს, დაინახოს სინამდვილე. თუ არა არისტოკრატია, იგი ბერძნებისა და ანტანტის სახელმწიფოების მონად დარჩებოდაო.

დემოკრატიული მიმართულების მწერლები გრძნობდნენ, რომ თურქი ხალხის ამ სახით წარმოდგენა მხოლოდ მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს. მტერს კი ღონიერი და ერთიანი ძალით შეკრული ხალხი ამარცხებს. ამ მიზნით იწერება ნაწარმოებები, რომლებშიც რეალისტურადაა ასახული თურქი ხალხის ყოფა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს. სწორედ ამ სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი რეშად ენისეს „ვიშიშვლებ ხმალს“, ბრწყინვალე თურქი მწერლის რეშად ნურის რომანი „მწვანე ღამე“ და პიესა „ერთი ღამის ტრაგედია“. რეშად ნურის კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი — ამ რამდენიმე წლის წინ ქართულად ითარგმნა მისი რომანი „ნარჩიტა“.

თურქულ მწერლობაში წამყვან ადგილს იჭერს ქალის ემანსიპაციის საკითხიც. აღმოსავლეთის ქვეყნებში ეს მოვლენა მართლაც რომ გრანდიოზული მნიშვნელობისა იყო, მაგრამ რესპუბლიკური თურქეთის შექმნამდე ამ პრობლემას დუმილით უვლიდნენ გვერდს. ხოლო როცა დაინახეს, თუ რაოდენ დიდი როლის შესრულება შეეძლო ქალს იმ საქმეების აღსასრულებლად, რისკენაც თურქეთი მიისწრაფვოდა, ე. ი. ახალი ტიპის საზოგადოების შესაქმნელად, ქალთა ემანსიპაციის საკითხსაც ყურადღება მიაქციეს. თუმცა მუსულმანური თურქეთი მაინც მუსულმანურ თურქეთად რჩებოდა და ერთი დაკვრით ამ საკითხის მოგვარება არ შეიძლებოდა. სწორედ ამიტომ დაიწერა არაერთი შესანიშნავი პროზაული ნაწარმოები, რომელშიც თურქული ლიტერატურული აზროვნების ახალი შრეები გამოჩნდა. ამ ნაწარმოებთაგან ერთ-ერთი, სუად დერვიშის „ფოსფორიანი ჯევრიე“, ნ. ჯანაშიას მიერ თარგმნილი, ქართულ ენაზეც

გამოვიდა. რომანში აღწერილია, თუ როგორ გასპეტაკდა სულიერად ცხოვრების წუმპეში მოხვედრილი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი. ჰალიდე ედიფმა, ჩინებულმა თურქმა მწერალმა ქალმა, არაერთი ნაწარმოები მიუძღვნა ქალის ემანსიპაციის პრობლემას.

თურქულ პროზასა და პოეზიაში მოვიდა ახალი ადამიანი — მებრძოლი და მოაზროვნე; თურქმა მკითხველმა საუკეთესო თხზულებების მეოხებით გაიცნო პიროვნებები, რომლებიც ანალიტიკოსის თვალით შესცქეროდნენ ცხოვრებასა და მის მოვლენებს, იბრძოდნენ სამართლიანობისა და სიკეთისათვის. ეს მომენტი თურქული მწერლობის სიახლე იყო და ამ ახალი მოვლენის ჩამოყალიბებისა და სრულყოფილ ლიტერატურულ მიმდინარეობად ქცევის საქმეში არც ისე მცირე როლი ითამაშა ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიამ. სწორედ ნაზიმ ჰიქმეთმა შექმნა თურქულ მწერლობაში პირველად ნაწარმოებები, რომელთა სულისკვეთება ესადაგებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გამარჯვებული ხალხის მისწრაფებას. ამ საქმეში ნაზიმ ჰიქმეთის მნიშვნელოვან, წამყვან როლს ყველანი აღიარებენ, მაგრამ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით ლიტერატურული პროცესების განვითარების კანონზომიერების უგულებელყოფა იქნებოდა უახლესი ტიპის თურქული ლიტერატურის ჩასახვა და განვითარება მხოლოდ ნაზიმ ჰიქმეთის ავტორიტეტით შემოგვეფარგლა. ამ შემთხვევაში მთავარზე უმთავრესი მაინც ის უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა იყო, რომელმაც ერთიანად შესძრა მუსულმანური სამყარო და განვითარების სრულიად ახალი პერსპექტივები გადაუშალა მას. ეს იყო ანტანტისა და ბერძნების ჯარებზე გამარჯვება, ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება, თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადება. ამ დიდმა მოვლენამ თურქი მწერლების წინაშე დასვა ახალი სინამდვილის ახლებურად ასახვის პრობლემა. ეს ახალი სინამდვილე კი ყველას თვალწინ იქმნებოდა. ნაზიმ ჰიქმეთმა, როგორც მაძიებელმა შემოქმედმა, პიროვნებამ, რომელიც შინაგანად შემზადებული იყო ამ ახალი სინამდვილისათვის და იბრძოდა კიდეც მისთვის, ერთერთმა პირველმა აუღო ალღო ამ გარემოებას.

როგორც ვხედავთ, პოეტის თურქეთში ჩამოსვლის დრო ემთხვევა მუსტაფა ქემალის დემოკრატიულ რეფორმებს, ლიტერატურის თემატიკის გადახალისებისა და სახელმწიფოს საერთო განვი-

თარების ხანას. თითქმის ეს არის ყველაფერი ის, რისთვისაც იბრძოდა ნაზიმ ჰიქმეთი. ერთი შეხედვით, თურქეთის მთავრობასა და პოეტს შორის კონფლიქტი გამორიცხული უნდა ყოფილიყო და არ უნდა მომხდარიყო ასეთი უთანასწორო ბრძოლა პოეტსა და სახელმწიფო მანქანას შორის. ამიტომ ბუნებრივია, მკითხველს დააინტერესებს, რამ განაპირობა ნაზიმ ჰიქმეთის ასეთი გაფთრებული დევნა და ნაზიმ ჰიქმეთის მხრივ მთავრობისადმი ასეთი შეურიგებელი დამოკიდებულება. რომ არ მომხდარიყო ძალთა ასეთი დაპირისპირება, ნაზიმ ჰიქმეთს შეეძლო ბედნიერად ეცხოვრა თავის ქვეყანაში, ესარგებლა თურქეთის ყოველი დროის უდიდესი პოეტის რეპუტაციით (ამას ერთხმად აღიარებდნენ მისი დაუძინებელი მტრებიც კი) და თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები საპყრობილეში არ გაეტარებინა. ამაში არც არაფერი იქნებოდა შეუწყნარებელი, რადგან ციხეში ყოფნა არ არის პოეტური ოსტატობის განმსაზღვრელი ბარომეტრი. რამდენ დიდ პოეტს დაულევია სული ხალხისა და მთავრობისგანაც პატივდადებულს.

მართალია, მუსტაფა ქემალის მთავრობა მეტად დემოკრატიულ რეფორმებს ატარებდა და მან ბევრი რამ გააკეთა სახელმწიფოს ახალ გზაზე დაყენებისათვის, მაგრამ ამ ფრიად შორსმჭვრეტელმა და ამავე დროს ეშმაკმა პოლიტიკურმა მოღვაწემ იცოდა, სად უნდა დასდებოდა ზღვარი რეფორმებს. მას კარგად ესმოდა, რომ უწინარეს ყოვლისა, ბურჟუაზიული მთავრობის მეთაური იყო და უფრო შორს წასვლას თვითონაც რომ მოსურვებოდა, ბურჟუაზია არ აპატიებდა. ქემალი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა და არ დაუშვებდა, რომ თურქეთში მომხდარი ბურჟუაზიული რევოლუცია ოდნავ მაინც გადახრილიყო სოციალისტური რევოლუციისაკენ. იგი ყველაფერს აკეთებდა ქვეყნის წინსვლისათვის, საბჭოთა კავშირთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მითუმეტეს, რომ ახსოვდა, რა დიდი დახმარება გაუწია ვ. ი. ლენინმა თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ყველაზე მძიმე გასაჭირის დროს, მაგრამ, ამასთან ერთად, ყოველნაირად ცდილობდა, ერთმანეთის მოსაზღვრე თურქეთი და საბჭოთა კავშირი ძალიან შორს ყოფილიყვნენ ერთმანეთისაგან. მას ეშინოდა, საბჭოეთის იდეები თურქეთში არ გავრცელებულიყო და ევროპისაკენ იჭერდა გეზს. ცდილობდა, პოლიტიკური და ეკონომიური კონტაქტები დაემყარე-

ბინა სწორედ იმ სახელმწიფოებთან, რომელთა წინააღმდეგ იბრძოდა რამდენიმე წლის წინათ. მას სწამდა, რომ თურქეთის მეგობრები მომავალში სწორედ კაპიტალისტური ქვეყნები უნდა ყოფილიყვნენ და არა საბჭოთა კავშირი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 20-იანი წლების საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ურთიერთობა სამაგალითოა. ამის საფუძველი კვლავ ვ. ი. ლენინის გენიალურ, შორსმჭვრეტელურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ.

მთელ თურქეთში პატივდებული ფაშას შვილიშვილისა და კონსულის შვილს ნაზიმ ჰიქმეთს მუსტაფა ქემალის მთავრობაში ყოველთვის შეეძლო ბრწყინვალე რეპუტაციის მოპოვება, მაგრამ საამისო ინიციატივა მას არასოდეს გამოუჩენია, არასოდეს ცდილა დაახლოვებოდა მუსტაფა ქემალს. პრეზიდენტს კი კარგად ესმოდა აღმოსავლური ანდაზის — „თუ მთა არ მიდის მაჰმადთან, მაჰმადი მიდის მთასთან“ — სიბრძნე და ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, მან თავის თავზე აიღო ეს ინიციატივა. ნაზიმ ჰიქმეთი ადრეულ წლებში თანაუგრძნობდა ქემალის მოძრაობას, როგორც ვნახეთ, სტამბულიდან ანატოლიას სწორედ მისი ეროვნული სულისკვეთებით აღფრთოვანებული გაეშურა, მაგრამ ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ მუსტაფა ქემალის მეთაურობით მთელი თურქი ხალხის ბრძოლა მხოლოდ ბურჟუაზიის საკეთილდღეოდ გამოდგა, დაუპირისპირდა მას. აქ, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოსკოვში გატარებულმა წლებმა. ნაზიმ ჰიქმეთისათვის არსებობდა საზოგადო რევოლუცია. ბედნიერება ყველასათვის უნდა ყოფილიყო, მთელ ხალხს უნდა ეგრძნო შვება. უამისოდ ყველაფერი არარაობა იყო. ამიტომ, ბუნებრივია, იგი მტრულად იქნებოდა განწყობილი მუსტაფა ქემალის მთავრობის მიმართ. ეს არ იყო პრივილეგირებული ელიტის წარმომადგენელის პოზა. რითაც მას ხალხის ყურადღების მიპყრობა უნდოდა. ნ. ჰიქმეთს ისედაც სულგანაბული უსმენდა თურქი ხალხი. პოეტის ბოლო დაპატიმრებიდან (1937 წ.) რამდენიმე წლის შემდეგ აკი აღიარა კიდეც თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა შიუქრი კაიამ:

— ჩვენ აღარ შეგვეძლო მისი თავისუფლად დატოვება, ხალხი ძლიერ უგდებდა ყურს მის ყოველ სიტყვას.

ამას გარდა, მუსტაფა ქემალის მთავრობისათვის ნაზიმ ჰიქმეთი იყო პიროვნება, რომელიც საბჭოეთში სწავლობდა და მუშაობდა,

ძირფესვიანად შეეთვისებინა საბჭოეთის ცხოვრების წესი და ახლა ცდილობდა, თურქეთში გადმოენერგა მისი საფუძვლები. რასაკვირველია, ეს გარემოება ძალიან ბევრს ნიშნავდა და პოეტის წინააღმდეგ თავიდანვე მტრულად განეწყვნენ. ამიტომაც დააპატიმრა მთავრობამ თურქეთს ჩასვლისთანავე ნაზიმ ჰიქმეთი.

მორწმუნენი არა მარტო ნეტარნი, ძლიერნიც ყოფილან თურმე! ამ დროს ნაზიმი 26 წლისა იყო, ცნობილ პოეტსა და პოეზიის მეცნიერებას დაუფლებულ ამ ოცდაექვსი წლის ჭაბუკს „თვალები, როგორც ნაგანის ლულა, ტყვიებით ჰქონდა სავსე“.

და დადგნენ ერთიმეორის პირისპირ — პოეტი და ადამიანთა ბედის გამგებელნი. დაიწყო დუელი — ხან ფარული, ხანაც — აშკარა, მაგრამ ორივე შემთხვევაში უთანასწორო.

პოეტი და პრეზიდენტი

მუსტაფა ქემალის დემოკრატიულმა რეფორმებმა იმდენად სასიკეთო ნაყოფი გამოიღო, რომ თურქეთში ერთბაშად გამოცოცხლდა არა მარტო ეკონომიკა, არამედ კულტურული ცხოვრებაც. ფართოდ გაეხსნა კარი ლიტერატურულსა თუ დარგობრივ პრესას. გამოსვლა იწყეს ჟურნალებმა, რომლებიც თურქ მკითხველს უხვად აწვდიდა ეროვნული ლიტერატურის ნიმუშებს, ინფორმაციებს მსოფლიოს კულტურისა და ეკონომიური ცხოვრების სიახლეებზე. ჟურნალების დაარსება არც თუ ისე რთული საქმე გახლდათ, არც მისი ლიტერატურული გემოვნებითა და მხატვრული მიმართულებით ინტერესდებოდა მთავრობა, მთავარი იყო ჟურნალს რევოლუციური იდეალების პროპაგანდა არ გაეწია.

ზექერია სერთელსა და მის მეუღლეს საბიჰას კი სულ სხვა სურვილი ამოძრავებდათ — მათ უნდოდათ თურქეთში გამოსულიყო ჟურნალი, რომელიც ბურჟუაზიული მეშჩანიზმის მსახური კი არ იქნებოდა, არამედ პირიქით — დაუპირისპირდებოდა მას. მათი მისწრაფება იყო დაეარსებინათ დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი. ამ ჟურნალის მთავარი მისია უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტი ლიტერატურის სამსახური, ბრძოლა ცრუ ლიტერატურასთან, რომლის პროდუქციაც ძლიერ მომრავლდა იმ დროის თურქეთში.

ზექერია და საბიჰა სერთელებმა მოახერხეს კიდეც ასეთი ჟურნალის შექმნა.

1929 წელს გამოვიდა ჟურნალი „რესიმლი აი“ („ყოველთვიური ილუსტრირებული“). ამ ჟურნალმა უდიდესი როლი ითამაშა დემოკრატიული ხასიათის თურქული მწერლობის განვითარებაში. „რესიმლი აის“ ფურცლებზე აიდგეს ფეხი დემოკრატიული მიმართულების მწერლებმა, აქ დაიბეჭდა ნაზიმ ჰიქმეთის პუბლიცისტური წერილები, ლექსები და პოემები. „რესიმლი აი“ გახდა პირველი და მთავარი ნავსაყუდელი შემდეგ საქვეყნოდ ცნობილი თურქი პოეტის და პროზაიკოსის საბაჰათინ ალისა, რომლის ჩინებული პროზაული ნაწარმოებები ჩვენშიც კარგადაა ცნობილი.

სერთელების სურვილი იყო ჟურნალი მებრძოლი ორგანო გამხდარიყო. ამიტომაც მიიწვიეს ნაზიმ ჰიქმეთი სამუშაოდ. გარდა იმისა, რომ ნაზიმ ჰიქმეთი კორექტორის მძიმე მოვალეობას ასრულებდა, იგი წერილებსაც ბეჭდავდა ლიტერატურის საკითხებზე. განაგრძობდა ჟურნალ „აიდინლიქში“ დაწყებულ ლიტერატურულ დისკუსიებს. პოეტის ადრინდელ სწრაფვას ლიტერატურის განახლებისაკენ ახლა შემოქმედებითი გამოცდილება და ოსტატობაც დაემატა. ამ წერილებში ნაზიმ ჰიქმეთი არ იზღუდ; ოდა თურქული ლიტერატურის მაგალითებით. თავისი მოსაზრებ ბის დასადასტურებლად პოეტი მიმართავდა უცხოეთის — ფრან· ული, ინგლისური, გერმანული ლიტერატურის ისტორიას. პოლემ კაში, რასაკვირველია, ძალიან დიდი ადგილი ეჭირა რუსული და საბჭოთა ლიტერატურის გამოცდილებასაც.

„დედამიწაზე ადამიანების ბედნიერებისა და მშვენიერი ცხოვრებისათვის მებრძოლ მოწინავე მხატვრებს მუდამ ეხვივნენ შავი ძალები, მათ სდევნიდნენ, აპატიმრებდნენ, არც ძალადობას ერიდებოდნენ, მაგრამ მოწინავე მხატვრები დარწმუნებული იყვნენ, რომ ვერავითარ ძალადობას, დაშინებასა და სიცრუეს ვერ ძალუძს შეაჩეროს ისტორიის სვლა, მისწრაფება სიკეთისა, მშვენიერებისა, სიმართლისა და ბედნიერებისაკენ: ისინი მომდევნო თაობებისათვის სამაგალითონი გახდნენ არა მარტო ნაწარმოებებით, არამედ მთელი თავიანთი ცხოვრებით“, — წერდა ნაზიმ ჰიქმეთი ერთ თავის წერილში.

პოეტის წერილების ერთ-ერთი უმთავრესი პათოსი იყო ის,

რომ იგი დაუპირისპირდა „წმინდა ხელოვნების“ აპოლოგეტებს. „წმინდა ხელოვნებისაკენ“ მისწრაფებას თურქეთში საუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა. ეს იყო თანამედროვე ვარიაცია შუასაუკუნეებში გაბატონებული კარის პოეზიისა, რომელიც მხოლოდ უმაღლესი რანგის ფეოდალური წრეების გემოვნებას ემსახურებოდა. მეოცე საუკუნეში კი, როცა ლიტერატურის მოვალეობა და ამოცანები სრულიად განსხვავდება შუასაუკუნეების ლიტერატურის დანიშნულებისაგან, შეუძლებელი იყო ლიტერატურა და ხელოვნება თავის თავში ჩაკეტილიყო და ერთი კასტის კუთვნილება ყოფილიყო. თანამედროვე ლიტერატურა ფართო მასების კუთვნილებაა. მას კითხულობენ ავტობუსში, ტროლეიბუსში, მეტროში. იგი გახდა სულიერი მოთხოვნილების საგანი. ამიტომ მწერლობამ საზოგადოების ყოველ ფენას უნდა მიაწოდოს ეს სულიერი საზრდო. მწერალი თავისი საუკუნის მოწინავე იდეებს უნდა გამოხატავდეს და მხატვრულ ფორმებში მიჰქონდეს იგი მკითხველთან.

ნაზიმ ჰიქმეთი არა მარტო ლიტერატურის მიზანდასახულებასა და რაობაზე, არამედ ლექსის ვერსიფიკაციის საკითხებზეც ესაუბრებოდა მკითხველს. „რესიმლი აი“-ში იგი წერდა:

„ახალი პოეტი ვერ აღიარებს სხვადასხვა, რამდენიმე ენას, ერთს პოეზიის, მეორეს პროზის, მესამეს კი — საუბრისათვის. იგი წერს ერთ ენაზე: ეს არის ბუნებრივი, არა ხელოვნურად შეკაზმული, არამედ მშვენიერი, ღრმა და მაქსიმალურად დახვეწილი, ე. ი. უბრალო ენა. ამ ენაში არის ცხოვრების ყველა ელემენტი. არ შეიძლება პოეტის სულში არსებობდეს სამი პიროვნება. ერთი ის, რომელიც ლექსებს ქმნის, მეორე ის, რომელიც ხალხს ესაუბრება და მესამე, რომელიც თავის გამომცემელს ეკამათება. პოეტი არის მოქალაქე, რომელიც ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და წარმართავს კიდეც ამ ცხოვრებას“.

თავად ახალგაზრდა ნაზიმ ჰიქმეთის წერილებს უდიდესი ზეგავლენა ჰქონდა თურქეთის ახალგაზრდობაზე, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის იმ ნაწილზე, რომელიც ლიტერატურაში მოდიოდა.

ნაზიმ ჰიქმეთის ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა. ახალი ლექსები, ცხარე ლიტერატურული პოლემიკა და საზოგადო მოღვაწეებზე დაწერილი პამფლეტები მას საქვეყნოდ ცნობილ პიროვნებად ხდიდა. თურქეთი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ნაზიმ ჰიქმე-

თის სახით უდიდესი პიროვნება მოევლინა არა მარტო თურქულ პოეზიას, არამედ თურქული კაზმულსიტყვაობის ისტორიას საერთოდ. თურქ ხალხს ეს რწმენა საბოლოოდ მაშინ განუმტკიცდა, როცა გამოვიდა ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები. ეს იყო თურქეთში გამოცემული პოეტის პირველი წიგნი. ლექსების კრებულს მეტად მოკრძალებული სათაური ჰქონდა: „835 სტრიქონი“. ქემალის მთავრობისადმი უაღრესი მოწიწებითა და სიყვარულით გამსჭვალული გამომცემლები აგრე იოლად როდი მოისურვებდნენ მთავრობის თვალში სახელგატეხილი პოეტის წიგნის დასტამბვას, რადგან საკუთარ თავს, საკუთარ ბიზნესს აგდებდნენ საფრთხეში, მაგრამ ჭეშმარიტ პოეზიას სხვა მრავალ თვისებასთან ერთად ის ღირსებაცა აქვს, რომ ადამიანებს წინააღმდეგობათა დაძლევის სულისკვეთებით აღანთებს და რისკისაკენ უბიძგებს. ალბათ, ეს სულისკვეთება ასულდგმულებდა „გუალიმ აჰმედ ჰალიდის“ გამომცემელსაც, როცა 1929 წელს ნაზიმ ჰიქმეთის „835 სტრიქონი“ გამოსცა. პოეტის განთავისუფლებიდან სულ 3—4 თვე თუ გასულიყო.

„835 სტრიქონზე“ მთელი თურქეთი ალაპარაკდა. ნაზიმ ჰიქმეთზე თავისი აზრი გამოთქვა უხუცესმა, ჯერ კიდევ სულთნის კარის პოეტმა და დრამატურგმა აბდულ ჰაკ ჰამიდმა.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მხცოვანმა აბდულ ჰაკ ჰამიდმა დაიბარა ჟურნალისტები და განუცხადა, რომ ახალი თაობის პოეტებს შორის ყველაზე მეტად ნაზიმ ჰიქმეთი მოსწონს.

ყოველი ქება საამო სასმენია, მითუმეტეს, თუ ახალგაზრდა კაცისათვის საქებარ სიტყვებს არ იშურებს ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსი, მაგრამ აბდულ ჰაკ ჰამიდის ქება სამმაგად საყურადღებო იყო.

„835 სტრიქონის“ გამოსვლის შემდეგ მწერალმა ზია გიოქ ალფმა თქვა, რომ ნაზიმ ჰიქმეთმა დახვეწა და გაამშვენიერა თურქული ენა, ხოლო იმდროინდელი თურქეთის ერთ-ერთი, სახალხო-რევოლუციური პარტიის წამყვანმა პუბლიცისტმა ნურულაჰ ათაჩიმ განაცხადა: „ნაზიმ ჰიქმეთი უდიდესი პოეტია იმათგან, რომელიც ოდესმე უშვია თურქ ხალხს“.

მაგრამ მათ გვერდით იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც, მართალია, იზიარებდნენ საზოგადოებრივ აღტაცებას, მაგრამ პოეტს

მიანიშნებდნენ, რომ ამ გზით სვლას ვერ შეურიგდებოდა მმართველი პარტიის იდეოლოგია, მისი ამოცანები. ცნობილი პოეტი და ლიტერატურათმცოდნე იაშარ ნაბი გადაკვრით წერდა:

„ზოგიერთი მწერალი გატაცებულია სოციოლოგიითა და ეკონომიკით, ამასთანავე არც მარქსისტული გავლენებისგანაა თავისუფალი. ისინი ცდილობენ ჩვენს ლიტერატურას მისცენ განსაკუთრებული იდეოლოგიური მიმართულება“.

ზემოხსენებული ნერულლაჰ ათაჩი აღიარებდა:

„ნაზიმ ჰიქმეთის ლექსებში არის განსაზღვრული თემები, განსაზღვრული სიუჟეტი. მან ყოველთვის იცის, სად დაიწყოს, სად დაამთავროს ლექსი და რა დასკვნა შესთავაზოს მკითხველს. ჩვენში იშვიათი შემთხვევაა, პოეტს ჰქონდეს გარკვეული თემა და სიუჟეტი. გამონაკლისს წარმოადგენს თევფიქ ფიქრეთისა და იაჰია ქემალის ზოგიერთი ლექსი“.

თევფიქ ფიქრეთი და იაჰია ქემალი თურქული პოეზიის ჩაუქრობელი ვარსკვლავები არიან და ახალგაზრდა პოეტის მათთან შედარება ძალიან ბევრს ნიშნავდა. ეს უკვე საბოლოო აღიარება იყო. ამ აღიარების დასტურია გამოჩენილი თურქი პროზაიკოსის ქემალ თაჰირის მოგონება.

ქემალ თაჰირმა შექმნა თურქული ცხოვრების საგა. მან გამოაქვეყნა ოცდახუთამდე რომანი, რომელშიც ნაჩვენებია თურქეთის ცხოვრება 100 წლის მანძილზე — 1870 წლიდან, 1970 წლამდე, მაშინ, როცა ნაზიმ ჰიქმეთის „835 სტრიქონი“ გამოვიდა, იგი ჯაბუკი იყო, უფრო მოგვიანებით ნაზიმ ჰიქმეთთან ერთად სასჯელს იხდიდა სტამბულისა და ჩანაკლეს ციხეებში. სწორედ ციხეში შექმნა თავისი საგის ხუთი რომანი, ჩაატარა უზარმაზარი სამუშაო, რომლის მოცულობა 4000 გვერდს აღემატებოდა.

ქემალ თაჰირი იგონებს:

„იმ წელიწადს ლიტერატურული საღამოები ხშირად იმართებოდა გიულჰანეს პარკში, „ალაის“ ვილაში. პარკი სულთნის ყოფილი სასახლის გვერდით იყო მოთავსებული. ერთ ჩემს მეგობარ პოეტთან ერთად წავედი ლიტერატურულ საღამოზე. საღამოს თავმჯდომარე იყო ფეიამი საფა, რომელზეც რამდენიმე ხნის შემდეგ ნაზიმმა დაწერა ლექსი „სატირული სტრიქონები ერთ პროვოკატორზე“. მაშინ, 1929 წელს, იგი რადიკალობდა და ჯერ კიდევ

არ დაეწყო თავისი „გარედან წითელი და შიგნით კი ყავისფერი“ ჟურნალის გამოცემა.

ფეიამიმ ნაზიმი მსმენელებს წარუდგინა, როგორც ცნობილი თურქი პოეტი. ნაზიმმა კითხვა დაიწყო, წაიკითხა „მზის მსმელთა სიმღერა“.

მაშინ ჩვენც ვწერდით, ყოველ შემთხვევაში, გვეგონა, რომ ვწერდით ლექსებს. ჩვენზე ძალიან დიდ გავლენას ახდენდა იაჰია ქემალი, უცხოელთაგან ბოდლერი და ვერლენი. ნაზიმის მჭუხარე ხმამ ყველანი გაგვაოგნა. იმდენად გაოგნებული და დაბნეული ვიყავით, რომ, როცა ქუჩაში გამოვედით და ნაზიმის სტრიქონების გახსენებას ვცდილობდით, ლამის ტრამვაის ქვეშ არ მოვხვდით“.

ამ დროს ნაზიმ ჰიქმეთზე წერდნენ პოეტები და პროზაიკოსები, პოლიტიკური მოწინააღმდეგენი და მეგობრები. ნ. ჰიქმეთის ლექსები საოცრად ეხმიანებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცეცხლში გამოწრთობილი ახალგაზრდობის სულიერ განწყობილებას. ეს ლექსები არ ცდილობდნენ სულიერი წონასწორობისა და სიმშვიდის დამყარებას, პირიქით, აღაგზნებდნენ მკითხველებს. სწორედ ასეთი პოეტი სჭირდებოდა ახალი ცხოვრების გზაზე შემდგარ თურქ მკითხველს. თუ როგორი იყო ნ. ჰიქმეთის პოეტური ოსტატობა, ამაზე კარგად ლაპარაკობს პროზაიკოსი სადრი ერთემი:

„ჩვენში ბევრი პოეტური ლეშია, რომლებიც თავიანთი ენითა და სტილით ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს. ნაზიმ ჰიქმეთის ხმა კი ჟღერს. მისმა სტრიქონებმა არ იცის არავითარი კანონი გარდა თავისუფლებისა, ხმისა და გრძნობის თავისუფლებისა, მის ლექსში არამცთუ ბგერა, თვით წერტილიც კი ხმას გამოსცემს და ჟღერს. იგი ერთადერთი პოეტია, რომელმაც პოეზიის ენის ჭეშმარიტი დემოკრატიზაცია წამოიწყო. ნაზიმ ჰიქმეთი სიახლის განსახიერებაა“.

ნაზიმ ჰიქმეთის პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა. ამ პოეტით მკითხველის დაინტერესების დასტური იყო ისიც, რომ წიგნის გამოსვლის შემდეგ გრამფირფიტების ფირმა „კოლუმბიამ“ ფირზე ჩაწერა და მთელს თურქეთში გაავრცელა ნაზიმ ჰიქმეთის ორი ლექსი. ლექსებს თვით პოეტი კითხულობდა. ნაზიმ ჰიქმეთზე დაწერილ რ. ფიშის წიგნში შესულია ერთი ასეთი მოგონება:

„ნაზიმის ბიძა, გენერალი ალი ფიუადი იგონებდა: ერთხელ, საღამო ჟამს, როცა მუსტაფა ქემალის ადიუტანტი პრეზიდენტის კა-

ბინეტში შევიდა, დაინახა, რომ მუსტაფა ქემალი მაგიდას დაყრდნობოდა და ფირფიტას უსმენდა.

. . . . .

რაზმი კი წავიდა,
გალია ტრამალი,
გაუჩინარდნენ ცხენები
ჰეხებით...
წითელი მხედრები...
რაშები ფრთამალი
ფრთამალი ცხენები...
ცხენები...
ცხენები...
სიცოცხლეც ფრთამალი რაშივით გაფრინდა,
დადუმდა მდინარე,
ცა ბინდმა მოიცვა...
სიკვდილის სიცივემ ჩააქრო,
დაბინდა...
იმ ვაჟის თვალები,
ტირიფთან რომ იწვა.
წყლის წმინდა სარკეში
სხივები არ კრთოდნენ,
გაყვითლდა,
ფოთლები შეაჭკნა იმ ტირიფს.
ტირიფო,
ნუ იშვერ წყლისაკენ მაგ ტოტებს,
მტირალა ტირიფო,
გეთაყვა,
ნუ ტირი![1]

როცა ნაზიმის ხმა მიწყდა, მუსტაფა ქემალი შემობრუნდა. მრისხანე გენერლის თვალებში, რომელსაც არაერთი მხედრის სიკვდილი უნახავს, ცრემლები კიაფობდნენ.

— ეშმაკმა დალახვროს, რა კარგი პოეტია და რა სამწუხაროა, რომ კომუნისტია!“

ნაზიმ ჰიქმეთი პრეზიდენტის სასახლეში მიიწვიეს. ეს ჟესტი ბევრ რამეს ნიშნავდა. მიიწვიეო პოეტი, რომელიც შენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეა და ამის გამო რამდენიმე თვის წინათ ციხეში გყავდა გამომწყვდეული, იმას ნიშნავდა, რომ პრეზიდენტი და მისი ელიტა პოეტის ტალანტს აღიარებდა.

[1] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

მუსტაფა ქემალი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო. მას სურდა ნაზიმ ჰიქმეთი თავისი სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის გამოეყენებინა. პრეზიდენტი ხედავდა, რა დიდი გავლენა ჰქონდა პოეტს თურქ ხალხში. ისიც კარგად იცოდა, რაოდენ გაიზრდებოდა პრეზიდენტის ავტორიტეტი, თუ ნაზიმ ჰიქმეთი მისი ნამოღვაწარის დამფასებელთა რიგებში აღმოჩნდებოდა.

ნაზიმ ჰიქმეთმა მუსტაფა ქემალის მიწვევა რომ მიიღო, განაცხადა: — მე ეფთალია არა ვარ.

(ეფთალია იყო ცნობილი მომღერალი ქალი, რომელსაც სტამბულის უმდიდრესი ადამიანები თავიანთ აგარაკებზე იწვევდნენ და უხვადაც ასაჩუქრებდნენ).

და პოეტი არ მივიდა პრეზიდენტთან.

პოეტის ასეთმა პასუხმა საბოლოოდ განსაზღვრა მისი მომავალი. თურქეთის ისტორიაში უდიდეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გამარჯვებული, თურქების მამად ქცეული მუსტაფა ქემალი გულგრილად ვერ შეხვდებოდა, მართალია, ბრწყინვალე პოეტის, მაგრამ მაინც თავისი ქვეყნის რიგითი მოქალაქისაგან მიყენებულ თავაზიან შეურაცხყოფას.

ნაზიმ ჰიქმეთისათვის ყოველივე ეს თავიდანვე იყო ცნობილი. მან თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე აირჩია უკომპრომისო, შეურიგებელი ცხოვრებისა და ბრძოლის გზა.

რეაქციულმა გაზეთებმა მალე გააჩაღეს ნაზიმ ჰიქმეთის საწინააღმდეგო კომპანია. პრესაში ცილისმწამებლური სტატიები იბეჭდებოდა, ხოლო პოლიცია საბაბს ეძებდა, რომ „წითელ ძაღლს“ გასწორებოდა.

საამისო შემთხვევაც მალე მიეცათ — სტამბულში დაიწყო ტრანსპორტელთა გაფიცვა. ნაზიმ ჰიქმეთი უმალ გაფიცულთა მხარეზე დადგა და დაწერა ლექსი „ხმადაკარგული ქალაქი“.

გაფიცულებისადმი მხარდაჭერა და, მითუმეტეს, ამ თემაზე ლექსის დაწერა, საკმარისი საბაბი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ნაზიმ ჰიქმეთის საქმე სასამართლოსთვის გადაეცათ. მაგრამ მოხდა ერთი გაუთვალისწინებელი რამ — ნაზიმ ჰიქმეთს კანონის არც ერთი მუხლი არ დაურღვევია, არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. სასამართლომ კი ვერ გაბედა უკანონო განაჩენი გამოეტანა, რადგან ნა-

ზიმ ჰიქმეთის ავტორიტეტი იმ დროს ძალიან დიდი იყო მთელს თურქეთში.

პოეტი გაამართლეს.

მაგრამ მტრები მაინც არ ისვენებდნენ. ერთმა ცნობილმა თურქმა კრიტიკოსმა სასამართლოს დამთავრებისთანავე გაზეთ „იქდამის“ მეოხებით გააჩაღა პოეტის საწინააღმდეგო კამპანია. ამ დღიდან დაწყებული „იქდამს“ ნაზიმ ჰიქმეთთან ბრძოლა არ შეუწყვეტია. იგი სიკვდილის შემდეგაც კი ებრძვის პოეტს.

„რას არ წერდნენ ნაზიმ ჰიქმეთზე — ხაზინის ქონება მოიპარა. ბოლუში ფული იმიტომ აიღო, რომ ყარსში ჩასულიყო, ის კი რუსეთში გაიქცაო. ამტკიცებდნენ, რომ ნაზიმი, რომელიც დიდი დღესასწაულების გარდა, ღვინოს არ სვამდა, ალკოჰოლიკი და ლოთიაო. საკარო პოეზიის ეპიგონები გაჰკიოდნენ, ნაზიმ ჰიქმეთი კლასიკურ ლექსს ანადგურებსო, ეროვნული დამოუკიდებლობით მოვაჭრენი ამტკიცებდნენ, მის პოეზიას საერთო არაფერი აქვს ეროვნულ სათავეებთან, შოვინისტების აზრით კი, მისი იდეები უცხოეთის იმპორტი იყო“ (რ. ფიში).

1929 წელს ნ. ჰიქმეთმა გამოაქვეყნა თავისი პირველი პოემა „ჯოკონდა და სი ია-უ“.

მოსკოვის აღმოსავლეთის მშრომელთა კულტურის უნივერსიტეტში სწავლისას ნაზიმ ჰიქმეთი დაუმეგობრდა ჩინელ სტუდენტ ემი სი-ია-უ-ს. ამ მეგობრობამ შთააგონა პოეტს ეს პოემა. ნაზიმ ჰიქმეთი პოემაზე მუშაობას იწყებს 1928 წელს და მომდევნო, 1929 წელს აქვეყნებს კიდეც.

„ჯოკონდა და სი ია-უ“ იმდროინდელი ჩინეთის რევოლუციური სულისკვეთების ერთგვარი გამოძახილი და მხარდაჭერაა.

პოეტმა სული შთაბერა ლეონარდო და ვინჩის უკვდავ ქმნილებას ჯოკონდას, რომელსაც ლუვრში უსაქმოდ ყოფნა მობეზრებია. ჯოკონდას მონოლოგში ნ. ჰიქმეთი კარგად გადმოგვცემს მისთვის დამახასიათებელ სულისკვეთებას — ბრძოლას ყოველგვარი უძრაობის წინააღმდეგ.

მოწყენილობას რომ თავი დააღწიოს, ფლორენციელი ჯოკონდა გადაწყვეტს დღიურები წეროს. სწორედ ამის მეოხებით მიაქცევს იგი ყურადღებას ერთ ჩინელ ყმაწვილს, რომელიც ყოველდღე მოდის ლუვრში, რათა ჯოკონდას ცქერით დატკბეს. ჯოკონდას შეუყ-

ვარდა ჩინელი ჰაბუკი. მაგრამ როცა შეამჩნევს, რომ სი-ია-უ ლუვრში აღარ დადის, იგი შფოთავს, ღელავს, განიცდის.

თურმე ჩინელი ჰაბუკი საფრანგეთიდან გააძევეს, რადგან პარიზელებთან ერთად დემონსტრაციაში მონაწილეობდა.

ჯოკონდას სურს ნახოს სი-ია-უ და აი, ამ პოემის ავტორის დახმარებით, რომელიც ნაწარმოების ერთ-ერთი მოქმედი პირი ხდება, ჯოკონდა ლუვრიდან იპარება და შანხაიში ჩადის. მოგზაურობის ეპიზოდები მეტად ექსპრესიულად და შთამბეჭდავად აქვს აღწერილი ნაზიმ ჰიქმეთს.

ღამე ბნელია კოხინხოლში, ღამე ბნელია,
მხოლოდ იუნგებს არ ეძინებათ, არ ეძინებათ.
ცაზე ვარსკვლავები მრავლად არიან, მრავლად არიან.
საბრალო იუნგებს ისინი ეძახიან, ეძახიან!

ჯოკონდამ სწორედ მაშინ იპოვა ჩინელი ჰაბუკი, როცა იგი თავის მოსაკვეთად მიჰყავდათ გომინდანელებს. სი-ია-უ დაიღუპა, დანაღვლიანდა ფლორენციელი ჯოკონდა. ბოლოს მასაც ასამართლებენ, რადგან მხარს უჭერდა აჯანყებულთ და სწორედ ამის გამო გაიქცა ლუვრიდან.

პოემა ფანტასტიკური სიუჟეტისაა. მასში ჭარბობს სიმბოლური ელემენტები. პოეტი არ ცდილობს, რაიმე კანონზომიერება დაამყაროს დროსა და ადამიანებს შორის. ადამიანთა სახეები განზოგადებულია.

მაშინდელ თურქეთში ნაზიმ ჰიქმეთს არ შეეძლო აშკარად გამოეხატა თავისი თანაგრძნობა ჩანკაიშელთა წინააღმდეგ მებრძოლი ჩინელი ხალხის მიმართ, მაგრამ ის ფაქტი, რომ მისი ნაწარმოების პერსონაჟი ჩადის ჩინეთში, რათა გვერდში ამოუდგეს სამართლიანობისათვის მებრძოლ ჰაბუკს, უკვე ცხადად მიგვანიშნებს პოეტის განწყობილებებზე. „ჯოკონდა და სი-ია-უ-ს“ თურქული გამოცემისათვის დაწერილ წინასიტყვაობაში ნაზიმ ჰიქმეთი დაბეჯითებით წერდა, რომ მისი ნაწარმოები ძალიან შორს დგას არა მარტო პოლიტიკისაგან, არამედ რეალობისაგანაც კი, რომ ეს არის პოემა ერთ ჩინელ ყმაწვილ კაცზე, რომელსაც ლეონარდოს მიერ შექმნილი ჯოკონდა შეუყვარდა. მხოლოდ ასეთი ხერხით თუ შეეძლო ნაზიმ ჰიქმეთს გამოექვეყნებინა ნაწარმოები.

ნაზიმ ჰიქმეთი ისეთი ყაიდის შემოქმედი იყო, რომელიც მუდამ

ეპოქის მოწინავე ხაზზე უნდა მდგარიყო, პირველი ჩაბმულიყო ბრძოლის ქარცეცხლში. ბრძოლას კი ის თავისებურება გააჩნია, რომ ხილულ მტერთან ერთად ჩნდება შინაური, ფარული მტერი, ხოლო მათთან ბრძოლა გაცილებით რთულია. ასეთი ადამიანები თითქმის ყოველ ბრძოლაში იჩენენ თავს, ნაზიმ ჰიქმეთმაც იწვნია ასეთ ადამიანთა გამყიდველური ბუნების დაუნდობლობა.

და აი, მან დაწერა ლექსი „პროვოკატორი“, რომელიც ყოველ პატიოსან ადამიანში პროტესტის გრძნობას ჰბადებდა. პოეტს სურდა საზოგადოებაში ისეთი ატმოსფერო შეექმნა, ყოველგვარი გამყიდველური საქციელი ზიზღის საგანი გამხდარიყო. ამ საშუალებით ებრძოდა იგი ფარულსა და უხილავ მტერს.

აი, ამ კაცმა
მოძმე გასცა,
ძმას უღალატა.
ლანგრით გაჰყიდა ამხანაგის მოჭრილი თავი...
ახლა მის გზაკვალს მუდამ შიში
დაჰყვება ლანდად,
და სიცოცხლე აქვს შავ წყალიეით
მღვრიე, მშფოთავი...

. . . . . .

ახლა მას შია,
მშიერია,
სურს რამე ჭამოს!
მაგრამ სიწმინდეს მასში ჰკარგავს
შიმშილიც ავი...
ო, მეგობრებო,
ამ კაცუნამ ერთ ბნელ საღამოს
ლანგრით გაჰყიდა ამხანაგის მოჭრილი თავი.[1]

„პროვოკატორისა“ და შემდეგ წლებში დაწერილი ლექსების მეოხებით ჩვენ დავინახავთ, თუ როგორი იყო იმ დროის პოეტის სულისკვეთება. ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები გვიამბობენ იმას, რასაც პოეტის ბიოგრაფიაში ვერ წავიკითხავთ. ლექსები კი ნაწილია ბიოგრაფიისა, იგი გამოხატავს შემოქმედის შინაგან სამყაროს, მისი სულის მოძრაობას. ამ ლექსის მეოხებით ჩვენ ვიგებთ, რომ 30-იანი წლების დასაწყისიდან პოეტი ერთიანად შეუპყრია ბრძოლის წა-

[1] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

დილს და მწვავე ბრძოლების შუაგულში იმყოფება. ამიტომაცაა, რომ ამ დროიდან ნაზიმ ჰიქმეთის ლირიკაში ძლიერდება რომანტიკულ-ჰეროიკული პათოსი, იგი თანდათან რევოლუციონერთა ტრუბადურად, მათ წამქეზებლად და მათი საქმეების სულისკვეთების პოეტურ აღმნუსხველად იქცევა. ამიტომაც ნ. ჰიქმეთის ლექსებს შაშხანებზე მეტი ძალა ჰქონდა.

ნაზიმ ჰიქმეთისათვის პოეზია იყო მაღალი ტრიბუნა, რომლიდანაც ხალხს მოუწოდებდა: მაშინაც კი, როცა იგი ბრძოლაში დაცემულთ უმღერის, არც ერთ სტრიქონში არ იგრძნობა სანტიმენტალიზმი. აქაც კი ჰეროიკულია. მართალია, მეგობარს ემშვიდობება, მაგრამ ეს დამშვიდობება ნაღველითა და სასოწარკვეთით კი არა, მეტი საბრძოლო სულისკვეთებით გაესებს:

ამხანაგებო,
ჩემო ძმებო
ამბოხის დღეთა,
შწკრივში ჩადექით
საბრძოლველად ხელში თოფებით!
მე თქვენს თვალებში,
თქვენს ბრძოლებში
ჩემს ზრდასაც ვხედავ...
გემშვიდობებით![1]

ცხადია, ასეთ სტრიქონებს მაუზერზე დიდი ძალა ჰქონდა და ეს კარგად იცოდა ნაზიმ ჰიქმეთმა. მას სწორად ესმოდა, თუ რა შეეძლო პოეზიას, როგორ შეეძლო დაერაზმა, აეტაცა ხალხი.

1930 წელი ბედნიერი წელია ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებაში. ამ წელს დაწერა მან ბევრი ბრწყინვალე ლექსი: „პროვოკატორი“, „გამოთხოვება“, „მოუკიდებელი პაპიროსი“, „პასუხი № 2“, „ჰაერი მძიმეა“, „რიგითი ჯარისკაცის სიკვდილი“, „დაპატიმრების წინადღე“.

რომც არაფერი ვიცოდეთ 30-იანი წლების პირველი ნახევრის თურქეთის ცხოვრებაზე, სოციალურ ურთიერთობათა თაობაზე ამ ქვეყანაში, საკმარისია წავიკითხოთ ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები და ყველაფერი ნათელი იქნება. პოეტმა დაგვიტოვა ნამდვილი პოეტური სურათები იმ ატმოსფეროსი, რაც იმდროინდელ თურქეთში სუ-

[1] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

ფევდა. ხელოვანის ერთ-ერთი მოვალეობაც ხომ სწორედ ესაა.

ამ წლებში ნაზიმ ჰიქმეთის პოეტური ოსტატობა უფრო და უფრო იხვეწება. ასე რომ არ ყოფილიყო, მისი ლექსები მანამდე დაჰკარგავდნენ პოეტურ მომხიბლაობასა და შემოქმედების ძალას, ვიდრე თვით ეს ბრძოლა დამთავრდებოდა. ნაზიმ ჰიქმეთის არსებაში პოეტ-ტრიბუნს არასოდეს არ დაუჩრდილავს პოეტი — ლექსის ბრწყინვალე ოსტატი. იგი დარჩა თურქული ლექსის ჩინებულ ხელოვნად. ამაში ქართველი მკითხველიც დარწმუნდება ვ. კეკელიძის ბრწყინვალე თარგმანების მეოხებით. აი, ლექსი „მოუკიდებელი პაპიროსი“:

იგი ამაღამ მიჰყვება ჯალათს...
(მას სიკვდილი აქვს გადაწყვეტილი).
ფართო,
მძლავრ მკერდზე გამოსწვავს ხალათს
ცხელი ტყვიების მრავალწერტილი.
ფერმკრთალი სახე,
ვით თეთრი ტილო,
თვალებში ისევ ამბოხის
მეხი,
დინჯი
ნაბიჯი...
და სასიკვდილოდ
თვითონ წავიდა
საკუთარ ფეხით.
— შენ პაპიროსი ხომ არ გაქვს ერთი?
თუ გაქვს, მომეცი, —
მითხრა მან წყნარად.
— მაქვს, — ეუპასუხე, —
ჰა, გამომართვი...
ასანთი არ გაქვს?
— ასანთი? არა.
გამომართვა და წასელას აპირებს,
ისევ მიჰყვება უხმოდ ჯალათებს.
ცეცხლი რად გინდა,
მაგ შენს პაპიროსს
ნასროლი ტყვიის ალი აანთებს.[1]

„ნასროლი ტყვიის ალში“ გამოზრდილი და დავაჟკაცებული ადამიანების ეს ჰეროიკული პათოსი თავის სრულყოფას ჰპოვებს

[1] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

პოეტის შემდეგდროინდელ ლექსებში — ვიდრე პოეტს ხანგრძლივი დროით არ დააპატიმრებენ. ნაზიმ ჰიქმეთის პოეზია სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება 1937 წლამდე.

ასე ცხოვრობდა პოეტი სამშობლოში. 1961 წელს დაწერილი ერთი პაწია მოგონების მეოხებით ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იგონებდნენ მას იმ ხანებში მოსკოვში. მოგვყავს ამონაწერი ერთი მოგონებიდან: მოგონების ავტორია ცნობილი საბჭოთა პოეტი ალექსი სურკოვი.

„ედუარდ ბაგრიცკის პატარა, აკვარიუმებით მორთულ და წიგნებით სავსე ოთახში, როგორც ყოველთვის, ვიღაც დამწყები პოეტები იყვნენ.

ბაგრიცკიმ მისალმებაზე არც კი მიპასუხა, იქვე მკითხა — ახლახან ჩემგან ერთი ახალგაზრდა გავიდა, ხომ არ შეგხვედრია?

— არა, მგონი, არავინ შემხვედრია.

— სამწუხაროა, რომ გვიან მოხვედი. ძალიან საინტერესო პოეტს გაგაცნობდი. ნიჭიერი პოეტია, წმინდა წყლის თურქია. ქერა, ცისფერთვალება, ძალიან ნიჭიერია, ძალიან! — ედუარდ ბაგრიცკიმ მაგიდაზე უწესრიგოდ მიმობნეულ ქაღალდებს შორის ერთი ხელნაწერი იპოვა და დაიწყო ნ. დემენტიევთან ერთად ამასწინათ თარგმნილი ლექსის „პიერ ლოტის“ კითხვა. — გესმის? — მითხრა მან.— ეს კიპლინგი კი არ არის, მეოცე საუკუნეა, გეთაყვა. მომავალი ალაპარაკდა ლექსებში, მომავალი!

გამოხდა ხანი. ბაგრიცკის ვთხოვე, პირველი შემთხვევისთანავე გაეცნო ჩემთვის ჰიქმეთი.

— იცი რა, არაფერი გამოვა, ახლა იგი იქ არის, არალეგალურ მუშაობას ეწევა თურქეთში“.

1930 წელს გამოდის ნაზიმ ჰიქმეთის ლექსების მესამე წიგნი „ესეც მესამე“. კრებული „ესეც მესამე“ ძირითადად ახალი ლექსებისაგან შედგება და მათი მთავარი ხაზი ჰეშმარიტი პოეზიისათვის ბრძოლაა. ამიტომ წიგნი უმთავრესად პოლემიკურ ხასიათს ატარებს.

1930 წელს გამოვიდა აგრეთვე ლექსების კრებული „1+1=1“. ამ წიგნს ორი ავტორი ჰყავდა. ნაზიმ ჰიქმეთის ლექსების გარდა მასში მოთავსებული იყო ვალი ნაილის ოთხი ლექსი.

რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ნაზიმ ჰიქმეთი, თავის ქვეყანაში ძალზე ცნობილი პოეტი, რომლის ლექსებსაც უმაღლეს შე-

ფასებას აძლევენ საზოგადოებრიობის ყველა ფენის წარმომადგენლები, სხვა პოეტთან ერთად სცემს ლექსების წიგნს?

ამას მხოლოდ ერთი გამართლება უნდა ჰქონდეს — მართალია, წიგნს ორი ავტორი ჰყავს, მაგრამ თავიანთი ლიტერატურული კრედოთი, მისწრაფებებითა და მიზნებით ისინი ერთნი არიან, ერთი სურვილი ამოძრავებთ. ამრიგად, ვ. ნაილი ერთი პირველთაგანი იყო იმ შემოქმედთა შორის, რომელიც უმალ ნაზიმ ჰიქმეთის მხარეზე დადგა.

ამასთან ერთად, ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც — არც თურქულ და არც რუსულ წყაროებში არაფერია ნათქვამი ვ. ნაილის შესახებ. ბიოგრაფიის შემდგენელნიც კი დუმილით უვლიან გვერდს მას. შეგვიძლია, მხოლოდ ერთი რამ ვივარაუდოთ. როგორც ჩანს, ვ. ნაილის პოეტური ნიჭი ადრე ჩაქრა, აღარაფერი შეუქმნია ღირსშესანიშნავი და საინტერესო.

ვინ უნდა იყოს ვ. ნაილი?

ზემოხსენებული მიზეზების გამო, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია, ამიტომ მოსალოდნელია შევცდეთ კიდეც, მაგრამ თუ გავიხსენებთ ნაზიმ ჰიქმეთის ბიოგრაფიას, გავეცნობით მისი ახლო მეგობრების წრეს, შეიძლება, ერთი ჰიპოთეზა შევთავაზოთ მკითხველს.

ვ. ნაილი უნდა იყოს ფსევდონიმი ვალა ნურედინისა.

ვალა ნურედინი ნაზიმ ჰიქმეთის სიყრმის მეგობარი იყო, სწორედ მასთან ერთად გაიქცა პოეტი ოკუპირებული სტამბულიდან ანატოლიაში, მასთან ერთად მასწავლებლობდა ბოლუს სკოლაში. ნაზიმი და ნურედინი ერთად ჩამოვიდნენ და სწავლობდნენ საბჭოეთში.

ასე რომ, ისინი თანამოაზრენი იყვნენ. ამ ორ ახალგაზრდას ბევრი რამ აერთიანებდა: განვლილი ცხოვრების გზა, მიზანი. ვ. ნურედინი სიშაბუკეში ლექსებს წერდა და მასაც იგივე პოზიცია ეჭირა, რაც ნაზიმ ჰიქმეთს. იგი გვეველინება აქტიურ საზოგადო მოღვაწედ, მებრძოლად, მაგრამ შემდეგ ვერ გაუძლო რეაქციის შემოტევას, ვერ აიტანა ბრძოლის სირთულენი, დაფრთხა და განზე გადგა. ხელი მიჰყო იაფფასიანი დეტექტური რომანების წერას, რომლებიც, რასაკვირველია, არავითარ კვალს არ დატოვებდა ლიტერატურის ისტორიაში. ნ. ჰიქმეთის მეგობრის ეს ბიოგრაფიული მო-

შენტები გვაფიქრებინებს, რომ ვ. ნაილი ვ. ნურედინის ლიტერატურული ფსევდონიმია.

ლექსების წიგნი „1+1=1“ რამდენიმე ხნის შემდეგ პოეტის მრავალ უსიამოვნებათა მიზეზი გახდება, რადგან ამ წიგნში შესული ლექსები ბრძოლის განწყობილებას ნერგავდა საზოგადოებაში. პოეტი აშკარად დადგა მუშათა მხარეზე და მათი მოწინავე ფრთის ცხოვრებას უძღვნიდა თავის პოეზიას. ამის შესახებ ერთ-ერთ ჟურნალისტთან საუბარში ნაზიმ ჰიქმეთმა განაცხადა: „მე განსაზღვრული კლასის პოეტი ვარ, ამ კლასს კი განსაზღვრული ადგილი უჭირავს სოციალურ ცხოვრებაში. იგი ინდუსტრიამ წარმოშვა... მე ვწერ ამ კლასის მწუხარებაზე, ნაღველზე და გასაჭირზე“.

„ჰაერი, ვით ტყვია, მძიმეა ტიალი...“

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება მრავალპლანიანია, რომ ადამიანების ყოფა, ხასიათები, ბუნება, ბედი და სხვა ელემენტები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნაზიმ ჰიქმეთი მაინც ახერხებს საზოგადოების ორად გაყოფას. პირველნი არიან ისინი, ვისაც უკვე მიუღია ამ ცხოვრების ყველა სიკეთე, ანდა ვიდრე გაჩნდებოდა, გამზადებული ჰქონდა იგი და ახლა მოძმეც კი დაუვიწყნია, მეორენი კი ყოველდღიური, მწარე და მაშვრალი შრომით მოიპოვებენ ლუკმაპურს. რასაკვირველია, ამ ორ დაჯგუფებას შორის ძალიან დიდი კონტრასტი და კონფლიქტია. პირველს ახასიათებს გულგრილობა ადამიანთა ბედის მიმართ, მომხვეჭელობა და დაუნდობლობა. მეორე კი საზოგადოებრივ მოვლენებს პასიურად აღიქვამს და ამიტომ ამ ცხოვრების ბედკრულ თანამგზავრად გადაქცეულა, მაგრამ ეს ამ საზოგადოებრივი დაჯგუფებების, ე. წ. საწყისი მდგომარეობაა. როგორც კი ბურჟუაზიული მანქანა ამოძრავდება, პირველს უმალ უვითარდება ზეადამიანობისა და ძლიერი კასტის თვისებები. ხოლო მეორე განუდგება თავისსავე მონურ მორჩილებას, აღარ ურიგდება ბედს, რომელიც ისტორიამ არგუნა. ეს არის მისი წილი სიმწარეც და სიტკბოც ამ ქვეყნად. საზოგადოების ამ ორ ჯგუფად დაყოფას უფრო ღრმად თუ გავყვებით, დავინახავთ, რომ იგი საყოველთაოდ ცნობილ კეთილისა და ბოროტის ურთი-

ერთშეპირისპირებაში ღებულობს სათავეს, მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთი ამ კეთილსა და ბოროტს არ ხედავს განზოგადოებულად, იგი აკონკრეტებს ადამიანთა როლს საზოგადოებაში და ძალიან მარტივი, საზოგადოებისათვის გასაგები საშუალებებით ლაპარაკობს მასზე, რადგან კარგად იცის, ხელოვნების სიდიადე სწორედ უბრალოებაა.

დიახ, მისთვის ადამიანები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი! პოეტს სწამდა, რომ შემოქმედი მუდამ იმათ მხარეზე უნდა იყოს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია, მაგრამ მას არ სწამდა უბრალო თანაგრძნობა — პოეტის დანიშნულება ამ პასიური მასის საბრძოლო სულისკვეთებით აღგზნება უნდა ყოფილიყო. შემოქმედს უნდა ჩაეგონებინა მისთვის, რომ ქვეყანაზე ადამიანის დაბადებამდე კი არ გადაწყვეტილა მათი ბედი, არამედ შემდეგ, ყოველდღიურ ყოფაში იქმედება იგი. საჭიროა წინააღმდეგობა, ბრძოლა. აქედან უკვე ხაზი მიემართება მისი შემოქმედების მთავარი პათოსის მისაკვლევად — პოეტის უწინარესი და უპირველესი მოვალეობაა თვითონვე ებრძოლოს ხელისუფლებას, რადგან თავისთავად ხელისუფლება ისეთი რამ არის, რომ იგი ყველა სიკეთეს არ გაიმეტებს ხალხისთვის. ეს სიკეთე ყოველდღიური ბრძოლით უნდა მოუპოვოს ხალხს პოეტმა. ასე რომ, პოეტი ხალხსა და ხელისუფლებას შორის ჩამდგარი პიროვნებაა, რომელიც საკუთარი სიცოცხლის ფასად იბრძვის ხალხისათვის.

პოეტის ინტერესთა სფეროში შემოდის ორივე ჯგუფის ადამიანთა ცხოვრება. იგი წერს იმათზე, ვინც ხვალ უნდა გაასამართლონ ადამიანები, დღეს კი ღვინით სავსე ჭიქა უჭირავთ ხელში და ფიქრობენ დახვრიტონ თუ არა პატიმარი („მრგვალ მაგიდასთან“), წერს რიგით მშრომელ კაცზე, რომელიც ჩუმად და უხმაუროდ აკეთებს თავის საქმეს.

ამ ხანებში ნაზიმ ჰიქმეთი წერს ე. წ. „საპასუხო ლექსებს“. პირველი მათგანი მიმართული იყო პოეტ აჰმედ ჰაშიმის წინააღმდეგ, პოეტი კოლეგებს ეკამათებოდა პოეზიის დანიშნულებაზე, იმაზე, თუ რა მისია აკისრია პოეტს საზოგადოებაში და რისთვის არის იგი მოწოდებული. პოეტი არ იზიარებს აჰმედ ჰაშიმის შეხედულებას და უკუაგდებს ყოველგვარ ლიტერატურულ დოგმასა და კანონს. პოეზიის საგანი შეიძლება გახდეს ცხოვრების ყოველი მოვლენა.

თუ ლექსი „პასუხი“ კამათია ლიტერატურის დანიშნულებაზე, „პასუხი №—2“ გამსჭვალულია კლასობრივი ბრძოლის ღრმა სულისკვეთებით; აქ კიდევ ერთხელ ცხადად იკვეთება პოეტის მისწრაფება, მისი პოეტური კრედო:

არსებობს ორი მაწანწალა:
პირველი — გლახა,
ხიდის ქვეშ გდია
და ვარსკვლავებს ითვლის ღამეში...
არსებობს ორი მაწანწალა:

მეორეს ნახავთ
მდიდრულ სუფრასთან
კოხტად ჩაცმულს
მთვრალს და გალეშილს.
იგი მდიდარი ბატონების ფეხქვეშ აგდია.[1]

ორივე სრულიად სხვადასხვა კლასის წარმომადგენელია, არც ერთს არ მოაქვს რაიმე სარგებლობა რევოლუციის, ხალხის საქმისათვის, მაგრამ პირველი მაინც ნაკლები ბოროტებაა, რადგან იგი პასიურია, ვერაფერს ახერხებს და შესაძლოა, ერთ დროს რევოლუციონერთა ბანაკშიც კი აღმოჩნდეს. ლუმპენპროლეტარიატი პოტენციაში მაინც რევოლუციური მასაა, მეორე კატეგორიის მაწანწალები კი ერის ინტერესებით ვაჭრობენ, ეწევიან იდეალების სპეკულაციას და მხოლოდ საკუთარი ყოფისათვის ზრუნავენ. ისინი ბილწავენ ყველაფერს, რაც კარგია ერის სულში და ამით იქცევიან იმ ელემენტებად, რომელსაც ზიანი მოაქვს ერისათვის. ამიტომ ბუნებრივია, ნაზიმ ჰიქმეთის დამოკიდებულება ასეთი ადამიანებისადმი:

შენ ლაჩია ხარ,
აყვანილი კვადრატში,
კუბში,
არრამზადა ხარ,
არრამზადა
და მაწანწალა![2]

ნაზიმ ჰიქმეთი პოეტია, რომელსაც „ამ ეპოქამ მისცა ძალა და შთაგონება“. ისიც სწორედ ეპოქის სულით გაჟღენთილი ებრძვის

[1-2] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

ეპოქის მთავარ მტრებს. ასეთი სულისკვეთება, ასეთი პათოსი სწორედაც საჭირო იყო 30-იანი წლების პოეტისათვის, ვინაიდან ამ დროს თურქეთში ფეხს იკიდებს ფაშისტური იდეოლოგია. მართალია, როცა ეს ლექსი დაიწერა, ჰიტლერი ჯერაც არ დამდგარიყო გერმანული სამხედრო მანქანის სათავეში, მაგრამ მიუნხენის ლუდხანებსა და გერმანიის სხვა ქალაქების ქუჩებში აზვირთებული იდეოლოგია თურქეთშიც აღწევს. ეს კი გავლენას ახდენს თურქი ინტელიგენციის ცხოვრებაზე. ამას კარგად გრძნობს ნაზიმ ჰიქმეთი. მან განკვრიტა, რა საშინელი სენი ემუქრებოდა ევროპას და იგი უფრო შეურიგებელი, უფრო ბრძოლისუნარიანი გახდა.

პოეტი გრძნობს, რაოდენ მძიმე და აუტანელ სახეს ღებულობს თურქული ყოფის ატმოსფერო და იგი ქმნის ბრწყინვალე ლექსს, რომელიც მოქალაქეობრივი ლირიკის შედევრადაა აღიარებული. „ჰაერი მძიმეა“ სწორედ ის ლექსია, რომელშიც გამოხატულებას ჰპოვებს მეოცე საუკუნის საუკეთესო იდეალები. ამ ლექსში ჩანს თვით ნაზიმ ჰიქმეთი, პოეტი, პიროვნება, მოქალაქე და მოაზროვნე. შეიძლება ითქვას, ეს ლექსი მისი სულის ავტოპორტრეტია:

ჰაერი, ვით ტყვია, მძიმეა
ტიალი...
(მტარვალმა არ იცის გრძნობა
და დანდობა).
მე ვყვირი...
მე ვყვირი...
მე ვყვირი,
ვღრიალებ:
„იჩქარეთ
საბრძოლო ტყვიის გადადნობა“.[1]

ლექსის ამ მაღალი რეგისტრით დაწყება, რასაკვირველია, სარისკოა, რადგან შესაძლოა ბოლომდე არ გეყოს სუნთქვა. ხოლო თუ ერთგან გიმტყუნა პოეტურმა ენერგიამ, გიმტყუნა ფოლადმა ხმაში, ის ათასებიც კი უმალ გაქცევენ ზურგს, რომლებიც შენს კვალში ჩამდგარან. ხოლო ისინი, ვინც ახლა უნდა განგეწყო საბრძოლველად, აღარასოდეს მოიხედავენ შენკენ, რადგან დაინახეს, რომ ეს მოწოდება მუხლშემდრკალთა და სულმოკლეთა ერთი ამოძახილი ყოფილა მხოლოდ.

[1] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

ამიტომ შესაძლოა ადამიანები გაჰყვნენ მეორე მოწოდებას, მეორე რჩევას, რომელიც პოეტის სულისკვეთების ანტითეზაა და ცხოვრებაში უფრო მეტი გასავალი აქვს. ეს მეორე შეხედულება უზრუნველ, უშფოთველ ცხოვრებას ქადაგებს. ეს თვითკმაყოფილება, მიღწეულით უდიდესი ბედნიერების გრძნობაა. იგი ადამიანებს მეშჩანურ სიმშვიდეს აძლევს. ეს სიმშვიდე კი დანაშაულს უდრის, რადგან ამ ქვეყნად მოსული ადამიანის ვალი მომავლისათვის ბრძოლაა:

ის მე მეუბნება:
    ნუ ყვირი,
        გაჩერდი.
შენ ფერფლად იქცევი,
თუ ამ გზით იარე!
ბევრია ნაღველი,
დარდი და
    არც ერთი
არა ჰყავს მკურნალი
    გულის ღრმა იარებს.[1]

აქ ერთიმეორეს დაუპირისპირდა საუკუნეების სიღრმიდან მიმდინარე ორი აზრი სამყაროზე, წუთისოფელზე, მოძმეთათვის თავდადება და ამაოება ამაოებათა. სამყარო უცვლელია, ამაოა ყოველი ცდა მრუდის გასწორებისა, მაგრამ არის მეორე აზრიც — უკეთილშობილესი — ბედთან შეურიგებლობისა და ადამიანებისათვის თავგანწირულებისა:

მე კი მას ვპასუხობ:
    „ძვირფასო, მძაგს იქვე...
დავიწვა.
    შევაკვდე ბრძოლაში ჯალათებს!
მე თუ არ დავიწვი.
შენ თუ არ დაიწვი,
ჩვენ თუ არ დავიწვით,
ბნელს რა გაანათებს![2]

დღესაც, როცა სურთ პოეტურად გამოხატონ იდეებისადმი თავდადება, მამაცობისათვის მზადყოფნა, ქვეყნიერების თითქმის ყოველ კუთხეში იგონებენ ნაზიმ ჰიქმეთის ამ სტრიქონებს. ერთმა

[1-2] თურქულიდან თარგმნა ე. კეკელიძემ.

პოეტმა თქვა მილიონთა სათქმელი და ამ მილიონებს მისცა ის, რაც მათ ძალზე სჭიროდათ. ამიტომ გახდა ნაზიმ ჰიქმეთი საყოველთაო პოეტი.

რ. ფიში გვამცნობს ნ. ჰიქმეთის ბიოგრაფიის ერთ ფაქტს:

1930 წელს ნაზიმ ჰიქმეთს ეწვია პირველი უცნაური სიყვარული. გოგონას ერქვა მიუნევერი. იგი ჩვიდმეტი წლისა იყო. ნაზიმის დედის ძმის შვილი მიუნევერი საფრანგეთში გაიზარდა, ფრანგმა დედამ ფრანგული ყაიდის განათლება მისცა შვილს და აი, ერთმანეთს შეხვდნენ ბრძოლებში გამოვლილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ მაინც მრავლის მნახველი პოეტი და 17 წლის დედის ნებიერა გოგონა. მათ გატაცებით შეუყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთი უარს ამბობს მიუნევერის სიყვარულზე. პოეტს მიაჩნდა, რომ ისეთი მოწოდების ადამიანისათვის, როგორიც იგი იყო, ოჯახის შექმნა წარმოუდგენელი რამ იყო. ამას გარდა, მას არ სურდა, 17 წლის გოგონას წამების გზებზე სვლით დაეწყო ცხოვრება. მას უყვარდა მიუნევერი და ვერ გაბედა თავისი სირთულეებით სავსე ცხოვრების თანაზიარი გაეხადა იგი.

ზოგჯერ ადამიანთა ურთიერთობაში ისეთი რამ ხდება, რასაც ვერაფრით ახსნი, ვერცერთ კატეგორიას ვერ მიუსადაგებ. მიუნევერი არ შეირთო, უყვარდა და მაინც არ შეირთო. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, იმავე 1930 წელს, ნაზიმ ჰიქმეთი დაქორწინდა ფირაიე ჰანუმზე. ეს იყო ქალი, რომელსაც ცხოვრების გარკვეული გზა გაევლო, ქალ-ვაჟი ჰყავდა და შეეძლო ცხოვრებაში გაბედული ნაბიჯებით ევლო.

იქნებ ნაზიმ ჰიქმეთი წინასწარ გრძნობდა თავისი ცხოვრების დახლართული გზების სუსხს და მიაჩნდა, რომ გავლენიანი წრეების შთამომავალი ფირაიე ჰანუმი არ დაიბნეოდა ამ გზაზე...

ნაზიმ ჰიქმეთის მიერ ამ პერიოდში დაწერილი ლექსები („ფიცი ღამეს“, „მეორე წერილი მას, ვინც მიყვარს“ და სხვა) კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რა იყო მისი შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალა — იგი წერდა მხოლოდ იმაზე, რასაც გრძნობდა, რასაც განიცდიდა. ვიდრე იგი შეყვარებული არ გახდა, ერთი სტრიქონიც არ დაუწერია სიყვარულზე და ქალზე. ჩვენ კარგად ვიცით მისი შეხედულება სასიყვარულო პოეზიაზე. ადრეულ წლებში იგი უარყოფდა სიტყვა „გულსა“ და „სიყვარულს“, მაგ-

რამ ეს იყო ადრეულ წლებში, მას შემდეგ პოეტმა ბევრი რამ გადაიფასა, ბევრი მოვლენა თითქოს სხვა თვალით დაინახა, მაგრამ ბრძოლის სულისკვეთებით დამუხტულ დღეებში თითქმის დრო აღარ რჩებოდა სიყვარულისათვის, სასიყვარულო ჟამი ჯერაც არ დამდგარიყო. მაგრამ მაშინ, როცა იგი შეყვარებული ხდება, ჩვენ ვხედავთ, თუ რაოდენ ნაზია მისი სასიყვარულო ლირიკა.

1931 წელს ნაზიმ ჰიქმეთმა გამოსცა ლექსების კრებული — „ხმადაკარგული ქალაქი“. ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ლექსი 1929 წელს სტამბულის ტრამვაის მუშათა გაფიცვას მიუძღვნა პოეტმა. ამ ლექსის დაბეჭდვას ერთგვარი უსიამოვნებაც მოჰყვა თან, მაგრამ პოეტი არც ახლა შეუშინდა ფათერაკებს და უკვე მთელი წიგნის გამჭოლ ხაზად გახადა ამ ლექსის სულისკვეთება. ეს კი, როგორც მოსალოდნელი იყო, საბაბი გახდა ნაზიმ ჰიქმეთზე კიდევ ერთი იერიშის მიტანისა. ეს შეტევა განსაკუთრებული სიფრთხილით მზადდებოდა.

ნაზიმ ჰიქმეთის ცხოვრების დრამაში უკვე შემოდის თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც ნელ-ნელა პოეტის ბედის წარმმართველის როლს იჭერს. იგი ხან სცენაზეა, ხან სცენის სიღრმიდან განაგებს პოეტის ცხოვრებას. მისი აქტიურობა ძალიან არის დამოკიდებული პოლიტიკურ ამინდზე. რაც უფრო იზრდება ფაშიზმის გავლენა, მით უფრო მსახვრელი ხდება მისი ხელი.

ამჯერად შინაგან საქმეთა სამინისტრო საკმაოდ „თავაზიანად“ ჩაერია პოეტის ცხოვრებაში — სტამბულის პოლიციის სამმართველოს უფროსს დეპეშით სთხოვა ეცნობებინა, რა აზრისა იყო ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიაზე. პოლიციის სამმართველომ კარგად იცოდა, რას ნიშნავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ასეთი დაინტერესება და თავისი მეცადინეობა არ დააკლო საქმეს. შედეგმაც მალე იჩინა თავი —„ხმადაკარგული ქალაქის“ გამოცემისთანავე ნაზიმ ჰიქმეთი დააპატიმრეს — ბრალად დასდეს კომუნისტური იდეების პროპაგანდა. ეს საკმაოდ სერიოზული ბრალდება იყო. უმალ მოეწყო სასამართლოც, მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთი გადარჩა. ოფიციალური კანონი ჯერ კიდევ არ ითვალისწინებდა მის დასჯას.

ჩვენ ვნახეთ, რომ ადრე, მოსკოვში ცხოვრების პერიოდში, იგი გატაცებით წერდა პატარ-პატარა პიესებს. ეს პიესები ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებაში უკვალოდ გაქრა. თვითონ პოეტსაც აღარ მო-

სურვებია მათკენ მიბრუნება, რადგან გრძნობდა, რა ბევრი აკლდა ამ პიესებს, რომ ჰეშმარიტ მხატვრულ ქმნილებებად ქცეულიყვნენ, მაგრამ 30-იან წლებში ნაზიმ ჰიქმეთი მიუბრუნდა დრამატურგიას.

აქვე ურიგო არ იქნება მკითხველს ზოგადად გავაცნოთ თურქეთის თეატრალური წარსული.

თურქული თეატრალური ხელოვნების სათავეების ძიებას შორეულ წარსულში გადავყავართ. თეატრალური ხელოვნების პირველი ეტაპი თურქეთში ყოფილა ერთგვარი სანახაობა, რომელსაც რქმევია „ორთა ოიუნუ“ (თამაში ღია ადგილას, შუაში). ის თავის დროზე ხალხისათვის მეტად საინტერესო სანახაობა ყოფილა.

ამ თეატრში, რომელსაც არც ფარდა და არც არავითარი დეკორაციები არ ჰქონდა, წარმოდგენები ღია ცის ქვეშ იმართებოდა. მაყურებელს პიესის დაწყებამდე მოკლედ განუმარტავდნენ, სად და როგორ გარემოში მიმდინარეობდა მოქმედება. პიესის მთავარი მოქმედი პირები იყვნენ: გამოჩერჩეტებული მოხუცი, ყმაწვილი კაცი, მლოცველი და ჰკუათხელი ქალი.

მაგრამ თურქი ხალხის ძალზე საყვარელი სანახაობა მაინც ლანდების თეატრი „ყარაგიოზი“ ყოფილა. „ყარაგიოზი“ იმდენად პოპულარული და გავრცელებული იყო თურქეთში, რომ ყოველ სოფელში, დღესასწაულებზე „ყარაგიოზის“ სპექტაკლები იმართებოდა. თურქი მეცნიერის ნ. მინერლის აზრით, „ყარაგიოზის“ წარმოდგენები თურქეთში ჯერ კიდევ მე-14 საუკუნიდან იმართებოდა, ხოლო მე-16 საუკუნის შემდეგ ფართო გავრცელება ჰპოვა.

„ყარაგიოზის“ თეატრი იმდენად საინტერესო მოვლენაა, რომ მას საგანგებო შრომები მიუძღვნეს შაპოლიომ, ი. კურნოშმა, ვ. გორდელევსკიმ, ვ. მინორსკიმ, მარტოვიჩმა, ნიუზმევმა, ბალთაჯიოღლუმ და სხვებმა.

საბჭოთა მეცნიერი გ. გორბატკინა წერს:

„ყარაგიოზის“ წარმოშობის თაობაზე მრავალნაირი თვალსაზრისი არსებობს. ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ თურქებმა ჩინეთიდან გადმოიღეს „ყარაგიოზის“ პრინციპები. ზოგი კი ამტკიცებს, „ყარაგიოზი“ ეგვიპტური ან ინდური მოვლენა უნდა იყოსო. ასეა თუ ისე, თურქეთში „ყარაგიოზმა“ მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებანი შეიძინა და ნამდვილ სახალხო თეატრად იქცა“.

პროფესიული თეატრის დაბადების თარიღად თურქეთში მე-19

საუკუნის მეორე ნახევარია მიჩნეული. ამ დროს (1859—1882 წ.წ.) შეიქმნა „შარქ თეათროსუ“ („აღმოსავლეთის თეატრი“), რომელსაც გედიქ ფაშას თეატრსაც ეძახდნენ. თეატრს ხელმძღვანელობდა აგოფ ფაშა ვართანიანი.

თურქული ლიტერატურის ისტორიკოსი მუსტაფა ნიჰათი თავის წიგნში „თურქული ლიტერატურის ისტორია“ პროფესიულ თურქულ თეატრს შემდეგ პერიოდებად ჰყოფს:

1. თურქული თეატრი და პირველი თეატრალური (ე. ი. დრამატული) თხზულებანი; 2 პერიოდი თეატრში (1873—1881) ეს ის დროა, როცა დაიწერა ცნობილი მწერლების აჰმედ თევფიქ ფაშას, ნამიქ ქემალის და აბდულ ჰაქ ჰამიდის პიესები; 3. 1908 წლის შემდეგდროინდელი თეატრი; 4. გალექსილი თეატრი.

იგივე მუსტაფა ნიჰათის ცნობით, თანზიმათის შემდეგ თურქეთში ჩამოდიან ევროპელი მსახიობები, რომლებიც სტამბულის ერთ-ერთ მოედანზე, ბეიოღლუზე, პირველი სამედიცინო სასწავლებლის წინ, რომელიღაც შენობაში მართავენ წარმოდგენებს. აქ მათ 1842 წელს წარმოუდგენიათ თურქულ ენაზე თარგმნილი რომელიღაც იტალიური პიესა.

პირველი პროფესიული თურქული პიესა არის ცნობილი მწერლის შინასი ეფენდის „პოეტის ქორწინება“. ამ პიესაში შეიმჩნევა ფრანგული, განსაკუთრებით, მოლიერის დრამატურგიის გავლენა.

ამ დროის თურქული თეატრის განვითარების საქმეში მეტად აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ხოჯა მიჰაელ ნაუმი. მას საკუთარი თეატრიც ჰქონია თურმე. 1860 წელს მიჰაელ ნაუმს შეუქმნია სომხური დასი და დაუწყია პიესების დადგმა. მალე მათ თურქულ ენაზე გაუმართავთ სპექტაკლები.

ნაზიმ ჰიქმეთი სიჭაბუკის წლებში დაწერილ პიესებში ხშირად სარგებლობდა „ყარაგიოზის“ და „ორთა ოიუნუს“ თეატრის პრინციპებით. მას არ უყვარდა „ოთახის დრამატურგია“ და მიაჩნდა, ხალხის ყოფის საჩვენებლად სწორედ ფართო არე-ქუჩები, მოედნები უფრო გამოდგებაო. „ორთა ოიუნუს“ პრინციპების გამოყენება თვალნათლივ იგრძნობა მის პირველ პიესაში „თავის ქალა“, რომელიც 1932 წელს ჯერ დაიბეჭდა და შემდეგ „დარულბედაის“ თეატრში დაიდგა. პიესის პირველი ვარიანტი მოსკოვში დაიწერა, მაგრამ იგი იმდენად სუსტი ნაწარმოები გამოდგა, რომ ჰიქმეთს არსად

არ უხსენებია. ხუთი-ექვსი წლის შემდეგ კი, 1931 წელს ნაზიმ ჰიქმეთი მიუბრუნდა ამ პიესას და შეჰქმნა ნაწარმოები, რომელიც უმალ მოექცა თეატრალური სამყაროს ყურადღების ცენტრში.

„თავის ქალის“ იდეური მიზანდასახულობა იდენტურ კავშირშია ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიის პათოსთან. ნაჩვენებია ბურჟუაზიული ყოფის დამღუპველი გავლენა მეცნიერებაზე. პიესის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი — დოლბანეზო — მსხვერპლია ბურჟუაზიული სამყაროს კანონებისა. ნაზიმ ჰიქმეთი მებრძოლი სულისკვეთების შემოქმედი იყო და, ცხადია, სწორედ ამ პოზიციიდან ასახავდა ყოფას, მაგრამ ნაწარმოების მიზანდასახულობაზე აქ არანაკლებ საინტერესოა თვით თხზულების ფორმა. „თავის ქალა“ ფაქტიურად პოეტის პირველი სერიოზული დრამატული ნაწარმოებია. როგორი გამოდგა პოეტის დებიუტი დრამატურგიაში?

დებიუტი ჩინებული გამოდგა. ნაზიმ ჰიქმეთმა თავის იდეას სრულიად ახლებური ფორმა მოუძებნა. ამ შემთხვევაში მას ძალიან დაეხმარა „მეტლაში“ მუშაობა და შემოქმედებითი ურთიერთობა ნიკოლოზ ეკთან.

ნაზიმ ჰიქმეთი ნოვატორია თურქული დრამატურგიისა. მისმა პიესებმა თან მოიტანეს სწრაფვა ეპიური, სანახაობითი თეატრისაკენ. პოეტს არ სურს ჩაეტიოს სცენურ ჩარჩოებში, არ სცნობს სცენის სამ კედელს და მოქმედება გამოაქვს ფართო, შემოუსაზღვრელ არეში. იგი განზოგადებულად აღიქვამს სამყაროს, ადამიანებს შორის ურთიერთობას. თავის პერსონაჟებს არ არქმევს კონკრეტულ სახელებს, მის პიესაში მოქმედება მიმდინარეობს გამოგონილ ქალაქში. ესეც მიმანიშნებელია იმისა, რომ ჰიქმეთი ისწრაფვის ბურჟუაზული საზოგადოების ურთიერთობათა ფართო ასახვისაკენ. დრამატურგი მიგვანიშნებს, რომ მსგავსი რამ შეიძლება მოხდეს ყველგან და ყოველთვის. თუ შეიძლება შემოქმედებით ანალოგიაზე ლაპარაკი, მაშინ შესაძლოა ითქვას, რომ ნაზიმ ჰიქმეთი ბრეჰტის ტიპის დრამატურგი იყო. გერმანელ დრამატურგთან მას ანათესავებს თავისი პერსონაჟებისადმი დამოკიდებულება, სცენური გარემოს შერჩევისა და განსაზღვრის ხერხი, მაგალითისათვის შეიძლება შევადაროთ ბრეჰტის „არტურო უის კარიერა“ და „თავის ქალა“, ან კიდევ 50-იანი წლების მიწურულში დაწერილი „დამოკლეს მახვილი“. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგიაზე

საერთოდ. მისი შემოქმედებითი სტილისტიკა ერთგვარად ეკლექტიკური ხასიათისა იყო და განისაზღვრებოდა იმით, თუ რა პრობლემაზე წერდა ნაწარმოებს და რა ეპოქას ასახავდა.

„თავის ქალა“ კონსტრუქტივისტული ხასიათის ნაწარმოებია, მისი სიუჟეტი ხასიათდება სიმძაფრით. ნაზიმ ჰიქმეთისათვის ყოველ პიესაში მთავარია რაციონალური მარცვალი. ამ მხრივ „თავის ქალა“ სამაგალითო ნაწარმოებია. ნაზიმ ჰიქმეთის პიესების მეოხებით ჩვენ შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ერთ-ერთი პიონერია ინტელექტუალური დრამისა, რომელიც ესოდენ გავრცელებას ჰპოვებს დღეს. ეს ინტელექტუალიზმი მომდინარეობს ნაზიმ ჰიქმეთის შეხედულებიდან ხელოვნებაზე. როგორც ვიცით, იგი არა სცნობდა ისეთ ხელოვნებას, რომელსაც უნდა გაერთო მკითხველი, უნდა ესიამოვნებინა მისთვის. მწერალი ისწრაფვოდა დაეფიქრებინა მკითხველი ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციის ავკარგზე, ჩაენერგა მასში სიმართლის რწმენა.

მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთი არ გაჰყოლია ინტელექტუალური დრამის უკიდურეს მიმდინარეობას, როცა დრამა ცივი და უინტერესოა. დრამატურგი თავის ყოველ ნაწარმოებში სვამს მისი დროისათვის მეტად მწვავე სოციალურ თუ ზნეობრივ პრობლემებს. ნაზიმ ჰიქმეთის ვერც ერთ პიესაში ვერ იპოვით ე. წ. სახარხარო ეპიზოდებს, როცა პერსონაჟები ერთმანეთს სიცილის მომგვრელი სიტყვებით მიმართავენ. მწერალი მეტწილად სახეობრივ სიმბოლიკას მიმართავს, რაც უხვადაა გამოყენებული „თავის ქალაში“.

„თავის ქალაში“ ერთიმეორის პარალელურად ორი სიუჟეტი ვითარდება: ექიმ დოლბანეზოსა და პოეტისა. ორივენი თითქმის ბედნიერნი არიან, მაგრამ პიესა მაინც ცხოვრებისაგან გაუბედურებულ ადამიანებზეა დაწერილი: დოლბანეზო და პოეტი ბედნიერი იყვნენ, ვიდრე თავიანთ საქმეს პატიოსნად ემსახურებოდნენ, დოლბანეზო მეცნიერულ ექსპერიმენტს ატარებდა და სურდა ტუბერკულოზის ვაქცინის გამოგონებით ხალხისთვის ბედნიერება მიენიჭებინა; ხოლო პოეტი ჰეშმარიტ პოეზიას ემსახურებოდა. ეს ბედნიერებაა, მაგრამ ამ ბედნიერებას წინ ეღობება ბურჟუაზიული ყოფის სინამდვილე. პოეტს შეუკვეთენ სარეკლამო ლექსებს. იგი ღებულობს შეკვეთას, სწერს სარეკლამო ლექსებს, მდიდრდება კიდეც და უკვე აღარ არის პოეტი. დოლბანეზოს კი მეცნიერული ექს-

პერიმენტის ჩატარებას სწორედ მაშინ უკრძალავენ, როცა სასურველი ვაქცინის მიღებას აღარაფერი აკლდა. მას ხელიდან გამოაცალეს სინჯარა და წაართვეს საკუთარი ქალიშვილის ხსნის ერთადერთი იმედი. იგი უბედურია. ჰკარგავს ქალიშვილს და ბოლოს ქუჩის მაწანწალა ხდება. ასეთივეა პოეტის ბედიც.

ფართო პლანით, განზოგადებულად დანახულ ამ სამყაროში ნაზიმ ჰიქმეთს აინტერესებს კონკრეტულ ადამიანთა ბედი. აინტერესებს გაარკვიოს, თუ რა გავლენას ახდენს პიროვნების მისწრაფებებზე, მიზანსა და სურვილებზე ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციის კანონები, მისი სინამდვილე, დრამატურგი გვიჩვენებს, რომ ის, რაც დოლბანეზოსა და პოეტს შეემთხვა, გამონაკლისი კი არა, ამ საზოგადოების ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენაა.

დრამატურგმა სძლია მის მიერვე წამოჭრილ პრობლემას. ეს ცხადად იგრძნობა პიესის კითხვისას, ამისი გარანტიაა ნაწარმოების ექსპრესიულობა და მძაფრი სცენურობა, ამის მაჩვენებელია ოფიციალური თურქეთის დამოკიდებულება „თავის ქალასადმი“. ავტორს რომ თავისი მიზნისათვის ვერ მიეღწია და დამაჯერებლად, მაღალმხატვრულ ფერებში არ ეჩვენებინა ბურჟუაზიული ყოფის დამღუპველი ზეგავლენა პიროვნების თავისუფლებაზე, ხელისუფლება გულგრილად ჩაუვლიდა ნაწარმოებს, მაგრამ მოხდა პირუკუ.

როგორც აღვნიშნეთ, „თავის ქალა“ სტამბოლში დაიდგა, „დარულბედაის“ თეატრში. პიესა სცენაზე განახორციელა მუჰისინ ერთურღულმა. ეს სწორედ ის მუჰისინ ერთურღულია, რომელიც მოსკოვში გაიცნო ნაზიმ ჰიქმეთმა. რეჟისორმა სპექტაკლს მისცა სოციალური ჟღერადობა, რაც პიესის დედა-აზრს წარმოადგენდა. მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად მიიღო. ნაზიმ ჰიქმეთი, საზოგადოების კერპად ქცეული პოეტი და ახლა დრამატურგი, მაყურებელმა ხელში აყვანილი გამოიყვანა თეატრიდან და ასე მიაცილა შინამდე. ხელისუფლება უმალ დააფრთხო სპექტაკლის ამგვარმა წარმატებამ და მეორე დღესვე აკრძალა იგი.

„თავის ქალას“ სცენური სიცოცხლე ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ იმავე 1932 წელს, კვლავ „დარულბედაის“ თეატრის სცენაზე, მუჰისინ ერთურღულმა განახორციელა ნაზიმ ჰიქმეთის მეორე პიესა „მიცვალებულის სახლი“.

ამ პიესაში ნაზიმ ჰიქმეთმა გაამასხარავა მუსულმანური ადათ-

წესები, კრიტიკის ცეცხლში გაატარა უკანასკნელი წლების თურქეთში გატარებული ზოგიერთი რეფორმა. ამან, როგორც მოსალოდნელი იყო, მრისხანების ახალი ტალღა დაატეხა თავს პოეტს. ცოტა ქვემოთ ჩვენ წავიკითხავთ ნაზიმ ჰიქმეთის ერთ პატარა მოგონებას, საიდანაც ცხადად ჩანს, თუ როგორ უპასუხა მეშჩანიზმის ტყეობაში მოქცეულმა საზოგადოებამ ამ პიესას, მაგრამ ეს არ იყო დიდი დრამა პოეტისათვის — 1932 წელმა მას სხვა დრამატული დღეები და განცდები მოუტანა. ყველაფერი ეს დაკავშირებული იყო თურქეთის კომუნისტურ პარტიასთან, რომლის გასამარჯვებლადაც იღვწოდა ნაზიმ ჰიქმეთი.

30-იან წლებში თურქეთის კომუნისტური პარტიის რიგებში მომრავლდნენ მემარცხენე სექტანტები. ბევრი მათგანი შემდეგ პოლიციის აგენტიც აღმოჩნდა. და აი, თურქეთის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ ნაზიმ ჰიქმეთის შეხედულებანი რევიზიონისტული ხასიათისაა, რომ თავისი რევიზიონისტული მისწრაფებებით იგი გამყიდველის როლს თამაშობს. პოეტს დასწამეს ის, რის წინააღმდეგაც მთელი თავისი სიცოცხლე იბრძოდა. სწორედ ამ სულისკვეთებისათვის, ბრძოლისა და შეურიგებლობისათვის წაუყენეს ასეთი ბრალდება და გარიცხეს კომუნისტური პარტიის რიგებიდან.

ეს მომენტი, ცხადია, ძნელად ასატანი და დრამატული იყო პოეტისათვის. ნაზიმ ჰიქმეთი თითქმის მარტო დარჩა, სრულიად მარტო. კომუნისტებმა თავისი რიგებიდან გარიცხეს, ოფიციალური თურქეთის ხელისუფლება კი სწორედ ამ კომუნისტური იდეებისათვის სდევნიდა.

„პარტია პირადი მეურნეობა როდია, — თქვა ნაზიმ ჰიქმეთმა.— მე ჩემი ნებით შევედი პარტიაში და კარიდან რომ გამაგდონ, ფანჯრიდან შევალ“.

ასეც მოხდა, მაგრამ ეს მოხდა რამდენიმე წლის შემდეგ. ვიდრე ყველაფერი გაირკვეოდა, ვიდრე ნაზიმ ჰიქმეთის პარტიულ სინდისს თავისი მიეზღვებოდა, პოეტის თანამგზავრი სულიერი მღელვარება იყო.

ამ სულიერმა ტკივილმა და მძაფრმა განცდებმა დააწერინა ნაზიმ ჰიქმეთს პოემა „რატომ იკლავდა თავს ბენერჯი“.

ნაზიმ ჰიქმეთი იგონებს:

„იმ დროს ბურჟუაზიულმა მაყურებელმა სტვენით მიიღო სტამ-

ბულის თეატრის სცენაზე დადგმული ჩემი პიესა. გაზეთებმა საშინელი აურზაური ატეხეს. ყოველ აფიშაზე ფაშისტები აკრავდნენ პლაკატებს: „წითლების აგენტმა ნაზიმ ჰიქმეთმა ჩვენი წინაპრების სისხლში მოითბო ხელი და ახლა ჩვენს ეროვნულ სინდისს დასციცინის“. ამავე დროს, პარტიის სექტანტებმა (ბევრი მათგანი შემდეგ პოლიციის აგენტი გახდა) განდგომილად და რევიზიონისტად გამომაცხადეს. ბევრმა ჩვენმა მეგობარმა ირწმუნა ეს და ზურგი მაქცია. სწორედ მაშინ დავწერე რომანი „რატომ იკლავდა თავს ბენერჯი“.

„რატომ იკლავდა თავს ბენერჯი“ ლექსად დაწერილი რომანია. მაგრამ მასში ბევრია პროზის ელემენტიც. პოემის პერსონაჟთა ბედიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბენერჯი ავტობიოგრაფიული სახეა. ბენერჯის, ისევე, როგორც პოემის ავტორს, განდგომა და ღალატი დასწამეს, ბენერჯიც ისეთივე კრისტალურია, როგორიც ნაზიმ ჰიქმეთი.

ინდოელ ჭაბუკს ბენერჯის ინგლისელი ქალიშვილი უყვარს. იგი იბრძვის ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ და სურს, სამშობლო გაათავისუფლოს, მაგრამ ინგლისელმა ქალმა გასცა ბენერჯის ჯგუფი. ყველანი დააპატიმრეს, ბენერჯი კი გაათავისუფლეს. შეთქმულნი ფიქრობენ, რომ სწორედ ბენერჯიმ გასცა ჯგუფი. ყმაწვილი გაოგნებულია, ვერ გაუგია, თუ რატომ გაათავისუფლეს და ბოლოს, როცა იგრძნობს, რომ მოღალატე ჰგონიათ, თავის მოკვლას გადაწყვეტს. მაგრამ ბენერჯი რწმუნდება — მას არა აქვს თავის მოკვლის უფლება, მან ბრძოლაში უნდა ჰპოვოს შვება. იმასაც გაიგებს, რომ ჯგუფი ინგლისელმა ქალმა, მისმა მიჯნურმა გასცა. სწორედ ბრძოლის სულისკვეთებამ გადაარჩინა იგი და დაუბრუნა მებრძოლთა რიგებს.

მართალია, პოემაში მოქმედება ინდოეთში ხდება, მაგრამ თურქული ყოფაა ასახული. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ნაწარმოებში ნახსენებია თურქი პიროვნებები. ჟურნალისტი და რედაქტორი ნედიმ ველად ბეი. პოეტი იაჰია ქემალი. ნაზიმ ჰიქმეთი ხშირად თვითონ ხდება ნაწარმოების მოქმედი პირი, ებმება მოქმედებაში და წარმართავს მას. ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ხერხი პოეტმა ჯერ კიდევ „ჯოკონდა და სი-ია-უში“ გამოიყენა. პოეტი არ ცდილობს თავისი პერსონაჟი არაჩვეულებრივ გმირად წარმოგვიდგინოს.

არც გოლიათია და არც პიგმეი
ჩვეულებრივი კაცია ერთი!

ამბობს იგი ბენერჯიზე. აქვე მიმართავს მკითხველს:

თუნდაც ერთხელ დაუჯერეთ ნაზიმ ჰიქმეთს,
უფრო, ვიდრე ამერიკულ ფილმებს.

პოემაში საინტერესოა ეპიზოდი, რომელშიც ხალხის ბრბო ქვას დაუშენს ღალატში ეჭვმიტანილ ბენერჯის.

ამ ეპიზოდში მჟღავნდება ნაზიმ ჰიქმეთის სულის ძახილი, პოეტი მიმართავს თავის ახლო მეგობრებს, რომლებმაც პარტიას ჩამოაშორეს იგი.

შემდეგ ისე, ვით პოეტი, ბენერჯიც კვლავ დგება თანამებრძოლთა შორის, კვლავ მეგობართა წრეშია და ბედნიერია, რომ იბრძვის, მაგრამ ბენერჯის ბრძოლისა და დაუმორჩილებლობის სიმბოლოს პარალელურად პოემაში შემოდის დეჰეროიზაციის აპოლოგია, რომელიც ქადაგებს განდგომას, საკუთარი ყოფის მოწყობას. საამისო დანიშნულება აქვს როი დრანატის სახეს. იგი განსახიერებაა ადამიანებისა, რომლებიც დენთის სუნს იყნოსავენ თუ არა, იმ წამსვე ბრძოლას თავს ანებებენ და საკუთარ, ზოგჯერ მოძმეთა სისხლის ფასად კარგ თავშესაფარს პოულობენ. როი დრანატის ფილოსოფია ამაოების ქადაგებაა, იგი ქადაგებს სამყაროს წარმავლობას.

მაგრამ მას არ მიჰყვება ბენერჯი. მეტად შთამბეჭდავია ის სიმბოლო, რომელიც ნაწარმოების ბოლო ეპიზოდებშია ნაჩვენები — გარდაიცვალა ორი ადამიანი — სომოდავა, ვინც ბრძოლაში გალია ცხოვრება და როი დრანატი. სომოდავას ათასობით ადამიანი დასტირის, რადგან ამ ათასებისთვის იღვწოდა იგი, როი დრანატი კი...

დაივიწყა კალკუტამ ის კაცი,
რომელიც ძლე დაიწვა, რომ არც
ანთებულა.

მხოლოდ ერთი გამართლება აქვს სიცოცხლეს, არსებობას ამ ქვეყანაზე — იბრძოლო, იცხოვრო, იფიქრო მოძმეთათვის, ადამიანისათვის. მხოლოდ ამით შეიძლება ადამიანმა მოიხადოს ვალი თავისივე სიცოცხლის წინაშე.

მძაფრი განცდების წელი შემოქმედებითაც ნაყოფიერი იყო.

ეს თვალნათლივ ჩანს იქიდანაც, რომ 1932 წელს ნაზიმ ჰიქმეთი სცემს ლექსების ახალ კრებულს „ღამით მოსული დეპეშა“.

„ღამით მოსული დეპეშის“ მთავარი მიზანდასახულობა თურქი კომუნისტების განდიდება იყო. ლექსი, რომლის სათაურსაც წიგნი ატარებს, მიძღვნილია თურქი კომუნისტის ისმაილ ბილენისადმი. ნაზიმ ჰიქმეთი განადიდებს კომუნისტთა საქმეებს, მათს სულისკვეთებას. ამავე წიგნში შესულია ლენინისადმი მიძღვნილი ლექსი „21. 1. 1924“.

ნაზიმ ჰიქმეთის მამას ჰიქმეთ ნაზიმ ბეის 1932 წელს კონფლიქტი ჰქონდა მილიონერ სურეია ფაშასთან. ამ კონფლიქტის შედეგად ჰიქმეთ ნაზიმ ბეი გარდაიცვალა კიდეც. ლექსში „ქალმის ცდა სატირაში“ ნაზიმ ჰიქმეთმა სასტიკად გაამასხარავა სურეია ფაშა, სააშკარაოზე გამოიტანა მისი ბნელით მოცული საქმეები. ამით პოეტმა მძიმე ლახვარი ჩასცა სტამბულელ მილიონერებს, რომლებიც მტაცებლობით გამდიდრებულიყვნენ.

ყოველივე ამას დაემატა ისიც, რომ პოეტის წიგნები უპოვეს ბურსელ ფეიქრებს. მართალია, ნაზიმ ჰიქმეთის წიგნები ყოველ მაღაზიაში იყიდებოდა, მაგრამ პოლიციამ მაინც დანაშაულად ჩათვალა მისი წიგნების კითხვა.

ამდენი რამ ძალზე ბევრი გამოდგა ერთი წიგნისათვის. პოლიციამ უმალ დაყნოსა მასში გადმოცემული სულისკვეთება — კომუნისტთა საქმეებისადმი ხოტბის შესხმა. პოეტი დააპატიმრეს და ამჯერად ბრალად წაუყენეს კომუნისტური იდეების ქადაგება, ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულება და გავლენიანი პირის შეურაცხყოფა.

ნაზიმ ჰიქმეთმა რამდენიმე თვე გაატარა ბურსის ციხეში. სწორედ აქ, ამ ციხეში დაიწერა პოეტის ერთ-ერთი ჩინებული ლექსი „წერილი მეუღლეს“.

მალე სასამართლოც შედგა. პროკურორმა ნაზიმ ჰიქმეთის სიკვდილით დასჯა მოითხოვა. ეს იყო ოფიციალური თურქეთის სურვილის გამოხატულება — ძალიან უნდოდათ თავიდან მოეშორებინათ პოეტი, რომელმაც არ მიიღო პრეზიდენტის მიწვევა და სიმართლეს ამბობდა ათასგზის ნაქებსა და ნადიდებ დემოკრატიაზე.

პროკურორის ამ მოთხოვნას სასამართლო სიამოვნებით მიიღებდა, მაგრამ კანონი კანონია. მას გვერდს ვერ აუვლიდნენ, ამჯერად

იმით დაკმაყოფილდნენ, რომ ნაზიმ ჰიქმეთს 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

მძიმე იყო ნაზიმ ჰიქმეთის ცხოვრება, ბევრი უსიამოვნება მიაყენა მას ამ წუთისოფელმა, მაგრამ ბედიც წყალობდა — რამდენიმე თვეში თურქეთში საყოველთაო ამნისტია გამოცხადდა და ნაზიმ ჰიქმეთი გაათავისუფლეს. წინ იყო ბრძოლისა და შემოქმედების დღეები.

პირისპირ ფაშიზმთან

1933 წლის 30 იანვარს ადოლფ ჰიტლერი გერმანიის რაიხსკანცლერი გახდა. ამ დღიდან თანდათან მოიღრუბლა ევროპის ზეცა და ასე გაგრძელდა 1938 წლის 11 მარტამდე, ვიდრე ჰიტლერმა ფაქტიურად არ დაიპყრო ავსტრია. ამის შემდეგ კი ღრუბლიანი ცის საკქერლად აღარავის ეცალა ევროპაში. ტრაგედია ახლოვდებოდა. მაგრამ იმ ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან მისი აქტიური მოქმედების დაწყებამდე გაიელის, პროგრესული ევროპა თავისი სიცოცხლის ფასად წინ აღუდგა ფაშისტური იდეოლოგიის გავრცელებას, ცდილობდა თავისი ერისთვის აეცილებინა მოსალოდნელი ტრაგედია, არ დაეშვა ფაშიზმის გამარჯვება.

ამ წლებში თურქეთსა და გერმანიას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ბევრი თურქი ახალგაზრდა სწორედ გერმანიაში ეუფლებოდა საინჟინრო და სამედიცინო საქმეს. მაგრამ, პარალელურად, არჩეულ პროფესიასთან ერთად მათ ფაშისტურ იდეოლოგიაშიც წვრთნიდნენ, რათა მისი უკეთური თესლი თურქულ ინტელიგენციაში დაენერგათ.

ამ წლებში თურქეთში გამოდიოდა გერმანული ორიენტაციის თურქული ჟურნალები. სწორედ მათს იდეოლოგიას დაუპირისპირდა ბევრი თურქი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა თუ ხელოვანის შემოქმედება. ამ მხრივ საკმარისი იქნებოდა, თუ მოვიხსენიებდით შესანიშნავი ბელეტრისტის საბაჰათინ ალის რამდენიმე მოთხრობასა და რომანს „ჩვენს სულში რომ ეშმაკი ზის...“ ამ რომანში ჩინებულად გამოიკვეთა თურქეთის ახალგაზრდობაში, მეტწილად, შემოქმედებით ინტელიგენციაში ფაშისტური იდეოლოგიის ფეხის

მოკიდების ტენდენციები. ამასთან ერთად. საბაჰათინ ალიმ ბრწყინვალედ გვიჩვენა იმ ადამიანების მეცადინეობაც. რომლებიც თავიანთი ცხოვრების ამოცანად ამ იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლას მიიჩნევდნენ. თუ რამდენად რთული იყო ფაშიზმთან მებრძოლ ადამიანთა ხვედრი, ამას კარგად მოწმობს თვით საბაჰათინ ალის ბედი — მან სიცოცხლე სიღარიბეში გაატარა და ბოლოს მიგზავნილმა მკვლელმა სიცოცხლე მოუსწრაფა.

შეიძლება ითქვას. რომ საბაჰათინ ალის ნაზიმ ჰიქმეთის ლიტერატურული სკოლა ჰქონდა გაელილი. მისი შემოქმედებითი ფორმირება ნაზიმ ჰიქმეთის მეოხებით მოხდა „რესიმლი აი“-ში. და თუ მიმდევარს ასე ექცეოდნენ, გასაგებია, რა რთულიც იქნებოდა მასწავლებლის ცხოვრების გზა.

ნაზიმ ჰიქმეთი არ შეუშინდა იმ სირთულეს, რომელიც ფაშისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანთა ხვედრი იყო. ამ წლებში ნაზიმ ჰიქმეთი წერს ჰუმანიზმის სულისკვეთებით გამსჭვალულ ლექსებს, ეწევა ანტიფაშისტურ პროპაგანდას.

სწორედ ამის გამო. ყოველი წლის პირველი მაისისა თუ შვიდი ნოემბრის წინა დღეებში იგი ვალდებულია ვამოცხადდეს პოლიციაში. პოლიცია ყოველი შემთხვევისათვის, მიმართავს პროფილაქტიკურ ღონისძიებას — პოეტს რამდენიმე დღით აპატიმრებს...

ნაზიმ ჰიქმეთს ეს მწარე ღიმილს ჰგვრიდა, მაგრამ ამ ღიმილში სიამაყეც იგრძნობოდა — ხელისუფლებას მისი ეშინოდა.

ანტიფაშისტური ბრძოლის ცხარე დღეებში ნაზიმ ჰიქმეთი სცემს ლექსების წიგნს „პორტრეტები“, სადაც სატირის ისრები სწორედ პროფაშისტულად განწყობილ საზოგადო მოღვაწეთა წინააღმდეგაც იყო მიმართული. კრებულში შევიდა ადრე დაწერილი ლექსებიც, ამიტომ „პორტრეტები“ ერთ-ერთი პირველი ანტიფაშისტური დოკუმენტია, რომელიც თურქ ხალხს სიფხიზლისაკენ მოუწოდებდა.

მაგრამ პოეტის ხმა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, რადგან გერმანია თურქულ ყოფაში მხოლოდ ფაშისტური იდეოლოგიით კი არა. ეკონომიკითაც შემოდიოდა. მან თურქ ობივატელს მოუტანა ტექნიკური პროგრესი და ეკონომიური ძლიერება, გერმანია არაფერს იშურებდა იმისათვის, რომ თურქეთი თავის მეგობართა შორის ჰყოლოდა, რადგან ჰიტლერის გეგმის განხორციელე-

ბაში თურქეთის გეოგრაფიულ მდებარეობას განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ნაზიმ ჰიქმეთი კარგად გრძნობდა ამას და სწორედ ამიტომ გამოსცა ბროშურა „გერმანული ფაშიზმი და რასიული თეორია". ასეთი წიგნის დაწერა დიდი გაბედვა იყო მაშინ, როცა გერმანელ პოლიტიკურ მისიონერთა გავლენა თანდათან ძლიერდებოდა თურქეთში.

ადვილი წარმოსადგენია ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა მდგომარეობა, თუ გავიხსენებთ ერთ ფაქტს იმდროინდელი თურქეთის სინამდვილიდან. როცა იტალია თავს დაესხა აბისინიას, თურქულ პრესაში გამოჩნდა წერილები, სტატიები, რომლებიც ქებადიდებას ასხამდა „ევროპის ცივილიზაციის მხსნელ" მუსოლინის. იმ მწერლებს, რომლებმაც თავიანთ მოვალეობად ჩათვალეს, აზრი გამოეთქვათ ძალადობის ასეთი აქტის გამო, ოფიციალურად განუმარტეს, იტალია თურქეთის მეგობარი ქვეყანაა და მასზე აუგის თქმა იკრძალებაო.

სწორედ ამ დროს წერს ნაზიმ ჰიქმეთი პოემას „წერილები ტარანტა ბაბუს".

ამ ნაწარმოებში, ისევე, როგორც პოემაში „რატომ იკლავდა თავს ბენერჯი", ნაზიმ ჰიქმეთს უხვად აქვს გამოყენებული პროზის ელემენტები. მეტად საინტერესოა ნაწარმოების ფორმა — პოეტს არ შეეძლო, თავისუფლად გამოეხატა თავისი სიმპათია აბისინიელი ხალხის მიმართ და ნაცად ხერხს მიმართა — პოემა ააგო იტალიაში მცხოვრები აბისინიელი ყმაწვილის წერილებზე. იტალიაში მხატვრობის შესასწავლად ჩამოსული აბისინიელი ყმაწვილი თავის მეუღლეს ტარანტა ბაბუს წერს წერილებს. ამ წერილებში არეკლილია იმდროინდელი იტალიის ფაშისტური სულისკვეთება. აბისინიელი ყმაწვილი გაოცებულია, რომ მსოფლიო კულტურის ცენტრი — იტალია—ფაშიზმის იდეოლოგიის ტყვეობაშია მოქცეული და მზად არის დაიპყროს მცირერიცხოვანი ხალხი.

ვერ ვიტყვით, რომ თავისი მხატვრული დონით ეს პოემა ნაზიმ ჰიქმეთის სხვა ნაწარმოებების დონეზე იდგეს. „ტარანტა ბაბუს" პლაკატურობის ბეჭედი აზის, ავტორს ნაკლებ უზრუნვია პოემის მხატვრულ დონეზე. შესაძლოა, ნაწარმოების ასეთი პლაკატურობა იმითაც იყოს განპირობებული, რომ პოეტს სურდა სწრაფად და

მარტივად ეჩვენებინა ხალხისათვის, რას წარმოადგენდა ფაშიზმი. დაეხატა მისი, თუნდაც მხატვრულად სუსტი, მაგრამ მაინც შემაზრზენი სურათი. მაშასადამე, პოეტისათვის მთავარი იყო იდეის მიწოდება. იქნებ ამ პოემასაც გულისხმობდა ნაზიმ ჰიქმეთი, როცა 50-იან წლებში თქვა, ზოგჯერ ვცდებოდი, ნაკლებ ყურადღებას ვუთმობდი ნაწარმოების მხატვრულ ღირსებას და მეტწილად მის იდეურ მიზანდასახულობაზე ვზრუნავდიო.

ასეა თუ ისე, „ტარანტა ბაბუმ“ თავისი მისია შეასრულა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მოგვიანებით, როცა ნაზიმ ჰიქმეთი დააპატიმრეს, ერთ-ერთ ბრალდებად „ტარანტა ბაბუს“ გამოქვეყნებაც წაუყენეს.

თავდაპირველად პოემას „აბისინიელი ყმაწვილი იტალიაში“ ერქვა. ასეთივე სათაურით იბეჭდებოდა იგი, მაგრამ როგორც კი თურქეთში იტალიის ელჩმა გაიგო, რომ ანტიიტალიურად განწყობილი ნაწარმოები ისტამბებოდა, საქმეში უმალ ჩაერია და წიგნის აკრძალვა მოითხოვა. ელჩის მოთხოვნა, რასაკვირველია, უმალ დააკმაყოფილეს და „აბისინიელი ყმაწვილი იტალიაში“ აღარც გამოიცემოდა, გამომცემლობას ერთი ხერხისათვის რომ არ მიემართა — ნაწარმოებს სათაური შეუცვალა და მისი დაბეჭდვის უფლებაც მიიღო.

1936 წელს ნაზიმ ჰიქმეთმა გამოაქვეყნა თავისი უკანასკნელი წიგნი თურქეთში „პოემა შეიხ ბედრიდინზე, სიმავნის ყადის შვილზე“. ეს არის მე-15 საუკუნის თურქეთის ცხოვრების ქრონიკა. პოემაში ასახულია გლეხთა აჯანყებები. ნაწარმოები ნაზიმ ჰიქმეთმა დაუმთავრებელი გამოაქვეყნა და შემდეგ აღარც მიბრუნებია მას. ამ ნაწარმოებით პოეტმა თურქეთს აჩვენა, რომ შუა საუკუნეების თურქეთისათვისაც არ იყო უცხო განმათავისუფლებელი იდეალებიო.

ამ ამბავმა ლიტერატურული საზოგადოების გულისწყრომა გამოიწვია. იმდროინდელი თურქეთის იდეოლოგია სცნობდა ისეთ თურქეთს, რომელიც შუსაუკუნეებში მხოლოდ უცხოთა მიწების შემომატებაზე ზრუნავდა. ნაზიმ ჰიქმეთმა, რომელიც თვითონაც არ იყო დაზღვეული თურქეთის წარსულის იდეალიზაციისაგან, ახლა მტკიცედ გაილაშქრა თავისი წინაპრების დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ და დაგმო იგი. ვფიქრობთ, აქ გარკვეული რო-

ლი ითამაშა იმდროინდელი ევროპის მდგომარეობამ. როცა მას წალეკვით დაემუქრა ფაშიზმი.

შოვინისტთა გამოხდომის პასუხად ნაზიმ ჰიქმეთმა ერთ ხერხს მიმართა, მან ასე ვთქვათ, გადაათურქულა ვ. ი. ლენინის შრომა „ველიკორუსთა ეროვნული სიამაყის შესახებ“. ამით მას სურდა თურქი საზოგადოებისათვის ეთქვა, სანამდე მიჰყავს ერი გადამეტებულ ეროვნულ სიამაყეს, მაგრამ იმდროინდელ თურქეთში ვ. ი. ლენინის ნაშრომის გამოცემა არ შეიძლებოდა. და ნაზიმ ჰიქმეთმა წიგნს დააწერა: „ნაზიმ ჰიქმეთი. დამატება პოემისათვის „შეიხი ბედრედინი“. მან წიგნში შეიტანა მაგალითები თურქეთის ცხოვრებიდან და ამით ერთხელ კიდევ მიიტანა იერიში თურქულ შოვინიზმზე, თან თურქ ხალხში ლენინის იდეების პროპაგანდაც გასწია.

ნაზიმ ჰიქმეთი ამ წლებში, გარდა ანტიფაშისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი ნაწარმოებებისა, წერს წმინდა წყლის ფსიქოლოგიურ დრამას „დიდება და მივიწყებული კაცი“, ეს ნაწარმოები კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ ფართო შემოქმედებითი ინტერესების მწერალი იყო იგი.

პიესაში „დიდება და მივიწყებული კაცი“ საბოლოოდ გამოიკვეთა ნაზიმ ჰიქმეთის, როგორც დრამატურგის მისწრაფება, ასახოს სინამდვილე ინტელექტუალური ადამიანის პოზიციებიდან. მისი პერსონაჟების ურთიერთობანი განზოგადებული ხასიათისაა. დრამატურგი არც ამ პიესაში აკონკრეტებს მოქმედების გარემოს. დრამატურგის მიზანია, გაარკვიოს, თუ რა ურთიერთობაშია ერთიმეორესთან ადამიანთა ხასიათები და მათი ბედი. მწერალი ამ პიესაში თავის პერსონაჟებს არ არქმევს კონკრეტულ სახელებს. „დიდება და მივიწყებული კაცის“ პერსონაჟები ასეა კლასიფიცირებული: ქირურგი, ქალი, ქალიშვილი, ასისტენტი, მსახური, ფოტოკორესპონდენტი და ა. შ.

„დიდება და მივიწყებული კაცი“ 1934 წელს დაიწერა და იგი მუჰისინ ერთურღულის რეჟისორობით დაიდგა კიდეც. არსებობს ამ პიესის ორი ვარიანტი. ჩვენ საშუალება არ გვქონდა პირველი, ე. ი. სტამბულის თეატრში განხორციელებული ვარიანტის დედანში ან თარგმანში გაცნობისა, მაგრამ მასზე საკმაო წარმოდგენას გვაძლევს ცნობილი საბჭოთა თეატრმცოდნის ა. ფევრალსკის სტატია, რომელიც მიძღვნილია ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგიისადმი.

პიესის პირველი ვარიანტის სახელწოდება ყოფილა „მივიწყებული კაცი“, 50-იან წლებში შექმნილ მეორე ვარიანტს კი „დიდება და მივიწყებული კაცი“ ეწოდება. განსხვავება პირველსა და მეორე, საბოლოო ვარიანტს შორის მხოლოდ სათაურსა და უკანასკნელ სურათშია, რაც პიესის აზრის გაღრმავებას და ფორმის სრულყოფას უნდა ემსახურებოდეს.

ამ პიესის მიზანდასახულობა მორალურ სფეროს განეკუთვნება და არა სოციალურს. ვფიქრობთ, ერთგვარ ტენდენციურობას იჩენს ა. ფევრალსკი, როცა წერს, რომ ნ. ჰიქმეთმა ამ პიესაში გვიჩვენა „ბურჟუაზიული მორალის ორპირობა“. ნ. ჰიქმეთი აქ ადამიანთა ბუნებას არ განიხილავს რომელიმე სოციალურ ფორმაციასთან ურთიერთობაში, არ აკონკრეტებს გარემოს. მისთვის არსებობენ ადამიანები და მათი ურთიერთობანი. დრამატურგი გვიჩვენებს, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს გადამეტებული ეგოიზმის გრძნობას. მისთვის საინტერესოა როგორც მოვლენათა განვითარების პროცესი, ისე ამ პროცესის საბოლოო სახე — მარცხი ეგოისტი ადამიანისა. პიესის ფინალში ნაჩვენები სურათი ამ გრძნობით გატაცებული ადამიანის ცხოვრების ჩვეულებრივი დასასრულის მაჩვენებელია. აკი თვითონვე ამბობს ქირურგი: „ჩემს სულში ორი ადამიანია, ორი ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანი. ამ ბრძოლაში ხან ერთი გამოდის გამარჯვებული, ხანაც — მეორე“. კეთილისა და ბოროტის საწყისიდან ქირურგის სულში ბოროტმა გაიმარჯვა.

„დიდება და მივიწყებული კაცი“ დიდად განსხვავდება „თავის ქალისაგან“. შესაძლოა, თავისი იდეური მიზანდასახულობით დრამატურგის პირველი პიესა „თავის ქალა“ უფრო მაღლა დგას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დრამატურგმა დათმო თავისი პოზიციები. ამ შემთხვევაში მას აინტერესებდა მორალური საკითხები და ყოფით ასპექტში განიხილა იგი. „დიდება და მივიწყებული კაცი“ გაცილებით სრულყოფილი მხატვრული ქმნილებაა — აღარ შეიმჩნევა ფრაგმენტულობა და ის ერთგვარი სქემატიზმი, რომელიც პირველ პიესაში იგრძნობოდა.

1937 წელს მთელი ევროპის მოწინავე ადამიანები დადგნენ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ესპანეთის მხარეზე. ანტიფაშისტურმა მოძრაობამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. მსოფლიომ თვალნათ-

ლივ დაინახა ფაშიზმის არსი, მისი მისწრაფება — ჩაჰკლას ყოველივე პროგრესული და კეთილი. ესპანეთის დასახმარებლად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან გაეშურნენ ადამიანები.

ნაზიმ ჰიქმეთიც მათ შორის იყო, ვისაც იარაღით ხელში უნდა დაეცვა რესპუბლიკური ესპანეთის თავისუფლება და სინდისი, მაგრამ თურქეთიდან, რომელიც გერმანიასთან მეგობრობდა, ესპანეთში წასვლა შეუძლებელი იყო. სხვა რა გზა ჰქონდა — ისევ თურქეთიდან უნდა დახმარებოდა ესპანელ პატრიოტებს. იგი პოეტი იყო და დახმარება მხოლოდ თავისი ავტორიტეტული პოეტური სიტყვით შეეძლო. სხვა იარაღი მას არ გააჩნდა, სამაგიეროდ, ეს იყო იარაღი, რომელიც დაფარავდა ყუმბარების ქუხილს, ესპანელ პატრიოტებთან მივიდოდა და თურქი ხალხის სახელით გვერდით ამოუდგებოდა კეთილშობილურ ბრძოლაში.

გზანი წამებისანი

რომც აღმომხდოდა შეძახილი, ვინ შემისმენდა,
მე ანგელოსთა საუფლოდან? და თუნდაც ერთ-ერთს
იმათგანს გულშიც რომ ჩაგეკარ, სულს ამომხდიდა.
რაინერ რილკე

ცხრა წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ნაზიმ ჰიქმეთი საბჭოთა კავშირიდან თურქეთში ჩავიდა. ამ ცხრა წლის განმავლობაში მან გააკეთა იმდენი, რაც მთელი სიცოცხლისათვის იქნებოდა საკმარისი, და ეს სიცოცხლე ყოველ ადამიანს ადრე თუ გვიან, ერის საუკეთესო შვილთა სიაში ჩარიცხავდა. დაიწერა ბრწყინვალე ლექსები, პოემები; დაიწერა და სტამბულის თეატრის სცენაზე დაიდგა პიესები, რომლებმაც ახალი სიტყვა თქვეს დრამატურგიაში.

გამოვიდა ლექსების 8 კრებული.

პოეტის საქმე რამდენიმეჯერ განიხილა სასამართლომ. ერთხელ მიუსაჯეს კიდეც ხუთი წელი. მაგრამ ამნისტიამ მალე გაათავისუფლა. პოეტი უარს ამბობს ქვეყნის კერპად ქცეული პრეზიდენტის მიწვევაზე. ყველამ — მტერმაც და მოყვარემაც — აღიარა, რომ ნაზიმ ჰიქმეთი მოვლენაა თურქულ პოეზიაში, რომ მეოცე საუკუნის თურქეთის პოეზიას ბედმა გაუღიმა.

ამასთან ერთად ეს დიდი შემოქმედი დევნას განიცდის.

ერთი ადამიანი დაუპირისპირდა მთელი სახელმწიფოს იდეოლოგიას.

მთავრობის მოთმინების ფიალა აივსო — პოეტის იზოლირება რთული აღმოჩნდა — ხალხის სიყვარული და სიმართლე მუდამ მის მხარეზეა. მაგრამ დუელის გადამწყვეტი დრო მაინც დადგა.

1937 წლის 31 დეკემბერი. საღამო ხანია, რამდენიმე საათიც და საუკუნეს კიდევ ერთი წელი მიემატება. ნაზიმ ჰიქმეთი თავის ბიძაშვილთან, პოეტ ჯალალედინ ეზინთან და სტამბულის უნივერსიტეტის დოცენტ. მწერალ ჰილმი ულქენთან ერთად ახალი ჟურნალის დაარსების თაობაზე ბჭობდა, რომ ოთახში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა და, რამდენიმე წუთით უშიშროების სამმართველოში გთხოვენო, განუცხადა ნაზიმს. ნაზიმ ჰიქმეთისათვის ასეთი მიპატიჟება უჩვეულო არ იყო. მას არც თუ იშვიათად ეძახდნენ იქ. მეგობრებს დაუბარა, ჩვენი საუბარი სხვა დროისთვის გადავდოთო, და გავიდა.

წავიდა პოეტი. გადადგა ნაბიჯი ტანჯვის გზაზე. გავიდა და არ დაბრუნებულა არც რამდენიმე დღეში, არც რამდენიმე თვეში. იგი დაბრუნდება ცამეტი წლის შემდეგ, მომაკვდავი და მოკვდავთა მტერთან — სიკვდილთან ბრძოლაში გამარჯვებული, დაბრუნდება სიკვდილისა და უკვდავების პირას მდგარი. ციხეში იქნება, მაგრამ მისი ლექსი და სახელი მოივლის ქვეყნიერების ყოველ კუთხეს. მისი განთავისუფლებისათვის იბრძოლებენ საფრანგეთის თუ შეერთებული შტატების, საბჭოეთის თუ ინგლისის აზრთა მპყრობელნი.

ნაზიმ ჰიქმეთი უმალ ანკარაში წაიყვანეს. სტამბულთან შედარებით ცივსა და მიუკარებელ, პოლიტიკური ინტრიგების ანკარაში მოეწყო პირველი დაკითხვა. შეკითხვები შეეხებოდა სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კურსანტებს. თითქოს ნაზიმ ჰიქმეთი მათ არალეგარულად აჯანყებისათვის ამზადებდა.

ნაზიმ ჰიქმეთმა ვერაფერი უპასუხა, რადგან არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რომ ერთხელ, როცა მეუღლესთან ერთად კინოში იყო, რომელიღაც კურსანტი გამოესაუბრა, პოეზიის მოყვარულს ცნობილ პოეტთან საუბარი სურდა. ნაზიმ ჰიქმეთმა თავაზიანად ჩამოიშორა იგი, რადგან პოლიციის აგენტად მიიჩნია.

რამდენიმე თვის შემდეგ ის ყმაწვილი შინ ეწვია. კურსანტები ენგელსის ნაშრომს „ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრულს“ ვკითხულობთ, ერთი ადგილი

ვერ გავიგეთ და იქნებ თქვენ აგვიხსნათო. ნაზიმ ჰიქმეთმა ამჯერად უფრო მკაცრად გაისტუმრა ეს ახალგაზრდა.

ეს იყო და ეს. ამით ამოიწურებოდა მისი ურთიერთობა სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კურსანტებთან.

პირველი დაკითხვის შემდეგ გავიდა თითქმის ორი თვე და პოეტის საქნის კარი არ გაღებულა. მარტოდმარტო იჯდა და ციხის კედლებს შესცქეროდა. ზედამხედველებიც არ ესაუბრებოდნენ. ეს იყო პირველი დიდი დარტყმა პოეტის ფსიქიკაზე. ეს იყო მისი პირველი „დამუშავება". იგი თითქოს აღარც არსებობდა. აღარსად იყო პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი. დაპატიმრების 29-ე დღეს ნაზიმი მეუღლეს სწერდა:

28 იანვარი, 1938 წელი, პარასკევი

ჩემო ძვირფასო! მე ჯანმრთელადა ვარ. ძალიან მომენატრე, ადრე თუ გვიან გაირკვევა, რომ უდანაშაულო ვარ და კვლავ თქვენთან ვიქნები. ჩემი ერთადერთი საზრუნავი შენა ხარ. გულს ნუ გაიტეხ, თუ შეგიძლია, ფული გამომიგზავნე. მაცნობე შენი ჯანმრთელობის ამბავი. შენი დარდი მკლავს. ჩემი მისამართია: ცენტრალური სამხედრო საპყრობილე. პატიმარ ნაზიმ ჰიქმეთს. ანკარა.

ამდროინდელი ნაზიმ ჰიქმეთის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის, მისი განწყობილების მაჩვენებელია მისივე პირადი წერილები. ნაზიმ ჰიქმეთის მეუღლემ ფარაიე ჰანუმმა კაცობრიობას შემოუნახა ისინი — ნიშანი ჰიქმეთის სულიერი სიმამაცისა და სინაზისა, კეთილშობილებისა და სიძლიერისა. ეს წერილები დაწერილია სიცოცხლის ყველაზე კრიტიკულ დღეებში, მაგრამ მასში ვერც ერთ სიტყვას ვერ იპოვით წუხილსა და ნაღველზე, არ არის არც ერთი სტრიქონი. არც ერთი სიტყვა განვლილი გზის მონანიებისა. ამ წერილებით პოეტი კვლავ მწყობრში რჩება და ეს იმიტომ, რომ მას ძლიერ სწამდა თავისი სიმართლე. სჯეროდა თავისი თავისა. ნაზიმ ჰიქმეთის ეს პიროვნული თვისება კარგად შენიშნა ცნობილმა საბჭოთა პოეტმა ბორის სლუცკიმ: „მსოფლიოს იმ პოეტებს შორის. უფრო მეტიც, მსოფლიოს იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც მე შევხვედრივარ, იგი იყო ერთ-ერთი მტკიცე კომუნისტი. სწორედ ამიტომ იჯდა მრავალი წელი ციხეში, ამიტომ დაწერა ბევრი კარგი წიგნი. სწორედ ამიტომ ძალიან ხშირად განშორებია საყვარელ ადამიანებს".

შაბათი, 19 თებერვალი, 1938. ანკარა

თქვენი სურათები გულის ჯიბეში მაქვს. ზოგჯერ ჯიბიდან ამოვიღებ და შემომცქერით. რა ვქნა, შენს მეტი მე არავინა მყავს. ამჯერად უბედურებამ შემაძრწუნა და აი ამ შეძრწუნების შედეგი — მე მთელი სიცხადით გავიგე, რომ უგონოდ მიყვარხარ. თუ ამ ორმოს თავი დავაღწიე, შენა და ბავშვებს წაგიყვანთ სტამბულის მიყრუებულ კუთხეში და იქ დავსახლდებით. მთელს ჩემს სიცოცხლეს შენ და მწერლობას შემოგწირავთ. ვიყო შენს გვერდით, ვისმინო შენი ხმა, ვიკითხო და ვწერო შენს გვერდით და ბოლოს შენთან ერთად დავლიო სული. აი, ამგვარ ცხოვრებაზე ვოცნებობ გრძელ, მდუმარე ღამეებში!

1938 წლის 1 მარტი. ანკარა

მე არ ვიცი, რა დანაშაულს მიყენებენ და რა საბუთი აქვთ ამ დანაშაულის დასამტკიცებლად. ალბათ, ყველაფერი გაირკვევა. ან სასამართლომდე გამათავისუფლებენ, ან კიდევ სასამართლოზე გამამართლებენ. ჩემთვის უსაზღვრო ბედნიერება იქნება, შენ გაგაბედნიერო. რამდენჯერ გატკინე გული! ვიდრე შენ, ბედნიერების სათავე, ჩემს გვერდით იდექი, მე ზოგჯერ იმდენად ბრმა ვიყავი, რომ ჩემს ბედნიერებას ვერ ვგრძნობდი. გთხოვ, მაპატიო ზოგი უსამართლობა და უსიამოვნებანი. იმ დღეს, როცა ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით, დარწმუნებული ვარ, მე ვიქნები სუფთა და უცოდველი, როგორც ახლად დაბადებული ბავშვი.

1938 წ. 14 მარტი, ანკარა

ჩემო ძვირფასო მეუღლევ! პარასკევს საბრალდებო დასკვნა მივიღე. დღეს ორშაბათია, ხვალ კი, სამშაბათს, 15 მარტს, სასამართლო შეიკრიბება. მე წავიკითხე საბრალდებო დასკვნა და გაოცებული დავრჩი. არასოდეს არ მიფიქრია, რომ ამგვარი საბუთით (?!) შესაძლოა ადამიანი სასამართლოს წინაშე დააყენო. დარწმუნებული ვარ, რომ გამათავისუფლებენ, რადგან ამგვარ პირობებში, ამგვარი მტკიცებებით ბრმაც კი დაინახავს ჩემს უდანაშაულობას. სამართლიანობამ უნდა იზეიმოს და მე გამამართლებენ, მაგრამ, ამავე დროს, ვერაფრით ვერ გამიგია, რატომ ვარ ციხეში 56 დღე და კიდევ უნდა ვიყო აქ სასამართლოს ბოლომდე, ვერ გამიგია, რატომ მასამართლებენ. რა დაგიმალო და, ეს გარემოება ზოგჯერ უსიამოვნო ფიქრებს აღმიძრავს ხოლმე... მაგრამ რა გაეწყობა... უკეთესის იმედი უნდა ვიქონიოთ...

ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, ყველანი მომენატრეთ, ყველა, დიდი თუ პატარა, მომიკითხე...

უსამართლობისა და განუკითხავობის მსხვერპლი მხოლოდ ნაზიმ ჰიქმეთი როდი იყო. იმისათვის, რომ პოეტი ჩამოეცილებინათ გზიდან, დაუფიქრებლად გაიმეტეს ოცდაერთი ყმაწვილის მომავალი და სიცოცხლე. 18—19 წლის ყმაწვილებსაც გადაუკეტეს სწავლისა და თავისუფალი ცხოვრების გზა. მათ უთხრეს, ნაზიმ ჰიქმეთის ხელმძღვანელობით ჯანყისათვის ემზადებოდითო და ნაზიმ ჰიქმეთისავე ბედს აწიეს — ანკარის სამხედრო სასწავლებლის კომენდატურაში ჩაკეტეს. ამ ყმაწვილებს არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ ხელისუფლების წინაშე. ისინი იმით განსხვავდებოდნენ სხვა კურსანტებისაგან, რომ ცოდნისადმი მეტ მისწრაფებას იჩენდნენ, კითხულობდნენ ფილოსოფოსთა წიგნებს. უყვარდათ ჩინებული თურქი პოეტები, რამდენიმე მათგანს მიაჩნდა, რომ თურქეთის ცოცხალ პოეტთა შორის უდიდესი ნაზიმ ჰიქმეთი იყო. კურსანტი დენიზი, სწორედ ის, რომელიც ჯერ კინოთეატრში გამოელაპარაკა ნაზიმ ჰიქმეთს და შემდეგ შინაც ესტუმრა, ამტკიცებდა, „ნაზიმ ჰიქმეთი დირექტივებს გვაძლევდაო“.

15 მარტს დაიწყო სასამართლო პროცესი. პროცესი დახურული იყო, იგი სამხედრო სასწავლებელშივე ჩაატარეს.

ცნობილ თურქოლოგს რადიი ფიშს თავის წიგნში მოჰყავს საბრალდებო დასკვნის ტექსტი. იგი შემდეგნაირად ჟღერს: „ანკარის სამხედრო სასწავლებლის კურსანტებმა, ბრალდებულებმა: ომერ დენიზმა, აბდულკადირ მირიჩ-ბოიუმ, ორჰან ალქაიამ და ნეჯათ ჩელიქმა შეჰქმნეს საიდუმლო ჯგუფი. ისინი სასწავლებლის კედლებს გარეთ იკრიბებოდნენ. ჯგუფში ჩაითრიეს რკინიგზელი მუსტაფა ერქინი, ხოლო მუსტაფა ერქინმა თავის მხრივ ჯგუფის წევრი გახადა ყველა დანარჩენი ბრალდებული. ნაცნობი გაზეთის გამყიდველის მეოხებით ჯგუფი შოულობდა და ავრცელებდა ლიტერატურას. ეს ორგანიზაცია სასწავლებელში დღითიდღე იზრდებოდა და ცდილობდა, კონტაქტები დაემყარებინა ჩვენს ქვეყანაში არსებულ ასეთსავე ორგანიზაციებთან. კრებებზე ლაპარაკი იყო სახალხო მუშურ-გლეხური რეჟიმის დამყარებაზე. ჯგუფი ომერ დენიზის მეოხებით დაუკავშირდა ცნობილ კომუნისტს ნაზიმ ჰიქმეთს (არც

ერთი სიტყვა იმაზე, რომ საბრალდებო სკამზე უზით თურქეთის უდიდესი პოეტი; გ. ბ.). ჯგუფი ჰიქმეთისაგან ღებულობდა დირექტივებს, თუ როგორ გაევრცელებინათ არმიაში კომუნიზმი, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი ნათელი გახდა. ასე რომ, როცა ეს ახალგაზრდები არმიის სხვადასხვა სახეობის ჯარის ნაწილების ოფიცრები გახდებოდნენ, თურქეთის მთელ არმიაში გააბამდნენ თავიანთ ქსელს და ერთ მშვენიერ დღეს ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით აჯანყებასაც წამოიწყებდნენ“.

იურისპრუდენციაში ოდნავ ჩახედულ მკითხველს ასეთი საბრალდებო დასკვნა სასაცილოდაც არ ეყოფა, მაგრამ რა უნდა ექნა ძიებას, როცა ხელმოსაკიდი არაფერი ჰქონდათ. ისეთი განუკითხაობის ეპოქაში, როგორიც მაშინ სუფევდა თურქეთში, ესეც სავსებით საკმარისი იყო. რაკი ნაზიმ ჰიქმეთი უკვე გალიაში ჰყავდათ გამომწყვდეული, მექოთნე ქოთანს ნებისმიერ ადგილას შეაბამდა ყურს.

ამ უსუსურ საბრალდებო დასკვნას დაემატა ისიც, რომ ომერ დენიზმა, რომლის მეოხებითაც „ჯგუფი დირექტივებს ღებულობდა ნაზიმ ჰიქმეთისაგან“, სასამართლო პროცესზე უარყო ძიებისას მიცემული ჩვენება: „მაიძულეს და მათქმევინესო“, განაცხადა.

ამას მთლიანად აბსურდული უნდა გაეხადა პროცესი და იგი უნდა ჩაშლილიყო კიდეც, მაგრამ ეს საქმე არ დაწყებულა სამხედრო სასწავლებლის კედლებში და არც იქ დამთავრდებოდა. შინაგან საქმეთა მინისტრს შუქრუ კაიას და მარშალ ჯავზი ჩაქმაქს ნაბრძანები ჰქონდათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, ნაზიმ ჰიქმეთისათვის გზა გადაეღობათ, ჩამოეშორებინათ. მინისტრებს კი არ უყვართ, როცა მათ ბრძანებას არ ასრულებენ. სასამართლოში ეს კარგად იცოდნენ და ვიღაც ომერ დენიზის განცხადება ვერაფერს შეცვლიდა.

ასეც მოხდა. განუკითხაობა ხომ იმით არის შემაზრზენი, რომ რაოდენ ხმამაღლაც უნდა შემოჰკრა განგაშის ზარს, გამგონე არავინ არის. უფრო სწორად, ესმით, მაგრამ ყურს იყრუებენ, გრძნობენ, მაგრამ არ იმჩნევენ. თუმცა ზარის შემომკვრელი და პოეტის გამკითხავი არც არავინ იყო. ცუდი ამინდი ედგა თურქეთის ინტელიგენციას! ფაშიზმის ქარი დღითიდღე ძლიერდებოდა სტამბოლისა თუ ანკარის ქუჩებში. ყველამ საგულდაგულოდ ჩაკეტა თავთავიანთი კარები.

აი, რას წერდა ამ დღეებში პოეტი თავის მეუღლეს:

25 მარტი, 1938 წ. ანკარა

ჩემო ძვირფასო! იქნებ ეს უკანასკნელი წერილია, ან იქნებ პირველი იმ მრავალთა შორის, რომელსაც აქედან გწერ და რომლებიც აღსავსე იქნება შენი ნახვის ნატვრით. სამშაბათს, დილის 9 საათზე, სასამართლო განაჩენს გამოიტანს. გუშინ, 24 მარტს ჩვენ-ჩვენი დასაცავი სიტყვები წარმოვსთქვით. პატიოსნებისა და გონების კანონით სამშაბათს ჩვენი გამამართლებელი განაჩენი უნდა წაიკითხონ. სამშაბათს თუ გამათავისუფლეს, დაუყოვნებლივ წამოვალ. ჯელალმა ნასადილევს, 15 საათზე, ანკარაში დაურეკოს ადვოკატს, მისი ტელეფონის ნომერია 16-04. ყველაფერს გაიგებს მისგან და შენც გაგაგებინებს.

სამშაბათი, 29 მარტი, 1938

ჩემო ძვირფასო! დარდი ნუ დაგიმონებს, რა გაეწყობა, ქვეყნიერების ზურგზე ჯერ არ ყოფილა ასეთი უსამართლო სასამართლო. მე მაშინვე გავასაჩივრე განაჩენი. საკასაციო სასამართლოში უნდა აღდგეს სამართალი. ალბათ, უკვე გაიგე, რომ 15 წლის პატიმრობა მომისაჯეს. ეს შავი ამბავი შენ აცნობე დედაჩემს. ნუ იდარდებს. ჩემი ერთადერთი წამალი შენი წერილებია. მოგვიანებით ყველაფერს დაწვრილებით მოგწერ. გამომიგზავნე შენი დიდი ფოტოსურათი.

1 აპრილი, 1938 წელი

ჩემო ძვირფასო! ვერც კი წარმოიდგენ, რაოდენ მშვიდად და მტკიცედ ვარ. მაგრამ შეუძლია კი რაიმე სიმშვიდეს და სიმტკიცეს? დარტყმა მოულოდნელი იყო. ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ახლა ისე ვგრძნობ თავს, თითქოს დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ წამოვდექი, მაგრამ მე მაინც მხიარული ვარ. ვმღერი, ვწერ ლექსებს და, თითქოს მარადიულ სიზმარში ვიყო, შენს სახეს ვხედავ. სახის ნაკვთები ბუნდოვნად ჩანს, მაგრამ თვალები ცეცხლის ენებად ელავენ. მეცა და ჩემმა ადვოკატებმაც ჩინებულად ჩავატარეთ დაცვა. თუმცა დასაცავი არაფერი ყოფილა. ბრმა უნდა იყოს ადამიანი, ჩემი უდანაშაულობა რომ არ შეამჩნიოს და მე 15 წელი მომისაჯოს. მსაჯულთა სკამზე მჯდომმა ბატონებმა გადაწყვიტეს, ნაზიმ ჰიქმეთი ცოცხლად უნდა დაიმარხოსო. ამბობენ, სამხედრო-საკასაციო სასამართლო არ დაუშვებსო კანონის დარღვევას. ვნახოთ, სამ თვეში გამოჩნდება, რამდენად სამართლიანია ეს განა-

ჩენი. დიდი იმედი არა მაქვს, მაგრამ არც უიმედოდ ვარ. მე არაფერს დავთმობ და ვიდრე შევძლებ, თავს დავიცავ. თუ რა შედეგი მოჰყვება ამას, ჯერ ვერაფერს ვიტყვი. არ მინდა ვიმარჩიელო. კანონსა და ლოგიკაზე დაფუძნებული ყველა ვარაუდი პირველ სასამართლოზევე იმდენად დაშორდა ჭეშმარიტებას, რომ ცვლილება საეჭვოა. თავს როგორ გრძნობ, როგორ მინდოდა გამებედნიერებინე, ჩემო კარგო, და როგორი უბედური გახდი ჩემ გამო. მე დავამსხვრიე შენი ახალგაზრდობა და მომავალი. რატომ ადრე არ მოვკვდი! ცნობილია, რომ მიცვალებულის გლოვა დიდხანს არ გრძელდება. მე არავის ბრალს არ ვდებ, ცუდად ნუ გამიგებ, ჩემო კეთილო, უბრალოდ, შენზე რომ ვფიქრობ, სიკვდილი მსურს, თუ შეგიძლია, ჩამოდი... ჩამოხვალ? ჩამოდი...

სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯეს ოთხ ყმაწვილს. დანარჩენები სამხედრო სამსახურში გაამწესეს. სამსახურის მოხდის შემდეგ კი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ეცხოვრათ.

ნაზიმ ჰიქმეთმა იცოდა, რისთვის მოეწყო ეს კომედია და სინანულს განიცდიდა, კომედიის ავტორებმა ერთ მეფეს ოცდაერთი ოფიცრის მომავალი შესწირესო. ამის შესახებ კიდეც სთქვა სასამართლო პროცესზე თავის სიტყვაში:

— საბრალონი არიან ეს ბიჭები, ძალიან საბრალონი. ნუ დაღუპავთ მათ, ისინი უდანაშაულონი არიან, უბრალო ვარ მეც... ყველაფერი ეს არის შეთქმულება ჩემ წინააღმდეგ...

ახალგაზრდებს კასაციის იმედი ჰქონდათ. ფიქრობდნენ, რომ სამხედრო სასწავლებლის ხელმძღვანელობა შეცდა ან სუბიექტურობა გამოიჩინა და როგორც კი ამ უსამართლობას გაიგებდნენ იქ, მაღლა, საკასაციო სასამართლოში, ყველაფერი რიგზე იქნებოდა -- სიმართლე იზეიმებდა.

რა იცოდნენ, რომ სწორედ „მაღლა“ ტარდებოდა რეპეტიციები ამ კომედიისა.

სამი თვე ელოდნენ სიმართლეს პატიმრები და მათი ახლობლები. სამი თვე ელოდნენ უმაღლესი საკასაციო სასამართლოს პატიოსნურ, მართალ სიტყვას. სამ თვეს სამართალს ეძებდნენ ფირაიე ჰანუმი და ჯალილე ჰანუმი. მათ გაამზადეს მიმართვა მეჯლისის დეპუტატებისადმი და იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი

მოძრაობის გმირს გენერალ ალი ფუად ჯებისოუს გადასცეს. ალი ფუადი პოეტის ბიძა იყო. გენერალმა მიმართვა მეჯლისის ყოველ დეპუტატს გააცნო და შემდეგ ქემალ ათათურქის ადიუტანტს გადასცა, რამენაირად წააკითხე პრეზიდენტსაო. ათათურქი უკვე დაავადებული იყო და ლოგინში იწვა. ადიუტანტმა მაინც წაუკითხა მიმართვა.

ახსოვდა პრეზიდენტს პოეტი, კარგად ახსოვდა! და ამიტომ ასეთი პასუხი გასცა ადიუტანტს:

— ხომ ხედავ, რა დღეში ვარ? მე არ ბალმიძს, ასეთ საქმეს მივხედო!

დაყრუვდა ჩალით დახურული ქვეყანა.

საკასაციო სასამართლოში ყველა დარწმუნებულია, რომ განაჩენი უსაფუძვლოა და უნდა გაუქმდეს. ეს გაიგო გენერალმა ალი ფუადმა და აცნობა კიდეც ნაზიმს.

მაგრამ მოხდა უცნაური რამ — საკასაციო სასამართლომ ძალაში დატოვა განაჩენი. მოგვიანებით გაირკვა, რომ სხდომის წინ საკასაციო სასამართლოს ყოველ წევრს განუმარტეს საქმის არსი. ჩვენც კარგად ვიცით, რომ განაჩენი უკანონოა, მაგრამ ის გავაკეთეთ, რასაც სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდაო.

პირში წყალი დაიგუბა ყველამ.

პოეტი ჯერ ანკარის სამოქალაქო საპყრობილეში გადაიყვანეს. შემდეგ კი თავის საყვარელ სტამბულში.

დაიწყო ცხოვრების სულ სხვა, ახალი ფაზა.

დაპატიმრების პირველ თვეებში და, შეიძლება ითქვას, წლებშიც კი, ნაზიმ ჰიქმეთს არაფერი შეუქმნია მნიშვნელოვანი. იმდროინდელი მისი სულიერი მდგომარეობის, მისი განწყობილების სარკე მისივე პირადი წერილებია. მეუღლისადმი მიწერილ ბარათებში არ ჩანს დაბნეულობა. მაგრამ მისი ნიშნები აქა-იქ გამოსჭვივის. ნაზიმ ჰიქმეთი იყო წარჩინებული წრის წარმომადგენელი, სათუთად აღზრდილი. მან, როგორც პოეტმა, იცოდა თავისი თავის ფასი, იცოდა, რომ მისი სახით მეოცე საუკუნის თურქეთს ბრწყინვალე, განუმეორებელი პოეტი ჰყავდა. არ ჰგავდა იმ ადამიანებს, რომლებიც მოკრძალებით უსმენენ სხვათა ქებას და აღიარებას ელოდებიან. იგი თავიდანვე აღიარეს და ცნეს. ასე რომ არ მომხდარიყო, თვითონ იბრძოლებდა ამისათვის. ასეთი იყო მისი პიროვნული და შემოქმედებითი ნატურა.

და აი, უცებ პოეტი ციხის კედლებში აღმოჩნდა — ხელფეხშეკრული, ძალადობისა და განუკითხაობის მსხვერპლი. იგი მიხვდა, რომ ერთხანს სამართალს ვერ იპოვიდა, ხოლო როდემდე გაგრძელდებოდა ასე, გაუგებარი იყო. რა გასაკვირია, რომ ამ დროს პოეტის სულში შეიპრა დაბნეულობის ნიშნები.

მეუღლისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში პოეტი წერს იმ საშინელ სულიერ მარტოობაზე, რომელიც იმ ხანებში დაეუფლა.

მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთი მაინც სულით ძლიერი, მებრძოლი სულისკვეთების პოეტი და პიროვნება იყო და მალე სძლია თავისსავე ბედს.

მის გვერდით ოთხი ყმაწვილი კაცი იყო, ახალგაზრდები, რომლებსაც დღეს თუ ხვალ სასწავლებელი უნდა დაემთავრებინათ და ცხოვრების გზაზე გასულიყვნენ, მაგრამ ასეთი პერსპექტივა გაქრა. ეს ახალგაზრდები ველარასოდეს გახდებოდნენ ოფიცრები, როცა ისინი ციხიდან გამოვიდოდნენ, სწავლის ასაკი გადასული იქნებოდა. საჭირო იყო აქვე, ციხეშივე ეზრუნა მათ მომავალზე და პოეტი შეუდგა თვითეული მათგანის ინტერესებისა და მისწრაფებების შესწავლას.

უახლოესი წიგნის მაღაზიიდან მოატანინეს ფრანგულ ენაზე გამოცემული წიგნები და დაიწყო ენის შესწავლის პროცესი. პოეტმა ბრწყინვალედ იცოდა ფრანგული და გადაწყვიტა ენა მაინც ესწავლებინა ამ ოთხი ყმაწვილისათვის. მათ შორის ერთს პოეტური ნიჭიც აღმოაჩნდა. ნაზიმ ჰიქმეთმა მალე მას სათარგმნელად მისცა ბოდლერის „აივანი“. თარგმანმა გაახარა პოეტი. ახალგაზრდა აბდულკადირ მირიჩბოიუ პოეტის უგულითადეს მოსწავლედ იქცა. და აი შედეგიც — დღეს მთელ თურქეთშია ცნობილი აბდულკადირ მირიჩბოიუს სახელი. იგი ა. კადირის ფსევდონიმით იბეჭდება და ვარდა ლირიკული ლექსებისა, თურქ მკითხველს შესძინა ჰომეროსის „ილიადას“, ომარ ჰაიამის რობაიების და პოლ ელუარის ლექსების შესანიშნავი თარგმანები. მან თანამედროვე თურქი მკითხველის საკუთრება გახადა აგრეთვე უდიდესი ჯელალედინ რუმი...

1966 წელს ა. კადირმა გამოსცა წიგნი, რომელშიც დაწვრილებით აღწერა 1938 წლის პროცესი, ფარდა ახადა ბევრ საიდუმლოს. თუ როგორი რეზონანსი ჰქონდა ამ წიგნს თურქეთში, ამას კარგად დავინახავთ პუბლიცისტ ჩეთინ ალთანის სტატიის ერთ-ერთი ამო-

ნაწერიდან: „ამ წიგნს რომ წაიკითხავთ, ნათლად შეიგრძნობთ, თუ რაოდენ მანკიერ წრეში ჰყავდათ მომწყვდეული თურქეთი საცოდავ, არარაობა ხალხს. თურქეთი თვითონ კი არ გახდა ჩამორჩენილი, მის ჩამორჩენას განზრახ ცდილობდნენ. ის. ვინც ახლა პატრიოტიზმით იკვეხნის, სინამდვილეში იურიდიული მკელელები არიან და მეტი არაფერი. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ დუმილი და პირში წყლის ჩაგუბება იმას ნიშნავს, რომ გაიზიარო პასუხისმგებლობა თურქეთის ისტორიის შავი ფურცლების გამო, იმ შავი ფურცლებისა, რომლებიც 28 წლის წინათ დაიწერა. რამდენი დაღუპა ამ საბედისწერო შეთქმულებამ, რამდენი რამ დაკარგა თურქეთმა“.

ისტორიამ მაინც თქვა თავისი სათქმელი.

სამართალი მოვიდა მაშინ, როცა პოეტი ცოცხალთა შორის აღარ იყო.

სამი ღამე სიკვდილთან

ზაფხულის ერთ ღამეს პოეტი სტამბულის ციხიდან გაიყვანეს. ყველაფერი იდუმალებით იყო მოცული. ორი უნტერ-ოფიცერი და სამი მეზღვაური ცდილობდნენ, უხმაუროდ გასულიყვნენ ციხიდან. ნაზიმს უხმოდ გაუკეთეს ხელბორკილები და ასევე უხმოდ მიიყვანეს გალათას ხიდთან. მერე მოტორიანი ნავით მარმარილოს ზღვაში გავიდნენ.

„რაღაცას მიწყობენ“, — გაიფიქრა პოეტმა. გაახსენდა თურქი კომუნისტები, ასევე რომ გაიყვანეს ზღვაში და ჩაძირეს...

რამდენიმე საათის შემდეგ მოტორიანი ნავი წყალქვეშა ნავების ბაზას — გემ „ერქინს“ მიადგა.

გემზე გატარებული დღეები დაუვიწყარი გახდა ნაზიმ ჰიქმეთისათვის. ეს იყო არა ტანჯვა, არამედ სულიერი ძრწუნვა, არა ტკივილი, არამედ სულის ყივილი უდაბნოში. ზემოთ არაერთხელ ხსენებულ წიგნში „რომანტიკა“ ნაზიმ ჰიქმეთი რეტროსპექტულად გვიჩვენებს იმას, რაც თავს გადახდა მის გმირს კომუნისტ ისმაილს. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ისმაილი თავად ნაზიმ ჰიქმეთია. ნაწარმოებში ასახულია ისმაილის ახალგაზრდობის წლები, მაგრამ გემ „ერქინზე“ გატარებული დღეები იმდენად ძლიერ იყო მწერლის სულში ჩაბეჭდილი, რომ იგივე რეტროსპექციის მეთხებით გვიჩვენა:

თუ რა შეემთხვევა ისმაილს მომავალში. მწერალს არ შეეძლო ქაღალდზე არ გადაეტანა განცდილი, არ შეეძლო თუნდაც ამით არ ეძია შური იმ ღამეების ტრაგედიის ავტორებზე.

„ხომალდ „ერქინზე“ ისმაილი მატროსთა გალიონში ჩააგდეს. იატაკზე შარდი დაგუბებულიყო. როგორ ყარს აქაურობა! აუტანელი სიცხეა. ერთ ხანს ფეხზე იდგა. უსტვენდა და დაჯდომა ვერ გაებედა. კარის ილუმინატორში რაღაცამ გაიელვა. ოფიცრის თავი იყო. იგი მაშინვე გაქრა. ისმაილი შარდში ჩადგა, სიგარეტი გააბოლა და სიმღერა წამოიწყო. თავში კი სულ ის უტრიალებდა: რატომ მომიყვანეს აქ?“ (უსაზღვროა ამა ქვეყნის ძლიერთა ცინიზმი — პოეტი ხარ, პოეტური ბუნების ადამიანიო და შარდში ჩასვეს. ამით მათ სურდათ ღირსება ჩაეკლათ მის სულში, მოესპოთ ის, რაიც მის სულისკვეთებას ამოძრავებდა.)

„ელექტრონის ფარნის შუქმა თვალი მოსჭრა. სინათლე შიგ თვალებში სცემდა.

— ადექი, ჩაიცვი!

ფარანი თეთრფორმიან ოფიცერს ეჭირა. ოფიცერი კართან იდგა. მის უკან ორი თოფიანი მეზღვაური გაჯგიმულიყო. ვერ გაიგებდი, დღე იყო თუ ღამე. აქ რომ მოიყვანეს, დერეფანში მაშინაც ენთო შუქი. ისმაილმა ჩაიცვა.

— გამოდი!

ისმაილი პირველი გავიდა, მეზღვაურები და ოფიცერი უკან მიჰყვნენ. რკინის ვიწრო ტრაპებს შეუყვნენ. ამუშავებული ძრავების ხმაურზე ხომალდი შეინძრა. „წაველით“, — გაიფიქრა ისმაილმა.

— მარცხნივ!

ვიწრო მოედანზე იდგნენ. ირგვლივ რკინის ღობურები, მილები და კაბელები იყო. ისმაილი მარცხნივ მობრუნდა და ტრაპს აუყვა. „დაკითხვაზე მივყავარ? რა უნდათ ჩემგან?! რა უნდათ ამ ნაძირალებს ჩემგან!“

გემბანზე გამოვიდნენ. ღამე ყოფილა. ზღვის სუფთა ჰაერმა გააბრუა.

— უკან არ მოიხედო! წინ იარე!

წინ მხოლოდ ვარსკვლავიანი ღამეა. გემბანი უკაცრიელია. ძრავების ხმაური ყურს ჰრის. ირგვლივ წყალია, უსასრულო და უნაპირო წყალი. სიბნელეში ძლივს მოჩანს ზღვის ტალღების ქაფი. გემი

„ერქინი“ ნელა მიიწევს წინ. „არავინ იცის, რომ მე აქა ვარ. მაგრამ როცა ციხიდან წამომიყვანეს ალბათ, ქაღალდებზე მოაწერეს ხელი. სად მივყავარ? გეშინია? ჯერ არა. ჯერ კიდევ არ მეშინია.“

— იარე, უკან ნუ მოიხედავ...

სასიარულო კი ცოტაღა დარჩა. ორი ნაბიჯიც და, წყალში გადაეშვება.

— შესდექ!

შეჩერდა. მოესმა, როგორ გადაატრიალეს მის ზურგსუკან შაშხანის საკეტი. უცებ მუსტაფა სუბჰი და მისი ამხანაგები გაახსენდა. „მაშასადამე, ზურგში მესვრიან და გემბანიდან გადამაგდებენ. რატომ? თუ ამ ნაძირალებს ჩემი მოკვლა უნდოდათ, ადრეც შეეძლოთ ამის გაკეთება. კი მაგრამ, რატომ სწორედ მე?“ ყოველივე ამან ერთ წამში გაურბინა თავში, თანდათანობით, თანმიყოლებით კი არა, რაღაც ქაოტურად. გვერდით თეთრი ოფიცერი ედგა. მაგრამ ბოლო წამს მასთან მეორე ოფიცერმა მოირბინა და ყურში რაღაც უჩურჩულა.

— ზურგისაკენ, იარ!

იგიეე ტრაპით ჩაიყვანეს, ხელი ჰკრეს და კვლავ ტრიუმში შეაგდეს. ტანთ გაიხადა და თოკებზე დაწვა“.

აქ არაფერია გამოგონილი მწერლის მიერ. ყოველივე ეს თვითონ მას გადახდა თავს. ასე ჩახედა სიკვდილს თვალებში, თანაც პირისპირ კი არ უყურებდა მისკენ მიშვერილ თოფის ლულებს, რომლებიც წამის მეათედ ნაწილში ცეცხლოვან ენებს გამოყოფდნენ. ზურგიდან გრძნობდა მათს მსახვრალ ძალას. ნაზიმმა იგრძნო რა იყო სიკვდილი და, ალბათ, ამიტომ შემდეგ აღარასოდეს შეშინებია მისი. ეხუმრებოდა, ეთამაშებოდა სიკვდილს, და ისე წერდა მასზე, როგორც ახლობელ და დიდი ხნის ნაცნობ ადამიანზე.

იმ ღამის შემდეგ ნაზიმ ჰიქმეთს სიკვდილთან თავისებური ნაცნობობა ჰქონდა.

ეს ნაცნობობა მომდევნო ორ ღამეს კიდევ უფრო განუმტკიცდა, როცა განმეორდა ყველაფერი ის, რაც იმ ვარსკვლავიან ღამეს მოხდა, გამოიყვანეს გემბანზე, დააყენეს მის ნაპირას, დაუმიზნეს შაშხანები და...

— ზურგისაკენ, იარ!

ამჯერადაც გვერდით გაუარა სიკვდილმა.

პოეტი გრძნობდა, რომ ყველაფერი ეს რაღაცას მოასწავებდა. ბოლოს და ბოლოს, დაკითხვაც შედგა. პოეტს ახალი ბრალდება წაუყენეს: „თქვენი წიგნები ფლოტის უნტერ-ოფიცერთა კარადებში ვიპოვეთ“. რა უნდა ეპასუხა? დაპატიმრებამდე მისი ლექსები წიგნის ყოველ მაღაზიაში იყიდებოდა. დაკითხვაზე ნაზიმ ჰიქმეთს არაფერი უთქვამს. მაგრამ თქვა ოცი წლის შემდეგ. „რომანტიკაში“ თქვა ის, რისი „მუცლის ტკივილიც“ თურქეთის მხედრიონს ჰქონდა. მათ ბათუმის ხელში ჩაგდებაც განუზრახავთ თურმე.

„ალბათ შეამჩნევდი, რომ მე ერთხელაც არ მიკითხავს, მართლა შეჰქმენი თუ არა ორგანიზაცია, ვინაიდან დიდი ხანია დავრწმუნდი, რომ არაფერი არ დაგიშავებია; მაგრამ მთავარი ეს როდია. ჩვენ გერმანელთა მხარეზე მოგვიწევს ბრძოლა, ინგლისელებს უნდა წავართვათ მოსული, ფრანგებს — ალეპო, რუსებს კი — ბათუმი. ამიტომ უნდა მოვაწყოთ წმენდა. თქვენგან დავიწყებთ და თანდათან გადავალთ ინგლისის მიმართ სიმპათიით განწყობილ ადამიანებზე“.

ამას ნაზიმ ჰიქმეთს გამომძიებელი ეუბნებოდა. ასეთი იყო მთელი თურქეთის მხედრიონის სურვილი.

ამ დღეებში, სიკვდილთან დამეგობრების დღეებში, ნაზიმ ჰიქმეთის მიერ მეუღლისადმი მიწერილი ბარათი დაცინვაა სიკვდილისა. იგი იგონებს იმ ნათელ დღეებს, რომლებიც მან ფირაიე ჰანუმთან ერთად გაატარა. ერთი სიტყვაც არაა იმ საშინელ ვარსკვლავიან დამეზე.

16 აგვისტო, 1938, სამშაბათი

„ჩემო ძვირფასო! ღუზა ჩავუშვით სტამბულთან და ყოველდღე ჰაიდარ ფაშას შევცქერი. ჩემ თვალწინაა ადგილები, სადაც შენთან ერთად დავეხეტებოდი. ჩემი გული ნაღველს მოუცავს, ჩემს გულს უხარია“.

ძიება დამთავრდა. ამჯერად ერთ მეფეს 18 ოფიცერი შესწირეს — ნაზიმ ჰიქმეთთან ერთად ფლოტში აჯანყებისათვის წაქეზების გამო გაასამართლეს 18 ადამიანი. მათ შორის 2 ქალი. ნაზიმ ჰიქმეთს ოცი წელი მიუსაჯეს.

თურქეთის რეაქციამ „უზრუნველყო“ თავისი მომავალი — ამ დროს ნაზიმ ჰიქმეთი 36 წლისა იყო. მიუსაჯეს ჯერ 15, შემდეგ კი 20 წელი. სულ 35 წელი. თუ პოეტი ამ სასჯელის მოხდამდე იცოცხლებდა და ციხეში სულს არ დალევდა, რისი სრული იმედიც ჰქონ-

დათ, იგი 71 წლისა 1973 წელს განთავისუფლდებოდა, პოეტი კი 61 წლის გარდაიცვალა, მაგრამ უმაღლესი საკასაციო სასამართლო ამჯერად უფრო „ობიექტური“ გამოდგა. მან მიუღებლად ჩათვალა ამოდენა სასჯელი და ორივე განაჩენი ასე დააკონკრეტა: „ნაზიმ ჰიქმეთს მიესაჯოს 28 წელი, 4 თვე და 14 დღე“. ამ განაჩენის მიხედვით ნაზიმ ჰიქმეთი ციხიდან გამოვიდოდა 1966 წლის 14 მაისს, 64 წლისა. რეაქცია ამჯერადაც დაკმაყოფილებული იყო. ვინ იცის, რა იქნება 28 წლის შემდეგ, ეს ხომ მთელი სიცოცხლეა. ამას გარდა, 64 წლის, პატიმრობით გასავათებული კაცი პოლიტიკური თვალსაზრისით არც თუ ძლიერ საშიში იქნებოდა. 28 წლის პატიმრობა ისე დააბეჩავებდა, რომ ლუკმაპურისათვის ზრუნვაც კი გაუჭირდებოდა.

ნაზიმ ჰიქმეთი აღარ იყო თურქეთში. მისი ხსენება აღარ შეიძლებოდა და ლექსებს ვიღა დაბეჭდავდა.

ნაზიმ ჰიქმეთის დაპატიმრება აღმოჩნდა არა მარტო ბიოგრაფიული, არამედ შემოქმედებითი ფაქტიც. ვფიქრობთ, მას შემდეგ, რაც პოეტმა ანკარის ციხეში შედგა ფეხი, დამთავრდა ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედების მეორე პერიოდი.

დღემდე ნაზიმ ჰიქმეთი ავტორი იყო მძაფრი, ბრძოლისაკენ მომწოდებელი ლექსების, რომლებსაც წინააღმდეგობისათვის უნდა დაერაზმა მკითხველი. ამას განაპირობებდა პოეტის რწმენა, მისი სულისკვეთება. პოეტი თვითონაც იბრძოდა, ჩვენ ვნახეთ, რომ იგი ეწეოდა არალეგარულ პარტიულ მუშაობას, რამდენიმეჯერ დაატუსაღეს კიდეც. ამ უკანასკნელ დაპატიმრებამდე მიუსაჯეს ჯერ 15 წელი (1925 წ.) და გაქცევით უშველა თავს, ხოლო შემდეგ — 5 წელი (1932 წ.) ასე რომ იგი მძაფრ ბრძოლას ეწეოდა. პოეტის ასეთი სულიერი განწყობილება წარმოშობდა შესაბამის ლექსებს. ამ მომენტში, გარდა სულიერი განწყობილებისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თვით პოეტის ყოფის, მისი ყოველდღიური ცხოვრების პროცესი, მაგრამ სულ სხვა სურათს ვხედავთ პოეტის დაპატიმრების შემდეგ.

თუ აქამდე პოეტი თავისი შემოქმედებით დაუნდობლად ებრძოდა არსებულ წყობილებას, რაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თვით ნაზიმ ჰიქმეთის ყოველდღიური ცხოვრების პროცესი, სულ სხვა სურათს ვხედავთ მისი დაპატიმრების შემდეგ. იგი კვლავ

დაუნდობელია კლასობრივი მტრის მიმართ, მაგრამ ახლანდელი სულისკვეთება მაინც პასიური ხასიათისაა, რადგან არ ძალუძს მთელი თავისი არსებით, მთელი ძალით დაუპირისპირდეს მტრებს. პოეტი ვეღარ იბრძვის. მას გამოეცალა ის, რაც მისი პოეზიის მთავარი საყრდენი იყო. ამან განაპირობა მისი პოეზიის ხასიათის ცვლილებაც.

ამას გარდა, პოეტს თანდათან ხანი ემატებოდა. წლებს თან მიჰქონდა ენერგია, ძალა. სიბერისა კი ძალიან ეშინოდა ჰიქმეთს. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, იგი 64 წლისა უნდა გამოსულიყო ციხიდან. მაგრამ ერთ-ერთ წერილში იმის გახსენებაც კი შიშის ზარს ჰგვრიდა, რომ შეიძლებოდა 50 წლის შესრულებამდე დარჩენილიყო ციხეში.

ნ. ჰიქმეთს არ შეეძლო, ოდესღაც განცდილისა და ნანახის მეოხებით შეექმნა ლექსები. იგი ცოცხალი ლიტერატურული პროცესის მოტრფიალე იყო და ცხარე პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ დებატებში ქმნიდა თავის ბრწყინვალე ლექსებს.

ასე რომ, შემოქმედებაში დამთავრდა წმინდა პუბლიცისტური ხასიათის, საბრძოლო განწყობილების პოეზიის პერიოდი. რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ პოეტმა უღალატა თავის გზას. პირიქით, იგი უფრო დაუნდობელი და მძაფრი გახდა, მაგრამ დაპატიმრების შემდეგ ამ სულისკვეთების ლექსებს აკლიათ სიმძაფრე, ის პათოსი, რომლითაც ადრე ასე ხიბლავდა მკითხველს. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ პოეტი ჩამოაშორეს ბრძოლას.

ამის შემდეგ ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედება ფილოსოფიური ხასიათის გახდება. ეს განსაკუთრებით ითქმის მის ლექსებსა და რამდენიმე პიესაზე. პოეტის სულში დაიბუდა ფიქრმა, განსჯის სურვილმა. იგი ინტელექტუალური წვდომით ასახავს გარემო სინამდვილეს. ამ მოსაზრების გამოთქმის უფლებას გვაძლევს აგრეთვე თანამედროვე გამოჩენილი თურქი რომანისტის ორჰან ქემალის ერთი მოგონება.

ორჰან ქემალი ადრეულ წლებში ლექსებს წერდა, როცა ნაზიმ ჰიქმეთი ბურსის ციხეში გადმოიყვანეს, ჭაბუკს თურმე ძალიან მოუნდა სცოდნოდა განთქმული პოეტის აზრი თავის ლექსებზე.

ლექსების კითხვა რომ დაამთავრეს, მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

„— შენ გჯერა ჩემი?
— უფრო მეტად, ვიდრე საკუთარი თავისა.
— მაშ, ასე, აიღე ყველაფერი ის, რაც დაგიწერია, და დასწვი!
. . . . . .
— ახლა კი მიამბე, როგორ ცხოვრობდი“.

მანაც უამბო: „ადვოკატის ოჯახში დავიბადე, სწორედ იმ წელს, როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. თექვსმეტი წლისა მამასთან ერთად ემიგრაციაში წავედი სირიაში. იქვე დავიწყე სამსახური, სასადილოში ოფიციანტი ვიყავი. შემდეგ ლითონის ჭრის ოსტატს დავუდექი შეგირდად. მალე მომბეზრდა უცხოეთში ყოფნა და თერამეტი წლისა სამშობლოში დავბრუნდი. ადანის საფეიქრო ფაბრიკაში ძაფსართავ მანქანასთან დავდექი. მერე კი... მერე ყველაფერი ცნობილია.

— იცი რა, ძმობილო, შენი ლექსები ნიჭიერი კაცის დაწერილია, მაგრამ არ ვარგა. ის, რაც შენ დაწერე, ათასერთჯერ დაუწერიათ და თანაც უფრო უკეთ, ვიდრე შენ. შენთვის პოეზია მხოლოდ და მხოლოდ იალქანია, რომელსაც ამ დახრუკული მიწისაგან შორს მიყავხარ. რატომ არ უნდა იყოს იგი ის სახნისი, ამ დახრუკული მიწის თუნდაც ერთ გოჯს რომ მოხნავს?“

ასე ესმოდა ნაზიმ ჰიქმეთს პოეზიის როლი და ამოცანები. პოეზიას რაღაც უნდა შეეცვალა, რაღაც ახალი უნდა მოეტანა ადამიანებისათვის.

საყურადღებოა ორჰან ქემალის კიდევ ერთი მოგონება, საიდანაც ჩანს, რომ ციხეში მოხვედრის შემდეგ ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებაში, მართლაც ახალი ფაზა დაიწყო.

„ნაზიმი წამოდგა, ტყავის ყდიანი რვეული ამოიღო და შემომთავაზა.

ახლა კი ჩემი ლექსები მოისმინეთ. მხოლოდ ერთი პირობით — უნდა გამაკრიტიკო ყოველგვარი შეღავათების გარეშე, უნდა გამაკრიტიკო დაუნდობლად, მკაცრად (ამას ეუბნება ახალგაზრდა პოეტს, უფრო სწორად, ძალზე სუსტი ლექსების ავტორს, უკვე აღიარებული პოეტი).

„მე ველოდი, რომ მოვისმენდი ხმაურიან ლექსებს უჩვეულო

რითმებით, — იგონებს ორჰან ქემალი, — „კასპიის ზღვის“ ან „მტირალა ტირიფის“ მსგავსს, მაგრამ მოვისმინე უბრალო, ჩვეულებრივი სიტყვები. პოეტი წუნარად. მშვიდი ხმით კითხულობდა. ხანდახან მე გადმომხედავდა ხოლმე“.

ორჰან ქემალი ელოდა ნაზიმ ჰიქმეთისათვის დამახასიათებელი ლექსების მოსმენას და მოისმინა სულ სხვა, ახალი ყაიდის ლექსები. აქვე უნდა დავძინოთ, რომ „მტირალა ტირიფი“ დაწერილია 1929 წელს, „კასპიის ზღვა“ 1928 წელს, ე. ი. იმ წლებში, როცა ნაზიმ ჰიქმეთი თავის სტიქიაში იყო — იბრძოდა.

„კითხვა რომ დაამთავრა, გაიღიმა, ჩიბუხი ბოლომდე მოსწია და მკითხა, რას ვფიქრობდი ამ ლექსებზე. მე ვუპასუხე, ბრწყინვალე ლექსები მოვისმინე-მეთქი. დაეჭვებით გადმომხედა. არ დამიჯერა:

— თქვენ მე დამინდეთ!“

ყველაზე უკეთ შემოქმედი გრძნობს ხოლმე თავისი ნახელავის სიავკარგეს. ჩვენ არ ვიცით, კერძოდ, რომელი ლექსები წაუკითხა ნაზიმ ჰიქმეთმა ორჰან ქემალს, ამიტომ ძნელია გავამართლოთ ან პირიქით — მხარი არ დავუჭიროთ ნაზიმ ჰიქმეთის ეჭვს იმჯერად წაკითხული თავისივე ლექსების მიმართ, მაგრამ ვფიქრობთ, პოეტის ეს დაეჭვება მხოლოდ ახლად წაკითხული ლექსებისადმი კი არ იყო მიმართული—მას აინტერესებდა გაეგო სხვათა პირუთვნელი აზრი იმ სიახლეზე. რომელიც უკანასკნელ ხანს გაჩნდა მის პოეზიაში. ეს ყოველი შემოქმედის, რაოდენ თავდაჯერებულიც უნდა იყოს იგი, დაუოკებელი სურვილია. რადგან ნაწარმოები იწერება მკითხველისათვის და არა თვით ავტორისათვის. და ეს დაეჭვებაც. რომლის შესახებაც ორჰან ქემალი იგონებს, კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას იმაზე, რომ დაპატიმრების შემდეგ ნაზიმ ჰიქმეთის ლირიკაში ერთგვარი ცვლილებები მოხდა.

ორჰან ქემალი ნაზიმ ჰიქმეთის მოწაფედ თვლიდა თავს. მართლაც, ნაზიმ ჰიქმეთმა მისი მწერლად ჩამოყალიბების საქმეში უმთავრესი, გადამწყვეტი როლი ითამაშა. ბურსის ციხეში შეხვედრა და დამეგობრება რომ არა. თურქეთს არ ეყოლებოდა ჩვენი დროის ერთ-ერთი საინტერესო რომანისტი.

„ნაზიმ ჰიქმეთმა ჩიბუხი გააბოლა და შემომთავაზა:

— ხომ არ მოისურვებდით ჩემთან მეცადინეობას? თქვენ უეჭ-

ველად გაქვთ მხატვრის მონაცემები. თქვენს ლექსებს მკაცრად მივუდექი. მაპატიეთ. როცა საქმე ხელოვნებას ეხება, მე ვერ ვიხუმრებ. ჩემთვის ეს ძალზე სერიოზული საქმეა. მე მინდა ყურადღება მივაქციო თქვენს საერთო კულტურას. გეყოფათ მოთმინება? ჯერ ფრანგულით დავიწყოთ, შემდეგ კი — ლექციები ფილოსოფიასა და პოლიტიკაში.

მე მხოლოდ თავის დაქნევაღა მოვახერხე.

— მომეცით სიტყვა, რომ დაუღალავად იმეცადინებთ, არ იზარმაცებთ.

— პირობას ვდებ.

მან ხელი გამომიწოდა.

— ძალიან კარგი.

და მან, კმაყოფილმა, კვლავ გატენა ჩიბუხი".

ამასობაში თურქეთის ოფიციალურ წრეებში დიდი ამბები ხდებოდა. ვიდრე მუსტაფა ქემალი ცოცხალი იყო, ფაშისტურად განწყობილი წრეები თავს იკავებდნენ და მორიდებულად გამოხატავდნენ თავიანთ სიმპათიებს ფაშისტური გერმანიისადმი. მაგრამ მას შემდეგ, რაც 1938 წლის ნოემბერში მუსტაფა ქემალმა სული დალია, თურქეთის მთავრობა თავისი პრეზიდენტის ისმეთ ინენიუს მეთაურობით აქტიურად დაუმეგობრდა ფაშისტურ იდეოლოგიას.

ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი იყო ისიც, რომ მუსტაფა ქემალის გარდაცვალებისთანავე, რაღაც სამ თვეში, თურქეთმა სცნო ფაშისტური ესპანეთი და ამით მეგობრობის ხელი გაუწოდა ფრანკოს.

ფრანკოს რეჟიმის აღიარების შემდეგ არ გასულა დიდი ხანი და თურქეთს ეწვია სტუმარი, რომელიც სწორედ მათი მისწრაფებების გამომხატველი იქნებოდა — სტამბულში სამდღიანი ვიზიტით ჩავიდა ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთი იდეოლოგი — გებელსი.

ეს იყო 1939 წელს. მალე თურქეთისა და ფაშისტური გერმანიის ურთიერთობა სათანადო პოლიტიკური დოკუმენტით დადასტურდა და ამ ორმა რეაქციულმა სახელმწიფომ ძმობა და მეგობრობა შეჰფიცა ერთმანეთს.

ცხადია, ყოველივე ეს გავლენას ახდენდა თურქი ინტელიგენ-

ციის ცხოვრებაზე. განსაკუთრებით კი იმათ ბედზე, ვინც თავიდანვე გრძნობდა ფაშიზმის დამანგრეველ ძალას.

ციხეში ყოველი დღე წყლის წვეთებივით ჰგავდა ერთმანეთს. პოლიტიკური ამინდის ცვლილება, რასაკვირველია, აქაც იგრძნობოდა, მაგრამ ციხეში ზეცა მუდამ მოღრუბლულია და ამინდის ცვლილება არც ისე მტკივნეული იყო.

1941 წელს ნაზიმ ჰიქმეთი იწყებს მუშაობას ვრცელ ეპოპეაზე „საკაცობრიო პანორამა". ეს პოემა უნდა ყოფილიყო მეოცე საუკუნის პოეტური ისტორია. ასეთი ისტორიის შესაქმნელად პროზაიკოსს ტომები უნდა დაეწერა. ავტორს სურდა გადმოეცა მეოცე საუკუნის მნიშვნელოვანი მოვლენები და პიროვნებათა ბედი მათს შუქზე. ვრცელი იყო პოემის გეოგრაფიული არე. მოქმედება ხდებოდა თურქეთში, საფრანგეთში, ჩინეთში. ნაწარმოებში აისახა საბჭოთა ხალხის ბრძოლა გერმანელ დამპყრობლებთან. „საკაცობრიო პანორამაში" შევიდა პოეტის მიერ ადრე შექმნილი ზოგიერთი ლექსი და პოემა.

1945 წელს დაწერილ ერთ-ერთ წერილში ნაზიმ ჰიქმეთი თავის მეუღლეს სწერდა:

„ახლა გიამბობ, თუ რას ვაკეთებ აქ. დღისით თარგმანებზე ვმუშაობ. ვასწორებ და ვხვეწ „პანორამას". ასეა საღამომდე. როგორც კი 21 საათი დარეკავს, ყველაფერს თავს ვანებებ და შენზე ვფიქრობ. ისე არ გამიგო, თითქოს 21 საათამდე არ მახსენდებოდე. 21 საათის შემდეგ არაფერზე და არავისზე არ ვფიქრობ, შენს გარდა. 21-დან 22 საათამდე ლექსებს ვწერ შენზე. პირველ დღეებში შენზე ფიქრებმა იმდენად გამიტაცა, რომ ვერც ერთი სტრიქონი ვერ დავწერე. ეს არის პაწია ლექსები. შენ უფრო მეტის ღირსი ხარ, მაგრამ მერწმუნე, რომ ესენი ჩემი გულწრფელი და ნაღდი ქმნილებანია. ოდესმე ჩვენ ცალკე წიგნად გამოვცემთ ამ ლექსებს".

გაივლის ოცი წელი და ამ ლექსებს, მართლაც წაიკითხავს თურქი მკითხველი. ფირაიე ჰანუმის ვაჟმა მემედ ფუადმა გამოსცა ეს წიგნი. „საღამოს 21-დან 22 საათამდე ფირაიეზე დაწერილი ლექსები" ერქვა პოეტის სიკვდილის შემდეგ გამოცემულ ლექსების ამ წიგნს.

პატიმრობის სხვადასხვა წლებში დაწერილი ამ წიგნის 27 ლექსი ქართველმა მკითხველმაც წაიკითხა. წაიკითხა და იგრძნო პოე-

ტის სევდა საყვარელი ადამიანის მონატრების გამო. ეს ლექსები კიდევ ერთხელ გვიდასტურებენ ნ. ჰიქმეთის მისწრაფებას — წეროს მხოლოდ იმაზე, რაც განუცდია და ყოველი პრობლემა თავისი განცდის ქურაში გაატაროს.

მოქანცულ ხეებს
ველზე ქარი აღარ ახარებს.
და აღარ იშლის
ოქროსფერი ფოთლების შრიალს.
სოველ მიწაში
ფეხი მძიმედ
ჩაუდგამთ ხარებს
რუხი მთები კი
რძისფერ კვამლში იძირებიან.[1]

მოწყენილი და უღიმღამოა საპატიმროდან დანახული გარემო, რაც უნდა პოეტურად აღუწეროს ნაზიმ ჰიქმეთმა ეს სურათი მეუღლეს, რაოდენ ლამაზადაც უნდა გააცნოს საპატიმროს ირგვლივ არსებული პეიზაჟი, ნაღველი მაინც გამჯოლ ხაზად გასდევს ამ ლექსებს. უსაზღვროა ეს ნაღველი, რადგან:

პატიმრები ვართ, ძვირფასო, ორნივ —
მე ოთხ კედელში,
ხოლო შენ გარეთ.
თუმცა, ეს მძიმე განსაცდელია,
უფრო მძიმე და უფრო ძნელია,
საპყრობილეს რომ გულით ატარებ.
დედამიწაზე ბევრია მეტად
კაცი, რომელმაც ძალათ თუ ნებით
თავი საკანში გამოიკეტა,
თვითონ დაიდო ხელბორკილები[2].

ნაღველი და ფიქრი. ეს ნაღველი განსაკუთრებით მაშინ შემოაწვება პოეტს, როცა თავის ახლობლებზე, გარეთ დატოვებულ მჩქეფარე ცხოვრებაზე ფიქრობს. იქ ბრძოლაა, მოძრაობა, აქ კი უღიმღამობა, უძლურება, უძრაობა, ეს არ იყო პოეტის სტიქია. მას არ შეეძლო დასვენება, მას ზიზღს ჰგვრიდა ამგვარი ყოფა:

[1-2] თარგმანი ნ. მალაზონიასი.

საღამო არი,
ცხრა საათია.
საპყრობილეში უკვე გონგის გაისმა ჟღერა.
აინთო შუქი,
დაიხურა საკნის კარები.
რვა წელს გრძელდება პატიმრობა
ჩემი ამჯერად.[1]

მეუღლისადმი მიწერილი ლექსებიდან ვგებულობთ, რაოდენ ფილოსოფიურად იყო განწყობილი პოეტი ამ წლებში. მისთვის არ არსებობს წარსული, რაოდენ დიდიც უნდა იყოს იგი. მას მხოლოდ მომავალი ანიჭებს სიხარულს, მისგან მოელის შვებას.

ყველაზე კარგი მხოლოდ ის ზღვაა —
რომლის ტალღები ხომალდს ელიან.
ყველაზე კარგი ბავშვი ის არის —
რომელიც დიდი ჯერ არ გაზრდილა.
ყველაზე კარგი წლები ის არი,
რომლებიც კიდევ გასავლელია.
ყველაზე კარგი, საამო სიტყვა
ის არი, შენთვის რომ უნდა მეთქვა
და ჯერ არ მითქვამს.

მეუღლისადმი ნამღერი ოდა ხომ ნაღვლიანი ჰიმნია განშორებასა და სიყვარულზე, მარტოობასა და სულიერ სიახლოვეზე:

შენ სოფელი ხარ, მარტოდმარტო მიტოვებული
ანატოლიის მთის მწვერვალზე გაშენებული.
შენ ქალაქი ხარ ულამაზესი,
ჩემი ქალაქი უბედური
ტანჯულ-ვნებული...
შენ ჩემი ქვეყნის ძახილი ხარ,
რომ ელის შველას
და მეც მოვრბივარ, რომ დაგიხსნა შენ —
ჩემო ყველავ.[2]

ეს იყო პოეტის სურვილი, მაგრამ იგი ვერ დაიხსნიდა ფირაიეს ამქვეყნიური ზრუნვისაგან. პოეტის ცოლს გასაზრდელი ჰყავდა პატარა ბავშვი. მისახედი იყო თვით საპატიმროს კედლებში გამომწყვდეული ჰიქმეთი. დედა და და დაეხმარებოდნენ, მაგრამ პოეტს

[1] - [2] თარგმანი ნ. მალაზონიასი.

ეუხერხულებოდა დახმარების მიღება ნათესავებისაგან. მას სურდა, თვითონვე უზრუნველეყო თავი. ყოველივე ამაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. ისიც კი უნდოდა, რომ საპატიმროდან გაეწია მზრუნველობა თავისი ოჯახისათვის.

ერთ-ერთმა პატიმარმა იცოდა, რომ ნაზიმს დიდი გავლენა ჰქონდა და არ გაუჭირდებოდა, დროებით სადმე ფული ეშოვა. ამიტომ შესთავაზა, შეესყიდა საფეიქრო საწარმოების მანქანები, რომელიც ადრე სხვა ტუსაღს ეკუთვნოდა. ჰიქმეთმაც არ დააყოვნა, მეგობრების შემწეობით მალე იშოვა სათანადო თანხა და შეისყიდა მანქანები. პოეტს ერთი სურვილიც ამოძრავებდა — როგორმე დაესაქმებინა უამრავი პატიმარი, რომლებიც საპყრობილეში აზარტულ თამაშს მისდევდნენ.

საფეიქრო საამქრომ მალე დაიწყო მუშაობა. ნაზიმ ჰიქმეთი ამხანაგობის თავმჯდომარე იყო. მაგრამ მოგებას ყველა — დიდიცა და პატარაც — თანაბრად იყოფდა. მხოლოდ იმ პირობით, რომ ამხანაგობაში თავისი წილი ჰქონოდა და აქედან გამომდინარე, მოგებიდან გარკვეული თანხა უნდა მიეღო პროზაიკოს ქემალ თაჰირს, რომელიც ჩანაკლეს ციხეში იჯდა და დამხმარე არავინ ჰყავდა. პოეტს სჯეროდა, რომ ქემალ თაჰირი თურქული პროზის ოსტატი იყო, ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა, მიშველებოდა. ქემალ თაჰირი გატაცებით მუშაობდა ციხეში. შემოქმედი ფულზე არ უნდა ფიქრობდეს, იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოსო, ამბობდა ნაზიმი და თვითონ ტუსაღი ქემალ თაჰირს ყურადღებას არ აკლებდა.

ნაზიმ ჰიქმეთი ძალიან გაიტაცა ახალმა საქმემ. იგი ბედნიერად თვლიდა თავს, რომ პატიმრებს ყოველდღიური სარჩო გაუჩნდა. მათ ნახელავს უდიდესი სიამოვნებით ყიდულობდნენ ბურსელი ვაჭრები, რომლებსაც ძალზე მოსწონდათ ასე ლამაზად მოხატული ქსოვილი. ამ შემთხვევაში გარკვეული როლი ითამაშა იმან, რომ ნაზიმი ხატავდა. ბავშვობის გატაცება ციხეში გამოადგა. აქ თითქოს უფრო მეტი დრო იყო მხატვრობისათვის, საპატიმროშივე შექმნა რამდენიმე ტუსაღის პორტრეტი. მხატვრობით გატაცებამ ძალიან არგო საფეიქრო საქმეს. ციხეში ნაქსოვით მთელს თურქეთში ცნობილი ბურსელი მქსოველებიც კი გაოცებულნი იყვნენ.

სული მოითქვეს ტუსაღებმა. ნაზიმ ჰიქმეთი მათი არა მხოლოდ მასწავლებელი, მამაც გახდა. თითქმის ყოველი ტუსაღი მამას უწო-

დებდა. ყველას უნდოდა მასთან ახლოს ყოფილიყო, სწორედ ნაზიმს დაეწერა საჩივარი ანდა განცხადება.

მაგრამ ბურსის ციხეშიც მოხდა ის, რაც თითქმის ყოველ ციხეში ხდება.

ერთ-ერთი ბობოლა, სახელად ჰამდი აღა, რომელიც მკვლელობის წაქეზებისთვის დაეპატიმრებინათ, მთელი ციხის ატამანი იყო. ყოველი პატიმარი მისი მონა გამხდარიყო.

ჰამდი აღას არ მოსწონდა, რომ ნაზიმ ჰიქმეთი საპყრობილეში ყველას უყვარდა. ამიტომ მისი ჩამოშორება გადაწყვიტა. მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთი იმდენად უყვარდათ ტუსაღებს, რომ ვერავინ გაიმეტა. პოეტს ხიფათი სწორედ იმ ლაზმა ტუსაღმა აცნობა, რომელსაც მისი მოკვლა ჰქონდა დავალებული.

ჰამდი აღას კი ის მიეზღო, რისი ღირსიც იყო — ლაზმა კონტრაბანდისტებმა, რომლებიც მთელ თურქეთში არიან ცნობილი მამაცობით, დანით აკუწეს იგი.

შესაძლოა, პოეტის ცხოვრების ეს დეტალი არ იყოს იმდენად მნიშვნელოვანი, რომ იგი აქ მოვიხსენიოთ, მაგრამ ამით გვინდა, კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ მკითხველს, თუ რა დამოკიდებულებას იჩენდა თურქეთის ხელისუფლება თავისი პოეტის მიმართ. საკმარისი იყო, ვიგინდარა ჰამდი აღას სხვა მკვლელი გამოენახა, რომ უდიდესი პოეტი ვიღაც მკვლელის მსხვერპლი გახდებოდა.

ნაზიმ ჰიქმეთს საპყრობილეშივე ერთი ძველთაძველი თვითნაკეთი რადიომიმღები ჰქონდა. ეს რადიომიმღები იყო იმედის სხივი. მისი მეოხებით თუ გაიგებდა ქვეყნიერების ამბავს. იმ წლებში კი უდიდესი ამბები ხდებოდა მსოფლიოში, რომლის მთავარი სცენა სწორედ საბჭოეთი იყო. აქ ერთმანეთს შეერკინა კაცობრიობის სიკეთისა და ბოროტების ორი სიმბოლო. როგორც ვიცით, თურქეთი გერმანული ორიენტაციის ქვეყანა იყო და მათი იდეოლოგიური მანქანაც სწორედ ფაშიზმის უძლეველობის მითს განამტკიცებდა. თურქეთის პროპაგანდა თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ საბჭოეთი თითქმის დამარცხებულია და დღეს თუ არა ხვალ ომიც დამთავრდებაო. ნაზიმ ჰიქმეთს კი უფრო სარწმუნო, ნამდვილი ინფორმაციების მიღება ეწადა. ამ მხრივ დანჯღრეულმა და თვითნაკეთმა რადიომიმღებმა დაუფასებელი სამსახური გაუწია. სწორედ მისი მეოხებით გებულობდა საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლების

ამბავს, იგებდა თუ რა ძლიერი ნებისყოფა ჰქონია ჩვენს ქვეყანას. სწორედ რადიომიმღების მეოხებით გაიგო ზოია კოსმოდემიანსკაიას მამაცობის ამბავი. ნაზიმ ჰიქმეთი ისეთი სულიერი წყობის ადამიანი იყო, რომ არ შეიძლებოდა ამ ცნობას არ აეფორიაქებინა. პოეტი სულით ხორცამდე შეძრა თვრამეტი წლის ქალიშვილის ტრაგიკულმა ბედმა.

და მან ბურსის ციხეში გამომწყვდეულმა, შეჰქმნა პოემა „ზოია". პოემა ქალიშვილზე. რომელიც ვერ გატეხა ფაშისტთა ულმობლობამ და სისასტიკემ. „ზოია" ერთგვარი დიალოგია იმ ორი ადამიანისა, რომლებიც სამშობლოს სახელით ყოველგვარ წამებას იტანენ. ამ ორ ადამიანს ერთმანეთთან აკავშირებს სულიერი მამაცობა და პატრიოტული სულისკვეთება.

ტანია, ტანია.
ციხის სარკმელთან
ცისკრის ნათელი
ნისლივით სცურავს,
ბურსის ციხეში ხშირად დავცქერი
შენი ქალობის პატარა სურათს.
შენ, მოსკოველო,
არ იცნობ ბურსას,
ვარდებში სუნთქავს
მთელი ქალაქი.
მაგრამ დღეს ციხედ გადაქცეულა
მხარე სიუხვის
მხარე, ბარაქის.[1]

პოეტის მიზანი იყო თურქი მკითხველისათვის წარმოედგინა მოუდრეკელი და მხნე რუსი გოგონას გმირული დღეები და ამით გაექარწყლებინა გერმანელთა უძლეველობის მითი. მან თურქ მკითხველს უთხრა, რომ არ შეიძლება დამარცხება იმ ხალხისა, რომელსაც ასეთი ძლიერი სულის შვილები ჰყავს. პოეტმა მიაღწია კიდეც თავის მიზანს.

ჰიქმეთის ნაკვალევზე

1968 წელს რამდენიმე ქართველი მწერალი თურქეთს ეწვია. თურქმა მწერლებმა უდიდესი გულისხმიერება გამოიჩინეს ქართ-

[1] თარგმანი კ. ლორთქიფანიძისა და ა. მირცხულავასი.

ველი კოლეგების მიმართ. ერთ საღამოს სხვა თურქ მწერლებთან ერთად სამუალოზე ოდნავ მაღალი, მელოტი კაცი მოვიდა ქართველ მწერლებთან. მას ძალზე მოძრავი, ცისფერი თვალები ჰქონდა გულითადად ესაუბრებოდა ყველას. თან მოიტანა თავისი ნახატის „ნაზიმ ჰიქმეთის“ რეპროდუქცია და დიდი სიამოვნებით გადმოგვცა. ეს კაცი ევროპაში საკმაოდ ცნობილი თვითნასწავლი მხატვარი იბრაჰიმ ბალაბანი იყო. ჩვენ გაგვიკვირდა კიდეც იბრაჰიმ ბალაბანის ასეთი გულღია სტუმრობა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართველ მწერლებთან იგი თურმე შემთხვევით არ მოსულა.

— მე ბურსის ახლო, სოფელ სეჩში ვცხოვრობ. ჩვენს სოფელში ბევრი ქართველია, ქართველები ყველასათვის სასიამოვნო სტუმრები და მეგობრები არიან. მათ მტრობაც იციან და სიყვარულიც. ჭირშიც გამოგადგებიან და ლხინშიც. მე პირადად ძალიან მიყვარს ასეთი ადამიანები და ქართველებს შორის ბევრი მეგობარი მყავს. როცა ჩემმა მეგობარმა მწერალმა აზიზ ნესინმა მითხრა, სტამბულში ქართველი მწერლები ჩამოვიდნენო, თქვენკენ გამოვეშურე. სეჩში რომ ჩავალ, ქართველების წინაშე თავს მოვიწონებ, თქვენებური მწერლები ვნახე-მეთქი. ძალიან გავახარებ, — ამბობდა იბრაჰიმ ბალაბანი.

როცა იბრაჰიმ ბალაბანმა გაიგო, რომ ქართველი მწერლები დაინტერესებული იყვნენ ნაზიმ ჰიქმეთის ცხოვრებით, მას უმალ შეეცვალა სახე:

— ბაბა ნაზიმი დავკარგეთ, დავკარგეთ უჭკუოდ, სულელურად. ჩვენ სირცხვილად ისიც გვეყოფა, რომ ბაბა ნაზიმი იძულებული იყო, უცხოეთში ეცხოვრა. — მერე მან ერთი პატარა წიგნი გადმომცა. „იბრაჰიმ ბალაბანი. კვალი“. ასე ეწერა ამ წიგნს. წიგნში მოთხრობილია იმაზე, თუ რა კვალი დატოვა ნაზიმ ჰიქმეთმა თურქეთის ინტელიგენციისა და, პირადად იბრაჰიმ ბალაბანის შემოქმედებაში.

— ახლა ევროპაში ცნობილი მხატვარი ვარ, — ამბობდა ი. ბალაბანი, — ყველაფერს კი პოეტების მეფეს, ბაბა ნაზიმს უნდა ვუმადლოდე. ის რომ არა, ისევ ერთი უბირი გლეხი დავრჩებოდი, რომლისთვისაც ქვეყანა თავისი სოფლის კარებთან მთავრდება. ბაბა ნაზიმი 1940 წელს გავიცანი. ბურსის ციხეში, სადაც კონტრაბანდისტობისათვის მოვხვდი.

ერთხელ ნაზიმ ჰიქმეთმა მთხოვა, უნდა დაგხატო და ჩემთან მოდი ხოლმეო. რამდენიმე საღამო დავდიოდი. ვაკვირდებოდი, როგორ მხატავს-მეთქი.

ნაზიმის შემდეგ მეც ვცადე ხატვა. ზუსტად ისე დავდექი ტილოს წინ და ისევე ვუსტვენდი, როგორც ნაზიმი. ხატვამ ძალიან გამიტაცა, მაგრამ როგორც კი გამათავისუფლეს, იქვე მივივიწყე.

1942 წელს კვლავ დამაპატიმრეს. ერთმა ჩემმა ამხანაგმა საცოლის წართმევა მოინდომა, ჩემი მოკვლაც განიზრახა და... უნებურად მე გავხდი მკვლელი. 10 წლის პატიმრობა მომისაჯეს. კვლავ ბურსის ციხეში მოვხვდი. ნაზიმი ისევ იქ დამხვდა. საშინელება იყო — მე ჩემი სასჯელი მეჩვენებოდა საუკუნოდ და დაუსრულებლად, მაგრამ როცა გამახსენდებოდა, ნაზიმი ჩემს მერე კიდევ თოთხმეტი წელი უნდა ყოფილიყო აქ, გული მეკუმშებოდა.

ერთხელ ნაზიმი საპარიკმახეროში შემოვიდა და მითხრა, ჩემთან მოდი, კიდევ მინდა დაგხატოო. მე უარი ვუთხარი, თვითონაც ვხატავ-მეთქი. ძალიან დაინტერესდა, გინდა თუ არა მაჩვენეო. შიშმა ამიტანა — ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ჩემი ნახატები უნდა ენახა თურქეთის უდიდეს პოეტს, ყოველი ჩვენგანის კერპს. უმალ გავიქეცი ჩემს საკანში და ნახატები მოვარბენინე.

ნაზიმმა დიდხანს უყურა ჩემს ნახატებს, მერე მოვიდა და გადამეხვია. ათასი რამ მკითხა, როცა ვუთხარი, ლიცეუმი არ დამიმთავრებია და საერთოდ არავითარი განათლება არ მიმიღია, გარდა ჩვენი სოფლის სამწლიანი სკოლისა-მეთქი, მოიწყინა.

მე ვუთხარი, ხატვა სწორედ თქვენ დამაწყებინეთ და ციხიდან რომ გავალ, უნდა ვხატო-მეთქი. სერიოზულად უნდა მოეკიდო ამ საქმეს, შენ არა გაქვს უფლება, გულდაჯერებით არ იშრომოო.

კვირაში სამი დღე საპარიკმახეროში ვმუშაობდი. პატიმრებს ვკრეჭდი და ვპარსავდი. დანარჩენი სამი დღე კი მასწავლებელთან, ნაზიმთან ვიყავი, ხატვას ვსწავლობდი. ადრე ყალამი ხელში არ ამეღო, ხატვისა არაფერი გამეგებოდა, ამიტომ ნაზიმი ყველაფერს მასწავლიდა.

ორიოდე თვის შემდეგ საკანში ნახატები შევუტანე. ბაბა ნაზიმმა გულმოდგინედ ათვალიერა ისინი, მერე ორჰან ქემალს დაუძახა, იმასაც აჩვენა და ცოტა ხნის შემდეგ მითხრა:

— იბრაჰიმ, დადგება დრო და შენს საკანში, რომელშიც ეს ნახატები შეიქმნა, მუზეუმს გახსნიან.

მაშინ მე ეუთხარი თურქული პოეზიის მუზეუმი სწორედ თქვენს საკანში გაიხსნება-მეთქი.

მე ბურსასთან ახლოს ვცხოვრობ. ხშირად შევხედავ ხოლმე ბურსის ციხეს და გული სიამაყითა და ნაღველით მევსება იმ დღეების გახსენებაზე.

ციხიდან რომ გამოვედი, ცოლი შევირთე — ორი ბიჭი შემეძინა, არაფრით არ შემეძლო მადლობა გადამეხადა ნაზიმ ჰიქმეთისათვის. მაშინ იგი უკვე საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა. ერთ ბიჭს ნაზიმი დავარქვი, მეორეს — ჰიქმეთი, — დაამთავრა თხრობა იბრაჰიმ ბალაბანმა.

რამდენიმე თვეც არ გასულიყო სტამბულში ამ შეხვედრიდან, რომ ფოსტამ თბილისში ერთი პატარა შეკვრა ჩამოიტანა. სტამბულიდან გამოგზავნილი წიგნი იყო — ბალაბანმა იცის, რომ საქართველოში ძალიან უყვართ ნაზიმ ჰიქმეთი, აფასებენ მას და ამიტომ დაუყოვნებლივ, თითქმის სტამბის საღებავის შეუშრობლად გამოგზავნა ნაზიმ ჰიქმეთისადმი მიძღვნილი წიგნი „პოეტების მამა და თავლაში მყოფნი“. ეს საკმაოდ მოზრდილი წიგნი ნაღვლიანი გახსენებაა იმათი, ვინც ბურსის ციხეში დაამწყვდია რეაქციამ და ვისაც ვერ დაუვიწყნია ნაზიმის სახე.

„მე ახლა თვალწინ მიდგას ხელბორკილები... ათასნაირი ხელბორკილი... მე დიდხანს მიტარებია ისინი. ამ წამებაში გაივლიან წლები, მაგრამ ახლა ვიეიწყებ ხელბორკილებს...

შავ ფარდას ჩამოვაფარებ მათ...

სიზმრების იეროგლიფი...

ვიდრე პოეტების მამას შევხვდებოდი, ხელების ფათურით მრუმე სიბნელეში ვეძებდი საკუთარ თავს. პოეტების მამამ კი ჩემი ხელები იპოვა. იპოვა და ის საქმე მისცა მათ, რაც უნდა ეკეთებინათ თურმე...

ამ წიგნს მისთვის ვწერ...

მისთვის იწერება ეს წიგნი...“.

გოდება სიყვარულზე, გმირობა სიყვარულისა

როცა იბრაჰიმ ბალაბანს ვუთხარით, საქართველოში ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედება ძალიან უყვართ, ჩვენს თეატრებში არაერთხელ დაუდგმთ მისი პიესები, გამოცემულია ლექსების ორი კრებული და მალე ქართველი მკითხველი პიესებსაც წაიკითხავს-მეთქი, სახე გაებადრა, თვალები სიხარულით აევსო და თქვა:

— მე მახსოვს ის დრო, როცა „ლეგენდა სიყვარულზე“ და „იოსებ მშვენიერი“ იწერებოდა. განსაკუთრებული სიხარული ედგა თვალებში, როცა „ლეგენდა სიყვარულზე“-ს წერდა. ბაბას ასეთი ჩვევა ჰქონდა — როცა რაიმეს დაწერას განიზრახავდა, უთუოდ რამდენიმეჯერ უამბობდა ვინმეს. საინტერესო იყო მისი მოსმენა. ისე ნელა, მდორედ ყვებოდა ამბავს, იფიქრებდი, კალამი უჭირავს და წერს კიდეცო. ყოველი თხრობისას რაღაცას უმატებდა. შეჩერდებოდა, ერთ წერტილს მიაჩერდებოდა. რაღაცას მოიფიქრებდა და ისევ დინჯად განაგრძობდა თხრობას. „ლეგენდა სიყვარულზე“ ოცჯერ მაინც მჭონდა მოსმენილი და მეგონა, ყველაფერი ვიცოდი ამ პიესისა, მაგრამ რომ წავიკითხე, ბევრი რამ ახალი ვნახე შიგ. მე შემოქმედებით ოსტატობაზე არ მოგახსენებთ. მხედველობაში მაქვს პიესის სიუჟეტური და იდეური მიზანდასახულობა. პიესაში ნაზიმ ჰიქმეთის ავტოპორტრეტია დახატული. ფერჰადი ეს იგივე ნაზიმია, მისი ძლიერი სიყვარული ფირაიეს მიმართ, მისი მისწრაფება ხალხისათვის სიკეთის მოტანისა. „ლეგენდა სიყვარულზე“ იმ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება, რომელშიც მთელი სისრულით გამოიკვეთა ნაზიმ ჰიქმეთის, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის მისწრაფებები, მისი, თუ შეიძლება ითქვას, სულის ავტოპორტრეტი.

„ლეგენდა სიყვარულზე“ გმირობის განმადიდებელი და დამამკვიდრებელი ნაწარმოებია. ამ პიესაში ორი ადამიანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ისეთ გმირობას სჩადის, რომ მათი საქციელი მუდამ გამოიწვევს ადამიანთა პატივისცემას. თანაც ამ გმირობას ინტელექტი წარმართავს. ორივეს შეეძლო უარი ეთქვა იმაზე, რაც მათ ჩაიდინეს და ამით არაფერი დააკლდებოდათ, მაგრამ ეს ადამიანები გმირობისთვის იყვნენ შობილნი და არ შეეძლოთ უარი ეთქვათ საკუთარი თავისათვის, უარეყოთ თავიანთი სული.

აღმოსავლეთმა გმირობის თავისებური მოდელი შექმნა. აღმოსავლეთის თითქმის ყოველი გმირი ფიზიკური ძალით მოიპოვებს დიდებასა და სახელს. ამ გმირობასაც ადამიანის სულიერი სიძლიერე წარმართავდა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ უმეტესად ქებით იხსენიებდნენ გმირის მკლავს, მის სულზე კი არაფერს ამბობდნენ. მთელს აღმოსავლეთში ცნობილ ლეგენდას ფერჰადისა და შირინის სიყვარულზე ნაზიმ ჰიქმეთმა მეოცე საუკუნის ადამიანის თვალით შეხედა. მისი მიზანი არ იყო, მხოლოდ დრამატურგიის ენით მოეთხრო ათასგზის ცნობილი და ნაქები ფერჰადისა და შირინის ამბავი, არამედ ადამიანისათვის განემტკიცებინა რწმენა, რომ იგი სულით ძლიერი ქმნილებაა და თუ სულიერ სიმტკიცეს გამოიჩენს, შეუძლია ხალხისათვის სასარგებლო ადამიანი გახდეს, ერთი უბრალო კაცი ეროვნულ გმირად მოევლინოს ქვეყანას.

ეს განსაკუთრებით ფერჰადის სახეზე ითქმის. სწორედ მის ხასიათში, მის ბიოგრაფიაში ჩააქსოვა ნაზიმ ჰიქმეთმა ის მოწინავე სულისკვეთება, რისთვისაც დაიწერა პიესა.

ამ პიესის თაობაზე პოეტი წერდა:

„მე მინდოდა, შემოქმედებითად დამემუშავებინა ეს ძველი ლეგენდა (იგულისხმება აღმოსავლეთში ცნობილი ფერჰადისა და შირინის ლეგენდა. გ. ბ.) და ლეგენდის ფორმაში გამომესახა ადამიანის ერთ-ერთი თვისება, რომლითაც იგი განსხვავდება ბუნების ყველა დანარჩენ ქმნილებათაგან — სიყვარული და ბრძოლა ამ სიყვარულისათვის. მე მინდოდა გამომესახა ადამიანური სიყვარულის უმაღლესი გამოვლინება — სამშობლოსა და თავისი ხალხის სიყვარული“.

პიესის მიზანდასახულების ეს ავტორისეული განმარტება სავსებით ჰფენს შუქს პიესის სათაურსაც, რომელიც დოკუმენტური სიზუსტით მიუთითებს პიესის მთავარ ბიძგებზე, მის მთავარ მომენტებზე. თურქულ ენაზე პიესის ქვესათაურია „ფერჰადი, შირინი, მეჰმენე ბანუ და რკინის მთის წყალი“.

მართალია, ნაზიმ ჰიქმეთმა სწორედ ფერჰადის სახეში ჩააქსოვა პიესის მთავარი აზრი და სწორედ იგია პიესის ცენტრალური პერსონაჟი, მაგრამ დრამატურგიულად პიესაში ერთ-ერთი საინტერესო სახეა მეჰმენე ბანუ. ეს არ არის ერთპლანიანი ხასიათი, სწორედ იგი გვაძლევს უდიდესი გმირობის პირველ მაგალითს. შეიძლება ითქ-

ვას, რომ მეჰმენე ბანუს გმირობა არა ნაკლებ სანაქებო და მისაბაძია, ვიდრე ფერჰადისა. ფერჰადმა ხალხის სიყვარულით, ხალხისათვის ჩაიდინა უდიდესი საქმე და განადიდა საკუთარი პიროვნება. იგი სამართლიანად გახდა ეროვნული გმირი, აღმოსავლეთში ცნობილი და საყვარელი ადამიანი. მეჰმენე ბანუმ კი ერთი ადამიანისათვის, ქალისათვის ჩაიდინა არნახული გმირობა — მსხვერპლად გაიღო თავისი სილამაზე და ოცი წლის ქალწული ჯოჯოს დაემსგავსა. მან მხოლოდ ერთ ადამიანს მიანიჭა სიცოცხლე და გვაჩვენა ნათესაური სიყვარულის უდიდესი გამოვლინება.

ნაზიმ ჰიქმეთმა კარგად იცოდა, რომ პიესის ამოსავალი წერტილი ლეგენდა იყო. ამიტომ მან ერთგვარი ზღაპრული იერი შეუნარჩუნა ნაწარმოებს: ააღაპარაკა რკინის მთა, მტირალი ტირიფი, მზე, პირმცინარი ბროწეული, წყალი და სხვანი. მაგრამ მისთვის მთავარი კოლორიტის შენარჩუნება როდი იყო. არც მეჰმენე ბანუს რთულსა და ჩინებულად შექმნილ დრამატულ სახეში ჩაუქსოვია მწერალს თავისი იდეა. „ფერჰადი, შირინი, მეჰმენე ბანუსა და რკინის მთის წყლის“ დაწერის უმთავრესი საბაბი ხალხისათვის შრომის იდეის გამოკვეთა იყო. ვფიქრობთ, რომ ფერჰადის სახეში თვით პოეტის სულია ჩაქსოვილი.

ნაზიმ ჰიქმეთსა და ფერჰადს ბევრი რამ ასხვაებთ ერთმანეთისაგან, მაგრამ საერთოც აქვთ — სულიერი ბიოგრაფია. ფერჰადი ათი წელი ებრძოდა რკინის მთას, რათა ხალხისათვის ანკარა წყაროს წყალი მიეცა მთას. რკინასავით მაგარი იყო ის ინსტიტუტიც, რომელსაც ნაზიმ ჰიქმეთი ებრძოდა. ორივეს ერთი მიზანი ჰქონდა— ჰიქმეთიც და ფერჰადიც ხალხისათვის იბრძოდნენ. განა სიამოვნებით არ შეხვდებოდნენ ნაზიმ ჰიქმეთს თურქეთის მესვეურნი, მას რომ თავისი თავი უარეყო, წარსული დაეგმო და ძლიერთა მხარეზე დამდგარიყო? რასაკვირველია, ასე იქნებოდა და ნაზიმ ჰიქმეთის გზა ბურსის ციხიდან მეჯლისისაკენ გაემართებოდა. მას, ფაშის შვილიშვილს, დალხინებულთა ელიტის წარმომადგენელს, თურქეთის უპირველეს პოეტს უმალ მიართმევდნენ მინისტრის სავარძელს, მაგრამ ორივემ — ნაზიმ ჰიქმეთმაც და ფერჰადმაც უარი განაცხადეს, ისინი უარს ეუბნებოდნენ საკუთარ მეს, ოღონდ თავიანთი რწმენისათვის ებრძოლათ. მწერალი და მისი პერსონაჟი ერთმანეთს ჩააგონებდნენ ნებისყოფასა და სიმტკიცეს.

პიესის მესამე მოქმედებაში ნაზიმ ჰიქმეთმა ნაწარმოებში შემოიტანა ახალი თემა და ნათლად გვაჩვენა, თუ რატომ მიმართა ამ უძველეს ლეგენდას. ეს არის პიროვნებისა და ხალხის სიყვარულის თემა, რომელსაც იდენტურად უკავშირდება ადამიანის ნების უძლეველობისა და სიმტკიცის თემა.

1948 წელი ნაზიმ ჰიქმეთისათვის დრამატურგიის წელია. მართალია, ამ წელს იგი წერს ჩინებულ ლირიკულ ლექსებს, მაგრამ მთავარი ყურადღება მაინც პიესებისაკენაა მიმართული. იგი წერს პიესას „იოსებ მშვენიერი“.

თანამედროვე დრამატურგია ხშირად მიმართავს ბიბლიურ სიუჟეტს. წარსულისაკენ ასეთი მიბრუნება ხშირად თანამედროვეობის იდეებისა და მისწრაფებების გამოხატვის სურვილით აიხსნება. ბევრმა ავტორმა თავის დღევანდელ პერსონაჟებს ძველ ბერძენთა თუ რომაელთა სამოსი ჩააცვა, მაგრამ მაინც თანამედროვე ნაწარმოები დაწერა. დრამატურგები ხშირად უბრუნდებიან ადრეულ საუკუნეებში შექმნილ პიესებსაც კი, რათა მათი მიხედვით შექმნან თანამედროვე ჟღერადობის თხზულებანი, გავიხსენოთ ჟან ანუის მიერ ანტიკური ხანის დრამატურგიაზე შექმნილი პიესები, ბერტოლდ ბრეხტის მიბრუნება სხვადასხვა ეპოქის გერმანელი დრამატურგებისაკენ.

„იოსებ მშვენიერში“ გარდასულ საუკუნეებში მცხოვრები ადამიანები მოქმედებენ, მაგრამ თუ ამ პიესის მოქმედ პირთა ურთიერთობებსა და დამოკიდებულებებს იმ გეოგრაფიულ გარემოს ჩამოვაცილებთ, რომელშიც ისინი მოქმედებენ, დავინახავთ, რომ ეს არის ნაწარმოები თანამედროვეობაზე.

ნაზიმ ჰიქმეთი იგონებდა:

„ციხეში რელიგიურ წიგნებს მაძლევდნენ საკითხავად. წავიკითხე ბიბლია და ყურანი. ბუნებრივია, წავიკითხე არა როგორც მორწმუნე კაცმა, არამედ, როგორც მწერალმა-რეალისტმა. ვნახე, რომ ამ წიგნში ისტორია და ლეგენდა, გამონაგონი და სინამდვილე ერთმანეთშია არეული. ბიბლიაში დამაინტერესა ლეგენდამ იოსებზე, ძმებმა რომ ეგვიპტეში გაყიდეს და ფარაონის კარზე დიდ თანამდებობას რომ მიაღწია. ამ ლეგენდის წაკითხვისთანავე გამახსენდა, რომ დაახლოებით იმ ეპოქაში, რომელიც ბიბლიაშია აღწერილი,

ეგვიპტეში მეწარმეთა გაფიცვა მოხდა. ეს იყო მშრომელთა პირველი გაფიცვა. ყოველივე ამან ჩამაგონა დამეწერა პიესა და დამეხატა ისეთი ადამიანური ხასიათები, რომლებიც დღემდე არსებობენ და იარსებებენ კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე. ამ ხასიათებიდან მე ორი შევარჩიე: მარად უარყოფითი — თავისი კლასისა და ხალხის ინტერესების მოღალატე — და დადებითი — მართალი საქმისათვის მებრძოლი. მე მინდოდა მეჩვენებინა, რომ მომავალი იმათ მხარესაა, ვისაც თავისი ხალხი უყვარს და იბრძვის კიდეც მისი ბედნიერებისათვის. უარყოფით ხასიათად მე ავირჩიე ბიბლიური იოსები. მიზეზი? მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიამ იოსები სამართლიანობის, ჰუმანურობის და უმაღლესი ზნეობის პიროვნებად წარმოგვიდგინა, სინამდვილეში თავისი ხალხის გამყიდველმა მთელი ძალა თავისივე ხალხის წინააღმდეგ გამოიყენა. ეგვიპტისა და თავისი მშობლიური მიწის ხალხი ფარაონს დაუმორჩილა. ამასთან ერთად, მინდოდა მეჩვენებინა დადებითი პიროვნება, რომელიც იმ ეპოქაში ცხოვრობდა. ასეთი პიროვნება იმ ეგვიპტელ მეწარმეთა შორის შევარჩიე, რომლებმაც მსოფლიოში პირველი გაფიცვა წამოიწყეს".

ნაზიმ ჰიქმეთმა ბიბლიიდან აიღო მშრალი სიუჟეტური ჩარგა, მან ბევრი რამ შეცვალა სიუჟეტში. ხოლო თვით იოსების სახე საკმაოდ ტრანსფორმირებულია. ნ. ჰიქმეთმა მიზნად დაისახა მკითხველისათვის წარმოედგინა არა ბიბლიური იოსები, არამედ შეექმნა ბიბლიური იოსების ბაზაზე აღმოცენებული ტრანსფორმირებული სახე ამ პიროვნებისა.

აქ ისმის ორი კითხვა. რამდენად ძლიერია იოსების სახე? და რა არის მასში ჰიქმეთისეული, ორიგინალური, მისაღებია თუ არა იგი?

ნაზიმ ჰიქმეთი რომ სიტყვის უბადლო ოსტატია, ამ პიესაშიც ნათლად ჩანს. ეს არის ჩინებულად დაწერილი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც ხიბლავს მკითხველს, მაყურებელს. ჰიქმეთმა თავისი შემოქმედებითი ვნებით აღავსო პიესის ყოველი ეპიზოდი. მისი ენა ხატოვანი და სახიერია. ნაზიმ ჰიქმეთმა გაითვალისწინა ის, რომ პიესის საყრდენი წერტილი ბიბლიაა, რომ მოქმედება შორეულ საუკუნეებში ხდება და შეეცადა შეენარჩუნებინა ბიბლიის კოლორიტი. იგი არ ერიდება ენის სტილიზაციას, რაც საშუალებას

აძლევს, მეტი ლეგენდური და, აქედან გამომდინარე, დამაჯერებელი იერი მისცეს ნაწარმოებს.

მართალია, ნაზიმ ჰიქმეთმა ბიბლიით ისარგებლა, მაგრამ შემდეგ საკმაოდ გადაუხვია ბიბლიურ თქმულებას, უფრო სწორად, თითქმის დაუპირისპირდა იოსებზე შექმნილ ბიბლიურ ვერსიას... თუ რატომ გააკეთა ეს, უკვე ვნახეთ მწერლის ზემოთმოყვანილ მოგონებაში.

მას თავისი მიზანი გააჩნდა. მწერალს ამოცანად არ დაუსახავს. აქცენტი გადაეტანა იოსებისა და ზელიხას ურთიერთობაზე. მან მოინდომა ეჩვენებინა, როგორ ჩაისახა ძველ ეგვიპტეში პირველი წინააღმდეგობის მოძრაობა, როგორ იქცა უბრალო მშრომელი მასა წინააღმდეგობის მნიშვნელოვან ძალად. ისე, როგორც „ლეგენდა სიყვარულზე“-ში, ამ პიესაშიც თითქმის მესამე მოქმედებაში შეიტანა მძაფრად მშრომელთა თავისუფლებისათვის ბრძოლის თემა. მართალია, იგი მენოფისის სახით ადრეც გაიელვებს პიესაში, მაგრამ ეს მხოლოდ გაელვებაა და ჩინებულად გამოქანდაკებულ სხვა სცენებს შორის უჩინარი რჩება. ასე რომ, სწორედ მესამე მოქმედებაშია გამჟღავნებული ნაწარმოების შექმნის მთავარი მიზეზი. სწორედ ამ მოქმედებაშია აქტიური მენოფისი, როდესაც თან მოაქვს თავისი იდეოლოგია სამართლიანობისა, ადამიანებს შორის ძმობის და თანასწორობისა, მაგრამ ვფიქრობთ, ნაზიმ ჰიქმეთის ამ პიესის არასრულქმნილების მიზეზი სწორედ მწერლის ამოცანის შეუსრულებლობაში უნდა ვეძიოთ.

6. ჰიქმეთს ჩინებულად აქვს დაწერილი ყოველივე ის, რაც ბიბლიური სინამდვილედან მომდინარეობს და რაც სახიერია, რაც ხელშესახებია, მაგრამ, როცა მწერალმა განიზრახა ბიბლიურ სინამდვილესთან შეეთავსებინა გამოგონილიც, მიემატებინა ის, რაც იმ ეპოქისათვის, იმ დროის ადამიანებისათვის ტიპიური არ იყო, საკმაოდ რთული მდგომარეობა შეიქმნა. ხალხის შურისგებისა და და აღშფოთების გამომხატველი სცენები თავისთავად ძლიერია და ზემოქმედებასაც ახდენს, მაგრამ იგი ორგანულად ვერ უკავშირდება იოსებისა და ზელიხას რთულსა და საინტერესო ცხოვრებას. ასე რომ, თხზულება თითქმის ორ კარგ ნაწილად გაიყო. ნაზიმ ჰიქმეთმა იცის, თუ რაოდენ რთულია, ფარაონების ეპოქაზე დაწერილ ნაწარმოებში მკითხველს წარმოუდგინო კლასთა ურთიერთდაპირის-

პირება და ბრძოლა. ამიტომ იგი ძალზე ფრთხილად და ამავე დროს ოსტატურად ქმნის დამაჯერებლობის ილუზიას. ცხადია, კეთილშობილური მისიაა, ასახო პირველი შეკინება ორი ანტაგონისტური კლასისა, მაგრამ ამ ნაწარმოებში, რომლის მთელი ატმოსფერო იოსებისა და ზელიხას სიყვარულითა და ურთიერთლტოლვითაა გაჟღენთილი, კლასთა ბრძოლის პრობლემის გამოხატვის სურვილი ფუჭ გასროლას დაემსგავსა.

ამას გარდა, ნაზიმ ჰიქმეთის იოსების ბუნება, შინასამყარო, თითქმის ანტითეზაა ბიბლიური იოსებისა. როგორც ვიცით, ბიბლიური იოსები სიკეთის მთესველია, მან ეგვიპტელნი და ქანაანელნი შიმშილობისგან იხსნა. ნაზიმ ჰიქმეთისეული იოსები კი პირიქით იქცევა — იგი მოუსავლიან წელიწადს თავისი გეგმების განსახორციელებლად იყენებს. თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ — კაპიტალს აგროვებს და იმონებს ებრაელებსა და ეგვიპტელებს.

იქნებ ეს არც იყოს ესოდენ მნიშვნელოვანი, რადგან ბიბლიური თქმულება არსებობს თავისთავად და ასევე თავისთავად იარსებებს პიესაც. მისი ღირსება-ნაკლოვანებების შეფასების საზომად არ გამოდგება ის, თუ როგორ მიმართებაშია პიესა ბიბლიასთან. ეს ცალკე საკითხია. აქ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ შესრულდა ავტორის მიზანდასახულობა, როგორ გამოიკვეთა სახეები, რამდენად მძაფრია პიესის კონფლიქტი.

ნაზიმ ჰიქმეთის მიერ გამოქანდაკებული იოსების, ზელიხას, მენოფისის თუ ფარაონის სახეები, შემოქმედებითი ოსტატობის თვალსაზრისით, შესაშური სიხატიფით არის შესრულებული.

„იოსებ მშვენიერში“ კამათის საგანი შეიძლება იყოს მწერლის მეთოდი, მისი დამოკიდებულება იმ მასალისადმი, რომლის მეოხებითაც დაიწერა პიესა. ამას გარდა, კამათის საგანი შეიძლება გახდეს მწერლის პოზიცია იოსების და ზელიხას სიყვარულის სცენური ვარიანტის წარმოსახვისას. რაც შეეხება თხზულების დამაჯერებლობისა და ოსტატობის საკითხს, „იოსებ მშვენიერი“ ნ. ჰიქმეთის ერთ-ერთ კარგ ნაწარმოებად მიიჩნევა.

ათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ნაზიმ ჰიქმეთი ციხეში გამოამწყვდიეს. ათი წელი — ერთი წამი, ერთი გაელვებაა კაცობრიობის ისტორიისათვის, მაგრამ რამდენს ნიშნავს იგი ადამიანისათ-

ვის, რომელიც უკვე ორმოცდაათს უახლოვდება. თითქოს არც არაფერი მომხდარა მნიშვნელოვანი („რაც აქ ვარ, რაც მე ტკბილად ლუკმაც არ მიჭამია, მზეს დედამიწამ ირგვლივ ათჯერ შემოუარა"), მაგრამ პოეტმა დაჰკარგა სიცოცხლის ყველაზე ძვირფასი წლები. მართალია, იგი არ ეპუებოდა თავის ბედს, ებრძოდა საკუთარ თავს, ებრძოდა დროს, სხეულისა და სულის გვემის ფასად ქმნიდა ახალ ნაწარმოებებს. ბევრი ამ ნაწარმოებთაგან უთუოდ შევა კიდეც ჩვენი ეპოქის საგანძურში. („რომ დამიჭირეს, იმ წელს მქონდა ერთი ფანქარი და ერთ კვირაში გაცვდა, ლექსის წერას შევწირე იგი"), მაგრამ შექმნილი მდგომარეობა მაინც გულს უკლავდა პოეტს, რადგან:

დედის საშოში
ათი წლის წინ რომ ჩაისახენ,
დღეს ის ბავშვები
ნავარდობენ მინდვრებში ლაღად,
მშიშარა კვიციც —
გრძელფეხება და მოცახცახე —
კარგა ხანია გადაიქცა
ძლიერ ულაყად.
ჩემს სახლის ნაცვლად
ალბათ, უკვე
ნანგრევი არი
მდიდრებს სახლები აუგიათ,
ასე ამბობენ,
ქეჩებს ელფერი შეუცვლიათ
და რომ ვიარო,
ვეღარც ვიპოვნი
ჩემიანთა ადგილ-სამყოფელს[1].

იქ, გარეთ, სულ სხვა ცხოვრება იყო, თითქმის შეიცვალა ქვეყანა; მოვიდა ახალი თაობა, მსოფლიომ მოინელა უდიდესი, დამანგრეველი ომი, სახეს იცვლიან ქალაქები, ქუჩები... შენ კი ამ დროს საკანში ზიხარ... აგერ, მეთერთმეტე წელია, ზიხარ და კიდევ თითქმის ორი ამდენი უნდა დაჰყო აქ... ყველაფერი ეს ძალზე მძიმეა... ნაზიმ ჰიქმეთი მწვავედ განიცდიდა ამ მდგომარეობას. მალე დაავადდა კიდეც გულის ანგინით... ამ სნეულებას უკვალოდ არ ჩაუვლია

[1] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

პოეტის ცხოვრებაში. ნაზიმ ჰიქმეთი არ ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიგებს, რომლებიც გულგრილად შესცქერიან თავიანთ ბედს. მას სჯეროდა და სწამდა, რომ საჭირო იყო თავისი ხალხისათვის.

რა უნდა მივცე ჩემს ღატაკ ხალხს,
ნობათს რომ ელის?
ათი წელია, ციხეში ვარ ტყვე და სნეული,
ხელში მაჭირავს ერთადერთი ვაშლი წითელი
— ეს ჩემი გული.
ამ დარკონული ფანჯრებიდან ღამეს შევცქერი,
შორს დუღს სიცოცხლე...
მე აქ უქმად ლოდინი მიმძიმს...[1]

ეს, მართლაც, შემაზრზენი სურათია, შემაზრზენი ბედია პოეტისა, მითუმეტეს, როცა არ იცი, რა იქნება ხვალ, იმედის ნასახიც კი არა ჩანს.

ცხადია, ყოველივე ეს უდიდეს ტკივილს ჰგვრიდა პოეტის უკვე სნეულ გულს.

სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე

ნაზიმ ჰიქმეთის ხმა მთელი
სამყაროს ხმა გახდა.
პაბლო ნერუდა

ბურსის ციხემ უკვდავყო თავისი თავი თურქული ლიტერატურის ისტორიაში. ამ ციხის პირქუშში კედლების მიღმა შექმნილი ნაწარმოებები არა მარტო ბურსის, თურქეთის საზღვრებსაც გასცდა. ამ ციხის კედლებში დაიბადა იბრაჰიმ ბალაბანი, როგორც მხატვარი; აქ შეიქმნა ბევრი იმ ტილოთაგანი, რომლებიც დღეს ევროპის საუკეთესო საგამოფენო დარბაზთა მონაპოვრად ითვლება. ბურსის ციხის კედლებში დაიბადა ორჰან ქემალი, როგორც პროზაიკოსი. რამდენი რამ მისცა მან თანამედროვე თურქულ ბელეტრისტიკას და ყველაფერი ეს ნაზიმ ჰიქმეთის მადლიანი ზრუნვის ნაყოფი იყო. მან იპოვა ეს შემოქმედნი და შთააგონა, რომ ისინი შემოქმედებისათვის იყვნენ ამ ქვეყნად მოსულნი, რომ მათ ბედნიერება უნდა მიენიჭებინათ ადამიანებისათვის.

[1] თურქულიდან თარგმნა ვ. კეკელიძემ.

ბურსის ციხე რომანტიკული ჩანს, მაგრამ ციხე მაინც ციხე იყო, მითუმეტეს, ნაზიმ ჰიქმეთისათვის. იგი ბარიკადებზე უნდა მდგარიყო, სახალხო მღელვარების დროს მუდამ წინ უნდა ყოფილიყო. ასეთი დაიბადა იგი, ასე გამოიწრთო მისი სული. და თუ იგი ასე არ იცხოვრებდა, მაშინ არც ნამდვილი ნაზიმ ჰიქმეთი იარსებებდა.

საპატიმრომ თავისი დაღი დააჩნია პოეტის ჯანმრთელობას. ამას გულგატეხილობაც დაერთო, რომელიც პოეტის პირადი ცხოვრებიდან მომდინარეობდა. ნაზიმ ჰიქმეთის მეუღლემ, ქალმა, რომელიც პოეტის იმედი იყო ამ ოთხკედელს შუა და რომელსაც არაერთი სტრიქონი მიუძღვნა, ზურგი აქცია მას. აღარ ჩამოდიოდა ბურსაში. დაიღალა და მობეზრდა? წერილებიც აღარ მოსდიოდა პოეტს. მაშასადამე, უველაფერი დამთავრდა! გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი ხიდიც ჩაიმსხვრა. ფირაიე ჰანუმი კი ერთადერთი ხიდი იყო, რადგან მოხუცსა და ავადმყოფ დედას აღარაფერი შეეძლო. არისტოკრატთა წრიდან წარმოშობილი ვალიდე ჰანუმი მზად არ აღმოჩნდა ასეთი ცხოვრებისათვის. სისასტიკემ მას ფრთები შეაჭრა.

პოეტი მარტო დარჩა.

ვიდრე გარე სამყაროსთან რაიმე ურთიერთობა ჰქონდა, ვიდრე მოდიოდნენ ფირაიე ჰანუმი, ჯალილე ჰანუმი ან დაიკო, იგი მოქმედ ადამიანთა შორის გრძნობდა თავს. მაშინ რაღაცნაირად კიდეც ხერხდებოდა ნაზიმ ჰიქმეთის ლექსების გატანა ციხიდან. ჯალილე ჰანუმმა ციხეში შვილის ნახვისას, ზეპირად შეისწავლა პოემა „ზოია“ და ისე გაიტანა იგი საპყრობილედან.

პოეტის ლექსებმა გააღწიეს თურქეთის საზღვრებს და საფრანგეთში იპოვეს ბინა — ბევრი ლექსი პარიზის ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა. ფრანგულ ენაზე დაბეჭდვა იღბლიანი აღმოჩნდა — ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიის სურნელება უმალ იგრძნეს სხვა ქვეყნის პოეტებმაც. ეს ლექსები გამოქვეყნდა ლათინურ ამერიკაში, იტალიაში, შეერთებულ შტატებში და, რასაკვირველია, საბჭოთა კავშირში. საბჭოეთში კარგად ახსოვდათ და უყვარდათ „ზოიას“ ავტორი.

ასე რომ, ციხის კედლებს შუა გამომწყვდეულმა ნაზიმ ჰიქმეთმა გადააბიჯა სახელმწიფოთა საზღვრებს. მისი გულისთქმა სჯეროდათ იქაც, უცხოეთის მრავალ ქვეყანაში.

ახლა კი გარე სამყაროსთან ყოველგვარი კავშირი გაწყდა.

მაგრამ ისე, როგორც ცხოვრების მრავალ კრიზისულ მომენტში, ამჯერადაც გამოჩნდა იმედის სხივი. ამ იმედის სხივმა კვლავ დაუბრუნა ძალა, შემატა მხნეობა — ნაზიმ ჰიქმეთთან მოვიდა ადამიანი, რომლის სიყვარულსაც 20 წლის წინათ უარი უთხრა. უარი უთხრა, რადგან არ სურდა ქვეყნის დალხინებულ ადამიანებთან მებრძოლი პოეტის მწარე ბედი გაეზიარებინა საყვარელ ქალს. ეს იყო მიუნევერ ანდაჩი. სწორედ ის ქალი, რომელმაც 20 წლის წინათ აგრძნობინა სიყვარული.

მიუნევერ ანდაჩი უკვე დაქალებული მოვიდა მასთან, მოვიდა სწორედ მაშინ, როცა ძალიან სჭიროდა მეგობარი, გამამხნევებელი. სწორედ ახლა უნდა ეგრძნო ნაზიმს მისი სიყვარული. ამისათვის მიატოვა ქმარი, უზრუნველი ცხოვრება და ბურსის ციხეს მიადგა.

მიუნევერ ანდაჩი თანახმა იყო გამხდარიყო პატიმარი პოეტის მეუღლე და ბურსის ციხე კიდევ ერთი ქორწინების მოწმე გახდა.

თითქოს ბედი დასცინოდა ნაზიმ ჰიქმეთს. საყვარელ არსებასთან სულიერი შეერთება მას ბურსის ციხის უფროსის მიერ გამოყოფილ ოთახში მოუხდა.

იგი „მადლიერი“ უნდა ყოფილიყო ლიბერალი უფროსის. რა გაეწყობა, ცხოვრებას პარადოქსებიც უყვარს.

1949 წელი იდგა. ეს იყო მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი წელი პოეტის ცხოვრებაში. ამ წელს ყველაზე მეტად იგრძნო ნაზიმ ჰიქმეთმა, რომ იგი არა მარტო უყვართ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ადამიანებს, არა მარტო აფასებენ მას, არამედ იბრძვიან კიდეც მისი განთავისუფლებისათვის.

ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიის საერთაშორისო აღიარება საფრანგეთში დაიწყო. ფრანგული ლიტერატურული სამყარო აღფრთოვანებული შეეგება პოეტის ლექსებს. ფრანგი მკითხველის ასეთი დამოკიდებულება პოეტის ლექსებისადმი კიდევ უფრო აქტიურს ხდიდა ნაზიმის თავისუფლებისათვის მებრძოლთ. ნაზიმის პატიმრობა სავსებით სამართლიანად იწვევდა დემოკრატიული მწერლობის გულისწყრომას. ამის შედეგი იყო ის, რომ 1949 წელს პარიზში შეიქმნა „ნაზიმ ჰიქმეთის დაცვის კომიტეტი“. კომიტეტს სათავეში ჩაუდგნენ სახელმოხვეჭილი, საყოველთაოდ ცნობილი მოღვაწენი — მწერლები, მეცნიერები, მსახიობები. მალე კომიტეტმა გამოაქვეყნა მო-

წოდება, რომელშიც მოითხოვდა პოეტის განთავისუფლებას და მთელი მსოფლიოს ხალხთა ბრძოლას ამ მიზნის მისაღწევად. მოწოდება, უწინარეს ყოვლისა, მიმართავდა შემოქმედთ, რომ აქტიურად ჩაბმულიყვნენ ამ კეთილ საქმეში. მოწოდებამ უმალ გამოიღო ნაყოფი. პოეტის მიმართ ასეთი უკანონო დამოკიდებულების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს პოლ ელუარმა, ჟოლიო კიურიმ, ჰალდორ ლაქსნესმა, ჟორჟი ამადუმ, პაბლო ნერუდამ, ჟან პოლ სარტრმა, პიკასომ, იორის ივენსმა, ბერტოლდ ბრეხტმა და სხვებმა. ბევრი ამათგანი იმდენად მაღალი რანგის შემოქმედია, რომ მათს ყოველ სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. ამიტომ პოეტის განთავისუფლებისათვის ბრძოლა მალე მხოლოდ მწერალთა კი არა, მთელი საზოგადოების საზრუნავი გახდა. თავიანთი სიტყვა თქვეს დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფედერაციამ, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირმა, დემოკრატ იურისტთა მსოფლიო ასოციაციამ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მშვიდობის დაცვის კომიტეტებმა.

ხალხის სურვილი უზარმაზარ ტალღად აზვირთდა. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი სახელმწიფოს ასე თუ ისე პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწე, რომ თურქეთის მთავრობისათვის წერილობით არ გამოეხატოს თავისი გულისწყრომა.

თურქეთის მთავრობა უპრეცედენტო ფაქტის წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ იგი ყურს იყრუებდა. არც სხვისი ნათქვამი ესმოდა და არც თვითონ ამბობდა რაიმეს.

ამ დროს მთელს თურქეთს უდიდესი რისკისა და გაბედულების მაგალითი მისცა ადვოკატმა სებიუკმა. თუ მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ხალხი მიიჩნევდა, რომ პოეტის ამდენი ხნის პატიმრობა შეუთავსებელი იყო ყოველგვარ ჰუმანიზმთან და ამის თაობაზე საქვეყნოდაც კი ლაპარაკობდა, ადვოკატმა სებიუკმა თურქეთის საზოგადოებრიობას აჩვენა, რომ ნაზიმ ჰიქმეთის პატიმრობა იურიდიული დანაშაული იყო. მან პრესაში გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფდნენ ნაზიმ ჰიქმეთის უდანაშაულობას, იურიდიულად დაასაბუთა თავისი მოსაზრებანი. ხალხს აჩვენა, რომ 1938 წელს მოწყობილი სასამართლო იყო ფიქცია, რომელმაც ნორმალური შემოქმედების საშუალება წაართვა თურქეთის უპირველეს პოეტს.

ადვოკატ სებიუკის გამოსვლა განგაშის სიგნალს დაემსგავსა. საკმარისი გახდა მისი წერილების დაბეჭდვა, რომ მთელს თურქეთს უშალ მოედო პოეტის განთავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთება.

გაზეთი „ბარიში“ იმ დღეებში წერდა:

„ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ათასობით ადამიანი, მიუხედავად თავიანთი პოლიტიკური რწმენისა, პირველად გააერთიანა ერთმა მიზანმა: სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, დაწყებული უნივერსიტეტის პროფესორებით — დამთავრებული სტუდენტებით, რედაქტორებიდან მოყოლებული კორესპონდენტებით დამთავრებული. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა გონებრივი თუ ფიზიკური შრომის ადამიანებმა მიიღეს ერთი გადაწყვეტილება, საქვეყნოდ აღიარონ თავიანთი მოთხოვნა: „ნაზიმ ჰიქმეთი უნდა განთავისუფლდეს!“

ეს იყო უზარმაზარი მხარდაჭერა. პოეტმა იგრძნო უდიდესი ძალა, სიკეთის რწმენა ერთიორად გაძლიერდა მასში, მოხდა ის, რისთვისაც პოეტი იღვწოდა — მთელი თურქი ხალხი გააერთიანა ერთმა მიზანმა, ერთმა სულისკვეთებამ.

ამასობაში, 1949 წელიც მიიწურა, დადგა გაზაფხული. ბურსის ველები აყვავილდა, დამშვენდა. დადგა ჟამი სულიერი გმირობისა. მაგრამ ამ ორთაბრძოლაში პოეტს გაცილებით უკეთესი პოზიციები ჰქონდა. იგი გრძნობდა მორალურ უპირატესობას. მის გვერდით იდგა თითქმის მთელი მსოფლიოს მოწინავე ინტელიგენცია.

თურქეთის მთავრობის წევრები საკმაოდ გონებადამჯდარი ადამიანები იყვნენ და კარგად ესმოდათ, თუ რა სიტუაცია შეიქმნა სახელმწიფოში, მაგრამ ამას გარდა, მათ დაზუთხული ჰქონდათ მონარქისათვის აუცილებელი, არითმეტიკულ აქსიომად მიღებული ფრაზა: ხალხი ჯურია, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს. მის ხმაურს ყურადღება არ უნდა მიაქციოო. მაგრამ თურქეთის მეჯლისმა ვერ გაითვალისწინა ერთი გარემოება — უკვე მეოცე საუკუნის შუადღე იდგა; ხალხს ჩაებარებინა საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლის გამოცდა — არც თურქები და არც სხვანი არ აპირებდნენ წამოწყებული საქმის შუა გზაზე მიტოვებას — პირიქით, რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, „ლულაში მყოფი ტყვია“ მით უფრო საშიში ხდებოდა.

თავისი სიცოცხლის ამ მძიმე დროს პოეტთან მიდის მეოცე საუკუნის მეფისტოფელი. იგი ნაზიმ ჰიქმეთს აღუქვამს თავისუფლებას, ოღონდ უარყოს ყველაფერი, უარყოს თავისი წარსული. გაზეთი „ვათანი“ თავის მოწინავე სტატიაში ასეთ მეფისტოფელურ რჩევას აძლევდა ნაზიმ ჰიქმეთს:

„ამჟამად არსებული ორი გზიდან თქვენ უნდა აირჩიოთ ერთი—ან უნდა უარყოთ თქვენი კომუნისტური რწმენა, ან ციხეში უნდა მოკვდეთ“.

დუმილი ყოველთვის როდია თანხმობის ნიშანი. ნაზიმ ჰიქმეთმა დუმილით უპასუხა გაზეთის ამ წინადადებას, რადგან პრესაში გაბოსვლის საშუალება არ ჰქონდა.

თავისი იდეალების დათმობაზე პოეტს არც უფიქრია, ამაში მალე დარწმუნდნენ ამ მეფისტოფელური რჩევის ავტორები. მათი ხმა დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. თურქეთი და მთელი მსოფლიო უფრო კეთილ ხმებს უგდებდა ყურს. ამ კეთილი ხმების გამავრცელებლად კი პოეტს მოევლინა გაზეთი „ნაზიმ ჰიქმეთი“.

პოეტის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დღეებში თურქეთში გამოსვლა იწყო გაზეთმა „ნაზიმ ჰიქმეთმა“. სათაურის ქვეშ გაზეთს ეწერა: „შენ გვასწავლე, თუ როგორ უნდა შევიყვაროთ ადამიანები. ამიტომ ჩვენ ვიბრძვით შენი ბედნიერებისათვის“. როცა ნაზიმ ჰიქმეთმა ეს გაზეთი ხელში აიღო, უცნაური გრძნობა დაეუფლა. ამის შემდეგ იგი ყველაფერს თამამად შეებრძოლებოდა. ადამიანები იბრძოდნენ მისთვის, იბრძოდნენ აშკარად, თავდადებით. ამაზე დიდი ბედნიერება არ შეიძლება არსებობდეს პოეტისათვის.

მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთი არ ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიგებს, რომლებიც მადლიერების გრძნობით იღებენ მხარდაჭერას და მეტს ვერაფერს აკეთებენ. იქ, გარეთ, ხალხი მისთვის იბრძოდა, ადამიანები თითქმის თავს სწირავდნენ პოეტის განთავისუფლებისათვის და მას არაფერი გაეკეთებინა? ასეთი რამ ნაზიმ ჰიქმეთს არ შეეძლო.

და პოეტმა განიზრახა, უფრო გადამჭრელი ზომისათვის მიემართა. გადაწყვიტა სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე დაედო თავი—ან საბოლოოდ განთავისუფლებულიყო ან კიდევ, სწორედ ახლა, მაშინ, როცა დაინახა, რომ ადამიანებს უყვართ იგი, ვაჟკაცურად

წასულიყო ამ ცხოვრებიდან. იგი დარწმუნდა თავისი გზის სიმართლეში და ახლა სიკვდილი არც ისე მტანჯველად ეჩვენებოდა.

ნაზიმ ჰიქმეთმა გადაწყვიტა, სწორედ მის სნეულ სხეულში შებრძოლებოდნენ ერთმანეთს გმირობა და სულმოკლეობა. თუ მის მიერ წაყენებული პირობა არ შესრულდებოდა, იგი მზად იყო ყველაფრისათვის.

პოეტმა შიმშილობა გამოაცხადა.

1950 წლის 5 აპრილს ნაზიმ ჰიქმეთი თავის მეგობარს ვალა ნურედინს ბურსის ციხიდან წერს:

„შიმშილობას, რომელსაც 8 აპრილიდან ვაცხადებ, იმედით ვიწყებ — თუ მოვკვდი, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იმედით ვიცოცხლებ, ნურც თქვენ დაკარგავთ იმედს. განსაკუთრებით კი შენ, ჩემო ვალა. ნუ აღელდები, ნუ ინერვიულებ... ჩემი სული აღსავსეა ნათელი სხივით, რომელიც სამართლიანობისათვის ბრძოლას მოაქვს თან. მე ბედნიერებას მგვრის ეს აზრი. რწმენა იმისა, რომ სამართლიანობა იზეიმებს გამარჯვებას. იმ შემთხვევაშიც, თუ მე გარდავიცვალე, გახსოვდეს, მე თავს არ ვიკლავ, არც არავის ვაშინებ. უბრალოდ, მე სხვა გზა არა მაქვს, გარდა ასეთი თავგანწირვისა.

მაშ ასე, ძმებო, ნაღელიანად გეხვევით და კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ მიუხედავად ყოველივესი, დარწმუნებული ვარ, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, რადგან მჯერა ჩემი ქვეყნის სინდისისა. როცა დედაჩემი და ჩემი დაიკო სამიე დაგირეკავენ, დაამშვიდეთ, მიუნეველი მარტოა, გაამხნევეთ, მხარი დაუჭირეთ, მიეცით მას ძალა, განსაკუთრებით, ამ დღეებში“.

ახლა კი ნამდვილად შეშფოთდა თურქეთის მთავრობა. ნაზიმ ჰიქმეთის მიერ შიმშილობის გამოცხადების ცნობა უმალ მოედო მთელს ქვეყანას. მთავრობის წევრები ბოლოს და ბოლოს ადამიანები იყვნენ და გრძნობდნენ — თუ ნაზიმ ჰიქმეთი, მათი უდიდესი ეროვნული პოეტი, შიმშილით მოკვდებოდა, ისინი ვერასოდეს ჩამოიცილებდნენ სამარცხვინო ლაქას. ხალხიც მღელვარებდა. ბურსის ციხეს ორ მწკრივად შემოარტყეს შეიარაღებულ ჯარისკაცთა პატრული. უნებართვოდ ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა ციხეში. ხელისუფლება ცდილობდა, ნაზიმ ჰიქმეთს უარი ეთქვა თავის გადაწყვეტილებაზე. რა ღონეს არ მიმართეს, მაგრამ პოეტს უკვე გაეკეთე-

ბინა არჩევანი — განთავისუფლება ან სიკვდილი! ურყევი იყო მისი რწმენა.

8 აპრილიც დადგა.

დილის სამ საათზე, როგორც იბრაჰიმ ბალაბანი იგონებს, ნაზიმ ჰიქმეთმა მასთან ერთად ისაუზმა და შიშილობის პირველი დღეც დაიწყო. პირველი დღე არც თუ ისე მძაფრი და საშინელი გამოდგა. ყველაფერი ჩვეულებისამებრ მიდიოდა, ციხიდან მთავრობას დაეგზავნა დეპეშები, რომ ნაზიმ ჰიქმეთმა შიმშილობა დაიწყო.

შიმშილობის მეორე დღეს დაიწყო ნამდვილი ბრძოლა უჩინარ მოწინააღმდეგესთან. თუ პირველი დღე შედარებით მშვიდი იყო, დღეს, დილაადრიან, დაადგა თავს პროკურორი და უამრავი კორესპონდენტი. პროკურორი კატეგორიულად მოითხოვდა შიმშილობის შეწყვეტას. განთავისუფლება? განთავისუფლებაზე არც არავინ იფიქროსო. ერთხელ მიღებული უსამართლო გადაწყვეტილება კვლავ ძალაში რჩებოდა. ამ დღეს გაზეთ „კუდრეთის“ კორესპონდენტს ნაზიმ ჰიქმეთმა განუცხადა:

— მე არ დამიკარგავს იმედი, რომ სიმართლე და სამართლიანობა იზეიმებენ. 8 აპრილს შიმშილობით გაფიცვა გამოვაცხადე. ეს იმიტომ კი არ გადავწყვიტე, რომ იმედი დავკარგე, არამედ იმიტომ, რომ მჯერა სიმართლის გამარჯვებისა. არავის ეგონოს, თითქოს თვითმკვლელობით ვამთავრებდე სიცოცხლეს“.

შიმშილობის მესამე დღემ ერთნაირად შეაწუხა სულიცა და გულიც. კუჭის მოსატყუებლად პოეტი დღეში სამჯერ სვამდა წყალს და სამჯერ ეწეოდა სიგარეტს. მოვიდა ადვოკატი. ისიც დაჟინებით მოითხოვდა, რომ გადაეფიქრებინა თავისი გადაწყვეტილება. პოეტს სიცხე დაეწყო, იგი თანდათან მატულობდა.

შიმშილობის მეოთხე დღეს სტამბულიდან ჩამოვიდა მიუნეველ ანდაჩი. ამან ძალიან გაახარა მწოლიარე პოეტი. მიუნეველ ანდაჩმა სასიამოვნო ამბავი ჩამოიტანა — თურქეთის სამმა ცნობილმა პოეტმა — ოქთაი რიფათიმ, ორჰან ველიმ და მელიჰ ჯევდეთ ანდაიმ (ესენი სწორედ ის პოეტები არიან, რომლებმაც „მეორე მოდერნისტებად“ გამოაცხადეს თავი და ნაზიმ ჰიქმეთის შემდეგ დიდი კვალი გაავლეს თურქულ პოეზიაში) თანაგრძნობის ნიშნად, სამდღიანი შიმშილობა გამოაცხადესო. სტამბულსა და ანკარაში ახალ-

გაზრდობის მღელვარება დღითიდღე მატულობსო, ახალგაზრდობას რცხვენოდა თავისი ქვეყნის მთავრობისა, იგი უფრთხილდებოდა თურქეთის სინდისსა და სახელს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პროტესტის ახალი ტალღა წამოიწყო ცნობილმა მომღერალმა პოლ რობსონმა:

„ჩვენ, ამერიკელებმა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ თურქეთის მთავრობამ გაათავისუფლოს ნაზიმ ჰიქმეთი. ჩვენმა მწერლებმა, მხატვრებმა, ყველამ, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს ამერიკელი ხალხის კულტურა, უნდა აიმაღლონ ხმა. ნაზიმი ისევე გაიგონებს ჩვენს ხმას, როგორც გაიგონებენ ისინი, ვისაც ჩვენი ხმის დახშობა უნდა. თუ დაუყოვნებლივ ვიმოქმედებთ, ჩვენ შეგვიძლია გადავარჩინოთ უდიდესი სახალხო პოეტი თურქეთის, ამერიკის თუ მთელი მსოფლიოს მშრომელი მასისა“.

ნიუ-იორკში თურქეთის საელჩოს წინ რამდენიმე დღე შეუნელებლად ეწყობოდა პიკეტები. ამ პიკეტის მეთაურნი იყვნენ მწერლები მაიკლ ჰოლდი, ჰოვარდ ფასტი, ბენ ფალდი, უილიამ პეტერსონი. მათ ხელთ ეპირათ ტრანსპარანტები: „იხსენით ნაზიმ ჰიქმეთი“.

...მიუნეველრმა ჩამოიტანა ამბავი, რომ ჟან პოლ სარტრმა, ლუი არაგონმა და პიკასომ თურქეთის ელჩს საფრანგეთში გადასცეს საფრანგეთის ხელოვნების მუშაკთა მოთხოვნა ნაზიმ ჰიქმეთის განთავისუფლების შესახებ.

პოეტის სიცოცხლის დასაცავად ფეხზე დადგნენ ლათინური ამერიკის ქვეყნების მწერლები პაბლო ნერუდა და ნიკოლას გილიენი...

„ნაზიმ ჰიქმეთის ხმა მთელი სამყაროს ხმა გახდა“, — წერდა ამ დღეებში პაბლო ნერუდა.

მთელი ქვეყნიერება შეწრიალდა.

შიმშილობის მეხუთე დღეც გათენდა. ამ დღეს პოეტს დედა ესტუმრა, უკვე მოხუცი და ავადმყოფი დედა. მას არც არაფერი უკითხავს შვილისთვის, თითქოს არც არაფერი შემხდარიყოს, ჩვეულებრივად უამბო, თუ როგორ ალაგებს ბინას და ემზადება შვილის შესახვედრად. მიუნეველრიც და შენც ჩემთან იცხოვრებთო. შიმშილობის იმ მეხუთე დღეს დაწერა ქანცგამოლეულმა პოეტმა ლექსი „შიმშილობის მეხუთე დღეს“.

ეს ლექსი პოეტის მეუღლემ მიუნეველრ ანდაჩმა თარგმნა ფრან-

გულ ენაზე. ლექსის შექმნიდან ათი დღეც არ გასულიყო, რომ „შიმშილობის მეხუთე დღეს“ საფრანგეთში დაიბეჭდა და მთელ ქვეყნიერებას მოედო პოეტის ამბავი.

საბჭოთა მწერლობა და საბჭოთა საზოგადოებრიობა უდიდესი აღშფოთებით გამოეხმაურა პოეტისადმი ასეთ მტრულ დამოკიდებულებას. მან ერთ-ერთმა პირველმა განაცხადა პროტესტი პოეტის უკანონოდ ტანჯვაზე. პოეტისა, რომელიც საბჭოეთის იდეებმა ჩამოაყალიბა შემოქმედად. 19 აპრილს „ლიტერატურნაია გაზეტაში“ იბეჭდება მოწოდება „თავისუფლება ნაზიმ ჰიქმეთს“, რომელსაც ხელს აწერდნენ: ნ. ასაევი, ემ. ბუკოვი, მ. ბაჟანი, ა. ვენცლოვა, სამედ ვურღუნი, ი. გრიშაშვილი, მ. ტურსუნზადე, კ. სიმონოვი, იაკუბ კოლასი, იან სუდრანბაკლი, მ. ტანკი, ალ. სურკოვი.

საბჭოთა პრესა სისტემატურად ბეჭდავდა ცნობებს ნაზიმ ჰიქმეთის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, საბჭოთა ხალხს მოუთხრობდა, თუ როგორ იბრძოდა პოეტი. სწორედ ამ დღეებში იბეჭდება ნიკ. დორიზოს „ნაზიმ ჰიქმეთის სიმღერა“. ამას მოსდევს გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერების ვ. ალექსეევის, ვ. ვინოგრადოვის, ვ. გორდლევსკის, ს. კრიზინის, ი. კრაჩკოვსკის, ი. მეშჩანინოვის გამოსვლები პრესაში. ხოლო ცოტა მოგვიანებით იბეჭდება სამუელ მარშაკის, ალ. ჟაროვის, იუხან სმუულის, ა. ლახუთის ლექსები ნაზიმ ჰიქმეთზე. ეს იყო მთელი საბჭოთა მწერლობის სოლიდარობა თურქ პოეტთან. ამ სოლიდარობის ნათელი დადასტურება იყო შემოქმედებითი საღამო, რომელიც ივნისის პირველ რიცხვებში გაიმართა ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში. მთელ თურქეთში კი მრავლდებოდა ხელმოწერები. 1950 წლის აპრილში თურქეთი მხოლოდ ნაზიმ ჰიქმეთის გადარჩენის სურვილით ცხოვრობდა.

პოეტის გადარჩენის საკითხი კი ბეწვზე ეკიდა, ჯანმრთელობა კატასტროფულ სახეს იღებდა. მისი ციხეში დატოვება აღარ შეიძლებოდა და პოეტი სტამბულში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯერაჰ-ფაშას საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ეს მოხდა 1950 წლის 13 აპრილს.

ბურსის ციხის წამებისა და სულიერი გმირობის მრავალწლიანი ეპოპეა დამთავრდა.

მაგრამ შიმშილობა პოეტს მაინც არ შეუწყვეტია. იგი კვლავ იბრძოდა, იბრძოდა უიარაღოთა იარაღით. მაგრამ არც პოლიცია და

სახელმწიფო სამხედრო მანქანა იჯდა გულხელდაკრეფილი — თურქეთის ოფიციოზი „ულუსი“ იმ დღეებში წერდა:

„იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ავრცელებენ ფურცლებს „იხსენით ნაზიმ ჰიქმეთი“ — აღძრულია სასამართლო საქმე. უკვე დაპატიმრებულია თერთმეტი მოქალაქე, მათ შორის 2 ქალიშვილი“.

თურქეთის პოლიციას მხოლოდ თურქეთში თუ შეეძლო თავისი ძალის გამოყენება. იგი ვერაფერს დააკლებდა ამერიკელ მწერლებს, რომლებმაც იმდროინდელ სახელმწიფო მდივანს აჩესონს სთხოვეს, გამოეყენებინათ ამერიკის გავლენა თურქეთზე და ებრძოლათ ნაზიმ ჰიქმეთის განთავისუფლებისათვის.

თურქეთის პრეზიდენტის კანცელარია ვერ იტევდა შემოსულ განცხადებებს, პროტესტებს, მაგრამ იგი ყურსაც არ იბერტყავდა. არც არაფრის გაკეთებას აპირებდა. მალე უნდა მოწყობილიყო მეჯლისის არჩევნები. გაბატონებული სახალხო-რესპუბლიკური პარტია თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, მას იმდენი ზიზღი და სიძულვილი დაემსახურებინა თურქეთში, რომ ახალი არჩევნების შემდეგ აღარავინ ჩააბარებდა სახელმწიფოს, მაგრამ დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა იცოდნენ იმდროინდელი თურქეთის განწყობილება და განაცხადეს, თუ აგვირჩევთ, საყოველთაო ამნისტიას გამოვაცხადებთო.

რ. ფიშს ნაზიმ ჰიქმეთზე დაწერილ წიგნში შეტანილი აქვს ფატმა იალჩინის მოგონება. ფ. იალჩინი 1938 წელს ნაზიმ ჰიქმეთთან ერთად გაასამართლეს და 10 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. და აი, ახლა შიმშილობის მეთერთმეტე დღეს, იგი მოვიდა ნაზიმ ჰიქმეთთან ჯერაჰ-ფაშას საავადმყოფოში მიუნეველ ანდაჩთან ერთად.

ფატმა იალჩინი იგონებს:

„ნაზიმი საწოლზე იწვა. რომ დაგვინახა, წამოიწია, მიუნეველმა წელქვეშ ბალიში შეუდო. ნაზიმი ყოველი შეხვედრისას მეხვეოდა ხოლმე, ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ჩვენ ერთმანეთს არ გადავხვევივართ. ძალიან მისუსტებული ჩანდა, მისი გადაღლა არ შეიძლებოდა, სახე გაყვითლებოდა, გამხდარიყო. მხოლოდ ქერა ხუჭუჭი თმა და ცისფერი, სიცოცხლით სავსე თვალები არ შეცვლილიყვნენ. ჩვენ ჩანაკლეს ციხის შემდეგ არ გვენახა ერთმანეთი. იმ დღიდან კი მთელი ათი წელი გასულიყო. მე არ ვიცოდი, ნაზიმი

ადრე დასუსტდა ასე, თუ შიმშილობის დროს. ჩვეულებრივი ხმამაღალი სიცილის ნაცვლად მინავლებული ღიმილი.

— როგორ არის საქმეები, ნაზიმ!

— ექიმები მეუბნებიან, პირიდან აცეტონის სუნი ამოგდისო; ეს კი იმას ნიშნავს, რომ განშორების დღე მოახლოვებულია.

ხმას არ ვიღებ. მიუნუვერიც დუმს. მე სიტყვა ვერ მიპოვნია, მინდა გავამხნევო, მაგრამ... მინდა სიტყვა გამოხედვით შევცვალო, ამაოდ. მე აღფრთოვანებული ვარ მიუნუვერით. იყო ნაზიმ ჰიქმეთის ნათესავი, მერე გახდე მეუღლე და შესცქეროდე შენს თვალწინ როგორ იღუპება... ეს ძალიან ძნელია, ძალიან რთულია არ შეიმჩნიო წამება, დროულად დაუჭირო მხარი, გვერდით ამოუდგე სიტყვითაც და საქმითაც... ეს ძალიან რთულია.

საავადმყოფოს კედლებს მიღმა პროგრესული ინტელიგენცია და ახალგაზრდობა ამნისტიისათვის იბრძვის. ქუჩებში ჰყიდიან გაზეთს „ნაზიმ ჰიქმეთი“, გალათას ხიდზე დედამისი ჯალილე ჰანუმი გაიძახის: „ნუ დაივიწყებთ ნაზიმ ჰიქმეთს, ჩემი შვილი კვდება, იხსენით ჩემი შვილი!“ და გაზეთს აწვდის ხალხს.

მინდა ყველაფერი ეს ვუთხრა, მაგრამ ხახა მიშრება. იქნება ხმამაც მიმტყუნოს. იქნებ დავაღონო კიდეც, დავაკლო ძალა, ვცდილობ, სხვა რამეზე ვიფიქრო და როცა ვგრძნობ, რომ თავი დავიურვე, ჩვეულებრივი ხმით ვეუბნები:

— იბრძვის დედაშენი, ნაზიმ...

იგი გამოცოცხლდა. ეამაყება დედამისისა.

მე არ ვეუბნები, თუ რას აკეთებს ჯალილე ჰანუმი, მეშინია, არ აღელდეს. ჯალილე ჰანუმს კი ამ დროს უზარმაზარი ტრანსპარანტი ეჭირა ხელთ, რომელზეც ეწერა:

„უსამართლოდ დაპატიმრებულმა ჩემმა შვილმა შიმშილობა გამოაცხადა.

მეც, ჩემს შვილთან ერთად შიმშილობას ვაცხადებ. ვისაც სურს მხარი დაგვიჭიროს, ხელი მოაწეროს პეტიციას“.

შიმშილობა გრძელდება. ამხანაგები კი მოითხოვენ, ნაზიმ ჰიქმეთმა შეწყვიტოს იგი. არჩევნები 15 მაისს იწყება, ამნისტიას სახალხო დემოკრატიული პარტიის მთავრობა ვერ გამოუშვებს. არჩევნებს უნდა დაველოდოთო.

შიმშილობის მეთვრამეტე დღეს, 1950 წლის 25 აპრილს ნაზიმ

ჰიქმეთმა გამოაცხადა, რომ წყვეტს შიმშილობას მეჯლისის არჩევნებამდე, და თუ ახალი მთავრობა საყოველთაო ამნისტიას არ გამოაცხადებს, ყველაფერს თავიდან დაიწყებს.

მიუხედავად ამდენი ტანჯვისა, იგი მზად იყო ყველაფერი თავიდან დაეწყო.

— ყველაზე ძნელი იყო არა შიმშილობა, არამედ მიღებულ გადაწყვეტილებაზე უარის თქმა, — იგონებდა შემდეგ ნაზიმ ჰიქმეთი.

თვრამეტი დღე იშიმშილა ნაზიმ ჰიქმეთმა და ამ თვრამეტი დღის განმავლობაში დღითიდღე ერთიმეორეზე უმწარეს სილას აწნავდა თურქეთის მთავრობას. ამ დღეებში ნაზიმ ჰიქმეთმა გაზარდა ყოველი ადამიანის გმირობის ზღვარი, დაამტკიცა, თუ რა ძლიერია ადამიანი, რა შეუძლია მას.

მსოფლიო კი კვლავ განაგრძობდა პოეტის განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

არჩევნებიც ჩატარდა. ხელისუფლების სათავეში მოექცა დემოკრატიული პარტია. იმხანად მენდერესის მთავრობა გაცილებით ლიბერალური იყო, ვიდრე სახალხო რესპუბლიკური პარტიის მთავრობა. გადიოდა საათები, დღეები, კვირები, მაგრამ დემოკრატიული პარტიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს აღთქმული საყოველთაო ამნისტია არა და არ ჩანდა. ამ ამნისტიას გულისფანცქალით ელოდა თურქეთის ციხეებში გამომწყვდეული ბევრი პატიოსანი კაცი, ადამიანები, რომლებიც თავიანთი რწმენის და მისწრაფებების გამო ხალხის ხსოვნაში იდებდნენ ბინას.

თითქმის ერთი თვე გასტანა მტანჯველმა მოლოდინმა, მძიმე იყო ეს ერთი თვე, ნაზიმ ჰიქმეთი აპირებდა ყველაფერი თავიდან დაეწყო, გაემეორებინა ის გმირული დღეები, განიზრახა, კვლავ უიარაღოთა უსასტიკესი იარაღით დაემარცხებინა თურქეთის მთავრობა, რომელსაც დანაპირების ასრულების თავიც კი არა ჰქონდა.

მსოფლიო კვლავ მოითხოვდა პოეტის განთავისუფლებას. ქვეყნდებოდა უამრავი განცხადებები, მოთხოვნები, პროტესტები.

დემოკრატიული პარტიის მთავრობას კი მართლა უნდოდა დემოკრატიზმისა და პატიოსნების სახელი დაეგდო ხალხში და აი, ივნისის ერთ დილას უდიდესმა სიხარულმა დაისადგურა ყოველი პატიმრის გულში — გამოცხადდა საყოველთაო ამნისტია.

ნაზიმ ჰიქმეთი განთავისუფლდა. მისი წამებისა და ტანჯვის გზებზე სულ თორმეტი წელი და ხუთთვენახევარი გაგრძელდა.

უზარმაზარ სახელმწიფო მანქანასთან უთანასწორო ორთაბრძოლაში იგი გამარჯვებული გამოვიდა. მართალია, დასნეულებული, მაგრამ გამარჯვებული. მის გულს კი ბევრი სიხარულის ატანაც აღარ შეეძლო. მაგრამ განა შეიძლება გულის სნეულებაზე ილაპარაკო მაშინ, როცა ბედნიერი ხარ? არა, ამაზე არც უფიქრია პოეტს. არ უფიქრია თუნდაც იმიტომ, რომ დრო აღარ ჰქონდა. მისი სახელი და ლექსები სახელმწიფოდან სახელმწიფოში მოგზაურობდა და თან მიჰქონდა უდიდესი სიხარულისა და რწმენის ძალა.

და აი, ამ საქვეყნო აღიარების საბუთიც: 1950 წელს ნაზიმ ჰიქმეთს მშვიდობის საერთაშორისო პრემია მიენიჭა. მასთან ერთად ეს პრემია მიანიჭეს პოლ რობსონს, იულიუს ფუჩიკს და პაბლო ნერუდას. ნაზიმ ჰიქმეთს ირჩევენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს შემადგენლობაში

თურქეთში სამსტრიქონიანი ინფორმაციაც კი არ დაბეჭდილა ამ დიდი პრემიის მინიჭების თაობაზე.

გაათავისუფლეს, მაგრამ ეს თავისუფლებაც პირობითი გამოდგა. ნამდვილი თავისუფლება მისთვის არ არსებობდა. სიხარულს მხოლოდ ოჯახი თუ ჰგვრიდა — მალე ვაჟი შეეძინათ. ვაჟს მემედი დაარქვეს. მემედმა დიდი სიხარული მოუტანა დანაღვლიანებულ ოჯახს. 50 წელს მიღწეულ დასნეულებულ პოეტს ყველა რედაქციისა და გამომცემლობის კარი გადაუკეტეს. მის ლექსებს არავინ ბეჭდავდა. მსოფლიოში ცნობილი პოეტი იყო, ნაზიმ ჰიქმეთის ლექსებს კითხულობდნენ სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა ენებზე. მაგრამ თურქი მკითხველისათვის მიუწვდომელი გახდა. იგი კვლავ პატიმარი იყო, იმ განსხვავებით, რომ ახლა ბურსის ციხეში კი არ იჯდა, მთელი ქვეყანა საპატიმროდ გადაქცეულიყო. სადაც უნდა წასულიყო, თან დასდევდნენ პოლიციის აგენტები. დიდი ოსტატობა სჭირდებოდა, რომ თავი დაეღწია მათი „მზრუნველობისაგან“. ამ წამებამ რამდენიმე თვე გასტანა. 1951 წლის ზაფხულში კი 50 წლის პოეტს თურქეთის სამხედრო სამსახურში გაწვევის უწყება მოუვიდა. ნაზიმ ჰიქმეთისათვის ცხადი იყო, თუ რატომ იწვევდნენ ჯარში — უნდოდათ სწორედ იქ გაეკეთებინათ ის, რაც ციხეში ვერ მოხერხდა.

და პოეტმა გადაწყვიტა კიდევ ერთხელ გაეწია უდიდესი რისკი.

სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე დაედო თავი. მხოლოდ ამ ვიწრო ბილიკით, სიკვდილის ბილიკით თუ შეიძლებოდა თავისუფლების მოპოვება.

ნაზიმ ჰიქმეთმა განიზრახა დაერღვია საზღვარი და გასცლოდა თურქეთს.

ივნისის დილა იყო. გათენებისას გამოვიდა სახლიდან, ხელში ყველაზე დიდი განძი — ხელნაწერები ეჭირა. ჩემოდანი სავსე იყო პიესებით, ლექსებით, ჩანაწერებით. მეტი რა უნდა წაეღო პოეტს. ეს იყო მისი ყველაზე დიდი ქონება.

მოტორიანი ნავით შავ ზღვას მისცა თავი. მალე საზღვარსაც გააღწია, მაგრამ აქაც დაემუქრა სიკვდილი. ზღვაზე ატეხილი ქარიშხალი ნაფოტივით ათამაშებდა ნავს. კიდევ ერთხელ ჩახედა სიკვდილს თვალებში და არ შეეპუა, მთელი დღე ებრძოდა მას. მალე გამოჩნდა იმედის სხივიც. ამჯერად იგი რუმინეთის გემის სახით მოევლინა.

რუმინეთიდან პოეტი საბჭოთა კავშირში ჩამოდის. ეს იყო 1951 წლის 29 ივნისს.

ნაზიმ ჰიქმეთს მხურვალე, გულთბილი შეხვედრა მოუწყეს მოსკოვის აეროპორტში. ცნობილი საბჭოთა პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი ასეთი სიტყვებით მიმართავდა თურქ პოეტს:

„დღეს ჩვენში დიდი სიხარულია, მოსკოვს ჩამოვიდა გამოჩენილი პოეტი, მშვიდობის მომღერალი ნაზიმ ჰიქმეთი. ჰიქმეთის მგზნებარე ხმა, მშვიდობისათვის მებრძოლთა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ხმა ყველა დაბრკოლებას ძლევდა და საპატიმროს კედლებიდან მთელ მსოფლიოში გაისმოდა“.

ნაზიმ ჰიქმეთის ჩამოსვლას საბჭოთა კავშირში აეროპორტშივე მიესალმა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე, პროზაიკოსი კონსტანტინე სიმონოვი.

ქართველი პოეტი გრიგოლ აბაშიძე ასე იგონებს ნაზიმ ჰიქმეთის მოსკოვში ჩამოსვლის დღეს:

„ვნუკოვოს აეროდრომზე სამგზავრო თვითმფრინავი დაეშვა. თვითმფრინავს ხალხის ტალღა მიაწყდა. კარი გაიღო და ზღურბლზე მაღალი, თვალტანადი ვაჟკაცი გამოჩნდა. იგი ერთი შეხედვით, ცისფერი თვალებით, ქერა თმით და სახის იერით ქართველს ჰგავდა (როგორც ვნახეთ, გრ. აბაშიძემ სწორედ შენიშნა ნაზიმის მსგავსება ქართველებთან. გ. ბ.).

— ნაზიმი... ნაზიმ ჰიქმეთი! — აჩურჩულდა ხალხი. ჩვენ ყველანი ჰიქმეთის შესახვედრად ვიყავით მოსული.

ბედნიერი ღიმილით სახეგანათებული სტუმარი კიბეზე ჩამოვიდა.

ჩვენ შორის იდგა საოცარი, ვაჟკაცური სილამაზის მქონე, ტანბრგე ადამიანი. იგი ყვავილების ზღვაში იძირებოდა და დამხვდურთა ხელის ჩამორთმევას და კოცნას ვერ აუდიოდა“.

თავისი ცხოვრებით გაწამებულ პოეტს უზომოდ დიდი ბედნიერება და სიხარული მიანიჭა ამგვარმა შეხვედრამ. საპასუხო სიტყვაში მან თქვა:

— იმდენად ბედნიერი ვარ, რომ არ ძალმიძს ლაპარაკი, თუმცა ბევრის თქმა შემეძლო. ჩემს სიცოცხლეს, ჩემს თავისუფლებას დიდ ქალაქ მოსკოვს უნდა ვუმადლოდე, მე საბჭოთა კავშირის ერთერთ შვილად ვთვლი თავს.

— მშვენიერ, გულთბილ შეხვედრას, რომელიც თქვენ გამიმართეთ მე, უწინარეს ყოვლისა, ვაკუთვნებ ჩემს ხალხს. ჩემი სახით თქვენ მიესალმეთ მამაც თურქ ხალხს.

ცხრამეტი წლისა ვიყავი, როცა პირველად ჩამოვედი საბჭოთა კავშირში. აქ ვსწავლობდი უნივერსიტეტში, რომელიც სტალინის სახელს ატარებს; ვისმენდი სტალინის ლექციებს. ჩემთვის სტალინი უდიდესი ადამიანია მთელ მსოფლიოში, ადამიანი, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა“.

ცნობილი რუსი პოეტი სამუელ მარშაკი ნაზიმ ჰიქმეთის საბჭოეთში ჩამოსვლას შეეგება ლექსით „კეთილი იყოს შენი მობრძანება“. ცნობილი საბჭოთა პოეტები, მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი გახდნენ ნაზიმ ჰიქმეთის უახლოესი მეგობრები.

გაუმარჯოს ქართველებს და საქართველოს

როგორც ვიცით, ნაზიმ ჰიქმეთი ჯერ კიდევ ჭაბუკი ჩამოვიდა საბჭოეთში. ეს საბჭოეთი კი იმჯერად კონკრეტულად საქართველოთი გამოიხატებოდა. აქ გაეცნო პირველად ნამდვილ კომუნისტებს, სოციალიზმისათვის მებრძოლ ადამიანებს. ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი საყურადღებო საკითხი — როცა ჭაბუკი ნაზიმ ჰიქმეთი საბ-

ჰოეთისაკენ გამოეშურა, მას თავისი იდეალები ამოძრავებდა. მაღალი მისწრაფებებისა და პრინციპების გარეშე წარმოუდგენელია ასეთი რისკის გაწევა — სამშობლოს დატოვება. და აი, პოეტი ჩამოდის საბჭოეთში, ეცნობა იმ საზოგადოებრივ ფორმაციას, რომელიც მისი ბრძოლის მიზანი, იდეალია და, რაც მთავარია, უახლოეს კავშირს ამყარებს ამ იდეალებისათვის მებრძოლ ადამიანებთან. აქ შეიძლება მოხდეს ერთი ძალზე მნიშვნელოვანი რამ — პოეტის არსეობაში ან საბოლოოდ განმტკიცდეს იმის რწმენა, რომ იგი არ ცდებოდა და სწორ გზაზე იდგა, ან კიდევ ამ საზოგადოებრივ ფორმაციასთან სიახლოვემ უცხოელი კაცი დაარწმუნოს, რომ მოტყუვდა — დიდი კონტრასტია მის მიერ წარმოსახულსა და რეალურ სოციალიზმს შორის. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ნაზიმ ჰიქმეთისათვის სოციალიზმი და მისი იდეები ქართველი ხალხის ყოფის სახით შეიცნობოდა, დავრწმუნდებით, რამდენად დიდი როლი შეასრულა საქართველომ ნაზიმ ჰიქმეთის, როგორც მოაზროვნის ჩამოყალიბებაში. სწორედ აქ, საქართველოში, ბათუმის მშრომელი მასის მეოხებით განჭვრიტა კომუნისტური საზოგადოების არსი. პოეტს იმედები და ოცნებები არ გასცრუებია, რამდენიმე თვის შემდეგ უკან, სტამბულში გაბრუნება არ მოსურვებია. პირიქით, ხალხთან დაახლოებამ გაუძლიერა ის მისწრაფებები, რომლებმაც თურქეთიდან ბათუმს ჩამოიყვანა. ამიტომაც იყო, რომ მალე ბათუმიდან მოსკოვს გასამგზავრებელ გზებს დაუწყო ძებნა.

ასე რომ, საქართველომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოეტის სულიერ მისწრაფებათა საბოლოოდ ჩამოყალიბების საქმეში. აქედან გამომდინარე, ინტერესსმოკლებული არ იქნება გავარკვიოთ, თუ როდის ჩამოვიდა ნაზიმ ჰიქმეთი ჩვენს რესპუბლიკაში. საქართველოში ჩამოსვლისა და მოსკოვს გამგზავრების თუნდაც მიახლოებითი თარიღის დადგენა აუცილებელია იმისათვის, რომ ვიცოდეთ, თუ რამდენ ხანს იყო იგი საქართველოში.

ნაზიმ ჰიქმეთთან დაახლოებული პიროვნება, მისი მდივანი დ. ერთ-ერთი პირველი საბჭოთა ჰიქმეთოლოგი ა. ბაბაევი წერს, რომ ნაზიმ ჰიქმეთი ბათუმში ჩამოვიდა 1921 წლის თებერვალში. ა. ბაბაევის აზრით ნაზიმ ჰიქმეთი საქართველოში თებერვლიდან სექტემბრამდე დარჩენილა. ამასვე იმეორებს ნაზიმ ჰიქმეთზე დაწე-

რილი ბიოგრაფიული რომანის ავტორი ა. ტვერსკოიც. იგივე აზრი გამოთქვეს სხვა ავტორებმაც, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს აზრი საკმაოდ კომპეტენტური წყაროებიდან მომდინარეობს, მაინც ეჭვს იწვევს.

ნაზიმ ჰიქმეთის მიერ გამოქვეყნებული არაერთი მოგონებიდან ჩვენ ვიცით, რომ პოეტი მაშინ ჩამოვიდა ბათუმში, როცა აჭარაში უკვე დამყარებული იყო საბჭოთა ხელისუფლება. სწორედ ბათუმის ქუჩებში ნახა პირველად წითელარმიელები და თუ გავიხსენებთ, ამის გამო ლექსიც კი დაწერა. აქ შეიცნო სოციალიზმი. ასევე მნიშვნელოვან დოკუმენტად გამოგვადგება ნ. ჰიქმეთის ავტობიოგრაფიული სასიათის რომანი „ცხოვრება კარგი რამ არის, ძმაო“ („რომანტიკა“). ამ რომანში ბათუმს დიდი ადგილი ეთმობა. ნაწარმოებში თითქმის დაწვრილებითაა აღწერილი ბათუმში გატარებული დღეები. ვგებულობთ, რომ სწორედ ბათუმში, სასტუმროს ერთ-ერთ ოთახში გადაუწყვეტია ნაზიმ ჰიქმეთს, ებრძოლა სოციალიზმისათვის. არც მოგონებებში, არც რომანში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი იმის თაობაზე, რომ თურქეთიდან ჩამოსულ პოეტს ბათუმში მენშევიკური ხელისუფლება დახვდა. 1921 წლის თებერვალში და მარტშიც ბათუმში მენშევიკები ბატონობდნენ. მენშევიზმის ბატონობისაგან აჭარა განთავისუფლდა 19 მარტს და ამ დღიდან არის ბათუმი საბჭოთა აჭარის დედაქალაქი. აქედან გამომდინარე, თუ ა. ბაბაევის, ა. ტვერსკოის და სხვათა მიერ შემოთავაზებულ თარიღს გავიზიარებთ (1921 წლის თებერვალი), გამოდის, რომ ნაზიმ ჰიქმეთი არა საბჭოთა, არამედ მენშევიკურ ბათუმში ჩამოსულა. ეს კი არ არის სწორი — ბათუმიდან მენშევიკური ხელისუფლების განდევნა და იქ საბჭოთა წყობილების დამყარება იმდენად დიდი ფაქტია, რომ შეუძლებელია, უკვალოდ ჩაევლო ისეთი ყაიდის პოეტის შემოქმედებაში, როგორიც ნაზიმ ჰიქმეთი იყო.

ასე რომ, ნაზიმ ჰიქმეთი თებერვალში არ ჩამოსულა საქართველოში. მაშ როდის ჩამოვიდა? მივმართოთ ისევ პოეტის მოგონებებს. ნაზიმ ჰიქმეთის მოგონებების მიხედვით, ბათუმში ცხოვრება უკვე სტაბილურია. მართალია, ხალხს კვლავ უჭირს, ქუჩებში წესრიგის დასაცავად კვლავ ჯარისკაცები დააბიჯებენ, მაგრამ ბათუმი მაინც საბჭოთა ქალაქია, ბატონ-პატრონადაც ხალხი ქცეულა.

ამას გარდა, პატარა ქალაქი ბოლუ, სადაც მასწავლებლობდა,

ნაზიმ ჰიქმეთმა აგვისტოს მეორე ნახევარში დასტოვა. რამდენიმე დღეში ჩამოვიდა ტრაპიზონში, იქიდან კი გამოემართა ბათუმს. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაზიმ ჰიქმეთი ბათუმში ჩამოვიდა აგვისტოს დამლევს ან სექტემბრის დამდეგს. ბათუმში ნაზიმ ჰიქმეთის ჩამოსვლის თარიღად დაახლოებით ამ დროს მიიჩნევს რ. ფიშიც. ხოლო თუ პოეტის მოგონებებსა და „რომანტიკაში“ გაბნეულ ზოგიერთ ცნობას გავითვალისწინებთ, ნაზიმ ჰიქმეთი საქართველოდან გამგზავრებულა არა 1921 წლის სექტემბერში, არამედ 1922 წლის ზაფხულის დამლევს. ასე რომ, მას თითქმის ერთი წელი გაუტარებია საქართველოში — 1921 წლის შემოდგომიდან 1922 წლის ზაფხულის დამლევამდე. ამ ერთმა წელმა მას ბევრი რამ მისცა. მეოცნებე ჭაბუკი საბოლოოდ დააყენა სოციალიზმისათვის ბრძოლის პლატფორმაზე.

იგივე რ. ფიში მიიჩნევს, რომ ნაზიმ ჰიქმეთი, ვიდრე ბათუმიდან მოსკოვს გაემგზავრებოდა, საკმაო ხანს იყო თბილისში, სადაც თურქეთიდან გადმოხვეწილი ერთი თურქი გოგონას კვალს დაეძებდა. თურმე ამ გოგონას მამა მუსტაფა ქემალის ოპოზიციონერი ყოფილა და თურქეთს აღარ დაედგომებოდა. ნაზიმ ჰიქმეთს უპოვნია მიჯნური და, როგორც ფიში გადმოგვცემს, დაქორწინებულა კიდეც მასზე. მაგრამ ქორწინება უდღეური გამომდგარა. ნაზიმი ბრძოლისა და შეცნობის წადილით იყო შეპყრობილი, გოგონას კი მშვიდი ცხოვრება სურდა და ქორწინება ნაზიმის მოსკოვს გამგზავრებისთანავე შეწყვეტილა. მაგრამ ეს ამბავი ეჭვს იწვევს. პოეტის ბიოგრაფიის ამ ფაქტისადმი სკეპტიკურად დამოკიდებულების უფლებას გვაძლევს ისიც, რომ ნაზიმ ჰიქმეთს არსად არა აქვს ნახსენები, სიჭაბუკის წლებში თბილისში ვიყავიო. მით უმეტეს, ნაზიმ ჰიქმეთი რომ თბილისში დაქორწინებულიყო; ეს ფაქტი უსათუოდ აისახებოდა მის რომელიმე ნაწარმოებში, ერთ სტრიქონში მაინც.

მაგრამ ასეა თუ ისე, თბილისში იყო თუ ბათუმში, ერთი რაღ ცხადია: ნაზიმ ჰიქმეთი მთელი ერთი წელი იმყოფებოდა საქართველოში. და ქართველების გარემოცვაში ცხოვრობდა სწორედ მაშინ, როცა ყალიბდებოდა პოეტის სული.

ამის შემდეგაც ნაზიმ ჰიქმეთი არაერთხელ ჩამოსულა საქართველოში, ყოფილა ქართველ მწერალთა სტუმარი თბილისში, სიჭარმაგეში შესულს ნაღველმორეული სიამით დაუვლია ბათუმის ქუჩები.

სწვევია სოხუმის თეატრს, ქართველ კოლმეურნეებს, მცხეთას, კახეთს და მუდამ ახლო მეგობრებს შორის უგრძვნია თავი, რადგან სიჭაბუკის ჟამს ბათუმში გატარებული დღეები, ქართველი ხალხისადმი აქ გაღვივებული სიყვარული, ვერავითარმა ძალამ ვერ ჩააქრო მის სულში.

საქართველომ ადრევე აღიარა ნაზიმ ჰიქმეთის პოეტური ტალანტი. როგორც ვიცით, ნ. ჰიქმეთის ლექსები პირველად რუსულ ენაზე დაიბეჭდა. ეს იყო ე. ბაგრიცკის და ნ. დემენტიევის მიერ თარგმნილი ახალგაზრდა პოეტის რამდენიმე ლექსი.

ორი წლის შემდეგ, 1928 წელს, ნაზიმ ჰიქმეთის ლექსების კრებული გამოიცა აზერბაიჯანში. პოეტის ლექსების ეს გამოცემა მაინცდამაინც არ უნდა ჩაითვალოს დიდი მნიშვნელობის მოვლენად, რადგან აზერბაიჯანული ენა თურქულ ენათა ჯგუფს განეკუთვნება და ეს ფაქტიურად თარგმანის გარეშე შესრულებული გამოცემა იყო. ხოლო ის ფაქტი, რომ 1929 წელს ჟურნალი „ქართული მწერლობა“ აქვეყნებს ნაზიმ ჰიქმეთის ლექსს „ნავთის პასუხი“. მეტყველებს იმაზე, რომ ქართულმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ უმალ შეიცნო ნაზიმ ჰიქმეთის პოეტური ტალანტი. უფრო მეტიც, ჩვენთვის კარგად ცნობილი ეს ლექსი არ უთარგმნია ლიტერატურისათვის შემთხვევით პიროვნებას — ნაზიმ ჰიქმეთი ქართველ მკითხველს პირველად იოსებ გრიშაშვილმა, ჩვენმა ჩინებულმა პოეტმა და მკვლევარმა გააცნო. იოსებ გრიშაშვილმა „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე ასეთი დახასიათება მისცა თურქ პოეტს: „ნაზიმ ჰიქმეთი ახალგაზრდა პოეტია ოსმალეთისა. იგი მეტად პოპულარულია და მის ლექსებს ზეპირად სწავლობს და მღერის თურქეთის მშრომელი ხალხი“. ასე რომ, ნაზიმ ჰიქმეთი ქართველმა მკითხველმა ჯერ კიდევ ოციან წლებში გაიცნო. ამის შემდეგ თურქი პოეტის ლექსები სისტემატურად იბეჭდება ჩვენში. ნაზიმ ჰიქმეთს თარგმნიან საუკეთესო ქართველი პოეტები, მის პიესებს დგამენ ჩვენი პირველი რიგის თეატრები.

1951 წელს საქართველოში გამოდის ნაზიმ ჰიქმეთის პოემა „ზოია“. საგულისხმოა, რომ ეს პოემა თარგმნეს აღიარებულმა მწერლებმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ და ალიო მირცხულავამ. მიუხედავად იმისა, რომ „ზოია“ რუსული ენიდან ითარგმნა და ე. წ. თარგმანის თარგმანს წარმოადგენს, კონსტანტინე ლორთ-

ქიფანიძემ და ალიო მირცხულავამ ქართულ ენაზე ჩინებულად ააჟღერეს ნაწარმოები, შეუნარჩუნეს მას მომხიბლაობა და მოქალაქეობრივი სულისკვეთება.

ნაზიმ ჰიქმეთს, როგორც პოეტს, საქართველოში ბედმა გაუღიმა. ერთეულების ხვედრია ის, რაც მის ლექსებს ხვდათ წილად. ჩვენში მას გამოუჩნდა ბრწყინვალე მთარგმნელი ვახტანგ კეკელიძე.

თურქი პოეტის ლექსების კრებული ქართულ ენაზე გამოვიდა 1952 წელს. ამ წიგნში შესულია ნაზიმ ჰიქმეთის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ნაწარმოებები და თარგმანის მეოხებით გეჩვენებათ, რომ ეს არის პოეტის საუკეთესო ლექსების თაიგული, რჩეული იმ რჩეულ ლექსებს შორის, რომელზეც ბევრი ჩინებული პოეტი მოაწერდა ხელს. გვჯერა — ვახტანგ კეკელიძეს რომ ორჯერ მეტი ლექსი ეთარგმნა, ისიც რჩეულთა რჩეულის შთაბეჭდილებას მოახდენდა. ასეთია მთარგმნელის შემოქმედებითი ძალა. ვახტანგ კეკელიძემ რომ ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები ჩინებულად თარგმნა, ამას პოეზიის ყოველი მოყვარული და მცოდნე მიხვდება, მაგრამ თურქული ენა უნდა იცოდე, ორიგინალში უნდა იცნობდე ნაზიმ ჰიქმეთის ლექსებს, რომ შეაჯერო და ნამდვილად დარწმუნდე ქართველი მთარგმნელის უდიდეს ოსტატობაში. ვ. კეკელიძის თარგმანებში რაღაც განუმეორებელი სასწაულებითაა შენარჩუნებული ჰიქმეთის ლექსების არა მარტო განწყობილება, სულისკვეთება, მიზანდასახულება, არამედ გაცოცხლებულია ყოველ ბგერაზე დაკისრებული ნიუანსი, ქართულ ლექსში თითქმის ზედმიწევნითი სიზუსტით და პოეტური ოსტატობითაა გადმოტანილი ლექსების მუსიკალური მომენტებიც კი. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ნაზიმ ჰიქმეთის, ამ უაღრესად თურქული ყაიდის პოეტის ლექსების ვახტანგ კეკელიძისეული თარგმანები შეიძლება ქართული პოეზიის ნიმუშებად მივიჩნიოთ, რადგან, სწორედ ბრწყინვალე ქართულ ლექსთა ნაკადს მიჰყვება. მთარგმნელის ამ გამარჯვებას, ალბათ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ნაზიმ ჰიქმეთის პოეტური ტემპერამენტი, მისი პოეტური აზროვნების თანამიმდევრობა ერთგვარად უახლოვდება ქართულ პოეტურ ტემპერამენტს. რასაკვირველია, პირდაპირი ანალოგიების ძიება აბსურდი იქნებოდა, მაგრამ მონდომებული მკითხველი ბევრ საერთოს აღმოაჩენდა.

ეს მომენტი განსაკუთრებით თვალხილული გახდა ვ. კეკელიძის თარგმანების მეოხებით. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ერის პოეტებმა ჩინებულად თარგმნეს ნაზიმ ჰიქმეთის პოეზია, ჩვენ მაინც შეგვიძლია კატეგორიულად განვაცხადოთ — ვ. კეკელიძე ერთადერთი უზადო მთარგმნელია ნ. ჰიქმეთისა.

დამსწრენი იგონებენ: როცა საქართველოში ჩამოსულ ნაზიმ ჰიქმეთს ვ. კეკელიძისეული თარგმანები წაუკითხეს, უმალ უგრძვნია მთარგმნელის ძალა და თავისი პატივისცემა უდროოდ გარდაცვლილი მთარგმნელისადმი იმით გამოუხატავს, რომ საფლავზე ყვავილები მიუტანია.

ერთის მხრივ კ. ლორთქიფანიძემ და ა. მირცხულავამ და მეორეს მხრივ ვ. კეკელიძემ შეჰქმნეს ქართულ ენაზე ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიის თარგმნის მაღალი ტრადიციები. ამის შემდეგ ჩვენში მრავალჯერ ითარგმნა თურქი პოეტის ლექსები, მაგრამ ბევრ მათგანს აკლია მაღალი ოსტატობა და ამის მეოხებით ის ზემოქმედების ძალაც, რომელიც ნაზიმ ჰიქმეთის ლექსებს გააჩნია.

1956 წელს ბათუმში გამოიცა ქართულ ენაზე თარგმნილი ნაზიმ ჰიქმეთის ლექსების კრებული (მთარგმნელები ფრ. ხალვაში, ნ. მალაზონია, გ. სალუქვაძე და შ. როყვა). ამ კრებულისათვის საგანგებოდ დაწერილ წინასიტყვაობაში ნაზიმ ჰიქმეთი წერდა: „ქალაქი ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, პირველი რევოლუციური ქალაქი, პირველი საბჭოთა რესპუბლიკაა, რომელიც მე ვნახე. პირველი გლეხი და პირველი მუშა აქ გავიცანი. პირველ ბოლშევიკს აქ ჩამოვართვი ხელი. პირველად აქ გავიგე, თუ რას ნიშნავს ხალხთა ბრძოლა.

მარქსიზმის პირველი გაკვეთილი მე ბათუმის კედლებზე გაკრული აფიშებიდან მივიღე.

ბათუმი ახალგაზრდობის, ნორჩი სიმწვანის, სიყმაწვილის, ახალი იმედების ქალაქია“.

მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიის თარგმნა ქართულ ენაზე ამით არ დამთავრებულა. ჩვენს ლიტერატურულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდება ჩინებული ქართველი პოეტების მიერ თარგმნილი ჰიქმეთის ლექსები. თურქი პოეტი დღესაც ისევე მონაწილეობს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში, როგორც ამ ორი ათეული წლის წინათ და მისი სრულყოფილი პოეტური კრებულის გამოცემა ჯერ კი-

დევ მომავლის საქმეა. სრულყოფილიო ვამბობთ, რადგან ჩვენში ნაზიმ ჰიქმეთის ლექსებს მაინც ცალმხრივად თარგმნიან. წლების განმავლობაში ითარგმნება და პროპაგანდა ეწევა მხოლოდ იმ ლექსებს, რომლებიც მოქალაქეობრიობის პრობლემატიკას ამუშავებენ. ცხადია, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედების ასე ცალმხრივად წარმოდგენისას ღარიბდება პოეტი. რატომღაც არ ითარგმნება ნაზიმ ჰიქმეთის ბრწყინვალე ლირიკული ლექსები, განსაკუთრებით, ის ნაწარმოებები, რომლებიც სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაიწერა.

ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებამ ქართულ თეატრშიც დაიმკვიდრა თავისი ადგილი. თურქი დრამატურგი ჩვენი თეატრების სასურველი ავტორი გახდა. ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგია ქართულ თეატრში — ერთი დიდი ფურცელია ქართული საბჭოთა თეატრის განვითარებაში. ქართული თეატრის დაინტერესება ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგიით კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია იმისა, თუ რაოდენ დიდ ჰუმანურ და დემოკრატიულ საფუძველზე დგას ქართული თეატრი, რადგან ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგიის ქვაკუთხედს სწორედ ეს პრინციპი წარმოადგენს. ქართულმა თეატრმა ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგიაში იპოვა ადამიანისადმი მხარდაჭერა და ადამიანის გამხნევების სულისკვეთება, იპოვა სწრაფვა უმაღლესი იდეალებისაკენ. საქართველოში დადგმულ ნაზიმ ჰიქმეთის პიესებს („ლეგენდა სიყვარულზე“, „დამოკლეს მახვილი“, „ყეყეჩი“), რაოდენ განსხვავებულიც უნდა იყოს ამ ნაწარმოებებში წამოჭრილი პრობლემები, აერთიანებთ ძლიერი პიროვნული სულისკვეთების გამოვლინებანი. იქნებ არც ის იყოს შემთხვევითი გარემოება, რომ ქართული სცენა ნაზიმ ჰიქმეთის სწორედ იმ პიესებით დაინტერესდა, რომელთა მთავარი პერსონაჟიც (ფარჰადი, აჰმედ რიზა, გ. ბ.) ადამიანებისათვის იბრძვიან, ერთი მათგანი ადამიანების სახელით რკინის მთას ანგრევს, ხოლო სხვები კი ადამიანების სულში გამეფებული ადამიანური სისასტიკისა და სიძულვილის დათრგუნვას ცდილობენ. ქართული თეატრისა და თურქი პოეტის ინტერესების თანხვედრა იმითაცაა საინტერესო და საყურადღებო, რომ ნაზიმ ჰიქმეთის ზემოხსენებული პიესები ჩვენი რესპუბლიკის მხოლოდ ერთ თეატრში კი არ იდგმებოდა, არამედ, საქართველოს ყველა მნიშვნელოვან, ცენტრალურ თეატრში. ეს კი იმაზე მიუთითებს,

რომ ნაზიმ ჰიქმეთი მთელი ქართული თეატრალური სამყაროს ინტერესებს პასუხობდა და ქართულმა თეატრმა მისი სახით იპოვა იმ დემოკრატიული პრინციპების შესანიშნავი გამომხატველი, რომელიც თავიდანვე მისი შემოქმედების ცხოვრების იდეალს წარმოადგენდა.

ნაზიმ ჰიქმეთის პიესა პირველად საქართველოში მარჯანიშვილის თეატრმა დადგა. ეს იყო საყოველთაოდ ცნობილი „ლეგენდა სიყვარულზე“ (1954 წელი). ამ დღიდან ჩაეყარა საფუძველი ნაზიმ ჰიქმეთის მეგობრობას არა მარტო მარჯანიშვილის სახელობის, არამედ მთელ ქართულ თეატრთან.

თვალი გადავავლოთ მარჯანიშვილის თეატრში შემონახულ სპექტაკლის პროგრამას. „ლეგენდა სიყვარულზე“ ქართულ ენაზე თარგმნა ცნობილმა პოეტმა და დრამატურგმა დავით გაჩეჩილაძემ, დადგა რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა. მხატვრულად გააფორმა იოსებ სუმბათაშვილმა. როლებს ასრულებდნენ. მეჰმენე ბანუ — ვერიკო ანჯაფარიძე, ფერჰადი—გიორგი შავგულიძე, შირინი—დოდო ჭიჭინაძე, უცნობი — ვასო გოძიაშვილი, ოსტატი ბეჰზადი — ალექსანდრე გომელაური, ვარსკვლავთმრიცხველი — გ. ტატიშვილი, გამზრდელი — მ. დავითაშვილი, დერვიში — ა. ვერულეიშვილი, ეშრეფი — შ. ქოჩორაძე და სხვა. როგორც ვხედავთ, სპექტაკლში მეტწილად თავმოყრილი ყოფილა ქართული თეატრის ბრწყინვალე კოჰორტა. ვ. ანჯაფარიძე, ვ. გოძიაშვილი, გ. შავგულიძე ის სცენური ვარსკვლავები არიან, რომელთა შესრულებით საკუთარი პერსონაჟების ხილვა ყოველი დრამატურგისათვის სასიამოვნო იქნებოდა.

როგორც ჩანს, სპექტაკლმა „ლეგენდა სიყვარულზე“ ქართველი მაყურებლისა და თეატრალური ინტელიგენციის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამის დასტურია 1955 წლის 1 აპრილის „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდილი ცნობა, რომელშიც ნათქვამია რომ... „5 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს თეატრალური საზოგადოება და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობა მართავენ დისპუტს, რომელზეც განხილული იქნება კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დადგმა — ნაზიმ ჰიქმეთის „ლეგენდა სიყვარულზე“. შესავალი სიტყვით გამოვა რესპუბლიკის სახალხო არტისტი შალვა დადიანი, მოხსენებას თემაზე — „ლეგენდა

სიყვარულზე“ მარჯანიშვილის სახ. თეატრში“ წაიკითხავს ბესარიონ ჟღენტი. კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და თეატრის მუშაკები“.

კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი სტატია, სადაც იგი პიესის თაობაზე ამბობს: „ნაზიმ ჰიქმეთმა სავსებით ახლებური ჟღერა მისცა ამ ლეგენდას და ნათლად გვიჩვენა, თუ რამდენად მრავალფეროვანი საშუალებები მოეპოვება ჩვენი ეპოქის მოწინავე ხელოვნებას თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და საკითხებზე პასუხის გასაცემად. პიესა მძაფრ დრამატიზებულ სიუჟეტზეა აგებული, მასში ღრმა და მწვავე კონფლიქტებია გამოხატული, დიდი ადამიანური ვნებებისა და გრძნობების მძლავრი შეჯახებაა ასახული“.

ვრცელი სტატია უძღვნა მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ სპექტაკლს თეატრმცოდნე ნადეჟდა შალუტაშვილმა („ზარია ვოსტოკა“, 1954 წელი, 17 ოქტომბერი) ნ. შალუტაშვილი მაღალ შეფასებას აძლევს როგორც პიესას, ასევე რეჟისორ ვ. ტაბლიაშვილის ნამუშევარს. აქვე გამოსთქვამს ზოგიერთ მოსაზრებას, რომელიც სპექტაკლის დასახვეწად კარგი რჩევაა.

მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ ნაზიმ ჰიქმეთის ამ პიესას და სპექტაკლს ვრცელი წერილი უძღვნა კრიტიკოსმა ოთარ ეგაძემაც (ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1954 წელი № 4). ოთარ ეგაძის ეს წერილი საყურადღებო მოვლენაა არა მარტო ჰიქმეთის მემკვიდრეობის შესწავლაში, არამედ ქართულ თეატრმცოდნეობაში საერთოდ. ეს არის ჩინებული ნიმუში იმისა, თუ როგორ ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს თეატრალურმა კრიტიკოსმა არა მარტო ის პიესა, რომლის მიხედვით შექმნილ სპექტაკლზეც წერს, არამედ მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა მისი ავტორისა. ოთარ ეგაძის ეს საჟურნალო სტატია არის დასტური კრიტიკოსის შემოქმედებითი პოზიციების დაუთმობლობისა და ამ პოზიციების გამარჯვებისათვის ბრძოლისა. ოთარ ეგაძე კატეგორიულად იბრძვის იმის წინააღმდეგ, რომ სპექტაკლის მონაწილე ზოგიერთმა მსახიობმა ცალმხრივად გაიგო და ერთგვარად გააყალბა ჰიქმეთისეული კონცეფცია. მსახიობმა არ გამოხატა ის ხაზი პიროვნების ხასიათისა, რომელიც ნაზიმ ჰიქმეთმა დააკისრა მას.

სოხუმის სახელმწიფო თეატრში დადგმული „ლეგენდა სიყვარულზე“ ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლადაა მიჩნეული ამ თეატრის შემოქმედებით ისტორიაში. სოხუმის თეატრში „ლეგენდა სიყვარულზე“-ს დამდგმელი რეჟისორი იყო სერგო ჭელიძე, მხატვარი — ფ. ლაპიაშვილი, კომპოზიტორი დ. თორაძე, სპექტაკლში როლები ასე იყო განაწილებული. მეჰმენე ბანუ — ირ. დონაური, ფერხადი — ზ. ლაფერაძე, შირინი — ს. ყანჩელი, ბეჰზადი — ნ. მიქაშავიძე, უცნობი — ი. კალანდაძე, ეშრეფი — გ. რევაზიშვილი.

ამ თეატრში განსაკუთრებული წარმატება ხვდა ს. ყანჩელს, რომელიც შირინის როლს ასრულებდა. 1954 წლის 18 ივლისის გაზეთ „კომუნისტში“ თეატრალური კრიტიკოსი ა. ბურთიკაშვილი სოხუმის თეატრის ამ სპექტაკლზე წერდა:

„სცენური მომხიბლაობით უხვად არის დაჯილდოებული მსახიობი ს. ყანჩელი და მისი შირინიც წარმტაცი და მიმზიდველია. უკანასკნელ მოქმედებაში ს. ყანჩელმა რკინის მთაზე ფერჰადთან ისეთი დიდი მღელვარებით წარმოგვისახა შირინი, რომ ეს სახე დიდხანს არ ამოიშლება მაყურებლის მეხსიერებიდან“.

მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ამ სპექტაკლის ნაზიმ ჰიქმეთისეული შეფასება. 1954 წლის სექტემბრის მიწურულს ნაზიმ ჰიქმეთი სოხუმს ეწვია. მან ნახა სპექტაკლი და, როგორც ჩანს, კმაყოფილი დარჩა, რადგან სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრის მუზეუმში თურქულად დაწერილი ამგვარი ჩანაწერი ვიპოვეთ:

„გმადლობთ, ამხანაგებო!

მალე დადგება დღე, როდესაც სოხუმში დასასვენებლად საბჭოთა თურქეთიდანაც ჩამოვლენ და მიხარია, რომ მათთვისაც ასე ითამაშებთ ფერჰადისა და შირინის ამბავს.

ნაზიმი

1954, 30 სექტემბერი“.

(ვფიქრობთ, აქ საყურადღებოა ერთი ფრაზაც „სოხუმში დასასვენებლად საბჭოთა თურქეთიდანაც ჩამოვლენ“; ეს ფრაზა კიდევ უფრო მეტი სიცხადით წარმოგვიდგენს, თუ რაოდენ ძლიერი იყო პოეტის რწმენა, რომ დადგებოდა დღე და თურქეთიც საბჭოთა იქნებოდა).

ამავე 1954-55 წლების თეატრალურ სეზონში „ლეგენდა სიყ-

ვარულზე“ დაიდგა ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრშიც. სპექტაკლი დადგა შ. ინასარიძემ, მხატვრობა ეკუთვნოდა ვ. არჩვაძეს, როლებს ასრულებდნენ: მეჰმენე ბანუ — ნ. თეთრაძე, ფერჰადი — მ. ჯალაღონია. როგორც ამ სპექტაკლისადმი მიძღვნილი საგაზეთო რეცენზიებიდან („ბატუმსკი რაბოჩი“ 1954 წლის 8 აპრილისა და „საბჭოთა აჭარა“ 1954 წლის 13 აპრილისა) ირკვევა, სპექტაკლს გარკვეული წარმატება მოუპოვებია. 1955 წელს ნაზიმ ჰიქმეთი წერს პიესას „ყეყეჩი“, რომელიც ჩვენი ქვეყნის ბევრ თეატრში დაიდგა. „ყეყეჩით“ მალე დაინტერესდა ქართული თეატრიც და აი, 1956 წლის ბოლოს რეჟისორმა ნანა ხატისკაცმა ეს პიესა განახორციელა ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

თეატრი და რეჟისორი მიიზიდა პიესაში წამოჭრილმა მორალურ-ეთიკურმა პრობლემებმა. მისმა მგზნებარე მოქალაქეობრივმა პათოსმა. გაზეთ „სტალინელში“ (1957 წელი, 13 იანვარი, № 9) დაბეჭდილ კირა კვეიძისა და დავით კვიცარიძის რეცენზიაში ვკითხულობთ: სპექტაკლი კარგად მიიღო მაყურებელმა და ეს თეატრის კიდევ ერთი წარმატებაა.

ჩვენი საუკუნის 50-იანი წლები მიწურულს უახლოვდებოდა. ეს იყო პოლიტიკური დაძაბულობის წლები. ახალმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა თითქოს კიდევ უფრო რეალური გახადეს მსოფლიო ომის საშიშროება.

კაცობრიობის თავზე თანდათან იკრიბებოდა ღრუბლები, რომელიც ელინური მითის დამოკლეს მახვილს ემსგავსებოდა. ისე, როგორც თმის ერთ ბეწვზე ჩამოკიდებული მახვილის ჩამოვარდნა იყო მოსალოდნელი, ასევე შეიძლებოდა მოულოდნელად — შემთხვევით თუ კანონზომიერებით — რომელიმე ქვეყანაში ჩამოცვენილიყო ის ატომური ყუმბარები, რომლებიც იმ წლებში ზოგიერთი სახელმწიფოს თვითმფრინავებს დაჰქონდათ.

ნ. ჰიქმეთი მუდამ მწვავედ გრძნობდა თანამედროვეობის მაჯისცემას. სწორედ თანამედროვეობის ამ მწვავე განცდამ განაპირობა პიესა „დამოკლეს მახვილის“ შექმნა. ეს იყო ანტიფაშისტური გზნებით, პუბლიცისტური სიმახვილით დაწერილი პიესა, რომელიც უმალ იქცა თითქმის მთელს ევროპაში ცნობილ ნაწარმოებად.

„დამოკლეს მახვილის“ პერსონაჟები მსოფლიოს მრავალი თეატ-

რის სცენაზე ავიდნენ და წარმატებით დაიმკვიდრეს იქ ბინა. ქართულმა თეატრმა კი იმთავითვე მიაქცია ყურადღება ამ მეტად სცენურსა და თანამედროვეობის სულისკვეთებით გაჟღენთილ პიესას.

საქართველოში „დამოკლეს მახვილი“ რამდენიმე თეატრში განხორციელდა. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კ. მარჯანიშვილისა და ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრების სპექტაკლები.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ეს პიესა წარმოადგინა რეჟისორმა იური კაკულიამ. იმდენად, რამდენადაც პიესის თითქმის ყოველი პერსონაჟი ახალგაზრდა იყო, სპექტაკლშიც თეატრის ჩინებული ახალგაზრდა მსახიობები: ელ. ყიფშიძე, ე. მაღალაშვილი, გ. სიხარულიძე, დ. ჭიჭინაძე, ა. ვერულეიშვილი, მ. თბილელი მონაწილეობდნენ.

1960 წლის 8 ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ბრონისლავ ბახტაძის რეცენზია მარჯანიშვილელთა ამ სპექტაკლზე. რეცენზენტი ამ სპექტაკლის მიმართ გამოთქვამს რამდენიმე საყურადღებო შენიშვნას, მაგრამ იმავე დროს მიუთითებს პიესისა და სპექტაკლის მაღალ პუბლიცისტურობაზე.

პიესა „დამოკლეს მახვილი“ ქართულად თარგმნა ჩინებულმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ირაკლი აბაშიძემ. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი რუსული ენიდანაა შესრულებული, ირ. აბაშიძემ პიესას შეუნარჩუნა ის მოქალაქეობრივი პათოსი და ლირიზმი, რითაც ეს ნაწარმოები ხასიათდება. ამიტომაც „დამოკლეს მახვილი“ ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად მიიჩნევა და ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის შენაძენია.

თუ მარჯანიშვილის სახელობის თეატრი უკვე მეორედ ხვდებოდა ნ. ჰიქმეთის დრამატურგიას, ა. გრიბოედოვის თეატრს პირველად მოუხდა ამ დრამატურგის პიესის დადგმა. გრიბოედოვის თეატრში „დამოკლეს მახვილი“ განახორციელა აწ გარდაცვლილმა, მაშინ კი ახალგაზრდა და ნიჭიერმა რეჟისორმა თ. კანდინაშვილმა. მხატვრობა ეკუთვნოდა ო. ლითანიშვილს. სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ მ. პიასეცკი, ი. შევჩუკი, ვ. სიომინა, ნ. მაკაროვა, მ. კოვალიოვა და სხვები.

გ. მუხრანელი 1960 წლის 3 დეკემბრის „ზარია ვოსტოკაში“

დაბეჭდილ წერილში დაწვრილებით მიმოიხილავს გრიბოედოველთა ამ სპექტაკლს და კარგად აფასებს მსახიობთა, რეჟისორისა და მხატვრის ნამუშევარს.

ასე რომ, ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებით მემკვიდრეობას კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. საქართველოში ნ. ჰიქმეთს მრავალი მეგობარი და თაყვანისმცემელი ჰყავდა და ჰყავს კიდეც. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ქართველი პოეტის კარლო კალაძის ლექსი, რომელიც 1958 წლის სექტემბერში დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში". კარლო კალაძე მეხსიერებაში აღიდგენს ნაზიმ ჰიქმეთთან პირველ შეხვედრას ედუარდ ბაგრიცკის ბინაზე. სწორედ ამ ღამეს დაიწყო და აღარ დამთავრებულა ქართველი და თურქი პოეტების მეგობრობა.

გახსოვს, კუნცევო, ბაგრიცკის ბინა,
და ედუარდის ბუკი იმ ღამით,
ვით ჩვენი ტოლი და ჩვენი კბილა
გრძნობდა, რომ მისი ძმები ვიყავით.
დღეს იმ კუნცევოს მყუდრო ბაღიც კი
საყვარელია და სასახელო,
ბნელში ვერხვივით იდგა ბაგრიცკი
და გაღეღილი ჰქონდა საყელო!
გახსოვს, ბნელ ღამეს თვალმოხამხამეს,
ლექსების ცეცხლი რომ შეაყარა?
და არ ჩამქრალა, სანამ თვით ღამეს
არ შეეპარა თმაში ჰაღარა.

ნაზიმ ჰიქმეთს გულითადი სიყვარული აკავშირებდა საქართველოსთან. პოეტის ასეთი დამოკიდებულება ჩვენი რესპუბლიკისადმი საკმაოდ ცხადად გამოჩნდა ბევრ მის ინტერვიუში. ახლა კი პოეტის ერთ ინტერვიუზე გვინდა გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება.

ეს ინტერვიუ ჟურნალ „დროშაში" (1962 წელი, № 12, გვ. 15) დაიბეჭდა და მრავალმხრივაა საინტერესო. ამიტომ მოგვყავს მთლიანად:

გაუმარჯოს ქართველებს და საქართველოს

საქართველო მარტო იმიტომ უნდა მიყვარდეს, რომ იგი იყო პირველი საბჭოთა მიწა, სადაც ფეხი დაადგა მეოცნებე, გამოუცდელმა თურქმა, რომელსაც ნაზიმ ჰიქმეთი ერქვა.

მას შემდეგ ბევრჯერ ვყოფილვარ საქართველოში, ულამაზეს თბილისში, მაგრამ პირველი შთაბეჭდილება ტკბილზე-ტკბილ მოგონებად დარჩება. ჩემი ახალგაზრდობა ახლაც სეირნობს ძველი თბილისის მემწვანილეებით და მემაწვნეებით სავსე ვიწრო ქუჩებში.

მე მიყვარს საქართველო, ქართლი, აჭარა, აფხაზეთი, მე მიყვარს თქვენი გმირული წარსული, თქვენი ლიტერატურა, თქვენი მწერლები და პოეტები, რომლებიც ჩემი ძმები და ახლობლები არიან. მე ვამაყობ, რომ თქვენი მაყურებლის წინაშე წარმატებით იდგმება ჩემი პიესები.

ჩემთვის უდიდესი მხატვარია ფიროსმანიშვილი. მან განმაცვიფრა და ვისურვებდი, როგორც საბჭოთა, ისე სხვა ქვეყნის ხალხებს კარგად შეესწავლათ ეს შეუსწავლელი ხელოვანი.

ქართული სიმღერები? ო, ეს შემოქმედებაა! ეს სიყვარულის, სილამაზისა და ვაჟკაცობის ჰიმნია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ, როგორც მსოფლიო მშვიდობის საბჭოს წევრი, ვმონაწილეობდი სტოკჰოლმის სესიის მუშაობაში.

ჩემი იქ ყოფნა საქართველოს ცნობილ მოცეკვავეთა ანსამბლის გასტროლებს დაემთხვა.

შვედები ცივი და აუღელვებელი ხალხია, მაგრამ უნდა გენახათ მათი სახეები, მათი აღფრთოვანება. თქვენი მოცეკვავეების ჯადოსნური ცეკვების შემდეგ საუბარი მქონდა ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან. ისინი მოაჯადოვეს ქართველებმა.

მე თურქი ვარ, მაგრამ ჩემს ძარღვებში ცოტა ქართული სისხლიც ფეთქავს. დედაჩემის წინაპრები ხომ ქართველები იყვნენ. ხშირად გაიგონებდი ჩვენს ოჯახში კაეშნის, ცრემლისა და შეუგრძნობი სურვილის მომგვრელ ქართულ სიმღერებს. ქართველი ქალი, ქართველი დედა! იმღერეთ მათზე, ისინი ხომ სათაყვანები არიან!

საქართველოზე საათობით შემიძლია ვილაპარაკო. მე ვწუხვარ, რომ ახალ, 1962 წელს ჩემს ქართველ მეგობრებთან ერთად ვერ შევხვდები, მომავალ, 1963 წელს კი აუცილებლად თბილისში, ჩემთვის ახლობელ ქალაქში შევხვდები. თავაწეული დავჯ-

დები სახელგანთქმულ ქართულ სუფრასთან და, მიუხედავად სამოცი წლისა, რომელიც ახლა მისრულდება, ახალგაზრდული, ვაჟკაცური, ქართული სიხალისით ავიღებ სასმისს და მრავალჯერ მონატრებულ სადღეგრძელოს დავლევ:

გაუმარჯოს ქართველებს და საქართველოს!

ნაწილი ერის სულიერი საგანძურისა

იგი თავისუფალი იყო, მაგრამ სრულ ბედნიერებას მაინც ვერ ეღირსა. 1951 წლიდან მოყოლებული საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა, გარს ეხვივნენ უახლოესი მეგობრები, საქვეყნოდ აღიარებული საბჭოთა მწერლები, მაგრამ სამშობლოზე, ოჯახზე ფიქრი მაინც გულს უკოდავდა.

მრავალი წლის დაუოკებელმა ბრძოლამ, ციხემ, ინტენსიურმა შრომამ, სამშობლოსთან და ოჯახთან დაშორებამ თავისი კვალი დაამჩნია მის ორგანიზმს, უფრო ზუსტად, მის გულს. ამიტომ იყო, რომ ოთხი თვე გაუნძრევლად იწვა მოსკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში და ებრძოდა სიკვდილს. ოთხი თვე აკრძალული ჰქონდა განძრევა. იწვა პირაღმა და კვლავ თავის სამშობლოზე, ოჯახზე ფიქრობდა. რუსმა მეგობრებმა სიკვდილს გაუსტაცეს პოეტი. პოეტის ასეთმა მდგომარეობამ ააფორიაქა მისი პოეზიის ათასობით თაყვანისმცემელი. ამის დასტურია ის უამრავი წერილი, რომელიც „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქციაში მიდიოდა. წერილების ავტორები ამხნევებდნენ პოეტს, შთაუნერგავდნენ მას რწმენას.

პოეტს აკრძალული აქვს სიგარეტის მოწევა, ერთი ჭიქა ღვინის დალევა, ყოველგვარი ემოციური დატვირთვა. გადის დრო და ნაზიმ ჰიქმეთი არაფრად აგდებს ამ აკრძალვებს. მოგზაურობს — ხან პარიზშია და ლუი არაგონთან ერთად კითხულობს ლექსებს მრავალი ათასი მუშის წინაშე, ხან ჰავანაშია ფიდელ კასტროსთან შეხვედრაზე, ხანაც კაიროში გამალ აბდელ ნასერთან. მოსკოვშიც მოეკიდა ოჯახს, ცოლი შეირთო, მასთან შედარებით ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ესმის პოეტის გულისტკივილი.

პოეტს კი აწუხებს ფიქრი სამშობლოზე. იგი იბეჭდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მისი პიესები იდგმება ევროპაში, ამერი-

კაში, აზიაში, მაგრამ მშობლიურ თურქეთში მისი ერთი სტრიქონიც არ იბეჭდება. მისი სახელის ხსენებაც კი აკრძალულია.

ეს გულს უკლავს პოეტს.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თან სდევდა ფიქრი სიკვდილზე. თითქოს უნებურად იბადება ასეთი სტრიქონი მისი ლექსისა: „როგორ ჩამომასვენებთ მესამე სართულიდან, კუბო ლიფტში არ შევა, კიბე კი ვიწროა“.

რადიი ფიში ასე აგვიწერს ნაზიმ ჰიქმეთის უკანასკნელ დღეს:

„1963 წლის 3 ივნისი, მოსკოვი. ადრიანი დილაა. ნაზიმ ჰიქმეთი თავის ბინაშია. წამოდგა, გაზეთების ყუთს მიადგა, გაზეთების ამოსაღებად და სწორედ აქ უწია სიკვდილმა“.

გარდაიცვალა უდიდესი პოეტი თურქეთისა, პოეტი, რომელსაც მსოფლიო ავტორიტეტი ჰქონდა, მაგრამ მის მშობლიურ თურქეთში ორტსრიქონიანი ინფორმაციაც არ დაბეჭდილა ამის თაობაზე.

გავიდა დრო, სულ ცოტა დრო და თურქეთი კვლავ შეხვდა თავის დიდ პოეტს. ეს იყო 1965 წელს. თურქეთში გამოიცა ნაზიმ ჰიქმეთის ნაწარმოებები. ამ პირველ მერცხალს მოჰყვა აღიარება და სინანული — თურქი ხალხის სინანული თავისი დიდი პოეტის დაკარგვის გამო. 1965-66 წლების განმავლობაში თურქეთში გამოიცა ნაზიმ ჰიქმეთის ოცზე მეტი წიგნი. 1968 წლის გაზაფხულზე მე თვით ვიყავი მოწმე იმისა, თუ როგორ უყვართ თურქეთში ჰიქმეთი:

სტამბული... ავტობუსი თაქსიმის მოედანზე გაჩერდა და მე დავინახე, როგორ შემოვიდა ავტობუსში სახეგაბადრული ახალგაზრდა კაცი. მას წიგნი ეჭირა ხელში. გაფაციცებით ფურცლავდა და თან მეგობარს ეუბნებოდა:

— ვიშოვნე, ძლივს ვიშოვნე.

წიგნის გარეკანს დავხედე: „თანამედროვეთა მოგონებანი ნაზიმ ჰიქმეთზე“, — ეწერა წიგნს.

ჩემთვის გასაგები გახდა ახალგაზრდა კაცის სიხარული — მან ხელთ იგდო წიგნი თავისი ერის დიდ შვილზე.

პოეტმა ხელახლა დაიწყო სიცოცხლე თავის სამშობლოში.

1970-72 წ.წ.

შინაარსი

წინაპრები. ოჯახი 3
შენ პოეტი ხარ! 11
ახალი სამყარო 18
„ბათუმი — კარიბჭე ახალი სამყაროსი" 28
დიდი პოეზიის სათავეებთან 32
გემშვიდობები, საბჭოეთო, მომეცი ხელი! 43
სამშობლოში 48
„ზღვასთან მინდა დაბრუნება, ზღვასთან მისვლა მინდა" . 59
პოეტი და პრეზიდენტი 81
„პაერი, ვით ტყვია, მძიმეა ტიალი"... 96
პირისპირ ფაშიზმთან 112
გზანი წამებისანი 118
სამი ღამე სიკვდილთან 128
პიქმეთის ნაკვალევზე 142
გოდება სიყვარულზე, გმირობა სიყვარულისა . . . 146
სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე 154
ნაწილი ერის სულიერი საგანძურისა 184

ს. ბ. № 129

რედაქტორი ლ. ჩლაიძე
გამომცემლობის რედაქტორი მ. სოხაძე
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვრული რედაქტორი გ. ღლონტი
ტექნიკური რედაქტორი ნ. შველიძე
კონტრ.-კორექტორი დ. კალანდარიშვილი
კორექტორი მ. ლაღაძე
გამომშვები ნ. კაკაშვილი

გადაეცა ასაწყობად 7/XII-76 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VII-77 წ.
ანაწყობის ზომა 6×9
საბეჭდი ქაღალდი № 1
ქაღალდის ზომა 60×84¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 10,8
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,57
ტირაჟი 10.000 უე 00432 შეკვ. № 3378
ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули»
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი 7.

Тбилисская книжная фабрика Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.